

ו. עבדוהו מכל יום



აი, უკვე სამასი წელია, ხან მინელდება, ხანაც ახალი-
ძალით ჩაიდდება გეცნიერთა კამათი ეტრუსკებზე. საი-
დან გაჩნდა ეს ხალხი იტალიაში? როგორ დაიმორჩი-
ლა, მერე კი განაგებდა ამ ქვეყნის ტომთა უპრაავლე-
ლობას? როგორი იყო ცხოვრება ეტრუსკულ ქალა-
ქებში?

ყველა ამ და კიდევ ბევრ სხვა კითხვაზე პასუხს იძ-
ლევა ა. ნემიროვსკის წიგნი. ავტორი მკითხველებს.
აცნობს არქეოლოგიური გათხრების, გეცნიერული ძი-
ებებისა და აღმოჩენების წარმტაც ისტორიას. წიგ-
ნის დასკვნითი ნაწილის მხატვრული მოთსრობები კი
აღადგენს ეტრუსკების მრავალფეროვანი სამყაროს
სურათს. როგორც სარკეში, ისე გაიფლვებენ ჩვენს
თვალწინ ეტრუსკ მშენებელთა, მეფეთა, მეკობრეთა,
მიწათმოქმედთა, მეოპართა და სწავლულთა გაცოცხ-
ლებული ლანდები.

რუსულიდან თარგმნა

მ ა რ ი ნ ა ს ო ს ა ძ ე მ

პ ი რ ვ ე ლ ი გ ა მ ო ც ე მ ა

ქართული გაგოცემის წინასიტყვაობა

ვინც კი ა. ნემიროვსკის „ეტრუსკულ სარკეში“ „ჩაიხედავს“, მას, ვფიქრობთ, გაუძლიერდება ინტერესი ეტრუსკებისადმი. ეს იმით აიხსნება, რომ ამ „სარკეში“ მკითხველი „დაინახავს“ ეტრუსკული ცხოვრების შთამბეჭდავ სურათებს, რომლებიც წიგნში უხვადაა გაბნეული, ზოგჯერ კი პატარ-პატარა ნოველების სახითაა წარმოდგენილი. ღრმა და ფაქიზი ცოდნა პირველწყაროებისა — ლათინ თუ ბერძენ მწერალთა ნაწარმოებებისა — წიგნის ავტორს საშუალებას აძლევს დიდი სიზუსტით აღადგინოს ეტრუსკული ღრმადი მრავალი დეტალი, მოგვიანო ხანებში სავსებით მივიწყებული თუ ტრანსფორმირებული. ნემიროვსკიმ „გააცოცხლა“ მრავალი ლეგენდა და თქმულება, რომლებიც ეტრუსკების ისტორიასთანაა გადაჯაჭვული. ამგვარად, „ეტრუსკული სარკით“ დაინტერესებული პირი ფაქტობრივად გაეცნობა ეტრუსკების ისტორიას, ამ ხალხის ყოფა-ცხოვრებას, კულტურას, ასე მჭიდროდ რომ იყო გადახლართული მრისხანე რომის ისტორიასთან. არაერთ საინტერესოს იპოვის ამ წიგნში მკითხველი თვით რომთან დაკავშირებითაც.

„ჩაიხედავს“ რა „ეტრუსკულ სარკეში“, მკითხველს თვალწინ წარმოუდგება ეტრუსკია — მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო იტალიის ცენტრში, ჯერ კიდევ რომის ძლიერებამდე აყვავებული. ძირითადად მდინარე არნოსა და მდინარე ტიბრს შორის მდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ეტრუსკები (ბერძნული წყაროების ტირენები ანუ ტირსენები, ლა-

თინური წყაროების ტუსკები) ადრე დაწინაურებულიან სხვა იტალიურ ტომებს შორის. ამას უდავოდ ხელი შეუწყო ბუნებრივმა პირობებმა, ნაყოფიერმა ნი-ადავმა, ლითონის საბადოების (განსაკუთრებით, რკინის, ვერცხლის, თუთიის) სიუხვემ. ლითონები ოსტატურად დამუშავებამ კი, რასაც ადასტურებს სპილენძის, ბრინჯაოს, რკინის, ვერცხლის თუ ოქროს ნაკეთობანი, ეტრუსკებს მსოფლიო აღიარება მოუტანა.

ეტრუსიის იმ ადგილებში, რომლებსაც მოიცავდა ე. წ. „ვილანოვის კულტურა“ (ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი), წარმოიშენენ ეტრუსკული ქალაქები. ხელოსნობის, ვაჭრობისა და ზღვაოსნობის მნიშვნელოვნად განვითარებამ, როგორც მეზობელ პოლიტიკურ გაერთიანებებთან, ასევე დასავლეთ და აღმოსავლეთ სმელთაშუაზღვისპირეთის რაიონებთან ურთიერთობის დამყარებამ ეტრუსია აქცია მაშინდელი სამყაროს ერთ-ერთ უძლიერეს ქვეყნად. ეტრუსკებს დიდი კულტურული და ეკონომიური კავშირი ჰქონდათ ფინიკიასთან. კართაგენთან — ფინიკიის ერთ-ერთ მძლავრ კოლონიასთან, სირიასთან, კვიპროსთან. განსაკუთრებით საგრძნობი იყო ასეთი სახის კავშირები ბერძნებთან, არა მარტო იტალიის მიწა-წყალზე, მის სამხრეთ სანაპიროზე (გარდა ამისა, ჰიცილიაზე, კორსიკაზე და ა. შ.); სადაც არაერთი ბერძნული კოლონია არსებობდა, არამედ თვით საბერძნეთთან. ამ გზით ეტრუსკები გაეცნენ ბერძნულ ანბანს, რომლის საფუძველზედაც მათ შექმნეს თავიანთი დამწერლობა, აგრეთვე ბერძნულ რელიგიას, მითებს, ხელოვნებას.

მაშინდელი ცივილიზებული სამყაროს კულტურულ მიღწევათა შეთვისება მათ დიდად დაეხმარა საკუთარი შემოქმედების განვითარებაში. მაგრამ ეტრუსკების დიდებისა და ძლიერების წყარო იყო თვით ეტრუსკული სამყარო, ის ქალაქები, რომლებიც მოკლე ხანში დიდად განვითარებულ პოლიტიკურ-ეკონომიურ და კულტურულ ცენტრებად გადაიქცნენ (ვოლატერე, არეციუმი, კორტონა, პოპულონია, ვეტულონია, კლუზიუმი, ვეიპირგი. ცერე, ტარკინი და სხვ). ეტრუსკების თორმეტი ძლიერი ქალაქი თავისუფალ ფედერაციას ქმნიდა. თი-

თოეული მათგანი კი დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს — „ქალაქ-სახელმწიფოს“ წარმოადგენდა. ამ გაერთიანებას საფუძვლად ედო რელიგია — ქალმკრთოვოლთუმნას კულტი. მის პატივსაცემად სპეციალური ტაძარიც ააგეს ბოლსენაში, სადაც წელიწადში ერთხელ სადღესასწაულოდ თავს იყრიდნენ ეტრუსკულ ქალქთა მმართველები და მცხოვრებნი. აქვე ირჩევდნენ მეფეს. მაგრამ იგი ეტრუსკული თავისუფალი ფედერაციის მხოლოდ ფორმალური მმართველი იყო. ქალაქ-სახელმწიფოებს კი ფაქტობრივად მართავდნენ არისტოკრატიული გვარები, რომელთა მამასახლისები — ლუკუმონები — დიდ გავლენას ახდენდნენ საქალაქო ცხოვრების ყველა მხარეზე. მოგვიანო ხანებში ეტრუსკული ქალაქები გადაიქცნენ თავისებურ საქალაქო რესპუბლიკებად.

ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნის ბოლოსათვის, როცა ეს ქალაქები საკმაოდ მომძლავრდნენ, ეტრუსკებმა შეუტყის იტალიის ტერიტორიაზე მდებარე ოლქებს ეტრურიის ჩრდილოეთითა და სამხრეთით, სადაც მათ დააარსეს საკუთარი კოლონიებიც კი. ჩრდილოეთ იტალიაში აღმოცენებული ეტრუსკული ქალაქებიდან, რომლებიც გადაიქცნენ ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრებად, დიდად დაწინაურდნენ ფელსინა, სპინა, ატრიუმი და სხვანი. ამ ადგილებიდან ეტრუსკები კონტროლს უწევდნენ თავიანთ მთელ ჩრდილოეთ იტალიას. წარმატება ივდათ ეტრუსკებს იტალიის სამხრეთშიც, სადაც მათ დეი მოიკიდეს ტიბრის სანაპიროზე, დაიპყრეს ლაციუმი და შეიჭრნენ მას მეზობელ კამპანიაში. ეტრუსკების პოლიტიკური გავლენა ვავრცელდა სხვა ახლომდებარე ოლქებშიც.

ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის შუა ხანებისათვის კი მათი პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული გავლენის სფეროში მოექცა თითქმის მთელი იტალია. ამ დროიდან ეტრუსკებმა ხელი მიჰყვეს იტალიის გარეთ მდებარე ტერიტორიების დაპყრობასაც, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ისინი ყვევ ზღვაზეც იყვნენ მომძლავრებული. ამის ნათელი დადასტურება გახდა ეტრუსკების მიერ კორსიკის დაპყრობა, როცა პი-

რველად შეეჯახნენ ერთმანეთს ეტრუსკები და ბერძნები.

ამ კუნძულს ძველთაგანვე დიდი სტრატეგიული ადგილმდებარეობა ეკავა სმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქონდა ბერძნებისათვის დასავლეთ სმელთაშუაზღვისპირეთში სავაჭრო ურთიერთობათა განვითარებისათვის. მაგრამ იგი არანაკლებ საჭირო იყო ეტრუსკებისათვის, რომელთა პოლიტიკური ძლიერება თანდათან იზრდებოდა აპენინის ნახევარკუნძულზე და მთელ სმელთაშუაზღვისპირეთში. ყოველივე ამან ძალზე დაძაბა ურთიერთობა ბერძნებსა და ეტრუსკებს შორის. ამ მომენტში გადამწყვეტი როლი შეასრულა კართაგენმა, რომელმაც ეტრუსკების მხარე დაიჭირა. ამით მას სურდა დაესუსტებინა ბერძნების გავლენა დასავლეთ სმელთაშუაზღვისპირეთში. ძველი წელთაღრიცხვის 540 თუ 538 წელს სარდინიის ზღვაში გაიმართა დიდი ბრძოლა, როცა ბერძნების მრავალრიცხოვანი ფლოტი შეეტაკა ეტრუსკებისა და კართაგენელთა ზომალდებს. მართალია, ეს საზღვაო ბრძოლა დამთავრდა ბერძნების გამარჯვებით (მათ თითქმის მთლიანად ჩაძირეს მოწინააღმდეგის ფლოტი), მაგრამ ბერძნებმა მაშინვე ხელი აიღეს კორსიკაზე და გაეცალნენ იქაურობას. ეტრუსკები დაეპატრონენ კორსიკას, რომლისგანაც ისინი ამიერიდან ხარკს იღებდნენ. მალე მათ პოლიტიკურ გავლენაში მოექცა სიცილიის ნაწილიც.

ეს იყო ეტრუსკების პოლიტიკური ძლიერების ზენიტი. ამ პერიოდისათვის ეტრუსკები, ბერძნებთან და კართაგენელებთან ერთად, ქმნიდნენ „დიდ სამეულს“, რომელიც განსაზღვრავდა პოლიტიკური განვითარების მთელ მსვლელობას მაშინდელ დასავლეთ სმელთაშუაზღვისპირეთში.

ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნის პირველი ნახევრიდან უკვე გამოჩნდა ეტრუსკების ძლიერების შესუსტების პირველი ნიშნები. მალე ეტრუსკებმა სამხრეთ იტალიაში დაკარგეს ქალაქი რომი, რომელმაც მომძლავრება დაიწყო მას შემდეგ, რაც მდინარე ტიბრის მარცხენა სანაპიროზე, ლაციუმში, შეიჭრნენ ეტრუსკები. ლე-

გენდის თანახმად, რომაელებმა საბოლოოდ შეძლეს ეტრუსკი მეფის — ტარკვინიუს ამაყის რომიდან განდევნა, რითაც უნდა დამსობილიყო ეტრუსკების ბატონობა რომში. მიუხედავად იმისა, რომ ეტრუსკების პოლიტიკური გავლენა კვლავ ძლიერი იყო კამპანიის ოლქში და იტალიის ჩრდილოეთში, ხოლო თავიანთი ფლოტის წყალობით ეტრუსკები გაცხოველებულ ეპქრობას აწარმოებდნენ დასავლეთ სმელთაშუაზღვისპირეთში, ეტრუსიის დიდების დასასრული მოახლოებულ იყო. ეტრუსკების განდევნის შემდეგ რომაელებმა გავლენა მოიპოვეს ლაციასი და შეუტიეს ეტრუსკების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქს — ვეის.

ამავე დროიდან საგრძნობლად გამწვავდა ურთიერთობა ეტრუსკებსა და სიცილიის ბერძნულ კოლონიებს შორის. ეტრუსიის მოკავშირე კართაგენის ფლოტის დამარცხებამ სიცილიელ ბერძნებთან (ძვ. წ. 480 წ.) კიდევ უფრო დაასუსტა ეტრუსკების პოზიციები ზღვაზე, ხოლო ძველი წელთაღრიცხვის 474 წელს ბერძნების მიერ ეტრუსკების ფლოტის განადგურებით ერთ-ერთი ბერძნული კოლონიის კუმის ახლოს (თანამედროვე ნეაპოლთან) დასრულდა ეტრუსკების გავლენა სმელთაშუაზღვისპირეთში. მომდევნო ხანებში ეტრუსკებმა დაკარგეს კამპანიის ოლქი.

ამასობაში ქალაქ ვეისა და რომის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა. დაახლოებით ძვ. წ. 406 წელს რომაელებმა ალყა შემოარტყეს ამ ქალაქს, რომელთანაც ბრძოლას ისინი უკავშირებდნენ თვით რომის ბედს. გადმოცემის თანახმად, რომაელებმა მარკუს კამილუსის მხედართმთავრობით ათი წელი მოანდომეს ვეის ალებას. მალე დაეცა სამხრეთ ეტრუსიის ქალაქი კაპენაც, რითაც რომს ფართოდ გაეხსნა გზა ეტრუსიისაკენ. რომაელთა შემოტევა სამხრეთიდან შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერებულიყო, ამ დროისათვის რომ ეტრუსკები ჩრდილოეთიდან ახალი საფრთხის წინაშე არ აღმოჩენილიყვნენ. ეს იყო მრისხანე მტრის — გალების ანუ კელტების შემოსევა ჩრდილოეთ იტალიაში. ზედიზედ დაიპყრეს რა იქაური ეტრუსკული კოლონიები, გალებმა გაილაშქრეს ეტრუსურიაშიც. კლუზიუმის

განადგურების შემდეგ ისინი ეტრურიის ტერიტორიაზე გავლით სწრაფად გაემართნენ რომისაკენ. ძვ. წ. 387 წლის 18 ივლისს გალებმა სასტიკად დაამარცხეს რომაელები, მიიღეს მათგან დიდი კონტრიბუცია და უკან გაბრუნდნენ. გზადაგზა ააოხრეს ეტრუსკების ქალაქები. ახალმა დამარცხებამ ეტრუსკები საბოლოოდ წელში გატეხა. ამას თან დაერთო ისიც, რომ ძვ. წ. 384 წელს სირაკუზის (კუნძულ სიცილიაზე მდებარე ბერძნული კოლონიის) ტირანი დიონისე I ძლიერი ფლოტით თავს დაესხა სამხრეთ ეტრურიის ზღვისპირა ქალაქ პირგის და მიწასთან გაასწორა ცერე. ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნის ბოლოს კი რომმა, გალების უეცარი დარტყმისაგან დროულად გამოფხიზლებულმა, დაამარცხა სამხრეთ ეტრურიის ერთ-ერთი ძლიერი ქალაქ-სახელმწიფო ტარკინი. მომდევნო ხანებში ეტრუსკული ქალაქები, მათ შორის ვოლჰინიაც, თანდათან მოექცნენ რომის ძლიერი გავლენის ქვეშ. დაიწყო ეტრურიის რომანიზაცია, რასაც შედეგად მოჰყვა ეტრურიისა და ეტრუსკების თანდათანობით გაქრობა ისტორიის სარბიელიდან. დავიწყებას მიეცა ეტრუსკული ენა, თითქმის მთელი ეტრუსკული ცივილიზაცია და კულტურა. რომაელები, რომლებიც უკვე ამტკიცებდნენ თავიანთ ღვთაებრივ წარმომავლობას, ამიერიდან ცდილობდნენ კიდევაც წარეხოცათ ეტრუსკების კვალი რომის დიდების უკვდავსაყოფად.

მაგრამ ეტრუსკული ცივილიზაციის უკვალოდ გაქრობა შეუძლებელი აღმოჩნდა. იტალიის ტერიტორიაზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა მზის შუქზე გამოიბრუნა ეტრუსკული კულტურის ბრწყინვალე ნიმუშები, რომლებმაც განაცვიფრა ახალი სამყარო. ანტიკური ხანის მწერლების დახმარებით მეტ-ნაკლები სისრულით აღდგა ეტრუსკული ქალაქების ჩამქრალი ცხოვრების სურათები. მეცნიერებმა გადაშალეს ბევრი ახალი ფურცელი ეტრურიის ისტორიისა, თუმცა ეტრუსკებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ბევრი რამ ბურუსითაა მოცული. ეს განსაკუთრებით ითქმის ეტრუსკების წარმომავლობაზე და ეტრუსკულ ენაზე.

ეტრუსკების ეთნიკური წარმოშობის საკითხი დავას

იწვევდა ჯერ კიდევ ძველ დროში, როცა „ისტორიის მამას“ — ჰეროდოტეს — და სხვებს მიაჩნდათ, რომ ეტრუსკები იტალიაში ლიდიიდან — მცირე აზიის დასავლეთი ნაწილიდან — იყვნენ გადმოსახლებული, ხოლო ამ მოსაზრების საპირისპიროდ დიონისე პალიკარნასელი ამტკიცებდა, ეტრუსკები იტალიის აღმოსავლეთი მხარის მთიანეთიდან იყო. ძველადვე არსებობდა აგრეთვე მოსაზრება, რომელიც გულისხმობდა ეტრუსკების მოსვლას იტალიაში ჩრდილოეთიდან.

ეტრუსკების წარმომავლობასთან დაკავშირებით ზუსტად იგივე ვარაუდებია წამოყენებული ჩვენს დროშიც, ეტრუსკული ცივილიზაციის „ხელახალი აღმოჩენის“ ხანაში. მეცნიერებს ამჯერადაც ვერ დაუღვენიათ. ეტრუსკები იტალიაში ჩრდილოეთიდან ან აღმოსავლეთიდან მოვიდნენ, თუ იტალიის მკვიდრნი იყვნენ.

ეტრუსკოლოგიის ყველაზე რთულ პრობლემად რჩება საკითხი ეტრუსკული ენისა, რომელზედაც შედგენილია მრავალრიცხოვანი წარწერები. მართალია, ამ წარწერების წაკითხვა არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს, რადგან ეტრუსკული ანბანი, როგორც შემოთავაზებულია, ძველ ბერძნულ დამწერლობაზეა დაფუძნებული, მაგრამ ჯერჯერობით ამ წარწერების ენა გაუგებარია, უცნობია. ამიტომ იყო, რომ მას აღარებდნენ სხვადასხვა წარმომომავლობის ენებთან — ხან ინდოევროპულთან (ლათინურთან, ძველ ბერძნულთან, ლიდურთან, ხეთურთან, ილირიულთან და ა. შ.), ხან კიდევ სემიტურ, იბერიულ-კავკასიურ, თურქულ, ჩინურ თუ სხვა ენებთან (ამერიკის კონტინენტის ენებთანაც კი). ზოგჯერ ჩვენშიც ცდილობდნენ მოეძებნათ ეტრუსკულ-ქართული ენობრივი პარალელები. მაგრამ ამ ორი ენის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი მეცნიერულად ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, იგი ელის თავის მკვლევარს. ეტრუსკული ენის ამოცნობასთან დაკავშირებით ამჟამად მეცნიერები დიდ იმედებს ამყარებენ ძველი პირვის აღმოჩენას 1964 წელს აღმოჩენილ სამ ოქროს ფირფიტაზე მოთავსებულ წარწერებზე. ორი ფირფიტა შედგენილია ეტრუსკული ასოებით, მესამე — პუნიკურ ენაზე (ფინიკიურის დიალექტზე). როგორც გაირკვა, ერთ-ერთი


ფირფიტა ეტრუსკული წარწერით შინაარსობრივად ძალზე ანლოსა პუნიკურ ტექსტთან (მაგრამ არ არის მისი იდენტური). წარწერების გაშიფრვა გრძელდება და ვარაუდობენ, რომ მალე მიაგნებენ იმ საბოლოო „გასაღებს“, რომელიც „მოერგება“ დანარჩენ ეტრუსკულ ტექსტებსაც.

მანამდე კი მკითხველს ვურჩევთ გულდასმით წაიკითხოს წინამდებარე წიგნი, მით უმეტეს, რომ ქართულად აქამდე არ არსებობს ყველასათვის ხელმისაწვდომი, ჰოპულარული ხასიათის ნაშრომი ეტრუსკების შესახებ; ვფიქრობთ, ესეც კარგი საჩუქარი იქნება მათთვის, ვინც მოიწადინებს გაეცნოს მსოფლიოს ერთ-ერთი ძველი ცივილიზაციის შემქმნელ ხალხს, რომელმაც საკუთარი წვლილი შეიტანა ზოგადსაკაცობრიო კულტურის განვითარებაში.¹

გ რ ი გ ო ლ გ ი ო რ გ ა ძ ე

¹ უფრო დაწვრილებით იმის შესახებ, აუ როგორ წარმოიშვა ეტრუსკული პრობლემა, რა იცის და რა არ იცის მეცნიერებამ ამ ხალხზე, მკითხველს შეუძლია წაიკითხოს ჩეხი მწერლების იან ზურიანისა და ბოპუმილა მოუხოვას წიგნი, რომელიც ამ საშიოდე წლის წინ გამოიცა მოსკოვში:

Я. Бурнан, Б. Моухова, Загадочные этруски, Москва, Главная редакция восточной литературы издательства «Наука», 1970.



ვიწვევთ სამოგზაუროდ

მაშ ასე, მეგობრებო, მოდით, ვიმოგზაუროთ. მაგრამ ნურც ჩემოდნებს ჩაალაგებთ და ნურც ახლობლებს წაემშვიდობებით. მხოლოდ მოთმინება იქონიეთ, ვინაიდან ქვეყანას, საითაც ჩვენ უნდა გავწიოთ, ორი ათას ხუთასი წელი გვაშორებს. ეს ქვეყანა ეტრურიაა...

მე ფანტასტიკური რომანის ავტორი არ გახლავართ, ამიტომ არ შემიძლია. დროის მანქანით ვისარგებლო და ერთბაშად ჩამოგსვათ ეტრუსკული ქალაქის ქუჩაზე, გაჩვენოთ ამ ქალაქის საოცრებანი. ასე რომ, სასწაულებს ნუ ელით!

თუმცა, დაიცათ, ნუ ვიჩქარებთ, სასწაულებსაც ვნახავთ მე ერთი სარკე მაქვს, აი, ის, მხატვარმა ყდაზე რომ გამოსახა. აბა, კარგად დააკვირდით. ჩვეულებრივ სარკეს არა ჰგავს, ხომ? ნუ გიკვირთ. იგი ლითონისაა.

— კი მაგრამ, რა უნდა დაინახოს კაცმა ასეთ სარკეში?

რასაც თქვენ ხედავთ, ეგ სარკის ზურგია. ეტრუსკები მეორე, გაპრიალებულ ზედაპირში იცქირებოდნენ. ახლა ლითონი დაქანგულლია, მწვანე ფენითაა დაფარული. მაგრამ საოცარი ის არის, რომ სარკის ზურგი ძველ ოსტატებს ნახატებით შეუმკიათ. აბა, რას იფიქრებდნენ, რომ ამ გზით ჩვენ გავიგებდით, როგორი გარეგნო-

ბისა იყვნენ მათი თანამედროვენი, რა ეცვათ, როგორი ავეჯი და სამკაული ჰქონდათ. უყურებ ამ გამოსახულებებს და გეჩვენება, თითქოს ისინი ლითონის სიღრმეიდან იმზირებიან.

თუ ეტრუსკულ სარკეებს დავათვალიერებთ, ადვილად ჩაეწვდებით ეტრუსკების სულიერ სამყაროს, ვინაიდან სარკეებზე ასახულია მათი წარმოდგენა ღმერთებზე, გმირებზე, მშვენიერებაზე, სიკვდილსა და სიცოცხლეზე.

— მაშ, ეს სარკეები ჯადოსნური ყოფილა?!

სწორედაც, რომ ჯადოსნურია.

ამას ახლავე დაგიმტკიცებთ.

წარმოდგინეთ, როგორ გაცდებოდა ჩვენი შორეული წინაპარი, ის რომ პირველად დაინახავდა თავის თავს წყლის ზედაპირზე, ანდა გაპრიალებულ ქვაზე. შეშინებული ალბათ სახეზე ხელებს აიფარებდა. მაგრამ რაღაც ძალა მას აძებლებდა, ერთხელ კიდევ შეეხებდა თავისი ორეულისთვის. ამ დღიდან ადამიანისთვის ჩვეულ, კარგად ნაცნობ სამყაროში, სადაც ცხოვრობდნენ მისი თანატომელები და მოსისხლე ტომებიც, სადაც მოედინებოდნენ მდინარეები, ხარობდნენ ხეები, ხმაურობდა ზღვა, სადაც აღმართული იყო კლდეები, — გაჩნდა რაღაც ხილული, მაგრამ მინც ისეთი რამ, რასაც ხელს ვერ შეახებდა. რა იყო ეს? მირაჟი თუ სიზმარი? მაგალითად, მძინარე ადამიანი ტყეებსა და მდინარეებს ბევრად ადრე ხედავს. ვიდრე იქამდე მიადწევდეს. ძილში იგი არარსებულ მხეცეებზე ნადირობს, ესაუბრება ადამიანებს, რომელთა ძვლებიც კი აღარსადაა. მაგრამ საკმარისია, ხელი წაჰკრა მძინარეს, რომ უშუალოდ ყველაფერი გაქრება, თითქოს არც არაფერი ენახოს.

მაშასადამე, გამოდის, რომ არსებობს ისეთი რამ, რაც ძილის დროს ადამიანის სხეულს ტოვებს. აბა, მაშ საიდან ნახავდა იგი ისეთ რამეს, რასაც სხვები ვერ ხედავენ? მაგრამ ხელი წაჰკრეს თუ არა, ეს რაღაცა მაშინვე დაუბრუნდა მას. იქნებ იგი პირიდან გამოდის ჰაერთან ერთად, ვინაიდან მძინარე სუნთქავს. მკვდარი კი უკვე აღარ სუნთქავს, მან სული განუტევა.

საინტერესოა, როგორია სული? იგი ალბათ იმ ადამიანს წაიგავს, ვისაც ეკუთვნის, მაგრამ მისგან განსხვავებით ელვისებურ სწრაფია და შეუცნობელი. იგი შეიძლება წყლის ზედაპირზე გამოჩნდეს, გაიელვოს პრიალა ქვასა თუ ლითონზე. სარკეც სულის საბუდარია.

აქედან წარმოსდგება სარკისადმი შიში, რასაც ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანები განიცდიდნენ. მტერს (აბა, მეგობარი მძი-

ნარეს ხელს როგორ წაჰკრავს!) როგორც ის შეუძლია, ხელი წაქ-
რას მძინარეს და აიძულოს მისი სული, სხეულს დაუბრუნდეს, ასე-
ვე არ გაუჭირდება, დაამსხვრიოს სარკე და მასთან ერთად მოსპოს
იქ ჩაბუღებული სულიც. მაშინ სხეული უსულოდ დარჩება.

ეს შიში დღესაც ცოცხლობს ადამიანებში ცრურწმენის სახით:
სარკის გატეხვა სიკვდილს მოასწავებსო. გარდა ამისა, ყველას უნა-
ნავს: როცა ოჯახში მიცვალებულია, სარკეებს ფარდებს აფარებენ.
ესეც ძველთაძველი წარმოდგენიდან მომდინარეობს, თითქოს სარ-
კე სულის ადგილსამყოფელი იყოს. ასე რომ არ მოიქცნენ. მიცვა-
ლებულის გასვენების შემდეგ მისი სული თითქოს სარკეში დარ-
ჩება და ცოცხლებს სულ შიშის კანკალი ექნებათ. დაე, მიცვალე-
ბულის სულიც იქ იყოს. სადაც მის სხეულს დაასაფლავებენ! აზისა-
თვის კი რა არის საჭირო? ის სარკე, მიცვალებული რომ ხმარობდა,
საფლავში ჩაატანონ!

ძველი ეტრუსკები ასედაც იქცეოდნენ. ათასობით ამგვარი სარ-
კე იპოვეს გათხრების დროს სამარხებში.

სარკე, ლითონის ეს პატარა ნაჭერი, გზას გვიხსნის ეტრუსკების
იღუმალებით მოცული, მრავალფეროვანი სამყაროსკენ. სარკის
როლი ასევე შეუძლიათ შეასრულონ მუზეუმებში დაცულმა სხვა
ნივთებმაც.

„ეტრუსკული სარკე“ — ეს არის წიგნი, რომელიც ეტრურია-
ში გათხრების დროს აღმოჩენილ ნივთებს — უძველეს სამარხებს,
ტაძრებს, ქანდაკებებს, სურათებს, ქურქულს, სამკაულებს გვაც-
ნობს. მაგრამ განა სამართლიანი იქნება ნივთებზე ვილაპარაკოთ და
არ ვახსენოთ ის ადამიანები, რომელთა წყალობით ეს ნივთები აღა-
პარაკდნენ? ესენი არიან მეცნიერები, რომელთაც ამოიკითხეს
ეტრუსკული წარწერები. გაიგეს სარკეებზე, ქურქულზე და სამარ-
ხების კედლებზე არსებულ გამოსახულებათა აზრი.

ერთხელ ვორონევის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ასეთ
წიგნს წავაწყდი: „ა. გ. ბექმტრემი. გამოკვლევები ეტრუსკოლო-
გიის დარგში. ს.-პეტერბურგი, 1908“. ცხადია, ზოგადად უკვე ვი-
ციოდი, რაზედაც იქნებოდა ამ წიგნში საუბარი. მაგრამ ავტორის
გვარი იყო ჩემთვის უცნობი. ჯერ ვიფიქრე, შვედურიდან ხომ არ
არის-მეთქი გადმოთარგმნილი — შვედები დიდი ხანია, წარმატებით
მუშაობენ ეტრუსკოლოგიაში. გადავშალე ყდა და სატიტულო
გვერდზე წავიკითხე: „ეძღვნება მომავალ რუს ეტრუსკოლოგებს“. მივხვდი,
ხელთ მქონდა ნაშრომი რუსული მეცნიერების 'პატრიო-
ტისა, ადამიანისა, რომელსაც სწამდა ამ მეცნიერების მომავალი. მა-

ლე ისიც გავიგე, რომ ალბერტ გუსტავის ძე ბეკშტრემი ბევრი ნა-
შრომის ავტორი იყო ძველი ენებისა და დამწერლობის დარგში. ეს
იყო პირველი რუსი მეცნიერი, რომელმაც სერიოზულად მოჰკიდა
ხელი ეტრუსკების ენის შესწავლას. უფრო ძალიან მომინდა, მეტი
გამეგო ამ ადამიანზე, მაგრამ არც ერთ ცნობარში მასზე არაფერი
ეწერა.

სრულიად მოულოდნელად ხელში ჩამივარდა ვორონეჟის უნი-
ვერსიტეტის 1925 წლამდე გარდაცვლილ პროფესორ-მასწავლე-
ბელთა სია. სიაში 1919 წელს გარდაცვლილთა შორის იყო ა. გ. ბე-
კშტრემის გვარიც. ეტრუსკოლოგი ვორონეჟში სხვა პროფესორებ-
თან ერთად ჩამოსულა ქალაქ იურევიდან (ახლანდელი ტარტუ),
როცა იქ გერმანელმა ოკუპანტებმა რუსული უნივერსიტეტი დახუ-
რეს. იურეველი პროფესორების ვორონეჟში გადმოყვანის ოქმს
თვით ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა მოაწერა ხელი.

შეუმჩნევლად ჩამითრია ეტრუსკოლოგიამ. 1966 წელს, ოცდა-
ათწლიანი შესვენების შემდეგ, ვორონეჟის სახვითი ხელოვნების
მუზეუმში გახსნილ ექსპოზიციაზე წავაწყდი რამდენიმე ეტრუს-
კულ ლარნაკს, რომელთაგან ერთს წარწერაც ჰქონდა. უეპკელია,
ბეკშტრემს ეცოდინებოდა, რომ ეს წარწერა ეტრუსკული იყო,
მაგრამ ვერ მოასწრო მისი შესწავლა და გამოქვეყნება.

სხვა გზა არ იყო და კონსულტაციისათვის ჩვენს ქვეყანაში
ეტრუსკული ენის ერთადერთ მცოდნეს ალექსი ივანეს ძე ხარსე-
კინს მივმართე. გავიგე, რომ ის არც მოსკოვში ცხოვრობდა და არც
ლენინგრადში, არამედ ტერნოპოლის ოლქის რაიონულ ცენტრ-
ში — კრემენცში. მაგრამ ეს სულაც არ უშლიდა ხელს, წარმატე-
ბით შეესწავლა ეტრუსკული ენა და გამოექვეყნებინა ნაშრომები
არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, იტალიასა და სხვა ქვეყნებშიც.

ჩემს ახალ ნაცნობს ეტრუსკული ენის შესწავლა საკუთარი
ინიციატივით დაუწყია, თითქმის არავის დახმარების იმედი არ ჰქო-
ნია. და მე ვიგრძენი, რომ ამ ადამიანს რაღაც ანათესავებდა ეტრუს-
კოლოგიის ძველ ენთუზიასტებთან.

ამა თუ იმ მეცნიერებისადმი ინტერესი შეიძლება სრულიად
შემთხვევითმა ამბავმა გაგვიღვიძოს. ღარიბი მღვდლის შვილი ჰენ-
რიხ შლიმანი ცხრა წლისა იყო, როცა ცეცხლმოდებული ტროას
სურათი ნახა. გავიდა მრავალი წელი და მან გათქარა ტროა, რომ-
ლის არსებობა მანამდე არავის სჯეროდა, და ამრიგად აღმოაჩინე
ეგეოსის ცივილიზაცია. დღეს თუ ხვალ მეცნიერება მაინც აღმოა-
ჩენდა მას, მაგრამ ყმაწვილ შლიმანს რომ ის სურათი არ ენახა, ეს
აღმოჩენა ბევრად გვიან მოხდებოდა.

ამ მაგალითმა, რომელიც არასოდეს არ მშორდება გონებიდან, ა. ი. ხარსეინთან საუბარმა, ა. გ. ბეკუტრემის ნაშრომმა ზემონახსენები მიძღვნით, ყველაფერმა ამან განმიმტკიცა სურვილი, რაც შეიძლება მეტი გამეგო იმ ადამიანებზე, რომელთაც მთელი სიცოცხლე ეტრუსკების ისტორიისა და ენის შესწავლას მიუძღვნეს.

გადავქექე ძველი ფოლიანტები, საარქივო საქმეები, ძველი ქურნალ-გაზეთები და შეკრებილი ფაქტებისა და დეტალების მიხედვით თანდათან აღვადგინე ამ მეცნიერთა სახე. ხასიათი და მიდრეკილებანი. მათ შესახებ კი ჩვენამდე არც ისე ბევრ ცნობას მოედრია. რაც უფრო ვეცნობოდი ძველ რომში, ინგლისში. იტალიასა თუ რუსეთში სხვადასხვა დროს მცხოვრებ ჩემს გმირებს, რომელნიც ხშირად ერთმანეთს ვერც კი იცნობდნენ. შით უფრო ცხადად მესახებოდა სერათი იმ ტრატანური შეშარტებისა. რაც მათ ეტრუსკული გამოცანის ამოსახსნელად გასწიეს.

ეს გამოცანა საუკუნეთა მანძილზე ჰაერში იყო გამოკრებული, როგორც მიუდგომელი ციხესიმაგრე. და ათასობით მამაცი ადამიანი უშიშრად უტევდა მას. წარმოსადგენადაც კი ძნელია, რამდენი შეცდომა იქნა დაშვებული. რამდენი რამ დაჰკარგეს. მაგრამ არც ამ მცდარ გზებსა და მცდარ ამოხსნებს ჩაუვლია უქმად, ვინაიდან ყველა ისინი გაიზარა მეცნიერებამ. წარუმატებელი ცდა ხომ მაინც ცდა არის. მეცნიერები ახლა უკვე სხვა გზებს ირჩევენ, ვიდრე რომელიმე მათგანი სუსტ ადგილს არ აღმოაჩენდა მოწინააღმდეგის თავდაცვაში, ანდა გულმოდგინედ დაფარულ საიღუმლოს არ გამოსტაცებდა ხელიდან. დღესაც კი ეტრუსკული ციხესიმაგრე მტკიცედ უმკლავდება მეცნიერთა ერთობლივ შეტევას და ჯერაც არ გამოუყიდია თეთრი ალაჭი. მაგრამ ჩანს, რომ ეტრუსკული გამოცანის საბოლოო ამოხსნისი აამი შორს აღარაა.



ԳՈՑՈՆԵՐՈՅՈՒ ԸՆ ՅՈՎՑՈՅՈՒ



პირველი შესვენრა

თვალეებზე ხელმოჩრდილული მესაქე დიდხანს გასცქეროდა ხელისგულივით სწორ ქვიშიან ნაპირს, რომელიც შორეთში თანდათან უერთდებოდა ბორცვებს. ბოლოს, როგორც იქნა, ხელი ჩამოუშვა და არ მობრუნებულა, ისე დაიძახა რაღაც რიხიანი ხმით. ორმა მეზღვაურმა კიჩოს ნიჩბები მაშირვე მარჯვნივ მიმართა. ხომალდმა ზღვის ტალღები ააშხეფა და ნაპირისაკენ გაემართა. მალე მან მეჩიქში შერგო ცხვირი. ყველა, ვინც კი გემბანზე იყო, უკლებლივ წყალში გადახტა.

— ეია! — გაისმა მესაქის გაბმული ხმა.

— ეია! — შესძახეს მეზღვაურებმაც და ერთი ძლიერი მიწოლით ხომალდი ლამიდან ამოავდეს.

ხომალდის ხერხემალმა კრიალი მოიღო სველ ქვიშაზე. მეზღვაურებს შავკვრემან სახეზე უკვე ოფლის წვეთები ასხდათ, მაგრამ ხომალდს თავს მაინც არ ანებებდნენ, სანამ მთლიანად არ გამოათრიეს ქვიშიან ნაპირზე. ხომალდმა გაფისული, სლიპინა ნიქარებით დაფარული ფერდი მალლა ააშვირა და ყვითელი საღებავით ცხვირზე დახატული თვალი ეოსისგან¹ შევარდისფერებულ ღრუბლებს ნიაპყრო.

ნაპირზე გამოფენილი ტილოს გრძელტანსაცმლიანი და წოწოლა ბეწვისქუდიანი ადამიანები უიშითა და გაოცებით აღევნებდნენ თვალს უცხოელებს. გაშლილ ზღვაში მათ უკვე ენახათ ხომალდები, ქარისაგან დაბერილი მათი იალქნები ქაობის შროშნებს აგონებდათ. ისინი ერთხანს მართლაც შროშნებივით ირხეოდნენ, თითქოს ხმელეთს სალამს უგზავნიანო. მერე კი ნისლში იკარგებოდნენ. ნაპირს კი ჯერ არც ერთი ხომალდი არ მოსდგომოდა. ნეტა რა უნდათ ამ უცხოელებს? იქნებ წყლის ბოროტი სულები დაედევნენ და ახლა ჩვენი გამოქომაგებისა და მასპინძლობის იმედი აქვთო, ფიქრობდნენ.

უცხოელები კი დროს უქმად არ კარგავდნენ. ხომალდიდან

¹ ე ო ს ი — გათიადის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში.

ნაირ-ნაირი, საოცარი ნივთები გადმოჰქონდათ და თვალსაჩინო ადგილას ალაგებდნენ ნაპირზე. რას არ ნახავდა კაცი აქ! ლამაზად გამოძერწილ, მოხატულ ლარნაკებს, იმისთანა მრულდგვერდებიანს კი არა. ადგილობრივი მექოთნეები რომ აკეთებდნენ: ბრჭყვილა ლითონის ფარებს, კაცი შიგ სახეს რომ დაინახავდა; წვეტიან ბრინჯაოს დანებსა და შუბისპირებს; გაზაფხულის მდელოსავით ჭრელ ქსოვილებს!

განა შეიძლება ამხელა ცდუნებას გაუძლოს ადამიანმა. და ნივთების ხელის შეხება არ მოუხდეს? ჰოდა, გაბედეს კიდეც სახლებრიდან გამოსვლა და მალე ხომალდს გარს შემოეხვივნენ. გაჩაღდა ვაჭრობა. მაგრამ რა შეუძლიათ მათ შესთავაზონ უცხო ზღვაოსნებს ამხელა სიმდიდრის სანაცვლოდ? ტყავი, ბეწვი, შალი, თაფლის სანთელი თუ კუპრი? უცხოელებმა გაპირვებით გააგებინეს, რომ მათ სულ სხვა რამ უნდოდათ. პირველად ამას ბელადი მიხვდა. წავიდა და მალე ხელებგაკრული ყმაწვილი მოიყვანა. ეს იყო ტყვე, რომელიც მეზობელ ტომთან შეტაკებისას ეგდოთ ხელთ.

უცხოელებმა სიხარულით დააქნიეს თავი და მესაჭემაც მაშინვე გაუწოდა ბელადს ფარი, რამდენიმე შუბისპირი და ოთხი ცალი ლარნაკი, მოვაჭრენი მორიგდნენ და ყმაწვილი ტყვე განზე გაიყვანეს. მართალია, ზღვაოსნებმა ტყავი, ბეწვი და თაფლის სანთელიც იყიდეს, მაგრამ უფრო იაფად, ვიდრე ცოცხალი საქონელი.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ორასი წლის შემდეგაც. ე. ი. ძვ. წ. VII საუკუნეში, მოადგა ხომალდი იტალიის ამავე სანაპიროს. ამჯერად ზღვაოსნებს სულ სხვაგვარი სურათი გადაეშლებათ თვალიწინ.

უბადრუკი სოფლების მაგიერ, დაქაობებულ ნაპირზე რომ იყო მიმოფანტული, ბორცვებზე სქელი კედლებით შემოზღუდული მდიდარი ქალაქები წამოჭიმულა და მათ რკინის აბჯარ-მუზარადში ჩაჭედილი მეომრები იცავენ. ნავსადგურებში ტალღებზე ირწევნიან საქონლით დატვირთული ფინიკიური ხომალდები: ქუჩები სავსეა გრძელტანსაცმლიანი უცხოელებით. ისინი გაოცებით აფვალეირებენ ადგილობრივ ხელოსანთა ნაწარმს, უკვე თამამად რომ გაუწევს მეტოქეობას ბერძენთა ნახელავს. ქალაქის გარშემო გადაჭიმულ ველ-მინდვრებზე, არხებში მიმდინარე სარბი წყლის ნაკადები რწყავს ბაღებსა თუ ნათესებს. მიწას კი ბორკილდადებულ მონები და სპარტელ ჰილოტთა მსგავსი დამოკიდებული ადამიანები ამუშავებენ, ხოლო მთელი სიმდიდრე, რასაც მიწათმოქმედნი და ხელოსნები ქმნიან, მეფეთა სასახლეების და მდიდართა სახლებისაკენ მიედინება.

ახლა მათი სასაფლაოებიც კი სხვანაირია. ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი მიცვალებულთა ურნები კლდეში ნაკვეთმა სამარხებმა შეცვალა. მდიდარ მიცვალებულებს ხომ ნამდვილ მიწისქვეშა სასახლეებს უგებდნენ. იმ ქვეყნად წასულებს თან ოქროსა და ვერცხლის ისეთსავე ფუფუნების საგნებს ატანდნენ, როგორც მათ სიცოცხლეში ჰქონდათ.

ნეტავ რა ხალხი იყო ეს ეტრუსკები, რომ მათმა გამოჩენამ ასე გარდაქმნა დამხვედურ იტალიელთა ცხოვრება. გააფართოვა მათი სამფლობელო ალპებიდან (ჩრდილოეთით) ნეაპოლის ყურემდე (სამხრეთით), ტირენიის ზღვიდან (დასავლეთით) ადრიატიკის ზღვამდე (აღმოსავლეთით), დასახლდნენ კუნძულებზე ელბაზე, სარდინიასა და კორსიკაზე, ხოლო მათი ხომალდები ოკეანეშიც კი შეტურდნენ? ბერძნები მათ, ლეგენდარული გმირის ტირენოსის სახელის მიხედვით, ტირენიელებს უწოდებდნენ, რომაელები — ტუსკებს ანდა ეტრუსკებს, თვითონ კი თავიანთ თავს ისინი „რასენას“ ეძახდნენ. სწორედ ეს ტირენიელები, ტუსკები, თუ რასენა იყვნენ, ადგილობრივი, ნახევრადველური უმბრიელების 300 ციხესიმაგრე რომ მიანგრის. მერე კი ბორცვებზე ისეთი ქვის გალავნიანი მტკიცე ჭალაქები გააშენეს. რომ მათ ვერაფერი დააკლო არაბთუ ტარანებმა და კატაპულტებმა. დროის მსახვრალმა ხელმაც კი.

სწორედ მათ — ეტრუსკებს ეკუთვნით დამწერლობის უძველესი ძეგლები აპენინის ნახევარკუნძულზე. მათ ასწავლეს წერა-კითხვა რომაელებს, რომლებმაც მერე თვითონ გაანათლეს ბევრი სხვა ხალხი. ისინი იყვნენ პირველი მოქანდაკეები. მსახიობები, მხატვრები, მუსიკოსები იტალიაში. რომაელებმა ეტრუსკებისაგან გადმოიღეს სახელმწიფო ხელისუფლების ნიშნები, ტანსაცმელი. უძველესი სამხედრო ორგანიზაცია, ბინების მოწყობის წესი, ცირკი და გლადიატორთა ბრძოლები. მრავალი ღმერთი, რომელთაც თავყვანს სცემდნენ რომაელები, ადრე ეტრუსკებისა იყო.

საიდან ან როდის მოვიდა ეს გასაოცარი ხალხი აპენინის ნახევარკუნძულზე?

ეს კითხვები, ვინ მოთვლის, უკვე რამდენი ხანია, აღელვებს მეცნიერებს. მათზე პასუხის გაცემას ლამობდნენ, როგორც ეტრუსკთა აყვავების თანადროულნი და მომსწრენი. ისე ახალი დროის ისტორიკოსები. ხელოვნებისმცოდნეები და ენათმეცნიერები.





დიონისე პეროდოტეს წინააღმდეგ

სულ პირველ ცნობას ეტრუსკების წარმოშობის თაობაზე მეცნიერებმა მიაკვლიეს ძვ. წ. V საუკუნის ისტორიკოსი პეროდოტესთან, რომელიც მცირე აზიის ბერძნული ქალაქის პალიკარნასის მკვიდრი იყო. ძველად პეროდოტეს „ისტორიის მამას“ უწოდებდნენ. თუ მეტად არა, ასევე ღირსია იგი ეთნოგრაფიის — ხალხთა წეს-ჩვეულებების შემსწავლელი მეცნიერების — მამაც ვუწოდოთ. პეროდოტეს წყალობით გავეცანით ჩვენ აზიის, აფრიკისა და ევროპის ბევრ ხალხს. ბერძენ-სპარსელთა ომების ამსახველ თავის ნაშრომში იგი გვაცნობს მცირე აზიაში მცხოვრებ ერთ-ერთ ხალხს — ლიდიელებს, რომელთა ნაწილი თურმე იტალიაში გადასახლებულა.

„ლიდიელები გადმოგვცემენ, რომ ატიისის, მანას ვაჟის დროს, მთელ ლიდიაში ღიღი შიმშილობა ყოფილა. ერთხანს ხალხი მშვიდად ელოდა. აი, ახლა მოეღება შიმშილს ბოლო, აი, ახლაო. მაგრამ რაჟი შიმშილობას დასასრული არ უჩანდა, გადაწყვიტეს, როგორმე ეშველათ თავისთვის. სწორედ მაშინ მოიგონეს სხვადასხვა თამაშობები: რიკ-ტაფელა, კამათელი, ბურთაობა და სხვა. გარდა შაშისა, რის გამოგონებაზე ლიდიელები თავს არ სდებდნენ. ამ თამაშობებით ცდილობდნენ ისინი შიმშილის განდევნას. ერთ დღეს თამაშობდნენ, რათა შიმშილი არ ეგრძნოთ, მეორე დღეს კი რაღაცას შეჰამდნენ და არ ერთობოდნენ. ამანაც რომ არ უშველა გაჭირვებას და პირიქით, შიმშილობამ უფრო იმატა, მეფე ადგა და ხალხი ორ ნაწილად გაყო, მერე კი წინადადება მისცა მათ, თვითონვე გადაეწყვიტათ, — რომელი დატოვებდა სამშობლოს და რომელი დარჩებოდა. იმათ, რომელთა გასახლებაც გადაწყდა, მეფემ სათავეში თავისი ვაჟი ტირენოსი ჩაუყენა. გასახლებულებმა სმირნასთან ხომალდები ააგეს, რაც სჭირდებოდათ, ყველაფერი გემებზე აზიდეს. აუშვეს აფრები და ახალი სამშობლოს საძებნელად გასწიეს. ბევრი ქვეყანა გაიარეს მათ და ბოლოს მივიდნენ იქ. სადაც ომბრიკები სახლობდნენ, გააშენეს ქალაქები და დღემდე იქ ცხოვრობენ. თავიანთი სახელწოდება — „ლიდიელები“ — დაივიწყეს

და მათი წინამძღოლი მეფისწელის სახელის მიხედვით ტარენიელე-
ბად იწოდებიან“.

ბერძენ და რომელ ავტორთა უმრავლესობამ, რომელთაც კი
ოდესმე რამე დაუწერიათ ეტრუსკ-ტირენიელეებზე ჰეროდოტეს
შემდეგ, ერთხმად მიიღო მისი შეხედულება ამ ხალხის ლიდიურ
წარმოშობაზე. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თვით ეტრუსკე-
ბიც მცირე აზიიდან წამოსულებად თვლიდნენ თავიანთ თავს.

მაგრამ ძვ. წ. I საუკუნის მიწურულის ბერძენმა მწერალმა
დიონისემ, რომელიც ჰეროდოტესავით პალეოარნასელი იყო, თავი-
სი ღიდი თანამემამულის საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა: ეტრუსკ-
ეები ანუ ტირენიელები „ერთ-ერთი იმ უძველეს ხალხთაგანია. რო-
მელიც არც ენით და არც ზნე-ჩვეულებით არც ერთ სხვა ხალხს
არ წააგავს“, ისინი არსაიდან არ გადმოსახლებულან, აქვე, იტალია-
ში ცხოვრობდნენ ოდითგანვეო. საბუთად დიონისე იმოწმებდა იმ
ფაქტს, რომ ლიდიელთა იტალიაში გადმოსახლების თაობაზე არა-
ფერს ამბობდა ლიდიელი მწერალი ქსანთუსი. რომელმაც დაწერა
თავისი ხალხის ისტორია.

მაგრამ დიონისემ მაინც ვერ შეძლო, საფუძველი შეერყია ჰე-
როდოტეს შეხედულებისთვის ეტრუსკების ლიდიურ წარმოშობაზე.
დიონისეს ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგაც თითქმის ყველა პო-
ეტი და ისტორიკოსი ეტრუსკებს ლიდიელებს უწოდებდა. უფრო მე-
ტიც. ის ფაქტი, რომ ეტრუსკები ლიდიელთა მონათესავენი არიან,
ოფიციალურადაც იქნა აღიარებული. ხოლო, როცა ჩვ. წ. I საუ-
კუნეში ლიდის უძველესი ქალაქი სარდი მიწისძვრამ დაანგრია,
ეტრუსკების შთამომავლებმა რომის სენატში იშუამდგომლეს ზა-
ვიანთ „სისხლით ნათესაეებზე“. სთხოვეს, დახმარებოდნენ დაზა-
რალებულ ქალაქს.

თითქმის ორი ათასწლეულის წინ ეტრუსკების წარმოშობის
თაობაზე დაწყებული ეს დავა ახალ დროშიც გაგრძელდა. დიონი-
სეს არცთუ ცოტა მომხრე გამოუჩნდა. უმთავრესად, იტალიელი
მეცნიერები. ცხადია, მათ არ სურდათ, აღმოსავლეთისთვის დაეუ-
მთ ისეთი მაღალი კულტურა, როგორიც ეტრუსკულია. მათთვის
უფრო ხელსაყრელი იყო დიონისეს შეხედულება. — ეტრუსკები
არსაიდან არ მოსულან, ისინი ადგილობრივი წარმოშობისანი არი-
ანო.

XIX საუკუნეში ამ ორს მესამე თეორიაც დაემატა: ეტრუსკები
ცენტრალური ევროპიდან არიან მოსულიო. ამ შეხედულებას, უმ-
თავრესად, გერმანელი მეცნიერები იცავდნენ.

მაგრამ XX საუკუნის შუა წლებში ეტრუსკთა ჩრდილოური წარმომობის თეორიას თითქმის აღარც ერთი მომხრე აღარა ჰყავდა. რაც შეეხება ჰეროდოტეს თუ დიონისეს მომხრეთა შორის კამათს, იგი კიდევ დიდხანს არ შეწყვეტილა. თუმცა, უნდა ითქვას, ამ ბოლო დროს მეცნიერთა უმრავლესობა, ზოგიერთი შესწორებით, უპირატესობას მაინც ჰეროდოტეს აძლევს.



ეტრუსკები და ენეასი

იმ დღეს, როცა ტროელი ენეასის ხომალდები ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ იტალიის ნაპირებს მიუყვებოდნენ, ზღვის ღმერთმა, ნეპტუნმა ტალღები დააწყნარა და ხომალდებიც მალე მღვრიე მდინარის შესართავში შევიდნენ. ეს იყო მდინარე ალბულა, ანუ როგორც მოგვიანებით უწოდეს, მდინარე ტიბრი.

ენეასმა თვალი მოავლო ყვითელი ფერის ქვიშიან ნაპირს, ზედ ნაპირთან აქოჩრილ ტყეს, მალა, ცაში მონავარდე ჩიტებს. იქნებ სწორედ ეს ქვეყანა განუკუთვნეს საცხოვრებლად ღმერთებმა გაღამწვარი ტროადან ლტოლვილთ. მაგრამ როგორ ჩაწვდნენ. რა სურთ ღმერთებს?

ენეასმა თავის ვაჟი იულუსი (ასკანიუსი) და რამდენიმე კაცი გაიყოლა და ნაპირზე გადავიდა. იქ ერთი ტოტებგაშლილი მუხის ქვეშ დაბინავდნენ. მალე ატკაცუნდა ხმელი ხის ტოტები — პურობისთვის ეშზადებოდნენ. მაგრამ სიჩქარისაგან ტროელებს ქვაბპურქელი ხომალდზე დაეიწყებოდათ. რალას იზამდნენ. უკან ვერ გამობრუნდებოდნენ მის მოსატანად! ადგნენ, მრგვალი ხმიადები გამოაკაბეს და მაგიდადაც ის გამოიყენეს და თეფშებადაც, ზედ გააწყვეს ღარიბული საკმელი, ილოცეს და პურობას შეუღვნენ. საკმელი მალე შემოაკლდათ და ახლა პურის თეფშებსა და მაჯიდას მისდგნენ. იულიუსმა იხუმრა: „ჩვენსავე მაგიდებს ვკამთო“. ხუმრობისთვის დიდი ყურადღება არავის მიუქცევია, მხოლოდ ენეასი წამოდგა. ხელები გაიშვირა და შეღალადა:

— მოგესალმები, უცნობო მხარევე! შენ განუკუთვნებია ჩვენთვის ღმერთებს, ვინაიდან აღსრულდა ძველთაძველი წინასწარმეტყველება: „შიმშილი მიგიყვანთ უცნობ მიწაზე და თქვენსავე მაგიდებს შესჭამთ“. ბოლო მოელო ჩვენს ხეტიალს. აქ დავბინავდებით.

ვიდრე ტროელები ტყეს ჩეხავდნენ, ენეასმა ელჩები გაუგზავნა ამ ქვეყნის მმართველს, ლაურენტების მეფე ლათინუსს. აინტერესებდა, როგორ მიიღებდა მეფე უცხოელებს. აბა, ენეასს საიდან ეცოდინებოდა, რომ სწორედ მაშინ, როცა მისი ხომალდები ტიბრის შესართავში შედიოდნენ, ღმერთებმა ლათინუსს ნიშნით აცნობეს თავიანთი სურვილი. მეფის სასახლის წინ აპოლონის პატივსაცემად ერთი ბებერი დაფნის ხე იდგა. უეცრად მის წვეროს ფუტკრების დიდი გუნდი დაეხვია. ვილაცამ მაშინვე მკითხავთან აფრინა კაცი, რათა ამ ნიშნის მნიშვნელობა გაეგო. მკითხავმა თქვა: „ვხედავ ერთ კაცსა და ჯარს, რომელიც უცხო მხარიდან მოემართება, ქვეყნიერების ერთი კუთხიდან—მეოროეში. იგი აქ იმეუფებს“: ამიტომაც იყო. როცა ზეთისხილის ხის რტოებით ხელდამშვენებული ენეასის ელჩები ლათინუსის სასახლეს მიუახლოვდნენ, მეფემათ ხელგამლით შეეგება. ღმერთებმა ხომ ასე ბრძანეს.

ლათინუსმა კავშირი დადო ენეასთან და ტროადან მოსულთ თავისი ქვეყნის ნაწილი დაუთმო. ენეასმა ცოლად შეირთო მეფის ასული ლავინია და მისი სახელობის ქალაქიც კი დააარსა. ამ ამბავს დაემთხვა ახალი სასწაული. მახლობელ ტყეს თავისით წაეკიდა ცეცხლი. იმავე წუთს ტყის ბინადარნი ერთმანეთს დაერივნენ. ბრძოლაში არწივმა და მგელმა გაიმარჯვეს.

მერე იყო და, რუტულეების მეფემ ტურნმა ომი აუტეხა ლათინუსსა და მის მოკავშირე ტროელებს: იგი თურმე ლავინიას უცხოელზე გათხოვებას გაეცოფებინა.

ენეასს გაგონილი ჰქონდა, რომ ტიბრის საქვევეში ბორცვებზე გაშენებულ ციხესიმაგრეში, ცხოვრობდა ერთი არკადიელი მოხუცი ევანდრუსი. ენეასმა გაამზადა ორი ხომალდი და მდინარეს აუყვა ამ ციხესიმაგრისაკენ.

მეორე დილით მალალ ბორცვზე გამოჩნდა ციხესიმაგრის კედლები. ეს პალანთეუმში იყო, ევანდრუსის საბრძანებელი.

სწორედ იმ დილით ევანდრუსი და მისი ვაჟი პალასი მეგობრებთან ერთად მდინარისპირა მდელოზე მსხვერპლს სწირავდნენ ჰერკულესს. უცხოელების დანახვაზე ევანდრუსის თანმზღლებნი შეშინდნენ და მსხვერპლთშეწირვის შეწყვეტა მოინდომეს. მაგრამ მამაცმა პალასმა მათ ანიშნა. გაეგრძელებინათ დაწყებული საქმე და მხარზე შუბგადებულმა ნაპირს მიაშურა.

— რისთვის გარჯილხართ, უცხოელნო? — დაუძახა პალასმა შორიდან. — საით გაქვთ გზა? საომრად ხართ მოსული თუ სამშენი-
ლობოდ?

ენეასმა ხომალდის ყველაზე მწალი გემბანიდან მას ზეთისხი-
ლის რტო დაანახვა.

— ჩვენ ტროადან ვართ, — უპასუხა. — ტურნს კი უნდა, რომ
გაგვაძღოს: ახლა მეფე ევანდრუსს მოვაშურეთ, გვინდა კავშირი და
დახმარება ვთხოვთ.

პალასმა რომ გაიგო, მოსულნი ტროელები არიანო, ისინი თავისი
მამის სასახლეში მიიწვია.

ევანდრუსმა სტუმარი საპატიო ადგილას. კერასთან დასვა და
მოუსმინა. შემდეგ უთხრა:

— მოხარული ვიქნები, თუ რაიმეში დაგეხმარები. მაგრამ მე
დიდი ძალები არა მყავს. მხოლოდ ერთი რჩევა შემიძლია მოგცე,
სახელოვანი ტევკროსის შთამომავლო! იცით თუ არა, რომ რუტუ-
ლების ქვეყანაში თავს აფარებს მეზენციუსი. ცერელ ტირენიელთა
მეფე? იქნებ. გსმენია კიდევ რაიმე მის სისასტიკეზე? მეზენციუს-
მა ძალით დაიმონა თავისი ხალხი. ცოცხლებს მკვდრებზე აბამდა და
საშინელი ნელი სიკვდილით წუთისოფელს ასალმებდა. ცერეს მო-
ქალაქეებს აღარ შეეძლოთ მისი ძალადობის ატანა, ალყა შემოარ-
ტყეს მეზენციუსის სახლს და მთელი ამაღა ამოუწყვიტეს. მეზენ-
ციუსი მეფე ტურნთან გაიქცა და ახლა მთელი ეტრურია აღმდგა-
რია — ეტრუსკები დაუყოვნებლივ მოითხოვენ მეფის დასჯას. ესეც
წენი ჯარი, ენეას! ჩაუდექ სათავეში და გაუძეხი!

ახლალა ჩასწვდა ენეასი იმ წინასწარმეტყველების აზრს. ქალაქ
ლავინიის დაარსების დროს რომ მოუვლინეს ღმერთებმა, — ოო-
გორ აჯობეს მგელმა და არწივებმა მელას.

მგელი ლათინების წმინდა ცხოველი იყო, არწივი — ეტრუსკე-
ბის ღმერთის, ტინის წმინდა ფრინველი. სწორედ მგლისა და არწი-
ვის გაერთიანებით გაიმარჯვებს მელიაზე — ტურნზე. რუტულთა
მეფეზე.

ასე დაუკავშირდნენ ეტრუსკები ტროელებს მეზენციუსისა და
მისი მფარველის, ტურნის წინააღმდეგ ბრძოლაში. მალე მეზენციუსი
თვით ენეასის მსხვერპლი გახდა. ენეასმა დაამარცხა მთავარი
მტერიც. ტურნი, და თავისი მოდგმის ბედი სამუდამოდ დაუკავშირა
ლათინებსა და მათ მიწა-წყალს ლაციუმს.

ენეასზე შექმნილი ამ გადმოცემისადმი დამოკიდებულება საუ-
კუნეთა მანძილზე მრავალჯერ შეიცვალა. XV—XVI საუკუნეებში

ისე გაიზარდა თაყვანისცემა ანტიკური კულტურისადმი, რომ ყველაფერს. რაც კი ძველ მწერლებს შეექმნათ, სანდოდ მიიჩნეოდნენ. ენეასი. მისი თანამგზავრები და მოწინააღმდეგენი ისეთივე ისტორიულ პირობად გამოაცხადეს, როგორიც ციცერონი ან ავგუსტუსი, ნერონი ანდა კონსტანტინე იყვნენ. მაგრამ უკვე XVII საუკუნის მიწურულიდან და XVIII საუკუნეში ამ ლეგენდის უტყუარობას სსვაგვარი თვალთ შეხედეს. იგი მთლიანად უარყვეს და განაცხადეს. სინამდვილესთან მას არავითარი საერთო არა აქვსო. მაგრამ უკვე მაშინ ერთმა ცნობილმა იტალიელმა მეცნიერმა, ვიკომ გამოთქვა მოსაზრება. რომ. მართალია. ენეასი გამოგონილი პიროვნებაა და იგი არასოდეს არსებულა, მაგრამ თვით ლეგენდაში მაინც მოიპოვება ისტორიული სიწამდილის მარცვალიო. ჩვენი საუკუნის დასაწყისში რომაული თქმულებებისადმი ამგვარი პოზიცია ეკავა დიდ გერმანელ მეცნიერს ბარტოლდ ნიბურს. მიუხედავად ამისა, გასული საუკუნის მეცნიერები მაინც ძალზე კრიტიკულად უტყვეროდნენ რომაულ გადმოცემებს. მიიჩნდათ. რომ ჰომეროსის პოემებისაგან განსხვავებით, ეს ლეგენდები ხალხის ფანტაზიის ნაყოფი იყო. რითაც ისინი ცდილობდნენ, აეხსნათ ამა თუ იმ ადგილის, მდინარის, ქალაქის სახელწოდებანი.

მეცნიერებმა, როგორც მათ ეგონათ, ახსნა მოუნახეს იმ უცნაურ ფაქტსაც, რომ ტროელებზე ლეგენდა მთელ იტალიაში იყო გავრცელებული და რომაელები თავიანთ თავს ტროელთა შთამომავლებად თვლიდნენ. მეცნიერებმა ყველაფერი ეს ასე „ახსნეს“: რომაელთა დაპყრობების დროს, ძვ. წ. III—II საუკუნეებში, იტალიას მოაწყდა უამრავი ბერძენი. მათ გააცნეს რომაელებს თავიანთი ხელოვნება, მხატვრული ლიტერატურა, მითები, ხოლო, ვინაიდან რომაელებს თავიანთი ისტორია ჯერ არ ჰქონდათ და არც „ილიადასა“ და „ოდისეას“ ბადალი პოემები გააჩნდათ, მათ ბერძნული ეპოსის გმირები იტალიაში გადმოასახლეს და ისე შეისისხლხორცეს ისინი, რომ მალე თავიანთ თავს მათ შთამომავლებად თვლიდნენ.

უკანასკნელი წლების არქეოლოგიურმა გათხრებმა მიწასთან გაასწორა ყველა ეს ახსნა-განმარტება. აღმოჩნდა, რომ ბევრად ადრე, ვიდრე რომაელები საბერძენეთს დაიპყრობდნენ, ენეასი ცნობილი ყოფილა იტალიის მოსახლეობისათვის. ადრე რომ სიცილად არ ჰყოფნიდათ ენეასსა და ეტრუსკებს შორის კავშირი, ახლა ეს

მოულოდნელად დადასტურდა. ენეასი ეტრუსკული ხელოვნების უსაყვარლესი გმირია. მისი გამოსახლება ჯერ კიდევ ძვ. წ. V საუკუნის ლარნაკებზე გვხვდება, მაშასადამე, რომაელების მიერ საბერძნეთის დაპყრობამდე დიდი ხნით ადრე. მაგრამ მეცნიერები მაინც არ აპირებენ იმის აღიარებას, რომ ენეასი ისტორიული პიროვნება იყო, ისევე, როგორც მეზენციუსის მმართველობა არ მიაჩნიათ ფაქტად. მაგრამ ენეასის ამ ლეგენდაში, რომელშიც ეტრუსკებთან კავშირზეა ლაპარაკი, ისტორიული მარცვალი მაინც არის. ცნობილია, რომ მცირე აზიის ქალაქ ტროას ჰყავდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მობინადრე მთავარი მტერი — ბერძნები. ამიტომ ეტრუსკები, რომელთა სამშობლო აგრეთვე მცირე აზია იყო. ენეასს თავის თანამემამულედ, მოკავშირედ თვლიდნენ. თუ ბერძნებისთვის ტროას აღება და გადაწვა უდიდესი გამარჯვება იყო. ტროელებისა და ეტრუსკებისთვის ეს იყო უდიდესი უბედურება. აქედან მომდინარეობს ეტრუსკების თანაგრძნობა ენეასისადმი.

არა ნაკლებ საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თვით რომაელები თავიანთ თავს ენეასის შთამომავლებად თვლიდნენ. რომაელებს რომ მართლაც ბერძნებისგან გადმოეღოთ ტროელთა ლეგენდა. მაშინ რატომღა დაუკავშირებდნენ ისინი თავიანთ წარმოშობას ბერძნების მტრებს — ტროელებს? ამ ლეგენდაში, სადაც ენეასთან რომაელების ნათესაობაზეა ლაპარაკი, გამოხატულება ჰპოვა ეტრუსკების აღრინდელმა გავლენამ რომში. როგორც ჩანს, რომის უძველეს მოსახლეობაში ეტრუსკებიც ერივნენ და სწორედ მათ გააცნეს რომაელებს ლეგენდა ტროელებზე. დიდგვაროვანი ეტრუსკები წმინდად ინახავდნენ გადმოცემას თავიანთ მცირეაზიურ წარმოშობაზე. ასე რომ, ტროელებზე ლეგენდაც ჰეროდოტეს მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს.



ეტრუსკები რომში

საკმაო დრო იყო გასული მას შემდეგ, რაც პატარ-პატარა დასახლებებიდან მდინარე ტიბრის საქცევში ქალაქი რომი აღმოცენდა. ოთხ მეფეს უკვე დაესრულებინა მეფობა და ახლა რომს ანკუს მარციუსი განაგებდა. გადმოცემის თანახმად, ამ მარციუსის დროს

ეტრუსკულ ქალაქ ტარკვინიადან რომში გადმოსახლებულა მდიდარი უცხოელი, ვინმე ლუკუმონი, კორინთოდან ეტრურიაში გამოქცეული დიდგვაროვანი ბერძნის — დემარატოსის ვაჟი. ტარკვინიაში ამ დემარატოსს ცოლად შეურთავს დიდგვაროვანი ეტრუსკის ქალიშვილი და მისგან ორი ვაჟი შესძენია. უფროსმა ვაჟმა, ლუკუმონმა მამის მთელი ქონება მიიღო სამეძკვიდრეოდ და ცოლად შეირთო დიდგვაროვანი ეტრუსკი ქალიშვილი ტანაკვილი. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მდიდარი იყო. ლუკუმონს, თავისი უცხოური წარმოშობის გამო, მაინც არ შეეძლო საპატიო მდგომარეობისთვის მიეღწია მშობლიურ ქალაქში. მტკიცე და ძლიერი ხასიათის ტანაკვილმა მეუღლეს ურჩია, რომში გადასახლებულიყვნენ, სადაც უცხოელსაც შეეძლო პატივისა და დიდებისათვის მიეღწია.

ლუკუმონმა ვერ შეძლო, წინ აღსდგომოდა თავისი მბრძანებლობის მოყვარული მეუღლის დაჟინებულ მოთხოვნებს. გაყიდა მთელი ქონება და ოქროთი დატვირთული საზიდრებით რომის გზას დაადგა. მალე მან ერთ გამაგრებულ პორცეს მიაღწია. რომელსაც იანიკულუმი ეწოდებოდა. მდინარის გაღმა, სანაპირო ბორცვებზე, უამრავი ლერწმის სახურავიანი ქოხები იყო შეფენილი.

— აი, რომი, — ხელი გაიშვირა ქალაქისკენ ტანაკვილმა.

სწორედ ამ დროს, — გადმოგვცემს ლეგენდა, — ერთი უშველებელი არწივი ტყვიასავით დაეშვა მიწისაკენ, დაავლო ნისკარტი ლუკუმონის სამგზავრო ქუდს და ისევ ზევით აიჭრა.

ვინც ეს იხილა, გაოცებისაგან თურმე კარგა ხანს გონს ვერ მოეგო. პირველად ისევ ტანაკვილი გამოერკვა. აცრემლებული მივარდა მეუღლეს და გადაეხვია.

— ეს არწივი ღმერთების მამამ — ტინიმ მოგვივლინა და ამით გვანიშნა, რომ შენ გვირგვინი და მეფის ხელისუფლება გელის.

მალე აშკარა გახდა, რომ ტანაკვილი მართალი იყო. ლუკუმონი, ანუ, როგორც მოგვიანებით რომაელები უწოდებდნენ — ლუციუს ტარკვინიუსი, რომის მეფე გახდა გარდაცვლილი ანკუს მარციუსის შემდეგ. რომის ტახტზე ამ პირველი ეტრუსკის ყოფნას გადმოცემა ბევრი შესანიშნავი ნაგებობის შექმნას უკავშირებს.

ქალაქის დაბლობ ადგილებში ადრე თურმე პატარა-პატარა ნაკადულები მიედინებოდა, რომლებიც ქალაქს უსუფთაობისგან წმენდდნენ. გაზაფხულობით, წყალდიდობის დროს, ეს ნაკადულები იყარა ქაობებად იქცეოდა ხოლმე და ირგვლივ ციებასა და სხვა დაავადებებს ავრცელებდა. ტარკვინიუსის ბრძანებით, ეს ნაკადუ-

ლები საგანგებოდ გათხრილ არხებში მიუშვეს და ქვის თალებით გადაახურეს. ამ ნაგებობებს კლოაკები ეწოდებოდა. დამყაყებულ წყლის ოხშივარი ამიერიდან აღარ ემუქრებოდა რომაელთა ჯანმრთელობას.

ამგვარი გზით ამომშრალ ერთ-ერთ დაბლობს რომაელები ცირკს უწოდებდნენ და იქ წელიწადში ერთხელ დოღი და კრავი იმართებოდა ხოლმე სამი ღვთაების — იუპიტერის, იუნონასა და მინერვას პატივსაცემად. ტარკვინიუსის მიერ დაწესებულ ამ შეჯიბრებებს „დიდი თამაშობანი“ ეწოდებოდა.

ასეთსავე ამომშრალ მეორე დაბლობზე ბაზარი და მოქალაქეთა შესაკრები ადგილი — ფორუმი მოეწყო. ვაქრებმა აქ ფარდულები და საწყობები ააგეს, მოგვიანებით კი ფორუმი საზოგადოებრივმა ნაგებობებმა და ტაძრებმა დაამშვენა.

ფორუმს თავს დაჰყურებდა ერთი ციცაბო ბორცვი, რომელსაც რომაელები საშიშროების დროს თავს აფარებდნენ ხოლმე. საბინი-ელებთან მძიმე ომის დროს ტარკვინიუსმა აღთქმა დადო, თუ ღმერთები უწყალობებდნენ მას გამარჯვებას, ამ ბორცვზე ტაძარს ააგებდა. ომის წარმატებით დამთავრების შემდეგ მან მართლაც მოიწვია ეტრურებიდან ოსტატები და უღიაღესი ტაძრის — კაპიტოლიუმის იუპიტერის ტაძრის შენება დაიწყო.

ლუციუს ტარკვინიუსი ტახტზე შეცვალა მისმა სიძემ სერვიუს ტულიუსმა. ეტრუსკები თვლიდნენ, რომ გამეფებამდე სერვიუს ტულიუსი მამაცთა ერთ-ერთ რაზმს მეთაურობდა. მაშინ მას სახელად მასტარნა ერქვა. რომაელები კი ამბობდნენ, სერვიუს ტულიუსი ტარკვინიუსის სასახლეში სასწაულებრივად დაბადა მეფის მონაქალმა ოკრისიამო, ხოლო დედოფალმა ტანაკვილმა ყრმას ბრწყინვალე მომავალი უწინასწარმეტყველა და დაეხმარა კიდევ, მეფე გამხდარიყო.

გადმოგვცემენ, რომ სერვიუს ტულიუსი კეთილი მეფე ყოფილა, პლებებს მფარველობდა. მანამდე პლებებს არც პოლიტიკური უფლებები გააჩნდათ, არც სახალხო არჩევნებში შეეძლოთ მონაწილეობის მიღება და არც სენატში არჩევის უფლება ჰქონდათ. მათ არ ურიგებდნენ რომაელთა მიერ ომებში მიტაცებულ მეზობელთა მიწებს, ჯარში კი მსახურობდნენ და გადასახადებსაც იხდიდნენ. რომში პატრიციები პარპაშებდნენ.

რაკი რომის მოსახლეობის უმრავლესობა პლებები იყვნენ, პატრიციებს გამუდმებით მათი შიში ჰქონდათ და ხშირად მეზობელი ქალაქების ზედა ფენას სთხოვდნენ დახმარებას. პლებები სუ-

ლაც არ იყვნენ დაინტერესებულნი რომის გამარჯვებით, ან უხალისოდ იბრძოდნენ, ანდა საერთოდ უარს აცხადებდნენ ომში მონაწილეობაზე. ამიტომ სერვიუს ტულიუსმა გადაწყვიტა, მოქალაქენი ქონების მიხედვით დაეყო და არა წარმომავლობით. მოქალაქეთა ამგვარი დაყოფა უკვე ჩაატარა ათენში ბრძენმა სოლონმა. გადმოგვცემენ, ვითომ სერვიუს ტულიუსმა ათენში ელჩები გაგზავნა სოლონისთვის რჩევის საკითხავად. მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ სერვიუს ტულიუსმა რომში ეტრუსკული წესწყობილებანი გადმოიტანა. ყველა თავისუფალი მოქალაქე, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო, მან ხუთ კლასად დაჰყო. პირველი კლასის მოქალაქეებს ხუთჯერ მეტი ქონება უნდა ჰქონოდათ, ვიდრე მეხუთე კლასის მოქალაქეებს. იყვნენ ისეთი მოქალაქეებიც, რომელთაც არაფერი არ გააჩნდათ, მათ პროლეტარები ეწოდებოდათ. ყოველ კლასს ბრძოლაში განსაზღვრული რაოდენობის მეომართა ერთეული — ცენტურიუსი (ასეული) უნდა გამოეყვანა. პირველ კლასს ფეხოსანთა ოთხმოცი ცენტურიუსის გამოყვანა ევალებოდა, მეორეს, მესამეს და მეოთხეს — თითოეულს ოც-ოცი, მეხუთეს — ოცდაათი ცენტურიუსი. სხვადასხვა კლასის ცენტურიუსები სხვადასხვაგვარად იყო აღჭურვილი, აქედან გამომდინარე მწყობრშიაც განსხვავებული ადგილი ეკავათ.

სერვიუს ტულიუსი ისევ ეტრუსკმა მმართველმა — ტარკვინიუსმა შეცვალა. ტარკვინიუსი თვითმპყრობელი იყო და ანგარიშს არ უწევდა არც სენატსა და არც ხალხს. ამიტომ მას მეტსახელად „ამაყი“ შეარქვეს. ტარკვინიუსმა გაათავისუფლა რომის სამფლობელოები — დაიპყრო ლაციუმის მთებში მოსახლე ტომები, მანვე მოიწვია ხელმარჯვე ეტრუსკი ხელოსნები და მათი ხელმძღვანელობით რინაელ მოქალაქეებს დაამთავრებინა ტარკვინუს ძველის მიერ დაწყებული ნაგებობათა მშენებლობა.

მაგრამ ერთხელ ისეთი რამ მოხდა, რომ ტარკვინიუსს ამაც შესაგან კანკალი დააწყებინა. მეფის სასახლის საკურთხევლიდან გველი გამოსრიალდა და შეწირულებანი ერთიანად შესანსლა. ვერაფერს ახსნა, რისი თქმა უნდოდათ ამით ღმერთებს. მაშინ მეფემ გადაწყვიტა. კაცები გაეგზავნა საბერძნეთში, სახელგანთქმულ დელფეს ორაკულთან. რათა გაეგოთ, რას მოასწავებდა ყოველივე ეს. ელჩებად მეფის ვაჟები ტიტუსი და არუნსი, აჯ' ერთვე დიდგვაროვანი რომაელი იყვნენ ბრუტუსი შეარჩიეს.

ორაკულმა მათ უთხრა, რომ გველის მიერ სამეფო შეწირულე-

ზათა შექმა ტარკვინიუსის მეფობის მალე აღსრულებას მოასწავებსო. ახალგაზრდებმა ამის გაგონებაზე თავიანთი მომავლის გაგებაც მოისურვეს. გამოქვაბულის თაღებქვეშ გაისმა პასუხი: „ვინც პირველი ეამბორება თავის დედას, რომის უმაღლესი ხელისუფალი ის განდებოა“.

ტიტუსი და არუნსი ამ პასუხმა აღაფრთოვანა. დარწმუნებულნი იყვნენ, ორაკულის პასუხი მხოლოდ მათ ეკუთვნოდა, ვინაიდან ბრუტუსს დედა ცოცხალი არა ჰყავდა, ხოლო რომში დარჩენილ წათ მესამე ძმას, სექსტუსს, ორაკულის წინასწარმეტყველება, აბა საიდან ეცოდინებოდა? ძმებმა გადაწყვიტეს, სექსტუსისთვის არაფერი შეეტკობინებინათ, შინ დაბრუსებისთანავე ერთდროულად გადახვეოდნენ დედას და გადაეკოცნათ, რათა მამის გარდაცვალების შემდეგ ორივეს ემეფა რომში. მაგრამ ბრუტუსმა ყველას აჯობა ჰკუთით. ბევრს იგი სულელად მიაჩნდა, მაგრამ სწორედ ბრუტუსი ჩაწვდა ღრმად ორაკულის ნათქვამს. გადმოვიდა თუ არა ხომალდიდან და დედამიწას ფეხი შეახო, ვითომ წაიბორძიკა, ჩაიმუხლა და ისე, რომ არავის შეემჩნია, ეამბორა ყოველივე ცოცხალის ჰეშმარიტ დედას — დედამიწას.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ტარკვინიუსს ამაყმა ომი გამოუცხადა რუტულეების ტომს—სწორედ იმ ტომს, ენეასიც რომ ებრძოდა. უნდოდა, ხელთ ეგდო რუტულეების მდიდარი ქალაქი არდია, რათა უფრო ძლიერი სამეფო დაეტოვებინა მეგვიდრეებისათვის, ვიდრე თვით მიიღო სერვიუს ტულიუსისაგან. მაგრამ არდევს აღება არც ისე იოლი იყო. იგი მაღალ გორაკზე იყო გაშენებული და გარს მტკიცე გალავანი ერტყა. რომაელთა პირველი შეტაკება არდეელებმა მოიგერიეს. მაშინ ტარკვინიუსმა გადაწყვიტა, ციხესიმაგრის კედლებთან დაბანაკებულიყო და დაეცადა, ვიდრე შიმშილით ილაჩაწყვეტილი მოქალაქენი იარაღს არ დაყრიდნენ. მოალყე არმაში მეფის ვაჟები — ტიტუსი, არუნსი და სექსტუსიც იყვნენ. ისხდნენ თავიანთ კარავში და დროს ღვინის სმაში ანდა ვტრუსკთა სანუკვარი გასართობის, კამათლის თამაშში კლავდნენ. ერთხელ მათთან ერთად დროს ატარებდა ერთი შორეული ნათესავი ლუციუს კოლატინი. ლაპარაკი ცოლებზე ჩამოვარდა. ყველა თავის ცოლს აქებდა და ამბობდა, როცა მე სადმე ვარ წასული, მოწყენას საქმიანობით იქარევბსო. კამათი სულ უფრო ცხარე სახეს ღებულობდა და, უეჭველია, ჩხუბით დამთავრდებოდა, რომ ლუციუს კოლატინს ერთი ბედნიერი აზრი არ მოსვლოდა თავში.

— მოდით, კამათს თავი დავანებოთ. სულერთია, სიტყვებით

ერთმანეთს მაინც ვერ დავაჭვრებთ. ავდგეთ და მოულოდნელად დავბრუნდეთ ჩვენ-ჩვენს სახლებში. აი, მაშინ დარწმუნდებით, რომ ჩემს ლუკრეციაზე უკეთესი ცოლი არ მოიძებნება.

მეფისწულებმა უხმოდ გადახედეს ერთმანეთს. ასევე უსიტყვოდ გაემართნენ კარისკენ, შესხდნენ ცხენებზე და რამდენიმე საათში უკვე რომში იყვნენ. სასახლეში შესვლა საჭირო აღარ იყო, გარედანაც კარგად ჩანდა, როგორ ატარებდნენ დროს მეფისწულთა ცოლები — ფანჯრები გაჩახჩახებული იყო, ისმოდა ფლეიტისა და ფიალების წკრილის ხმა.

— აშკარაა, ჩვენი ცოლები მხიარულობენ, — უთხრა სექსტუს-
სა კოლატისს, — მაგრამ ალბათ არც შენი კარგავს უქმად დროს.

კოლატისს სისხლი აემღვრა, თავი ძლივს შეიკავა, რომ ხმალი არ ეშვიშვლებინა.

— თუ ასეა. ახლავე წავიდეთ ჩემთან, კოლაციაში! — ყრუ ხმით წარმოთქვა ლუციუსმა.

კიდევ ერთი საათი და ისინი რომიდან ათიოდე მილზე მდებარე ერთ პატარა ქალაქში იყვნენ. ქალაქს უკვე ეძინა, მაგრამ კოლატისს სახლში შუქი ენთო. მგზავრები ჩამოქვეითდნენ და სახლში შეაბიჯეს. მონა-ქალებით გარსშემორტყმული ლუკრეცია იჯდა და ართავდა.

ფეხის ხმაზე ქალმა მოიხედა. მოსულთა დანახვაზე სახე შეეფაკ-
ლა. წუთიც და კოლატინმა მკერძზე მიიკრა იგი.

სექსტუსი განცვიფრებული შესცქეროდა ამ სცენას. აღარც სანაძღვოს წაგება ახსოვდა და აღარც ის სირცხვილი, რომლის მოწმეც კოლატინი გახდა. იგი გააოცა ყმაწვილი ქალის სილამაზემ, მისმა არაჩვეულებრივმა სიწმინდემ და მოკრძალებამ. ძალაუფლებით წამხდარი ამ ახალგაზრდის გონებაში, რომელიც ყოველგვარი ჭურვილის შესრულებას იყო ჩვეული, ბოროტი განზრახვა იბადებოდა.

მეორე დღეს რომში რაღაც საქმეები შოიმიზუნა, ღამით ბანაკი დატოვა და კოლაციისკენ გასწია. აი, კოლატინის სახლიც. ცხენის ფლოქვების ხმა რომ მოესმა, ლუკრეცია კარს მივარდა — ეგონა, ისევ ქმარი დაბრუნდა. მაგრამ ქმრის ნაცვლად სექსტუს ტარკვინიუსი შერჩა ხელში. იმედგაცრუებული ქალი სტუმარს მაინც გულლიად შეხვდა. მონა-ქალებმა საქმელები მოართვეს და მერე მოსასვენებელ ოთახამდეც მიაცილეს. მაგრამ სექსტუსის თვალს რული არ ეკარებოდა. ქარქაშიდან ხმალამოდებული უცდიდა, ვიდრე სახლში სრული სიჩუმე არ დაისადგურებდა. ეს წუთიც დადგა და იგი შევარდა ლუკრეციას საწოლ ოთახში.

...როგორც კი არამზადამ კოლატინის სახლი დატოვა, ლუკრეციამ მაშინვე მსახურები აფრინა მამისა და ქმრის მოსაყვანად. — დაუყოვნებლივ აქ გაჩნდნენო! — დააბარა მათ.

მსახურის მისვლამ კოლატინი საშინლად ააღელვა. იცოდა მეუღლის ხასიათი, ნამდვილად რაღაც საშინელება მოხდა, თორემ ისე იგი ქმარს არ დაიბარებდა. კოლატინმა თავის ამხანაგს, ბრუტუსს სთხოვა, გაჰყოლოდა და მაშინვე შინისაკენ გაეშურა.

ლუკრეციას სამგლოვიარო ტანსაცმელი ჩაეცვა. მთლად გაფითრებულს ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა დაწვებზე.

— რა მოხდა? — შესძახა კოლატინმა.

და ლუკრეციაც მოუყვა, რა საშინელი შეურაცხყოფა მიაყენა მას მეფისწულმა.

— შემომფიცეთ, რომ იმ უნამუსოს დაუსჯელს არ გაუშვებთ! — დაასრულა მან.

— გფიცავთ! — ერთხმად შესძახა ორივე მამაკაცმა.

— ახლა კი შემძლია დამშვიდებით მოვეკვდე! — თქვა ლუკრეციამ, კედლიდან ხანჯალი ჩამოგლიჯა და გულში დაიცა.

ყველანი გაქვავდნენ. პირველად ბრუტუსი მოეგო გონს. სისხლიანი ხანჯალი აღმართა და დაიფიცა:

— კეთილშობილი ლუკრეციას სისხლს ვფიცავ, ტარკვინიუსთა საგვარეულოს სამაგიეროს მივუზღავ. სექსტუსის დანაშაულმა მთელი სამეფო გვარი რომაელთა მტრად აქცია. რომი უნდა განთავისუფლდეს მეფეთა ძალაუფლებისაგან!

შემდეგ ხანჯალი თავზარდაცემულ კოლატინს გადასცა და იმანაც დაიფიცა. იქ მყოფებმაც მას მიბაძეს.

ბრუტუსმა ბრძანა, სარეცელზე დასვენებული ლუკრეციას გვამი ქალაქის მოედანზე წაეღოთ. მალე მოედანი კოლატიელებით აივსო. ბრუტუსმა უმკაცრესი მსჯავრი გამოუტანა სექსტუს ტარკვინიუსს და მოქალაქეებს იარაღისკენ მოუწოდა. მალე შეიარაღებულ მამაკაცთა უზარმაზარი ბრბო რომისაკენ დაიძრა.

რომაელები დააფრთხო შეიარაღებული ადამიანების მოულოდნელმა გამოჩენამ და აქეთ-იქით გაიფანტნენ. მაგრამ ბრუტუსმა ქალაქის ყველა კუთხეში მაცნეები დაგზავნა და მოქალაქეებს მოუწოდა, ფორუმზე შეკრებილიყვნენ. მალე რომაელებმა გაიგეს კოლატიაში მომხდარი დანაშაულის ამბავი და გადაწყვიტეს, რომიდან სამუდამოდ განედევნათ ტარკვინიუს ამაყი ოჯახიანად. რომის მოქალაქეებს არ დავიწყნოდათ ტარკვინიუსის მიერ ჩადენილი არც,

ერთი დანაშაული და ძალადობა, არც ის, როგორ ამუშავებდა მათ ეტრუსკი მმართველი მძიმე სამუშაოებზე.

რომში მომხდარმა ამბავმა არღეას მიაღწია, სადაც ამ დროს ტარკვინიუსი იყო დაბანაკებული. მას იმედი ჰქონდა, რომ მოქალაქეები დაუთმობდნენ და ამიტომ რომისკენ დაიძრა, მაგრამ რომაელებმა ცხვირწინ მიუკეტეს ალაყაფის კარები, მერე ქალაქის კედლებზე გადმოდგნენ და თავიანთი გადაწყვეტილება ამცნეს. ტარკვინიუსს ისლა დარჩენოდა, ქალაქს გასცლოდა. ნათესავებთან ერთად მან თავი შეაფარა მეზობელ ეტრუსკულ ქალაქ ცერეს.

ამ დღიდან რომს სახალხო კრება, სენატი და არჩევითი თანამდებობის პირნი — კონსულები განაგებდნენ. ამგვარ წყობას რომაელები რესპუბლიკას უწოდებდნენ. პირველ კონსულებად ბრუტუსი და კოლატინი აირჩიეს.

აი, ასე გადმოგვეყვანნ რომაელები მათ ქალაქში ეტრუსკთა მეფობისა და ძვ. წ. 509 წელს მათი განდევნის ამბავს. მიუხედავად ბევრი ზღაპრული დეტალისა, ამ გადმოცემის ძირითადი მიმართულების სისწორე მაინც დადასტურდა. უპირველეს ყოვლისა, ეჭვს არ იწვევს რომში ეტრუსკების ბატონობა. ამას მოწმობს შემორჩენილი ნაგებობანი, რომელთა შენების ტექნიკა ჩვენთვის ეტრუსკული ძეგლებით არის ცნობილი. რომში დღემდეა შემონახული ნანგრევები სერვიუს ტულიუსის კედლისა, რომელიც ერთ დროს რომს გარს ჰქონდა შემოვლებული. ამ საზღვრის მიხედვით, მაშინდელი რომი ფართობით მხოლოდ ბერძნულ კოლონია ტარენტუმს ჩამოუვარდებოდა. მას უკვე გაესწრო იტალიის სხვა ბერძნული და არაბერძნული ქალაქებისთვის, მათ შორის ეტრურიის ქალაქებისთვისაც. ძვ. წ. VI საუკუნის რომის სხვა უდიდეს ნაგებობათა შორის გამოირჩევა კაპიტოლიუმის ტაძარი, რომელიც სამი ღვთაების — იუპიტერის, იუნონას და მინერვას სახელზე იყო აგებული, ლეგენდის თანახმად, იგი აუგიათ ტარკვინიუს ძველის დროს, ხოლო უკურთხებიან პირველი კონსულების ხანაში. ლეგენდა იმასაც გვამცნობს, რომ ტაძარი შეუშკია ეტრუსკ ოსტატ ვულკას, რომელიც ქალაქ ვეიდან ყოფილა.

ამ გადმოცემას არა მარტო ის ფაქტი ადასტურებს, რომ რომში ფაყვანს სცემდნენ ეტრუსკების ამ სამებას, არამედ არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი თიხის შეღებილი სამკაულებიც, რომლებიც საერთოა როგორც რომისთვის, ასევე ეტრურიისთვის. გარდა კაპიტოლიუმის ტაძრისა, რომში ყოფილა ეტრუსკების მიერ აგებული სხვა ნაგებობანიც.

ტარკვინიუსების დროს აგებულ ცირკის შენობას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ რომაელ მწერალთა აღწერებით ჩვენთვის კარგადაა ცნობილი ცირკის გახსნის ცერემონიალი და ეს უფლებას გვაძლევს შეუცდომლად ვივარაუდოთ, რომ ცირკიც და საციკო სანახაობანიც სწორედ ეტრუსკმა მმართველებმა შემოიღეს. ეტრუსკთა სამარხების კედლებზე ხშირად გვხვდება სწორედ ცირკისთვის დამახასიათებელი გამოსახულებანი — ეტლების შეჭიბრი და ათლეთა შეჭიდება.

თანამედროვე მეცნიერთა შორის დიდ კამათს იწვევს მოქალაქეთა კლასებად დაყოფის რეფორმა არა წარმოშობის, არამედ ქონების მიხედვით, რასაც სერვიუს ტულიუსს მიაწერენ. ამ რეფორმის ზოგიერთი დეტალი, მაგალითად, ქონების განსაზღვრა ფულის ერთეულით — ასახით — უფრო გვიანდელი წარმოშობისაა. მაგრამ ერთი რამ კი უდავოა, სწორედ ეტრუსკებმა შემოიღეს რომში მძიმედ შეიარაღებული ფეხოსანი ჯარი, რაზეც ლაპარაკია ამ რეფორმაში.

ერთ-ერთი მეფისწულის თავნებობა შეიძლება მართლაც ყოფილიყო. ის უკანასკნელი წვეთი, რომელმაც აავსო რომაელთა მოთმინების ფილა, მაგრამ ლუკრეციას ეპიზოდი უფრო გამოგონილს ჰგავს. უფრო დამაჯერებლად აჯანყების მიზეზებს გვამცნობს რომაელ ისტორიკოსთა მიერ შემონახული გადმოცემა: მეფე არ ეთათბირებოდა სენატს, არც სენატორებს ეკითხებოდა არაფერსო, სჯიდა და კონფისკაციას უკეთებდა დასჯილის ქონებას, თავისი საწყობები პირამდე აავსო ხორბლის მარაგით, დაბოლოს, ილაჯი გაუწყვიტა რომის მოქალაქეებს სამხედრო სამსახურითო.

თუ როგორ გააბოროტა რომაელები ტარკვინიუსმა, მოწმობს ის ბრმა სიძულვილი, რაც მას შემდეგ დამკვიდრდა სიტყვა „მეფის“ მიმართ.

რომში ეტრუსკთა მეფობის ამბებში ინტერესს არ არის მოკლებული არც ის დეტალები, რომლებიც ერთი შეხედვით შეიძლება ზღაპრულად მოგვეჩვენოს. მაგრამ თუ კარგად ჩაუუყვირდებით, ისინი ქმნიან ეტრუსკული საზოგადოების მთლიან სურათს, რომელიც ბევრი რამით განსხვავდებოდა რომაულისგან.

მიაქციეთ თუ არა ყურადღება იმ ამბავს, რომ ეტრუსკი მმართველები თავიანთ ძალაუფლებას ქალებს უმადლიან? ლეგენდის თანახმად, სწორედ ტანაკვილმა მოიფიქრა ტარკვინიუსის რომში გადასახლება. მასვე ეკუთვნის ზეციური ნიშნის ახსნა იმგვარად, რომ ტარკვინიუსი მეფე უნდა გამხდარიყო. განსაკუთრებული რო-

ლი შეასრულა ტანაკვილმა მეორე რომაელი მეფის — სერვიუს ტუ-
ლიუსის ცხოვრებაში. ამ თვალსაზრისითვე საინტერესოა ორაკუ-
ლის პასუხიც ეტრუსკთა ელჩებისადმი: უმაღლეს ხელისუფლებას
ის დაეუფლება. ვინც პირველი ეამბორება თავის დედასო.

ყოველივე ეს სრულიადაც არ არის შემთხვევითი, მათ უკან იმა-
ლება ძველი ეტრუსკების ყოფისა და რელიგიური რწმენის განსა-
ზღვრული ნიშნები.

ეტრუსკი ქალის მაღალ მდგომარეობას ადასტურებს აგრეთვე
არქეოლოგიური მონაპოვრები. ეტრუსკთა საფლავის წარწერებში
ხშირად გარდაცვლილის მამის სახელთან ერთად გვხვდება დედის
სახელიც, მაშინ. როცა რომაელები მხოლოდ მამას მოიხსენიებდ-
ნენ. სამარხთა ფრესკებიდან ჩანს, რომ ეტრუსკი ქალები მამაკაცებ-
თან ერთად მონაწილეობდნენ ნადიმებში, ესწრებოდნენ სპორტულ
შეჯიბრებებს და გლადიატორთა ბრძოლებს. რომაელ ქალს ნატვრაც
არ შეეძლო ისეთი თავისუფლებისა, როგორითაც ეტრუსკი ქალი
სარგებლობდა.



ცაცია მუციუსი

არა, არაფრით არ აპატიებდა ტარკვინიუსს ამაყი რომაელებს
ასეთ სამარცხვინო გაძევებას. იგი ვერც სამეფო ხელისუფლების
დაკარგვას შეურიგდებოდა. ამიტომ ცერედან მან პორსენას მიაშუ-
რა — ეტრუსკული ქალაქის კლუზიუმის ძღვევამოსილ მეფეს. ტარ-
კვინიუსმა ასეთი სიტყვებით მიმართა პორსენას:

— ჩემსავით შენც ეტრუსკი ხარ და როგორ ითმენ, რომ მე და
ჩემი მახლობლები, ერთი სისხლისა და ხორცის ხალხი, ულუკმაპუ-
როდ დავეხეტებითო? თუკი მეფეები ერთმანეთს მხარში არ ამოუ-
დგებიან, ყველას ის დღე დაადგება, რაც მე განვიცადე. ამიტომ
გთხოვ, მე კი ნუ დამიცავ, შენივე თავი, შენი ბატონობა და ტახტი
დაიცვა.

— რით შემიძლია დაგეხმაროთ? — ჰკითხა პორსენამ.

— შეკრიბე ძლიერი ჯარი და რომისკენ მე გავუძღვები. მარტო
შენი სახელის გაგონება ისე შეაძრწუნებს რომაელებს. რომ ისინი

უეპველად გახსნიან ქალაქის კარს. ხოლო, როცა ისევ მეფე შევიქნები, მეც გამოვადგები.

1 პორსენამაც აღარ დააყოვნა. მას არც ტარკვინიუსის გულუხეობის იმედი ჰქონდა და არც მისი მადლიერებისა. მას უფრო მდიდარი ქალაქის გაძარცვა და დიდძალი ნადავლის ხელში ჩაგდება ხიბლავდა.

მან ჯერ ელჩები გაგზავნა რომში და მოითხოვა, დაებრუნებინათ ტარკვინიუსი. რომაელებმა უარი შემოუთვალეს. მაშინ პორსენამ ომი გამოუცხადა მათ და, როგორც ამბობენ, თავდასხმის დრო და ადგილიც კი უცნობებია.

სენატორები შიშმა მოიცვა, როცა ვაიგეს, პორსენა უზარმაზარი არმიით რომისკენ მოდისო. ქალაქის ხელისუფალთ მარტო ეტრუსკებისა კი არა, რომაელი პლებეებისაც ეშინოდათ, ვაითუ აჯანყდნენ და პორსენას ქალაქის კარი გაუღონო. ამიტომ როგორმე მათი გული უნდა მოეგოთ. ქალაქებში კაცები დაგზავნეს, რომ პლებეებისთვის პური შემოეზიდათ. კერძო პირებს ჩამოერთვათ მარილით ვაჭრობის უფლება, რადგან ისინი მძიმე მდგომარეობით სარგებლობდნენ და ფასებს სულ უფრო ზრდიდნენ. ამიერიდან მარილი სახელმწიფო მალაზიებში იყიდებოდა. ყველაზე ლატაკი პლებეები გადასახადებისგან გაათავისუფლეს.

ამასობაში, ქალაქს სოფლის მოსახლეობა მოაწყდა მტრისაგან თავის შესაფარებლად. მოდიოდნენ მოხუცები და ჩვილბავშვიანი დედები, ნაბდისქუდიანი, უხეშწამოსასხამიანი მწყემსებიც აქეთ მოერეებოდნენ ცხვრებს.

იანიკულუმთან დაბანაკებული რომაელი მეომრები შეშფოთებული უცქეროდნენ ხალხის ამ დაუსრულებელ დინებას. კაცს ეგონებოდა, მთელი ლაციუმი აყრილაო ადგილიდან. აბა, სად შეუძლია რომს, დაიტიოს ყველა სოფელი. ამ დროს გორაკის მიღმა საყვირის ხმები გაისმა. მწყემსების საყვირი რომ არ იყო, ამას მაშინვე მიხვდნენ. ეს ეტრუსკული მოხრილი ბუკის მკვეთრი ხმა იყო.

— ყველამ იარაღს მოჰკიდეთ ხელი!— დაიძახეს ცენტურიონებმა.

დაწვრილებით ცნობებს იანიკულის ფერდობებზე მომხდარი ბრძოლის შესახებ ჩვენამდე არ მოუღწევია. ვიცით მხოლოდ, რომ რომის არმია, რომელიც რიცხობრივადაც და წვრთნის დონითაც ჩამორჩებოდა ეტრუსკელებისას, სასტიკად დამარცხდა და გაქცევით უშველა თავს. ეტრუსკები ისე ელვისებურად მოქმედებდნენ, რომ რომაელებმა ქალაქის მარჯვენა და მარცხენა ნაწილების შემართებული ერთადერთი ხიშინჯებიანი ხიდის დანგრევაც ვერ მოას-

წრეს. პორსენას მეომრებს სულ ცოტა მანძილია დარჩენოდათ ხი-
დამდე, რომ ამ დროს, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, მათ წინაშე
რომაელი ახალგაზრდის ფიგურა აღიმართა. იგი ფართოდ ფეხებ-
გაშლილი იდგა და გაშიშვლებული ხმალი წინ გაეშვირა. შუბლი-
დან ყურამდე ნაჭრილობევით გადასერილი მისი უწვერულვაშო სა-
ხე მტკიცე გადაწყვეტილებას გამოხატავდა. ეს იყო პორაციუს კოკ-
ლესი. მეტსახელი კოკლესი (ცალთვალა) მისთვის მას შემდეგ შე-
ერქმიათ, რაც ერთ-ერთ ბრძოლაში თვალი დაკარგა. კოკლესმა
შეაფერხა ეტრუსკები და ამრიგად რომაელებს ხიდის დანგრევის
საშუალება მისცა.

ეტრუსკმა მეფემ ქალაქის იერიშით აღება მაინც ვერ შეძლო.
გადაწყვიტა, ალყა შემოეერთა მისთვის. მდინარე გადაკეტა და რო-
მისკენ მიმავალი ყველა გზა და ბილიკი გადაჭრა. მართალია, კონ-
სულმა ვალერიუსმა ერთხელ დაამარცხა ეტრუსკთა ძლიერი რაზმი,
ბინდვრებს რომ მოსდებოდა და ანადგურებდა, მაგრამ ალყა მაინც
ძველებურად ურყევი იყო. პორსენას დასახმარებლად ეტრუსკების
სულ ახალი და ახალი რაზმები მოდიოდა. რომაელებმა არა ერთ-
ხელ გაგზავნეს მგზავრები, იქნებ მოალყე ჯარის სუსტი ადგილის-
თვის მიეგნოთ, მაგრამ მათ ყოველთვის მხოლოდ ცუდი ამბები
მოჰქონდათ. ალყა მტკიცე იყო და ურყევი, მტერი არ თვლემდა.
სხვა გზა არ ჩანდა, რომი უნდა დაცემულიყო.

მაშინ ერთმა დიდგვაროვანმა ახალგაზრდამ, სახელად გაიუს მუ-
ციუს კორდუსმა გადაწყვიტა, ეხსნა თანამოქალაქენი. ბავშვობაში
მას თურმე ეტრუსკი ქალი ჰყავდა ძიძად და მტრის ენაც ისევე
კარგად იცოდა, როგორც მშობლიური ლათინური. ეტრუსკული
ტანსაცმელიც ჰქონდა. ასე რომ, იგი ფიქრობდა, მტერი მოეტყუე-
ბინა. მამაც ყმაწვილს მხოლოდ იმისი ეშინოდა, რომაელთა დაცვას
იგი მტრის მხარეზე გადასულად არ ჩაეთვალა და ჩანაფიქრის გან-
ხორციელებაში ხელი არ შეეშალა. ამიტომ მან სენატს მიმართა:
„მამანო, — უთხრა მან სენატორებს, — განზრახული მაქვს, ტიბრი-
გადავცურო და პორსენას ბანაკში შევიპარო. ნუ მკითხავთ, ამას
რატომ ვაკეთებ, საქმე ჩვენი ქალაქის ხსნას ეხება“.

სენატორები გააოცა ახალგაზრდა კაცის სიმამაცემ. აღარ ჩას-
ძიებინ, რას აპირებდა, და ბედნიერება და წარმატება უსჭრ-
ვეს.

შინ მუციუსმა ეტრუსკული ტანისამოსი გადაიცვა, ხანჯალი ტა-
ნისამოსის ნაკეცებში ჩამალა და სენატორებისაგან გაფრთხილე-
ბულმა დარაჯებმა იგი უსიტყვოდ გაუშვეს ქალაქიდან.

ეტრუსკების ბანაკში მისული მუციუსი მეომართა იმ ჯგუფს შე-
ერია, რომელიც ერთ-ერთი კარვისკენ მიემართებოდა. ხელფასის
დარიგების დღე იყო და მუციუსს დაუბრკოლებლად შეეძლო შე-
ელწია მეფის კარავში.

სამსხვერპლოზე მოკიაფე ცეცხლი ანათებდა კარავსა და შემალ-
ლებზე მჯდარ ორ მდიდრულად ჩაცმულ მამაკაცს. ერთი მათგანი
საკუთარი ოქროს ბეჭდებიანი თითების თვალიერებით იყო გართუ-
ლი. მეორეს გარს ჯარისკაცები შემოხეიოდნენ, რომლებიც მისგან
რალაცას მოელოდნენ. მუციუსმა იფიქრა, ნამდვილად ეს მეორე
აჩისო შეფე. აბა საიდან ეცოდინებოდა, რომ ამ დღეს ეტრუსკ
მგომრებს ხელფასს ურიგებდნენ და ის კაცი. მუციუსს პორსენა
რომ ეჯონა. მხოლოდ მეფის მწერალი იქნებოდა. ელვის უსწრაფე-
სად იძრო ხანჯალი და გაქანდა ამ კაცისაკენ. მწერალმა ხმის ამო-
ლებაც ვერ მოასწრო, ისე დავარდა ძირს. ყველაფერი თვალის და-
ხამხამებაში მოხდა, ისე რომ, ჯარისკაცებმა გაოცებისა და საშინე-
ლებისაგან ხელი ვერ გაანძირეს. მუციუსი გაიქცა, მაგრამ ეტრუს-
კები მალე მოეგნენ გონს და უკან გამოეკიდნენ, დაეწივნენ, ხანჯა-
ლი წაართვეს და მეფეს მიჰგვარეს.

გაცეცხლებული პორსენა ტახტიდან წამოხტა და ტყვეს მია-
ხალა:

-- ვინა ხარ? აქ რა გინდოდა?

თვალის დაუხამხამებლად გაუძლო მუციუსმა მეფის მზერას და
ღირსეულად მიუგო:

— მე რომელი ვარ. სახელად მუციუსი მქვია. შენი მოკვლა
მინდოდა, ვინაიდან ჩემი ხალხის მტერი ხარ, მაგრამ შემთხვევამ
გიხსნა.

— ახლავე წაიყვანეთ და ან ათქმევინეთ, ვინ გამოგზავნა, ან
არა და ენა ამოგლიჯეთო, — ბრძანა პორსენამ.

მაგრამ მუციუსმა თვითონ წაიწია სამსხვერპლოსკენ და თქვა:

— ახლავე დაგანახებ. ეტრუსკო. როგორ შეუძლიათ რომაე-
ლებს ტყვილების ატანა და ფიცის შენახვა.

თქვა და მარჯვენა ხელი ცეცხლს შეუშვირა. მალე თითები ცე-
ცხლის ალში გაეხვია და ნახშირივით გაშავდა. დამწვარი ხორცის
სუნმა დაფარა მეფის ტანსაცმლის ნელსურნელება.

— კმარა! — შესძახა შეძრწუნებულმა პორსენამ. — ვხედავ, შენ
ჩემზე უფრო საკუთარი სხეული გეჯავრება. ბედნიერი ვიქნებოდი,
ჩემს არშიაში შენისთანა მამაცები რომ მყავდეს. მე შენ თავისუფ-
ლებას განიკებ, რომაელო, დაუბრუნდი შენს ქალაქს.

— მადლობას მოგახსენებ მოწყალებისთვის, — თქვა მუციუსმა და დამწვარი ხელი ზეღმართა. — მაგრამ იცოდე, მე მარტო არა ვარ. ჩემთან ერთად კიდევ სამასმა ახალგაზრდამ დაიფიცა, ან სიცოცხლეს გამოგასალმონ, ანდა ცეცხლს მისცენ თავიანთი სხეული. რაც მე ვერ შევძელი, ისინი შეძლებენ.

პორსენა მძიმე-მძიმედ დაეშვა ტახტზე. მან სიცოცხლე აჩუქა რომაელს, ფიქრობდა, თავისი კეთილშობილებით რომაელებსაც განაცვიფრებდა და ეტრუსკებსაც. მაგრამ, ვაი რომ ეს მას სიკვდილისგან ვერ იხსნიდა, თუკი ყველა რომაელი ისეთივეა, როგორიც ეს ახალგაზრდა.

— გიჯობნია, მუციუს, — აღმოხდა მეფეს. — დღესვე შენთან ერთად ელჩებს გავუგზავნი თქვენს სენატს. თანახმა ვარ, ზავი დაედო რომთან, რაკი მას შენნაირი დამცველები ჰყავს.

ზავი, მართლაც, მალე დაიდო. პორსენამ გადაიფიქრა ტარკვინიუსისთვის რომის ტახტის დაბრუნება. რომის რესპუბლიკა გადარჩა, მაგრამ იგი იძულებული გახდა, წართმეული შვიდი რაიონი და აგრეთვე გამოქცეულნიც უკანვე დაებრუნებინა ქალაქ ვეისთვის. პორსენას ჯარმა დატოვა რომის მიდამოები.

რაც შეეხება მუციუსს, რომაელებმა იგი გმირად აღიარეს. ყველა ერთხმად ნიინევედა მას სამშობლოს მსხნელად. მეტსახელად სცევოლა (ანუ ცაცია) შეაჩქვეს და მის მემკვიდრეებსაც ეს მეტსახელი შერჩათ. ამ დამსახურებისათვის სენატმა მუციუსს მიწის ნაკვეთი გამოუყო მდინარე ტიბრის დაბლობზე და ამ ადგილს შემდგომში „მუციუსის ქალებს“ უწოდებდნენ.

მუციუს სცევოლაზე, ეტრუსკი მეფის პორსენასგან რომის დამსხნელზე არსებული ეს მოთხრობა გვიანდელმა მწერლებმა შემოგვინახეს და ამიტომ ცხადია, ისტორიკოსთა ეჭვი გამოიწვია. ზოგი მეცნიერის აზრით, მუციუსის გმირობის ამბავი იმიტომ მოიგონეს, მეტსახელ „ცაციასა“ და „მუციუსის ქალებისათვის“ ახსნა რომ მოეძებნათო. მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ეტრუსკმა მეფემ პორსენამ ნამდვილად გაილაშქრა რომზე. ახალგაზრდა რომის რესპუბლიკამ შეძლო დამოუკიდებლობის შენარჩუნება ეტრუსკულ ქალაქთა კავშირის წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში. ეტრუსკებთან ბრძოლაში რომს მხარში ედგნენ თანატომელები — ლათინები. ხოლო როცა ძალა მოიკრიბეს, რომაელები პირიქით შეტევაზე გადავიდნენ. მათი მთავარი მტერი იყო მეზობელი ეტრუსკული ქალაქი ვეი; ვეისთან ბრძოლა მრავალი წელი გრძელდებოდა.



ვეი ლეცა

შვიდ წელიწადს ჰყავდათ რომაელებს ალყაში მოქცეული ქალაქი ვეი. შვიდი წელი უტდიდნენ რომაელი მატრონები თავიანთი ქმრებისა და ვაჟების დაბრუნებას. შვიდი წლის განმავლობაში სწორავდნენ რომის ტაძრებში ღმერთებს მსხვერპლს და ევედრებოდნენ გამარჯვებას. მაგრამ როგორც პირველ დღეს, შვიდი წლის შემდეგაც ურყევად იდგნენ ვეის ქვის კედლები. გადმოდგებოდნენ ხოლმე ზემოდან ვეელები და მასხარად იგდებდნენ რომაელთა გულადობასა და სიჭიუტეს.

მაგრამ მერვე წელიწადს ერთი ისეთი ამბავი მოხდა, რომელიც თითქოს რომს კარგს არაფერს უქადდა. წმინდა მთის — ლაციას ძირას მდებარე ალბანის ტბა როგორღაც უმიზეზოდ აღიღდა და არნახულ სიმაღლეს მიაღწია. რომში ვერავინ შეძლო ღმერთებისაგან მოვლენილი ამ ნიშნის ახსნა. ეტრუსკებთან მტრული დამოკიდებულების გამო რომში არ იყვნენ მკითხაობის ეტრუსკელი მკოდნენი — ჰარუსპექსები. გადაწყვიტეს, ისევ დელფესში გაეგზავნათ ელჩები.

მაგრამ ვიდრე წარგზავნილები დაბრუნდებოდნენ, რომაელებმა თვითონვე ახადეს ფარდა ალბანის ტბის საიდუმლოს.

ერთხელ რომაელი მეომრები გაიუსი და ლუციუსი, დარაჯად ყოფნის დროს, ვეის კედლებს ათვალეირებდნენ, აუვლიდნენ და ჩაუვლიდნენ. უეცრად მათ სიმღერა მოესმათ. აიხედეს მაღლა და ქალარათმიანი მოხუცი კაცი დაინახეს. გაიუსი ეტრუსკ ძიძას გაეზარდა და ეტრუსკული ენა იცოდა.

— იცი, ეს მოხუცი რას მღერის? — ჰკითხა გაიუსმა თავის ამხანაგს.

ლუციუსმა უარის ნიშნად მხრები აიჩეჩა.

— ამბობს, რომ ჩვენ ვერასოდეს ავიღებთ ვეის, ვიდრე ალბანის ტბის წყალს არ გავუშვებთ.

— შენ ალბათ მოგეჩვენა! — უთხრა ლუციუსმა. — მაგრამ თუნდაც ეგ ეთქვას, განა ღირს, ყურადღება მივაქციოთ ვილაც გამოჩინებულ მოხუცის სიტყვიბს?

გაიუსს აღარაფერი უთქვამს, მაგრამ გულში კი გადაწყვიტა, რა-
დაც არ უნდა დასჯდომოდა, გაეგო, ვინ იყო ეს მოხუცი, ქალაქის
კედლებთან მომდგარი რომ მღეროდა.

რამდენიმე დღის შემდეგ გაიუსი ქალაქის იმ კიშკართან მივიდა,
რომლის ახლოსაც ის მომღერალი მოხუცი დაინახა. ხანგრძლივმა
აღყამ მოწინააღმდეგენი ისე შეაჩვია ერთმანეთს, რომ ისინი არა-
თუ სახელით, სახითაც კი ცნობდნენ ერთურთს. ამიტომ ეტრუსკებ-
მა გაიუსი დაინახეს თუ არა, მაშინვე ზემოდან გადმოსძახეს:

— ეი, გაიუს! როგორ მოხდა, რომ დღეს ლუციუსი არ გახ-
ლავს?

გაიუსმა გაჯავრებით ჩაიქნია ხელი.

— გული გამიწყალა თავისი სიზმრებით. გასულ ნუნდინში¹
ესიზმრა, თითქოს ოქროთი სავსე ყუთი იპოვა, ახლა კი, აგერ უკვე
მესამე დღეა. განუწყვეტლივ ის მოხუცი ესიზმრება, კედელზე რომ
გადმოდგება ხოლმე და საძაგელი ხრინწიანი ხმით მღერის. ჩამციე-
ბია, გინდა თუ არა უთხარი იმ მოხუცს, ამიხსნას, რას ნიშნავს ეს
სიზმარიო.

ეტრუსკებმა ხარხარი ატეხეს.

— ეს მოხუცი ხომ ჰარუსპექსი ტოლუზიუსია. ნამდვილად იპან
მოაჯადოვა შენი ამხანაგი.

გაიუსსაც სწორედ ამის გაგება უნდოდა, მაგრამ თავი ისე მოა-
ჩვენა, თითქოს მოხუცი სულაც არ აინტერესებდა.

— ჰარუსპექსია თუ რალაცაა, რა გული გააწყალა თავისი სიმ-
ღერით, ვერ დაეტევა სახლში? — წაიბურტყუნა გაიუსმა. — ასე
ხომ შეიძლება გაცივდეს, ან ბრმა ისარმა იმსხვერპლოს.

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და ახლა ამავე კიშკართან ლუ-
ციუსი გამოცხადდა ზურგზე მოკიდებული ბარგით.

ეტრუსკებმა შორიდანვე ხარხარი ატეხეს მის დანახვაზე და
დაუძახეს:

— რაო, ლუციუს, სიზმრები აღარ გაწუხებენ?

— როგორ არა. აი, ახლოდან რომ მანახა ეგ თქვენი ჰარუსპექ-
სი, იქნებ მაშინ აღარ დამსიზმრებოდა.

— ნუ დარდობ, დავუძახებთ, ოღონდ ტოლუზიუსს ფალერული
ღვინოთი სავსე ამფორა ესიზმრება ხოლმე.

— ღმერთო ჩემო! ღვინის დარდი გაქვთ? — რომაელმა მაშინ-
ვე მოიხსნა ზურგიდან ტვირთი და ძირს დადო.

¹ ნუნდინი — თვის მეცხრე დღე.

ცოტა ხანიც და რკინის ჰიშკარი გაიღო. იქიდან მკერდზე ამოქარგული შავქიტონიანი მოხუცი გამოვიდა.

— შენ გინდოდა ჩემი ნახვა, რომაელო? — ჰკითხა მოხუცმა.

მაგრამ პასუხის მაგიერ ლუციუსმა ხელი სტაცა ჰარუსპექსს, მხარზე შეივლო და, ეტრუსკების შეძახილებრსთვის ყური არ უგდია, ისე გააქანა თავისი ტყვე რომაელთა ბანაკისკენ. ეტრუსკები ასეთ ვერაგობას არ ელოდნენ.

იმავე დღეს ჰარუსპექსი რომის სენატს წარუდგინეს. მან კვლავ გაიმეორა ძველთაგან მომდინარე წინასწარმეტყველება, რომ ქალაქი ვეი იმ დღეს დაეცემა, როცა ალბანის ტბის დონე დაიკლებსო. მაგრამ რომის სენატორები ვერ ენდობოდნენ მარტო ერთი კაცის ნათქვამს და, ამიტომ დელფეში წარგზავნილთა დაბრუნებას ელოდნენ. ელჩებმაც დაადასტურეს ჰარუსპექსის წინასწარმეტყველება, ოღონდ დელფეს ორაკულს ებრძანებინა, ზღვისთვის კი არ შეეერთებინათ ტბის წყალი, მომიჯნავე ელეიზე მიეშვათ არხებით. მაშინ დაეცემოდა ქალაქი ვეი.

რომაელებმა მაშინვე დაიწყეს არხის თხრა და, ის იყო ამთავრებდნენ კიდევ სამუშაოს, რომ ბედნიერების ქალღმერთმა ფორტუნამ გაუღიმა მათ. იმ დღიდან ალყაშემორტყმულთა არც ერთი თავდასხმა წარმატებით არ დაგვირგვინებულა.

რომაელთა მხედართმთავარმა კამილუსმა, რომელსაც გამარჯვებაში უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა. სენატს ჰკითხა, ნადავლს რა ვუყო. ეს რომ გაიგეს. ათასობით მოქალაქემ. მოხუცმა თუ ახალგაზრდამ აავსო რომაელთა ბანაკი, რომ ნადავლის გაყოფაში მონაწილეობა მიეღოთ.

ამასობაში კამილუსმა ბრძანება გასცა, მიწისქვეშა ხერელი გაეთხარათ ქალაქ ვეის ცენტრისაკენ, სადაც ქალღმერთ უნის, ანუ როგორც რომაელები ეძახდნენ, იუნონას ტაძარი იდგა.

დღედაღამ მუშაობდნენ რომაელი მეომრები, გაჰყავდათ გვირაბი, გამომტვრეული ქვები კი გარეთ გამოჰქონდათ. აი, მიაღწიეს კიდევ ტაძარს. ზემოდან ესმოდათ ქურუმის ფეხის ხმა და ცხვის ბლავილი, რომელსაც საკურთხევლისკენ მიათრევდნენ. სიჩუმეში გაისმა ჰარუსპექსის სიტყვები, იგი ვეის მეფეს მიმართავდა: „ვინც უნის ამ მსხვერპლს შესწირავს, ის გაიმარჯვებსო“. ის იყო, მეფემ ხელი გაიწოდა სამსხვერპლო დანისაკენ, რომ იატაკის ფილა აიწია და იქიდან ლითონის მუზარადიანი თავი გამოჩნდა. კამილუსმა, — ეს სწორედ კამილუსი იყო, — მეფეს დანა ხელიდან გამოსტაცა და იუნონას მსხვერპლი შესწირა.

ამის ქმნა და რომაელი მეომრების ქალაქში შემოცვენა ერთი იყო. ისინი საზეიმო შეძახილებით მოედნენ ქალაქის ქუჩებსა და მოედნებს. მაგრამ დამცველებად მათ ქალები და ბავშვები დახვდნენ, რომლებმაც მტერს ქვეები და კრამიტის ნამსხვრევები დაუშინეს. რომაელები დაუნდობლად უსწორდებოდნენ ყველას, ვინც კი გზაზე ელოდებოდათ. ვილაცამ ქალაქის კარიბჭეც გახსნა და ქალაქს რომაელთა ახალი რაზმები მოედო.

ვეიელთა სახლები რომ გამოაცარიელეს, რომაელები ღმერთების საცხოვრებლებს — ტაძრებს მისდგნენ. ახლა კი ფრთხილად უნდა ემოქმედათ, ვინაიდან ღმერთებმა შურისძიება იციან. შეუძლიათ დასაჯონ ყველა, ვინც კი მათ სიწმინდეს შეეხება. ქურუმებმა, თან რომ ახლდნენ რომაელთა ჯარს, აარჩიეს რომის საუკეთესო გვარის რამდენიმე ახალგაზრდა, კარგად გასიჩქეს თავიდან ფეხის ფრჩხილებამდე, რაიმე ფიზიკური ნაკლი არ ჰქონდეთო: ღმერთები შეიძლება გაჯავრდნენ, მახინჯები რომ მიუგზავნონ. მერე დაპკოთხეს, დედა და მამა ხომ ყველას გყავთო (ღმერთებს არ უყვართ ობლები) და თავიანთ რჩეულებს უბრძანეს, განზანილიყვენ, თეთრი ტოგები ჩაეცვათ და ქალაქის მთავარი ქალღმერთის უნის ტაძარში შესულიყვენ.

მუხლები უკანკალებდათ ყმაწვილებს სალოცავში შესვლისას. ტაძრის სიღრმიდან შემოსცქეროდა ტახტზე მჯდომი ქალღმერთი. ხელმარჯვე ეტრუსკ ოსტატებს იგი თიხისგან გამოეძერწათ, მერე შეეღებათ და ქურაში გამოეწვათ.

ერთ-ერთმა ახალგაზრდამ ნაბიჯი წარდგა და აკანკალებული ხელი ღეთაებას მხარზე შეახო.

— არა გსურს, უნი, რომში რომ გადასახლდე? — ჰკითხა.

— შეხეთ, მან თავი დააქნია! — შესძახეს დანარჩენებმა.

მოგვიანებით ვილაცა იმასაც კი ამტკიცებდა, გავიგონე. ქალღმერთმა გარკვევით რომ თქვა: „მსურსო“.

„აი, ასე დაეცა ვეი, — დაასკვნის ძველი ისტორიკოსი, — ეტრუსკების ერთ-ერთი უმდიდრესი ქალაქი. ვიღრე თავის არსებობას დაასრულებდა, ვეიმ ბოლო წლებში საქვეყნოდ დაამტკიცა თავისი სიღიადე. ათი წლის მანძილზე, ზამთარ-ზაფხულ, განუწყვეტლივ იბრძოდა და ძლეული იქნა სრულიად შემთხვევით, ისიც არა ძალით. არამედ მოხერხებით“.

გამარჯვებულმა კამილუსმა არნახული ბრწყინვალეობით აღნიშნა თავისი ტრიუმფი. ბრინჯაოს ეტლით, რომელშიც ოთხი თეთ-

ჩი ცხენი იყო შებმული, რომის ყველა ქუჩა შემოიარა. არც ერთ მხედართმთავარს მანამდე არ გაუბედავს, თეთრი ცხენით ესეირნა. ვინაიდან იგი ღმერთების მამის — იუპიტერის საკუთრებად ითვლებოდა. ამან ცოტა არ იყოს, გაანაწყენა რომაელები. უფრო მეტ უკმაყოფილებას წააწყდა კამილუსი, როცა ვეიში პლებეების ჩასახლების წინააღმდეგ გაილაშქრა.

ქალაქ ვეის დაცემასე შექმნილი ეს მონათხრობი გვიანდელმა ისტორიკოსებმა შემოგვინახეს. აქ იმდენი დეტალია, რომ ერთი შეხედვით კაცმა შეიძლება არც დაიჭეროს ანდა ანეკდოტადაც კი მოეჩვენოს: მაგრამ მათი უგულებელყოფა მაინც არ შეიძლება. ყველა ეს დეტალი გვაცნობს ძველი ადამიანების რწმენას. ჯერ ერთი, ქალაქის ბედ-იღბლის წმინდა წყალთან დაკავშირება სხვა ცნობებითაც დასტურდება. მაგალითად, რომში, რომელიც მდინარე ტიბრსა და მის შენაკადებზე მდებარეობს. ყოველწლიურად სრულდებოდა რელიგიური ცერემონიები წყლის სულების გულის მოსაგებად. მდინარეებსა თუ ნაკადულებზე ხიდების აგებაც ღვთის საწყენ, საზიანო საქმედ ითვლებოდა. ამიტომ ხიდების მშენებლობას განსაკუთრებული ქურუნიები — პონტიფიკსები განაგებდნენ. მათთვის ცნობილი იყო საქმის ტექნიკური მხარეც და რელიგიური წესებიც. ერთ-ერთი ასეთი წესი იმაში მდგომარეობდა, რომ ხიდი რკინის გამოუყენებლად უნდა აშენებულიყო.

არანაკლებ საინტერესოა იმის ცოდნა, თუ როგორ გადაასახლეს რომში ქალღმერთი უნი. ჩვენთვის ნათელი ხდება არა მარტო რომაელთა დამოკიდებულება უცხო ღმერთებისადმი, არამედ ისიც, თუ როგორ აღმოჩნდა რომში ბევრი ისეთი ღმერთის ტაძარი, რომლებსაც თავდაპირველად რომაელთა მეზობლები სცემდნენ თავყვანს.

თანდათან, იტალიის ქალაქებისა და სხვადასხვა ტომების დაპყრობის კვალდაკვალ, რომაელებს თავიანთ ქალაქში გადმოჰყავდათ ის ღმერთები და ქალღმერთები, რომელნიც ადრე მათ მტრებს მფარველობდნენ. მაგრამ ეს გადმოსახლება ქურუმთა მიერ მკაცრად შემუშავებული ცერემონიალის მიხედვით ხდებოდა. ახალ ადგილას ღმერთი ან ქალღმერთი ახალ საცხოვრებელს ღებულობდა. ასე გაჩნდა რომში უნის (იუნონა), მენრვის (მინერვა), ტინის (იუპიტერი) და სხვა ღვთაებათა ტაძრები.



საშიშროება გალების მხრიდან

სვ. წ. VI-V საუკუნეებში ცენტრალური ევროპის ვრცელ ველებზე მეომარი გალები ცხოვრობდნენ. მეზობელი ხალხების სიმდიდრე შურით აღავსებდა მათ და ამიტომ არა ერთხელ დასხმიანთაეს მეზობლებს. ამ გზით მოიკიდეს გალებმა ფეხი ჩრდილოეთ იტალიაში ჯერ კიდევ ძვ. წ. VI საუკუნეში. მდინარე პოს დაბლობზე მაშინ ეტრუსკული ქალაქები იყო გაშენებული და ეტრუსიის სხვა ქალაქების მსგავსად თორმეტი ქალაქის კავშირად იყვნენ გაერთიანებულნი. აი, სწორედ ეს ქალაქები დაიპყრეს და დაანგრიეს გალებმა ძვ. წ. V საუკუნეში.

იმავე დღეს, როცა რომაელებმა ქალაქი ვეი აიღეს, მდინარე პოს დაბლობზე გალებმა დაიპყრეს და დაანგრიეს მდიდარი ეტრუსკული ქალაქი მელბუმი, შემდეგ კი შუა იტალიაშიც შემოიჭრნენ.

ბევრმა ეტრუსკულმა ქალაქმა გალებისაგან თავი ოკროთი დაიხსნა. მაგალითად, ასე მოიქცნენ ქალაქ არეცოს მცხოვრებნი, რომელთაც გულში იმედი ჰქონდათ, იქნებ გალებს მათი უძველესი მტერი — რომი გაენადგურებინათ. კლუზიუმელებს გალებმა მიწები მოსთხოვეს დასასახლებლად, მაგრამ კლუზიუმელებმა უარი შეუთვალეს მოალყე გალებს და სასწრაფოდ ელჩები აფრინეს რომში.

რომის სენატში ელჩებმა განაცხადეს:

— კლუზიუმი უკანასკნელი ზღუდვა რომისკენ მიმავალ გზაზე. იცოდეთ, რომაელნო, ჩვენი დამარცხების და დამონების შემდეგ თქვენი რიგი დადგება!

უკმაოდ მოისმინეს სენატორებმა ეს სიტყვები. ველურ გალებთან ომი არც ისე იოლი საქმე იყო, მაგრამ როგორ შეიძლება უარი უთხრან დაპირებაზე მტრის ურდოებით აღყაშემორტყმულ ქალაქს? ყველა პატივცემულ სენატორს მარკუს ფაბიუსს მიაპყრო შიგნით.

— კლუზიუმელებო! — დაიწყო მარკუს ფაბიუსმა. — თქვენ შევნიშნეთ მტრობა არ გამოგიჩენიათ, როცა ვეის ვეომებოდით. თქვენი მოთხოვნის დასმენას ეთრილშობილებაც ევახსოვს. ამიტომ რომი გაგზავნის ელჩებს გალებთან და მოსთხოვს მათ, თავი დაგანებონ.

იქვე შეარჩიეს გალებთან გასაგზავნი ელჩობა. არჩევანი წილად ხვდა მარკუს ფაბიუსის სამ ვაჟს.

გალების ბელადმა ბრენუსმა რომაელები თავის კარავში მიიღო. კარავი ერთიანად ძვირფასი ხალიჩებითა და იარაღით იყო მორთული. ოქროქცვილი ხმლების ვადებს რომ შეხედეს, ფაბიუსებმა ადვილად გამოიცინეს, რომელი იყო მათ შორის ეტრუსკული, გალების მიერ მოპოვებული ნადავლი.

— რომის სენატისა და რომაელი ხალხის სახელით გიცხადებთ, მეფე ბრენუს, — დაიწყო ეფროსმა ფაბიუსმა, — თავი დაანებო ჩვენს ნევობარ ქალაქს. კლუზიუმელებს შენთვის არაფერი დაუშავებიათ. თუ საჭირო იქნება, ჩვენ იარაღით დავიცავთ ჩვენს მოკავშირეებს. თუმცა გვირჩევენია, უფრო მშვიდობიანად გავიცნოთ ერთმანეთი. მაშ, აირჩიე. ბრენუს! ომი გინდა თუ მშვიდობა.

ბრენუსი წამოხტა. ტუჩებზე ბოროტი ღიმილი აუთამაშდა.

— გინდათ იცოდეთ. რომაელნო, რატომ ვართ ნაწყენი კლუზიუმელებზე? მაშ, ისმინეთ! კლუზიუმს იმდენი მიწა აქვს, რომ იქაურები ვერც კი ამუწავებენ. განა უფრო სასართლიანი არ იქნებოდა. ნედმეტო მიწა ჩემი ხალხისთვის დაეთმოთ? განა თქვენც ასე არ ფიქრობდით. როცა საჯკეთესო მიწები თქვენს მეზობლებს ჰქონდათ დაკავებული? თქვენ მათ ომს უცხადებდით და ამ მიწებს ძალით ართმევდით, ანგრევდით ქალაქებს, მცხოვრებლებს კი იმონებდით. თქვენ ხელმძღვანელობდით კანონით, რითაც ძლიერს უფლებება აქვს სუსტის ქონებას ფლობდეს. თვით ღმერთებიც ხომ ამ კანონის მომხრენი არიან — ძლიერებს მფარველობენ. ამიტომაც გირჩევთ: ნუ დაეხმარებით კლუზიუმელებს. თუ არ გინდათ, რომ ჩვენ თქვენგან განაწყენებულ ქალაქებსა და ხალხებს დავეხმაროთ.

რომაელებმა ცოტა არ იყოს გაკვირვებით მოისმინეს ბრენუსის სიტყვები. მათ უკვე იცოდნენ, რომ გალები ბრძოლის ხელოვნებაზე არა ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ღამაზაღ ლაპარაკს, მაგრამ ასეთ მკვევრმეტყველებას მაინც არ ელოდნენ.

— ის ქალაქები. რომლებსაც შენ გულისხმობ, ბრენუს, გალების მოკავშირენი არასოდეს ყოფილან, — მიუგეს რომაელებმა. — მაშ გეკითხებით. რა უფლების ძალით შემოიღებრი შენ ჩვენი მოკავშირეების მიწა-წყალზე და დაპყრობით ემუქრები? ანდა საერთოდ. რა ესაქმებათ გალებს ეტრუსკიაში?

ბრენუსმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, ხმალი იშიშვლა და შესძახა:

— გადაეცით თქვენს სენატს, რომ უფლებას გალური ბასრი ხმლები გვაძლევს. ძლიერებისა და მამაცებისა ამქვეყნად ყველაფერი!

ამ სიტყვებზე დანარჩენმა გალებმაც იშიშვლეს ხმლები, თავიანთ უზარმაზარ ფარებს შემოჰკრეს და საომარი ყიეინა დასცეს.

უხმოდ დატოვეს რომის ელჩებმა გალების ბანაკი და ბრენუსის შეურაცხმყოფელი სიტყვებით აღშფოთებულებმა რომის ნაცვლად ჰირდაპირ კლუზიუმისკენ გასწიეს. მათ კლუზიუმელებს ისე აუწყარეს ყველაფერი, რომ ბრძოლის წყურვილით ანთებული კლუზიუმელების ერთი ჯგუფი მაშინვე გაიქრა ალყაშემორტყმული ქალაქიდან. ელჩებიც მათ გვერდით იბრძოდნენ წინა რიგებში. კვინტუს ფაბიუსმა ყველაზე მოსული და კარგად შეიარაღებული გალი შეარჩია და მისკენ გაექანა. ხელჩართულ ბრძოლაში კაცი ვერ გაარჩივდა. რამელი იყო რომაელი და რომელი — ეტრუსკი. მაგრამ როცა გამარჯვებულმა კვინტუსმა მოკლულს იარაღის აყრა დაუწყო, ბრენუსმა იცნო რომის ელჩი. ყოველი ხალხისთვის ცნობილი იყო ერთი კანონი — ელჩებს ბრძოლაში მონაწილეობა ეკრძალებოდათ. მაგრამ ამ კანონითვე აკრძალული იყო ელჩის მოკვლა. ბრენუსმა ბრძოლა შეწყვიტა და თავის მემორებს უკან დახვევა უბრძანა. იმ დღესვე მან რომში კაცი აფრინა მოკლე, მაგრამ ნათელი მოთხოვნით: ან ელჩები გადმომეცით, ან არა და, ომს გიცხადებთო. დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ რომის სენატმა ბრენუსს მოთხოვნაზე უარი შეუთვალა, იმიზეზებდა, ელჩებს ქალაქში პასუხსაგები თანამდებობანი უკავიათ და ვადის გასვლამდე მათი შეცვლა არ შეიძლებაო.

ბრენუსის მოთმინების ფილა აევსო. კლუზიუმს ალყა მოხსნა და თავისი უზარმაზარი არმია სამხრეთისკენ, რომისაკენ დასძრა. გზად გალებს ეტრურიაზე უნდა გაევილით. სოფლები აყრილიყვნენ, თან მიჰქონდათ ყველაფერი, რისი წაღებაც კი შეიძლებოდა და ქალაქებისკენ გარბოდნენ თავის შესაფარებლად. ეტრუსკები ომისთვის ემზადებოდნენ. მაგრამ გალები მათ სამზადისს ყურადღებასაც არ აქცევდნენ, შეუჩერებლად მიდიოდნენ და მიდიოდნენ სამხრეთისაკენ. ზოგჯერ შეძახილებით ანდა ხელებით აგებინებდნენ ეტრუსკებს, ნუ გეშინიათ, თქვენთან არაფერი გვესაქმება, რომთან სომრად მივიღივართო.

ერთ დაბლობზე, სადაც პატარა მდინარე ალია მღვრიე ტიბრს უერთდება. გალებს რომის ჯარი დახვდა. რომაელი მხედართმთაგრები დარწმუნებულნი იყვნენ, ველურებს ადვილად დავამარცხებთო, და ბანაკის მოწყობა არც უფიქრიათ, წარუმატებლობის შემთხვევაში რომ თავი შეეფარებინათ. მაგრამ გალებმა ერთი ისეთი

შეუტეგს, რომაელები სულ თავქუდმოგლეჯილნი გაიქცნენ. ათასობით მეომარი დაიღუპა მდინარეზე გადასვლის დროს. ძალიან ცოტამ თუ შეძლო, თავი შეეფარებინა უკაცრიელი ვეისათვის. რომაელებს ეჩვენებოდათ, რომ ღმერთები სამაგიეროს უხდიდნენ ვეის დანგრევისა და მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურებისათვის. „აღიას დღე“ — ძვ. წ. 390 წლის 18 ივლისი — მრავალი წლის შემდეგაც სამგლოვიარო და საერთო სახალხო უბედურების დღედ იყო მიჩნეული რომში.

სამი დღის შემდეგ გალები რომში შეიჭრნენ და კალისავით მოედნენ მის ქუჩებსა და მოედნებს. არავის და არაფერს არ ინდობდნენ, ყველგან სიკვდილსა და განადგურებას თესავდნენ. ცეცხლი დათარეშობდა ტაძრებს. ტყაცუნით ინგრეოდა დამწვარი შენობები და ამ ხმას ქალებისა და ბავშვების გოდება უერთდებოდა.

უიარაღო რომაელთა ერთი ჯგუფი მეზობელ ლათინურ და ეტრუსკულ ქალაქებს მოედო და იქ ჰპოვა თავშესაფარი და ლუქმაპური. რამდენიმე ათასმა მამაცმა მეომარმა კი კაპიტოლიუმის ბორცვს შეაფარა თავი. ეს ადგილი კარგად იყო გამაგრებული არა მარტო ეტრუსკ მშენებელთა წყალობით. არამედ ბუნებრივად. მაგრამ მალე ისინიც იძულებულნი გახდნენ, გალებისთვის გამოსასყიდი მიეცათ.

გალების შემოსევას სერიოზული ზიანი არ მიუყენებია ეტრუსკთა ქალაქებისთვის, რომლებიც მალალ ბორცვებზე იყო გაშენებული და ძლიერი კედლებით გამაგრებული. გალებმა, რომლებსაც კატაპულტები და ტარანები არ გააჩნდათ. ვერ შეძლეს ამ ქალაქების აღება, ისევე როგორც მათ ვერაფერი დააკლეს რომის კაპიტოლიუმს. მაგრამ ძალიან დაზარალდა ეტრუსკთა მიწათმოქმედება და ვაჭრობა. იმდენად დაზარალდა, რომ შემდგომ ეტრუსკები ოქროს აღარ იშურებდნენ გალების მოთხოვნის შესასრულებლად. ოღონდაც თარეში თავიდან აეცილებინათ. გალების თავდასხმის საშიშროებამ სულ სხვაგვარად დასვა რომთან ურთიერთობის საკითხიც. გალების მიერ რომის აღების შემდეგ ის მოჩვენებითი კავშირიც დაირღვა, რაც ეტრუსკულ სახელმწიფოებს შორის არსებობდა. ზოგიერთ ქალაქს გალებთან კავშირის გამოყენება უნდოდა რომაელთა წინააღმდეგ საბრძოლველად, სხვანი პირიქით — რომთან შეკავშირებას ცდილობდნენ.



უკანასკნელი ლურსმანი

ეს აჯანყება ვოლსინიში მოხდა, ბოლსენის ტბასთან ახლოს. ვოლსინი თორმეტი ეტრუსკული სახელმწიფოს კავშირის რელიგიური და პოლიტიკური ცენტრი იყო. აქ, ეტრუსკთა უმთავრესი ღვთაების — ვოლტუმნას ტაძარში თათბირობდნენ ხოლმე ეტრუსკული სახელმწიფოების წარმომადგენლები. ვოლსინიშივე იყო ქალღმერთ ნორციას ტაძარი, რომლის კედელში წელიწადში ერთხელ ლურსმანს აკედებდნენ ხოლმე და ამით სიმბოლიურად აღნიშნავდნენ ჟამთა სვლასა და ბედისწერისგან მოყენებულ დარტყმებს. ისტორიკოსები ამ ლურსმანების მიხედვით ითვლიდნენ განვლილ წლებს.

ძვ. წ. 265 წელს ნორციას ტაძრის კედელში უკანასკნელი ლურსმანი ჩააქედეს. ამ წელს აჯანყდნენ მონები. ჩვეულებრივ. ამგვარ აჯანყებებს მონათმფლობელნი აქრობდნენ ხოლმე, მაგრამ ამჯერად მონებმა გამარჯვებას მიაღწიეს და ძალაუფლება ხელთ იგდეს. მათ აკრძალეს თავისუფალ მოქალაქეთა შეკრება-დღესასწაულები, სენატის წევრებიც გახდნენ და დიდგვაროვან ქალიშვილებსაც ირთავდნენ ცოლად. შეცვალეს მემკვიდრეობის უფლება და. როგორც ჩანს, მიწებიც გადაუნაწილებიათ. მაგრამ არც ერთი მწერალი, ვინც ჩვენ ამ ამბებს გვაშენობს, არ ამბობს, მონებმა თავიანთი ბატონები დახოცესო. მარტო იმას აღნიშნავენ, რომ დაუმორჩილებიათ ისინი.

ვოლსინიელმა დიდგვაროვნებმა შვედისათვის რომს მიმართეს და ჩააბარეს კიდევ ქალაქი რომის ჯარს, რომელსაც კონსულები კვინტუს ფაბიუსი და ლუციუს მანილიუსი მეთაურობდნენ. რომაელებმა ქალაქი მიწასთან გაასწორეს, ხოლო ვინც სიკვდილსა და მონობას გადაურჩა, იძულებულნი გახდნენ, სხვა ადგილას გადასახლებულიყვნენ. ასე გაჩნდა ქალაქი ახალი ვოლსინი.

ძვ. წ. 217 წელს ეტრურიაში შემოიჭრა რომისკენ მიმავალი კართაგენელი მხედართმთავარი ჰანიბალი. მდიდარ დიდგვაროვან ეტრუსკებს შეეძლოთ ესარგებლათ ამ ვითარებით და დამოუკიდებლობა დაებრუნებინათ. მაგრამ მათ საკუთარი მონებისა უფრო ემი-

ნოდათ და ამიტომ არჩიეს, ისევე რომის ერთგულნი დარჩენილიყვნენ. მართლაც, მთელი მეორე პუნიკური ომის მანძილზე ისინი მხარში უდგნენ რომს, ყოველნაირად ეხმარებოდნენ რომის არმიას: ცერე ხორბალს უგზავნიდა, პოპულონია — რკინას, ტარკვინი — საიალქნე სელს, ვოლტერა — ფლოტის აღჭურვილობასა და ხორბალს, არეცომ სამი ათასი ფარი, ორმოცდაათი ათასი ხელშუბი და ბევრი სხვა სახის იარაღი მიაწოდა. სწორედ ეს იარაღი იყო, რომაელებმა ასე წარმატებით რომ გამოიყენეს ჰანიბალის წინააღმდეგ ომის დასკვნით ეტაპზე.

მეორე პუნიკური ომის შემდეგ, ძვ. წ. 196 წელს, ეტრურიაში ისევ აჯანყდნენ მონები. ისტორიკოსი გადმოგვცემს: „მონათა შეთქმულებამ ეტრურია მტრულ ბანაკად აქცია“. ამრიგად. უკვე ეტრუსკები კი არა, რომაელთა ეს ოდესღაც ძლიერი მოქიშპენი და მთელს იტალიაში ბატონობის პრეტენდენტები, უქმნიდნენ ახლა რომს საშიშროებას, არამედ მათი მონები. რომიც არ აყოვნებს და ლეგიონს გზავნის პრეტორის მეთაურობით. მალე ეტრურიის გზები ჯვარცმული მონებით აივსო.

ძვ. წ. II საუკუნის 30-იან წლებში ეტრურიაზე გზადგავილ ტიბერიუს გრაკუსს თურმე აქ უამრავი მონა უნახავს. რომელნიც დიდგვაროვანი ეტრუსკების სახნავ-სათესებსა და ვენახებს ამუშავებდნენ, მათი ბატონები კი დროს ქეიფსა და გართობაში ატარებდნენ. საუკუნეთა მანძილზე მონობა იყო ეტრუსკული საზოგადოების სამეურნეო და კულტურული ცხოვრების საფუძველი. ამავე საფუძველმა განაპირობა მისი დაცემა და დაღუპვა..



ქიეზანი და ელმოხენები



ეტრუსკოლოგი სამელო ტახტზე

ვინ იცის, იქნებ ეტრუსკების ისტორიის შემსწავლელი პირველი მეცნიერის გარეგნობასა და ხასიათში (როგორც ჩანასახში ანდა თესლში) უკვე იყო ზოგიერთი ის ნიშან-თვისება. რაც მრავალი წლის შემდეგ გამოაჩნდათ მის მიმდევრებს! ახორებული კაცი იყო კლავდიუსი. თუმცა, განა ცოტა ახირებულია ამ ქვეყანაზე! მაგრამ საქმე ის არის, ყველა არ ხდება იმპერატორი. ხოლო თუ ხდება, იშვიათად რომ მეცნიერებას შესწიროს თავი.

კლავდიუსი ბავშვობიდანვე მეცნიერებით იყო გატაცებული, ამის გამო იგი თეთრი ყორანივით განსხვავდებოდა თავისი თანატოლებისაგან. მას სრულებით არ ხიბლავდა იმპერატორ ავგუსტუსის მხედართმთავართა სახელი და დიდება, რომაულ არწივს ოკეანის ნაპირები და ველური. მეომარი გერმანელებით დასახლებული რაინსგალმა ტყე-ველები რომ აჩვენეს. ხოლო, როცა მისი ამხანაგები მარსის ველზე ანდა ფორუმზე იყვნენ და პარადებზე. ტრიუმფალურ სვლებსა თუ ნადიმებში ატარებდნენ დროს, კლავდიუსი ვრავნილებს უჯდა. ალბათ ამ გამუდმებულმა კითხვამ დაადო სახეზე მიწისფერი, ხოლო ქოკივით წვრილი ფეხები სიარულის დროს ერთმანეთში ეხლართებოდა. მას არც გლადიატორთა ბრძოლები აინტერესებდა. უკვირდათ, რომ მისი სახელით გამართული თამაშობების დროსაც კი ქუდს არ იხდიდა; კაცმა არ იცოდა. გულმავიწყობით მოსდიოდა ეს. თუ გაციებისა ეშინოდა.

თანატოლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ყველაზე მახლობლებსაც კი არ ესმოდათ მისი და დასცინოდნენ. როცა მის დედას ვინმესთვის გონებაჩლუნგობა უნდოდა ესაყვედურებინა, ასე იტყოდა ხოლმე: „ჩემს კლავდიუსზე უფრო სულელიაო“. ბებია ხომ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ბიჭს.

კლავდიუსის ნალაპარაკევიც აბლა-უბლად ეჩვენებოდათ. ვინაიდან, ჩვეულებრივ, იგი სათქმელის დედააზრიდან უხვევდა და ისეთ ტევრში გაეზებოდა, საიდანაც თავის დაღწევა ისევე ძნელი იყო, როგორც ტევტობურგის ტყიდან, თავის ლეგიონებთანად რომ დაილუპა კვინტილიუს ვარუსი. ამიტომაც კლავდიუსს არ ნიშნავდნენ

ისეთ თანამდებობებზე, საჯარო გამოსვლებს რომ საპირობებდა: არ უნდოდათ ბრბოსთვის იმპერატორთა საგვარეულოს დაცინვის საბაზი მიეცათ.

მაგრამ იმ დღეს, როცა სიცოცხლეს გამოასალმეს შმაგი ურჩხული გაიუს კალიგულა, კლავდიუსი შემთხვევით თვალში მოხვდათ გვარდიელებს. იგი ძალით გამოიყვანეს სახლიდან, სადაც იმალებოდა, ტახტრევეანზე დააბრძანეს და თავიანთ ბანაკში წაიყვანეს. ვინც კი ამ დროს კლავდიუსი იხილა, პირველი შემთხვევა იყო, რომ არ დასცინა, ისე საცოდავად გამოიყურებოდა იგი. „მოეშვით ამ კაცს! — დაუძახა ვილაცამ გვარდიელებს. — მას თქვენთვის არაფერი დაუშავებია.“ მაგრამ შეთქმულები კლავდიუსის მოკვლას არც აპირებდნენ. იმიტომ მიჰყავდათ, რომ იმპერატორად გამოეცხადებინათ.

კლავდიუსი რომს ახ. წ. 41-54 წლებში განაგებდა. თავის წინამორბედთა და მემკვიდრეთა მსგავსად, ისიც ომობდა, იხდიდა ტრიუმფებს. როცა ვინმეს დაიმონებდა, აგებდა სასახლეებს, გაჰყავდა წყალსადენები, აწყობდა საციკო თამაშობებს და გლადიატორთა ბრძოლებს, სჭიდა და ასამართლებდა. მაგრამ საქციელი მაინც უცნაური შერჩა. კარისკაცთა აზრით, იგი თავისი მალალი მდგომარეობისათვის შეუფერებლად თავმდაბლად ცხოვრობდა. თანამდებობის პირთა არჩევის დროს სასამართლოზე უბრალო მრჩეველად იყო. მის მიერვე მოწყობილ სანახაობებზე ყოფნისას ისევე დგებოდა ფეხზე და ტაშითა და შეძახილებით ესალმებოდა თანამდებობის პირებს, როგორც უბრალო მაყურებლები. მას არაერთხელ უარი განუცხადებია გადაქარბებულ პატივზე და, საერთოდ, უბრალო მოქალაქესავით ექირა თავი.

ალბათ იგი აღამიანად მაშინ გრძნობდა თავს, როცა თავის გრაგნილებს ჩაუჯდებოდა. ამ გრაგნილებს იგი სადილობისას და აბანოშიც კი არ იშორებდა. შესაძლოა, ამის ბრალი იყო ის გულმავრწყობა, რომელიც ძალზე აოცებდა იმპერატორთან დაახლოებულ პირებს. მაგალითად, მას შემდეგ, რაც ძალად მოაკვლევინეს თავისი მუღლლე მესალინა, კლავდიუსი ვიდრე მაგიდას მიუჯდებოდა, მაინც იკითხავდა, სად არისო ქალბატონი; სიკვდილმისჯილებს კი სათამაშოდ პატივებდა ხოლმე და უკვირდა, როცა ისინი არ მოდიოდნენ.

კლავდიუსს მხოლოდ ისტორია იტაცებდა. მრავალი წელი წერდა იგი რომის ისტორიას დიქტატორ იულიუს კეისრის სიკვდილიდან მოყოლებული მის თანადროულობამდე. ძალიან უნდოდა, საზოგადოებაც გასცნობოდა ამ ნაშრომს და ამიტომ ხმამაღლა აკითხებდა საგანგებო წაშკითხველს.

მაგრამ კლავდიუსს მარტო რომის ისტორია როდი ანტერესებდა, მას აინტერესებდა რომის ძველი მეტოქეების — ეტრუსკებისა და კართაგენის ისტორიაც. ეტრუსკების ისტორია რომ დაეწერა, მან გადაიკითხა ყველაფერი, რაც კი ამ ხალხზე დაეწერათ ბერძნებსა თუ რომაელებს. უკვირდა, რამდენი უვიცობა და მოწაპორია მათ მოთხრობებშიო. აუცილებლად უნდა ნახოს, რა უწერიათ თვით ეტრუსკ ავტორებს. მაგრამ იცოდა კი კლავდიუსმა ეტრუსკული ენა? ამაზე დანამდვილებით არაფერი ვიცით, მაგრამ ზოგიერთი წინიშნებით მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ კლავდიუსისთვის ხელმისაწვდომი ყოფილა ეტრუსკული ენის ძეგლები. სიტყვაში, რომელიც მან წარმოთქვა რომის სენატის წევრებად დიდგვაროვან გალთა მიღების თაობაზე. კლავდიუსს ისეთი დაწვრილებითი ცნობები მოჰყავს, რომელნიც მხოლოდ ეტრუსკული წყაროებიდან უნდა იყოს ამოღებული.

ისიც ცნობილია, რომ ჯერ კიდევ იმპერატორად გახდომამდე კლავდიუსს სამი ასო მოუმატებია ლათინური ანბანისთვის. მათგან ორი — ეტრუსკული ანბანიდანაა აღებული. ხოლო როცა მან ძალაუფლება იგდო ხელთ, ისტორიკოსის თქმით, „არ გასკირვებია დაეკანონებინა ამ ასოების საყოველთაო ხმარება“. ეს ნიშნები შემოინახა წიგნებში, უწყებებსა და შენობათა წარწერებში. მართალია, მაშინდელ წიგნებსა და უწყებებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ კლავდიუსის ხანის მარმარილოს ნაშხვრეებზე თუ ბრინჯაოს ფილებზე ჩვენ მართლაც ვნახულობთ ისეთ ასოებს. რომელთაც კლავდიუსამდე არ ხმარობდნენ. მაშასადამე, კლავდიუსს სცოდნია ეტრუსკული ენა და კითხულობდა კიდევ ეტრუსკულ დოკუმენტებს.

შესაძლოა, ეტრუსკული სიძველეებისადმი ინტერესი კლავდიუსს ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში გაეღვიძა თავის მასწავლებელთა გავლენით. მოგვიანებით კი ეს ინტერესი კიდევ უფრო უნდა განემტკიცებინა მის პირველ ცოლს პლავცია ურგულანილას, რომელიც ძველ ეტრუსკულ საგვარეულოს ეკუთვნოდა.

კლავდიუსის მიერ დაწერილი ეტრუსკების ისტორია ოცი წიგნისგან შედგებოდა. არ იფიქროთ, თითქოს თითოეული ეს წიგნი დიდი მოცულობისა იყო. ძველებური წიგნი ფაქტიურად ერთ დიდ თავს არ აკარბებდა. რაც შეეხება კართაგენის ისტორიას, რომელიც მისი თანამედროვეებისთვის ბევრად უკეთ იყო ცნობილი, ვიდრე ეტრუსკების ისტორია, კლავდიუსმა რვა წიგნში გადმოსცა. ორივე ეს ისტორია ბერძნულადაა დაწერილი. კლავდიუსმა ბრძანა, იგი ხმაალლა წაეკითხათ ცნობილ ალექსანდრიულ მუსეიონში. აქ იყო

ბერძნული სამკაროს სამეცნიერო ცენტრი (აქედან წარმოსდგება დღევანდელი „მუზეუმი“). დაწესებულ დღეებში სხვადასხვა წამკითხველები პუსეიონის ერთ შენობაში ეტრუსკების ისტორიას კითხულობდნენ, ხოლო მეორეში — კართაგენის ისტორიას.

ვფიქრობთ, ამას ვერც ახირებად ჩაუთვლით კლავდიუსს და ვერც უსაზღვრო პატივმოყვარეობად. პოლიტიკაში იგი ცდილობდა „ბარბაროსების“ დიდგვაროვანთა ფენას დაპყრდნობოდა. ამიტომ შეიყვანა მან რომის სენატში დიდგვაროვანი გალები. ამასთან დაკავშირებით წარმოთქმულ სიტყვაში კლავდიუსს მაგალითები მოუყვანია ეტრუსკების ისტორიიდან, უფრო სწორად, რომისა და ეტრუსკების ურთიერთობის ისტორიიდან. ოდესღაცო, — უთქვამს კლავდიუსს, — ეტრუსკები რომის უბოროტესი მტრები იყვნენ, ახლა კი ისინი რომის ისეთივე მოქალაქენი არიან, როგორც მათი ადრინდელი მოწინააღმდეგენი — რომაელები.

ძველი რომაული საგვარეულოს შთამომავლები თავს შეურაცხყოფილად თვლიდნენ გალების სენატში შეყვანით, სულ ახლახან ტოგების ნაცვლად შარვლებს რომ ატარებდნენ. დასცინოდნენ იმპერატორსაც. ალბათ, კლავდიუსისადმი ასეთი დამოკიდებულება შეიქნა ერთ-ერთი მიზეზი მისი ისტორიული შრომების დაკარგვისა. ეტრუსკთა ისტორიიდან, ოც წიგნს რომ ითვლიდა. დღემდე ერთ სტრიქონსაც არ მოუღწევია.



ეტრუსკოლოგიის განთიადზე

მრავალმა წელმა განვლო კლავდიუსის მმართველობიდან. რომის იმპერია დაეცა და მის ნანგრევებზე შუა საუკუნეობრივი სასელენწიფოები წარმოიქმნა. რომში დამკვიდრდა კათოლიკური ეკლესიის მეთაური — პაპი. არათუ ეტრუსკული ენა, თვით ამ სალხის სახელიც კი თითქოს დაეიწყებას მიეცა. პაპის სასახლის კოშკთან ახლოს, კვარცხლბეკზე მდგარი ბრინჯაოს ძე მგელი არაუერს შიანიშნებდა გამგლელოთ გარდასულ დროზე. ეკვდაც კი აღარავინ იცოდა. რომ ეს ქანდაკება ეტრუსკი ოსტატების მიერ იყო ჩამოსხმული და

რომაელებმა აღმართეს კაპიტოლიუმის ბორცვზე ძუ მგლის მიერ ტყუპ-ძმების გამოკვების სამახსოვროდ.

ახსოვდათ სულ სხვა რამ, სახელდობრ ის, რომ ბაზრობათა დროს ამ ადგილას სასამართლო იმართებოდა და განაჩენი გამოჰქონდათ. ჯალათს ხელში ნაჯახი ეჭირა და ბოლთას სცემდა. ფიკარნაგის ირგვლივ თავმოყრილ ბრბოში შებოჭილ დამნაშავეებს—ტყუარდებსა და ფაჩალებს გამოატარებდნენ ხოლმე, მოკვეთილ მკლავებს კი ქუ მგლის ფეხებთან აწყობდნენ. თითქოს ამით ადასტურებდნენ: „ადამიანი ადამიანისათვის მგელია“. ერთმა შუა საუკუნეების მხატვარმა გამოსახა კიდევ ძუ მგელი აქეთ-იქით შემოწყობილი მოკვეთილი მკლავებით.

XIV—XVI საუკუნეებში ის ტერიტორია, სადაც ოდესღაც ეტრუსკული კულტურა ყვაოდა, აღორძინების ხანის კულტურის აყვანად იქცა. ტოსკანელები იყვნენ წარმომობით უდიდესი მხატვრები, მოქანდაკეები, სწავლულები. გავიხსენოთ დონატელო, ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო. ამავე პერიოდში, პირველად მრავალი საუკუნის შემდეგ, იღვიძებს ინტერესი არა მარტო ბერძნებისა და რომაელებისადმი, ტოსკანის უძველესი მოსახლეობის — ეტრუსკებისადმიც.

ერ კიდევ XIV-XV საუკუნეებში იყო ცნობილი რამდენიმე ეტრუსკული სამარხი. იმდროინდელი მწერალი სიგინზმუნდ ტიცუსი თავის ქრონიკაში ამბობს, რომ XV საუკუნის მიწურულში, რომის პაპის — ალექსანდრე ბორჯიას დროს, ბევრი მოყვარული საკუთარი რისკით აწარმოებდა გათხრებს და პოულობდა კიდევ მარმარილოს კოლონებსა და სინგურით შეღებილ ქანდაკებებს ეტრუსკული წარწერებით. ტიცუსს მოჰყავს სხვადასხვა ქალაქებში ნაპოვნ წარწერათა ტექსტებიც. ერთ-ერთ სამარხს, რომელიც დღეს „მულას“ სახელითაა ცნობილი, ასეთი წარწერა აქვს: „1494“. იგი ვიღაც უცნობ დამთვალიერებელს ეკუთვნის. ეტყობა, მაშინაც იყო გავრცელებული ცედი ჩევეა. „უკვდავეოფის“ მიზნით სახელს რომ წააწერენ ზოლზე სიძველეებსე.

ნაკრამ მაშინაც იყვნენ აღამიანები. ისტორიულ ძეგლებს რომ იცავდნენ განადგურებისაგან. ასე მაგალითად, XV საუკუნის ბოლოს რომის პაპმა ინოკენტ VIII-მ კაცი გაგზავნა კორნეტოში (ძველი ტარკინია) ახლად აღმოჩენილი მარმარილოს სამარხის წესასწავლად: თურმე ამბავს, რომამდეც მიედწია. კორნეტოს მცხოვრებნი უანახშიანი იყვნენ, პაპის წარგზავნილისთვის სამარხიც ეჩვენებინათ და ნაპოვნი ნივთებიც დაებრუნებინათ, რათა ძეგლი თავდაპირველი

სახით აღედგინათ, მაგრამ ქალაქის ხელისუფლებამ განაცხადა, სამარხში ოქროს უმნიშვნელო რაოდენობის გარდა არაფერი გვიპოვია და ისიც ქალაქის სიმაგრეთა შესაკეთებლად მოვიხმარეთო. ასე რომ, პაპის წარგზავნილი რომში ხელცარიელი დაბრუნდა. ორასი წლის შემდეგ იგივე სამარხი მოინახულა ინგლისელმა ჯიმს ბაირესმა და კედლებიდან ნახატების ასლები გადმოიღო.

ალორძინების ხანის მოღვაწეთა შემოქმედებაში აშკარად იგრძნობა ეტრუსკული კულტურის ძეგლების გავლენა. ასე მაგალითად, დონატელოს წმინდა გიორგის თავი გასაოცრად მოგვაგონებს ერთი ეტრუსკული სამარხის კედელზე გამოხატული ბიჰის თავს. მიქელანჯელოსაც აქვს ნახატი, რომელზეც კაცია გამოსახული მჯლის სკალპის მსგავსი თავსამკაულთ. ისიც აღებულია ერთ-ერთი ეტრუსკული ფრესკიდან. რომელზეც ქვესკნელის მეუფე ჰადესი იყო გამოსახული. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეტრუსკული სამარხების ფრესკებმა, რომლებზეც ასახულია, თუ როგორ მიჰყავთ გარდაცვლილთა სულები მიწისქვეშა სამეფოში და როგორ სჯიან მათ იქ, შთააგონა იტალიის უდიდესი პოეტი დანტე, შეექმნა ჯოჯოხეთის საშინელი სცენები.

ეტრუსკული სამარხების არსებობა იცოდნენ არა მარტო ტოსკანელებმა, იტალიის მეზობელი ქვეყნების განათლებულმა ადამიანებმაც. დიდი ფრანგი ჰუმანისტი მწერლის ფრანსუა რაბლეს რომანში „გარგანტუა და პანტაგრუელი“ ნახსენებია ეტრუსკული სამარხი, რომელიც თითქოსდა მწერლის მშობლიური ქალაქის მიდამოებში აღმოჩნდა გათხრების დროს. რაბლე ახსენებს აგრეთვე თასს, რომელსაც ამშვენებდა წარწერა „ეტრუსკული ასოებით“.

ალორძინების ეპოქაში ხშირად არ ესმოდათ ეტრუსკული კულტურის ძეგლების მნიშვნელობა. მაგალითად, ტარკვინიაში მიკვლეული სამარხი სასახლე ეგონათ. ფაქტსა და ლეგენდას ერთმანეთისგან არ ანსხვავებდნენ და ისეთი ამბების ნივთობრივ კვალს, რაც არასოდეს არ მომხდარა, რომშიაც კი ეძიებდნენ.

ეტრუსკული ძეგლების ახსნის პირველი ცდა ეკუთვნის იტალიელ ანიო ვიტერბოელს. 1498 წელს ანიომ დაასრულა თავისი ნაშრომი - ჩვიდმეტი გრაგნილი სხვადასხვა სიძველეებზე“. მან ძველი ავტორების თხზულებებიდან ამოკრიბა ყველაფერი, რაც კი იტალიელ ტომებს. მათ შორის, ეტრუსკებსაც შეეხებოდა და სცადა, ძველი მწერლების მონაცემები ეტრუსკული წარწერების ცნობებით შეეესო.

მაგრამ თანამედროვეთა შორის ანიო ცუდი რეპუტაციით სარ-

გებლობდა. მას სიყალბეს აბრალებდნენ. ეგონათ, რომ თავის მშობლიური ქალაქის განდიდების მიზნით იგი ყალბ წარწერებს აკეთებდა, — ებრაულ სიტყვებს ეტრუსკული ასოებით წერდა. ანდა, ჯერ ვითომ ჩამარხავდა ქვებს მიწაში და მერე ხელახლა პოულობდა. მაგრამ არც ისე დიდი ხნის წინ ეტრუსკოლოგებმა მუზეუმებში დაცულ უდავო ეტრუსკულ წარწერებს შორის ისეთებიც იპოვეს, რომლებიც პირველად ანიომ გამოაქვეყნა. ასე რომ, ანიოს უსამართლოდ აბრალებდნენ სიყალბეს.

ანიოს სიკვდილის შემდეგ მალე კიდევ ბევრი ეტრუსკული ძეგლი აღმოაჩინეს. 1534 წელს შემთხვევით აღმოაჩინეს ქალღმერთ მინერვას ბრწყინვალე პატარა ქანდაკება. ქალის ფიგურა მთელი ტანითაა მოცემული, მარცხენა ხელს წამოსასხამის ნაოქები უფარავს, ხოლო შიშველი მარჯვენა ხელი წინ გაუწვდია. თავზე მუზარადი ახურავს, რომელზეც დაკლავნილი წმინდა გველია გამოსახული.

1553 წელს ძველ ეტრუსკულ ქალაქ არეცოში იპოვეს ქიმერას ბრინჯაოს ფიგურა. ეს არის ფანტასტიკური მხეცი, რომელშიც შერწყმულია მგლის მძინეარება, თხის სიჯიუტე და გახლებული გველის ავგულობა. ამ უკანასკნელისგან მხოლოდ კუდის ნაწილი იყო დარჩენილი. ქიმერას ქანდაკება აღადგინა იმ დროის სახელგანთქმულმა მხატვარმა ბენვენუტო ჩელინიმ. აღორძინების ხანაში ბევრი ასეთი დაზიანებული ქანდაკება აღადგინეს, ვინაიდან მართებულად არ თვლიდნენ უხელო, უცხვირო, უყურო ქანდაკების არსებობას. მოქანდაკენი უკეთებდნენ მათ ხელებს, ცხვირს, ყურებს და თავსაც კი.

ქიმერის ქანდაკებას ფაფარზე მოოქვრის კვალი აჩნდა, თვალების ადგილას კი ძვირფასი ქვები ჰქონია ჩასმული. მარჯვენა ფეხზე მხეცს ჰქონდა წარწერა, რომლის წაკითხვა მხოლოდ ჩვენს დროში შეძლეს.

1566 წელს ეტრუსკული ქალაქის პერუზიის მახლობლად მდებარე პილას მიდამოებში აღმოაჩინეს ბრინჯაოს ქანდაკება — ტოგან მამაკაცს მარჯვენა ხელი მაღლა აუწევია. ქანდაკებას „ორატორი“ შეარქვეს. ახლა იგი ფლორენციის მუზეუმში ინახება. ტოგას არშიაზე მოთავსებულია გრძელი ეტრუსკული წარწერა, საიდანაც ვგებულობთ, რომ ქანდაკება გამოსახავს ველ მეტელას და ვესიას შვილს ავლუსს. წარწერა დიდი ხანი არაა, რაც წაკითხვის, მაგრამ მის ეტრუსკულ წარმოშობაში მეცნიერებს უკვე XVI საუკუნიდან არ ეპარებოდათ ეჭვი.

ეტრუსკული ძეგლები — წარწერები, ქანდაკებები. ლარნაკები, სარკოფაგები, სამკაულები საფუძვლად დაედო ახალი მეცნიერების — ეტრუსკოლოგიის პირველ წარმატებებს.



დაუდგრომელი შოტლანდიელი

ხშირად მეცნიერებს არაამქვეყნიურ ადამიანებად წარმოიდგენენ ხოლმე, ადამიანებად, ერთიანად კვლევა-ძიებებში რომ არიან ჩაფლულნი და აღარც დროს ამჩნევენ და აღარც წარმავალ მიწიერ სიხარულს. მაგრამ ამგვარ შეხედულებას ეწინააღმდეგება აღორძინების ეპოქის გამოჩენილ ინგლისელ მეცნიერთა ბიოგრაფიები. ამ ადამიანთა ცხოვრება მძაფრი ბრძოლა იყო, რომელიც ძალთა უზარმაზარ დაძაბვას მოითხოვდა. ისინი კარგად იყვნენ გათვითცნობიერებულნი არა მარტო ლათინურ და ბერძნულ ტექსტებში, პოლიტიკური ინტრიგის ხელოვნებაშიც. მარჯველ უქცევდნენ გეერდს თავიანთი ეპოქის წყალქვეშა კლდეებს და ისევე კარგად ფლობდნენ დაშნას, როგორც კალამს. ესენი ავანტიურისტული სულის ადამიანები იყვნენ. ტყუილად როდი იყვნენ ინგლისის ფლოტის დამაარსებლის, მამაცი მეკობრის ფრენსის დრეიკისა და შოტლანდიის უმბედური დედოფლის მარიამ სტიუარტის თანამედროვენი. ბევრ რამეს ეჭიდებოდნენ და ხშირადაც უმართლებდათ. ისინი პოეტებიც იყვნენ და პროზაიკოსებიც, მხედართმთავრებიც და დიპლომატებიც, ბუნების მკვლევარიც და დრამატურგებიც. ესენი შექსპირის ეპოქის ადამიანები იყვნენ, სიცოცხლეს მოწყურებული, გამბედავი, მეცნიერულ ძიებებსა თუ ტყობა-სიამისთვის ერთნაირად დაუდგრომელი ადამიანები.

სწორედ ასეთი იყო თომას დემპსტერიც. ეტრუსკოლოგიის მამა, შოტლანდიელი ბარონი, მრავალი აკადემიისა თუ უნივერსიტეტის პროფესორი. დაიბადა იგი 1579 წლის 23 აგვისტოს კლიტბოგში (აბერდინშირი), ხოლო გარდაიცვალა 1625 წლის 6 სექტემბერს იტალიის ქალაქ ბოლონიაში.

„ორ ვერონელში“ შექსპირის ერთ-ერთი პერსონაჟი გვიამბობს ამაზე, თუ მამანი როგორ...

„გზავნიან შეილებს სახელისა და დიდებისათვის,
ზოგნი—ბრძოლაში, რომ განსცადოს თავის ფორტუნა,
ზოგნი—ზღვის წიაღ, ახალ მიწის აღმოსაჩენად,
ზოგნი კი — ეოდნის მისაღებად სიბრძნის ტაძარში.“*

* ლექსი თარგმნა ა. ვაფრინდაშვილმა.

თომასის მამამ, ბარონმა მურეცკიმ ოცდაცხრიდან რიგით ოცდამეოთხე უწილი უნივერსიტეტში სასწავლებლად გაგზავნა. ეს უნივერსიტეტი ინგლისის პატარა ქალაქ კემბრიჯში მდებარეობდა და არა მარტო უძველესი, საუკეთესოც იყო. უნივერსიტეტში სწავლის მთელა ხნის მანძილზე დემსტერის მოძღვარი იყო გამოჩენილი ჰოლანდიელი სწავლული იუსტ ლიმპსიუსი, რომელი მწერლების ზრუნვითა და მცოდნე, ძველი სამყაროს ყოფისა თუ კულტურის სხვადასხვა საკითხზე რიგი ნაშრომების ავტორი. სხვა სტუდენტების მსგავსად, დემსტერიც სწავლობდა ლათინურსა და ძველ ბერძნულს, გაძლიერდა დისპუტებზე, მონაწილეობდა სტუდენტურ სპექტაკლებში.

მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგები ცდილობდნენ, თავიანთ აღსაზრდელებს მხოლოდ წმინდა მეცნიერებაზე ეფიქრათ, დაძმული პოლიტიკური ცხოვრებით სავსე თანადროულობა მაინც იკრებოდა აღსაზრდელთა აუდიტორიებსა თუ საძინებელ ოთახებში. რვა წლისა იყო თომას დემსტერი. როცა ჯალათის კუნძუზე მარიამ სტიუარტის თავი დაგორდა. შოტლანდიის დედოფლის თანამემამულე და თანამოაზრე დემსტერი ყოველთვის თანაუგრძნობდა მას და შემდგომ. როცა უკვე საზღვარგარეთ იმყოფებოდა, არა ერთი სატირა გამოაქვეყნა მარიამ სტიუარტის მოწინააღმდეგის და მკვლელის, ინგლისის დედოფალ ელისაბედის წინააღმდეგ.

დამოუკიდებელი მოღვაწეობა დემსტერმა დაიწყო პოლონეთის ქალაქ ტორუნში, რომელიც განთქმული იყო თავისი აკადემიით (იმ დროს ზოგჯერ ასედაც უწოდებდნენ უმაღლეს სასწავლებელს) და იმითაც, რომ სწორედ აქ დაიბადა შესანიშნავი ასტრონომი და მოაზროვნე ნიკოლოზ კოპერნიკი.

ტორუნში დემსტერმა მხოლოდ ერთი წელი დაჰყო. თექვსმეტი წლისა იგი უკვე იურისპრუდენციის დოქტორად აღიარა პარიზის უნივერსიტეტმა.

პარიზი, სადაც ახალგაზრდა მეცნიერმა საკმაო ხანი დაჰყო, იმ დროს განათლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა იყო. უკვე XVI საუკუნეში გაიფურჩქნა ფრანგული ფილოლოგია. არა მხოლოდ იტალიელები, ფრანგებიც თავიანთ თავს ძველ რომაელთა შთამომავლებად, მათი ლიტერატურის მემკვიდრეებად თვლიდნენ.

დემსტერის პედაგოგად ყოფნის დროს აქ, პარიზის უნივერსიტეტში, ყველაზე გავლენიან მეცნიერად ითვლებოდა ჟოზეფ ჟიუსტ სკალიგერი (1540-1609), რომელიც, მართალია, პედაგოგიურ მოღვაწეობას არ ეწეოდა, მაგრამ თავისი დროის არც ერთ მნიშვნელოვან

მეცნიერულ ღონისძიებას უყურადღებოდ არ ტოვებდა და მიმოწე-
რა ჰქონდა სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებთან. სკალიგერიც ისეთივე
უცილობელი ავტორიტეტით სარგებლობდა, როგორითაც ადრე
ერაზმ როტერდამელი. იგი თავისი დროის უდავოდ დიდი მეცნიერი
იყო. ჯერ კიდევ სიცოცხლეში ადარებდნენ მას არწივს, ღრუბლებში
რომ ლივლივებს, აგრეთვე თავისი საუკუნის ერთადერთ მანათობელ
ჩირადღანს. სკალიგერი ძალიან ბევრს მოგზაურობდა და ამ მოგზა-
ურობათა დროს ბევრი წარწერა შეაგროვა, მათ შორის ბერძნუ-
ლიც.

იმხანად ქვეყნდებოდა ანტიკურ ავტორთა ბევრი ნაწარმოები.
პირველად გახდა შესაძლებელი, სერიოზულად მოეკიდათ ხელი ძვე-
ლი ბერძნების, რომაელების და სხვა უძველეს ხალხთა ისტორიის
შესწავლისათვის. დემპსტერიმა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლი-
ტერატურის სხვადასხვა სფეროში სცადა თავისი ძალა. იგი ლექსებ-
სა და პანეგირიკებს უთხზავდა ამა ქვეყნის ძლიერთ, მათ შორის
პაპებს კლემენტ VII-სა და პავლე V-ს. წერდა ტრაგედიებსაც ანტი-
კური და მისი თანამედროვე ისტორიის თემებზე — „სტილიქონი“,
„მაქსიმილიანი“, „შოტლანდიის მეფე იაკობ I“, „წერილების ოთხი
წიგნი პაპების, ყველა ქვეყნის მეფეების, კარდინალების, თავადე-
ბისა და სწავლულებისადმი ადრესატთა პასუხებით“, „ფიქრები“,
„მსჯელობანი ყველა დროსა და ხალხზე“. „პოლიტიკური თხზულე-
ბა, მიძღვნილი პოლონეთის ჰერცოგ ალექსანდრე რაჰივილისადმი“,
„ცხოველთა საბუნებისმეტყველო ისტორია“, „ათი წიგნი რომის-
სიძველეებზე“, „კლავდიანიუსის, სტაციუსის და ელიანიუსის თხზუ-
ლებათა კომენტარები“, „შოტლანდიის ისტორია ცხრამეტ წიგ-
ნად“.

თომას დემპსტერს ერთ ადგილას დიდხანს გაჩერება არ უყვარ-
და, ბუნებითაც უემური ადამიანი იყო. საკმარისი იყო, ვინმეს არა-
თუ შეურაცხმყოფელი სიტყვა ეთქვა, ალმაცერად შეეხედა, რომ მა-
შინვე დაშნაზე გაველო ხელი. ერთსა და იმავე დროს იგი ძალიანაც
უყვარდათ და საშინლადაც სძულდათ. მტრებიც კი აღიარებდნენ,
რომ თომას დემპსტერი, საუკეთესო ლექტორი და სწავლული, არა
შარტო ფენომენალური მესხიერებისა და ძალზე ცოცხალი გონების
ადამიანი იყო, მდიდარ წარმოსახვასაც ფლობდა. ასეთი ლექტორი
კი, როგორც წესი, მსმენელთა კერპად იქცევა ხოლმე. მისი აზრთა
ნაკადი ხან დაუდგრომლად მოსჩქეფდა, ხანაც მღორედ მოედინებო-
და და მსმენელები გადაჰყავდა შორს, საუკუნეთა სიღრმეში, ატყ-
ბობდა მათ წარსულის, ძველი წეს-ჩვეულებების შეცნობით.

მრავალი ქალაქი გამოიცვალა დემპსტერმა, ვიდრე პარიზის უნივერსიტეტში იურისპრუდენციის პროფესორი გახდებოდა.

თომას დემპსტერი პირველი შოტლანდიელი როდი იყო, ვინაც ტოსკანა მოინახულა. ათასობით მისმა თანამემამულემ გაკვალა აქეთ გზა, როგორც დაქირავებულებმა და როგორც პრელატებმა. მაგრამ არც ერთი მათგანი არ ყოფილა აღჭურვილი ამ ქვეყნის მდიდარი წარსულის ცოდნით. ტოსკანაში დემპსტერს ვერაფერს გაუწევდა მეტოქეობას ძველ ავტორთა ტექსტების ცოდნაში. ამიტომ არც გასაკვირია, რომ უცხოელი მაშინვე მეცნიერების მოყვარულთა ყურადღების ცენტრში მოექცა. მას იწვევდნენ საერო და სასულიერო ხელისუფალთა საუკეთესო ოჯახებში. დემპსტერიც სიამოვნებით თანხმდებოდა ამ მიწვევებზე, წინაიდან მფარველი ესაჭიროებოდა. მაგრამ ყველაზე მეტად მას ის ხიბლავდა, რომ შესაძლებლობა ეძლეოდა, დამტკბარიყო ხელოვნების ნაწარმოებებით, რომლებითაც მდიდარ სენიორებს თავიანთი სასტუმრო თუ საძინებელი ოთახები ჰქონდათ შემკული.

1616 წელს დემპსტერმა მუშაობა დაიწყო ძველი ეტრურიისადმი მიძღვნილ ნაშრომზე. იგი ამ საქმეს ისე შმაგად შეუდგა, რაც მხოლოდ შეყვარებულებს სჩვევიათ. ბატის ფრთის კალამს მხოლოდ რამდენიმე საათით, დაძინების დროს თუ გაუშვებდა ხელს, მაგრამ თავისი ეტრუსკები ძილშიაც არ ავიწყდებოდა. მის მსახურს, ანტონიოს არა ერთხელ სმენოდა მძინარე სენიორისგან წარმოთქმული უცნაური სახელები: ვერტუმნუს, ფელზინა, ტარქონ. ერთხელ კი დემპსტერს სიტყვა „ცეცინა“ წამოუძახია.

დილით ანტონიომ გაბედა და დემპსტერს უთხრა, ცეცინას სახლი ფლორენციაშია, სან-ლორენცოს ეკლესიის მახლობლად, და თუ ბატონი მოისურვებს, შეუძლია აჩვენოს.

მორიელნაკბენივით წამოხტა დემპსტერი საწოლიდან, სწრაფად გაიძრო ღამის პერანგი და საწოლ ოთახში დაფაცურდა, თან მსახურს გკითხებოდა:

— რა? როგორ სთქვი? ცეცინას სახლი სან-ლორენცოს ეკლესიის ახლოს არისო? ეს შეუძლებელია!

— მე ვყოფილვარ იმ სახლში. სენიორს ეძახიან ავლუს ცეცინას, მის ძმას კი — ბერნარდოს. ძმის სახლი სანტო სპირიტოს ეკლესიასთანაა.

— ცხენები! სასწრაფოდ ცხენები მომგვარეთ! — შეჰყვირა დემპსტერმა.

ანტონიომ მართალი უთხრა. ავლუს ცეცინა მოჩვენება კი არ გა-

მოდგა, არამედ ორმოცდაათი წლის, ღიპიანი, მელოტი სენიორი, რომელსაც გულგრილი გამოხედვა ჰქონდა. უცხოელი მან მიიღო მდიდრულად მორთულ დარბაზში, რომლის კედლები წინაპართა სურათებით იყო შემკული. ანტონიომ თითი გადაუსვა ტყავგადაკრული სავარძლის სახელურს და დემპსტერს აუწყა, რომ სახელი ავლუსი მათ გვარში მემკვიდრეობით გადაეცემა უფროს ვაჟს. ხოლო მის ძმას, რომელსაც მთელი ფლორენცია იცნობს, როგორც ძველი სამართლის მცოდნეს — ბერნარდო ჰქვია — ბერნარდო ცეცინა.

— მომიტევეთ, — შეაწყვეტინა მას მოუთმენელმა სტუმარმა, — ავლუს ცეცინა ციცირონის კლიენტი იყო, ხოლო ამ ცეცინას ვაჟი, ისიც ავლუსი, — სახელგანთქმული ორატორის სიყრმის მემობარი.

— იგი ცეზარს ებრძოდა, პომპეუსის მხარეზე იყო და ამავე დროს შესანიშნავად იცოდა ეტრუსკული მკითხაობა. ჩვენი გვარი ვოლტერადანაა, ხოლო ჩემი წინაპრები ამ ეტრუსკული ქალაქის მეფეები იყვნენ.

დემპსტერი ხმას არ იღებდა, თითქოს ენა ჩაუფარდა. აი, მის წინ ზის ადამიანი, რომელიც ძველ ეტრუსკულ საგვარეულოს ეკუთვნის. საგვარეულოს, რომელიც ორი ათას ხუთას წელიწადს ითვლის. მას ამაში ეჭვი აღარ ეპარება. დემპსტერს ახლა სულაც არ გაუკვირდებოდა, უცებ რომელიმე სენიორი რომ გამოცხადებოდა და თავი ტარკვინიუსად ანდა პორსენად გაეცნო. და თუმცა ამ მხარის მცხოვრებთ არ შემოუნახავთ თავიანთი წინაპრების სახელები, ძველ ჩვეულებებს, ხასიათის ამა თუ იმ ნიშანს და გარეგნობას ხომ მაინც შემოინახავდნენ. დემპსტერი ყურადღებით აკვირდებოდა თავის ირვლივ ყველაფერს და ნახულობდა კიდევ იმას, რაც აინტერესებდა. ეკლესიებში დასაფლავებულ დიდგვაროვან მოქალაქეთა სამარხები გასაოცრად ჩამოჰგავდა ძველ ეტრუსკულ სარკოფაგებს. რა არის ეს — ეტრუსკული ძეგლისადმი მიბაძვა თუ თაობიდან თაობაზე გადაცემული ტრადიცია? ერთი მღვდელი, აღსარებას რომ ღებულობდა, მან ძველ ჰარუსპექსს, ცხოველთა შიგნეულობაზე მკითხავეს მიამსგავსა. ცხადია, მას შემდეგ ძალიან დიდი დროა გასული. ვინ არ ყოფილა ამ ტოსკანაში: კართაგენელები, რომაელები, გუთები, ლანგობარდები! ღმერთებიც იცვლებოდა და რელიგიაც. მაგრამ დრომ ვერ წარხოცა ძველი ადათ-ჩვეულებანი, ისევე როგორც ვერაფერი დააკლო ეტრუსკების ქვის სამარხებს.

ეტრუსკებზე წიგნი რომ დაეწერა, დემპსტერს უნდა შეეკრიბა ყველაფერი, რაც კი ბერძენ და რომაელ ავტორებს დაეწერათ, უნდა ენახა ასობით წიგნი თუ ხელნაწერი. მაგრამ ეს მხოლოდ საქმის ნა-

წილი იყო. უნდა გამოეყენებინა ყველა წარწერა, სადაც კი ეტრუსკები იყო ნახსენები.

პირველი წიგნის წინასიტყვაობაში დემპსტერი ხოტბას ასხამს თვით ქვეყანას, რომელმაც მას — უცხოელს მთელი თავისი სიმდიდრე გადაუშალა — მრავალრიცხოვანი ნავსადგურები, ბაღები და დაბურული წარაფებით დაფარული გორაკები, ნაყოფიერი ველები, ნოყიერი ქალები, ხალხმრავალი ქალაქები. სადაც ცხოვრობდნენ ხელმარჩვე ხელოსნები, იღვნენ ძლიერი, მიუდგომელი ციხესიმაგრეები.

დემპსტერი თავს მოვალედ თვლის, შეაქოს ეტრუსკების მაშინდელი ხელისუფალნიც. რომელნიც გამოირჩევიან განათლებითა და რწმენისადმი ერთგულებით. მათ შეძლეს, აღედგინათ მონარქიული ხელისუფლება. ჯერ კიდევ ბრიტანეთის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცულ ერთ ხელნაწერში, რომელიც ევროპის თერთმეტ პროვინციას შეეხებოდა, მე წავიკითხეო. — ამბობს დემპსტერი. — რომ ეტრუსკები ბრძოლის ველზე სიმამაცით გამოირჩევიან, მშვიდობიანობის დროს კი — ღვთისმოყვარეობითო. სახელწოდება მიიღეს ჰერკულესის შვილის ეტრუსკისაგან, რომელიც ესპანეთიდან იტალიაში დაბრუნების შემდეგ სათავეში ჩაუდგა ამ ხალხსო. მეორე ხელნაწერში კი. რომელიც დემპსტერს გააცნო დიდად პატივცემულმა და ფრიად განსწავლულმა პიზელმა პატრიციუსმა. არქივებისკოპოსმა რაფაელო რანციონიმ, ნათქვამია. ეტრუსკები იტალიის უძველესი და უკეთილშობილესი ხალხიაო.

ამრიგად, ჩვენთვის ცნობილი ხდება არა მარტო ძველი ავტორები, დემპსტერის ის თანამედროვენიც. რომელნიც ხელნაწერებს ფლობდნენ, აგრეთვე ბიბლიოთეკები, რომლებითაც განთქმული იყო ფლორენცია და ტოსკანის სხვა ქალაქები.

ვინც კი დემპსტერის ამ ნაშრომს გაეცნობა. უეჭველად ისეთი შთაბეჭდილება დარჩება. თითქოს ეტრუსკები ძველი სამყაროს ყველაზე კულტურული ხალხი იყო. დემპსტერი ამტკიცებს. რომ ეტრუსკებმა პირველებმა შემოიღეს იტალიაში კანონები, ისინი იყვნენ პირველი ფილოსოფოსები. გეომეტრები. მისნები. ქურუმები. ქალაქების გალავნების, ტაძრების მშენებელნი. სამხედრო მანქანების გამომგონებელნი. ექიმები. მხატვრები, მოქანდაკეები და აგრონომები. დემპსტერს, ეტყობა, აზრად არ მოსდიოდა. რაღა დატოვა ბერძნებისა და რომაელების გამოგონებად ტექნიკისა და კულტურის სფეროში. დღეს უკვე შეუძლებელია ირონიული ღიმილი არ მოჰქვაროს კაცს იმ მტკიცებებმა. რომლებიც დემპსტერს მოჰყავს ამ ძველი

ხალხის არაჩვეულებრივი მრავალმხრივი განვითარების დასასაბუთებლად. ასე, მაგალითად, ეტრუსკების პირველობას ფილოსოფიასა და გეომეტრიაში იგი „ამტყიცებს“ ერთი ძველი ავტორის ნათქვამით, პითაგორა ტირენიელი იყო. მაგრამ, ჯერ ერთი, პითაგორა პირველი ბერძენი ფილოსოფოსი არ ყოფილა, და მეორეც, იგი ეტრუსურიელი კი არ იყო წარმოშობით, არამედ კუნძულ სამოსის უძველეს ტირენულ მოსახლეობას ეკუთვნოდა.

ასევე ნაჩქარევია მისი მსჯელობა ეტრუსკთა მბრძანებლობის დახასიათებისას. მისი აზრით, ეტრუსკები მთელ იტალიას ფლობდნენ. ზედმეტი არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ დემპსტერს ეტრუსკულად მიაჩნია ბევრი ისეთი ტომი, რომლებიც ენითაც და წარმოშობითაც რომაელებს ენათესავენ.

უფრო მეტიც, დემპსტერის მიხედვით ეტრუსკების ისტორია დროის იმ ჩარჩოებსაც სცილდება, როცა ეს იდემალებით მოცული ხალხი ცხოვრობდა. მაგალითად, იგი სრული სერიოზულობით იხილავს საკითხს, იყო თუ არა იმპერატორის გვარდიის უფროსი ლუციუს სეიანიუს ეტრუსკების მეფე, და ამასთან დაკავშირებით თავის წიგნში შეაქვს ისეთი ცნობები, რომლებიც XIII-XV საუკუნეთა ტოსკანას ეხება. მისთვის დანტე და ბოკაჩიო ეტრუსკების ისეთივე ცნობილი ადამიანები არიან, როგორც, მაგალითად, პორსენა იყო.

როცა ეტრუსკული ყოფის, რელიგიის თუ კულტურის ამა თუ იმ მოვლენის ახსნა უნდა, დემპსტერი, ძველი ავტორების გარდა, ხშირად ეტრუსკულ სიტყვებსაც იშველიებს. მაგრამ ხშირად შეცდომებს უშვებს, ვინაიდან უცნობი ენის სიტყვებს იმ დროს ცნობილი ენებით ხსნის: ლათინურით, ძველბერძნულთა, ძველბერძნულთა. უკეთ რომ გავიგოთ, რატომაა ასეთი ბერძენი მცდარი, წარმოვიდგინოთ შემდეგი: კაცმა, რომელმაც რუსულის გარდა სხვა ენა არ იცის, უცებ მოინდომა ახსნას უცხო სიტყვა „პოლიკლინიკა“. იგი, ალბათ შეეცდება ერთმანეთს დაუპირისპიროს ამ სიტყვის პირველი ორი მარცვალ — „პოლი“ რუსულ სიტყვას «ПОЛОВИНА», «ПОЛ». სინამდვილეში კი „პოლი“ ძველბერძნულად „ბევრს“ ნიშნავს. სწორედ ასე შეცდა დემპსტერი, როცა ჩვენთვის უცნობი სიტყვა „ტუსკი“ (ეტრუსკები) ბერძნულ სიტყვას „ტუს“ (გუნდარუკს) დაუკავშირა. ჯერ ერთი, იგი შეაცდინა სიტყვათა გარეგნულმა მსგავსებამ, და მეორეც, შესაძლოა, მსხვერპლშეწირვის დროს ეტრუსკები გუნდარუკს აკმევედნენო.

ნაშრომში დემპსტერი ხშირად ახსენებს თავის მშობლიურ შოტლანდიას, თითქოს ცდილობს, თანამემამულენი რაღაცით ამ უძვე-

ლესი წარსულის მონაწილენი გახადოს. როცა იგი ხალხთა დიდი გადასახლების დროს ტირენის ტერიტორიაზე შემოქრილ ბარბაროსებზე პყვება, ახსენებს შოტლანდიის მეფე ფერგუზის, რომელიც აღარისის ჯარში იმყოფებოდა თავისი რაზმით და რომის ალების შემდეგ სამშობლოში ნადავლის სახით ხელნაწერების მეტი არაფერი წაუღია.

1617 წელს პეტრე სტროციას ხელით დემპსტერმა რომის პაპს პავლე V-ს თავისი შრომის მოკლე შინაარსი გაუგზავნა. ამავე წლის ივნისში იგი თავის სამშობლოში გაემგზავრა, მაგრამ ნოემბერში ისევ პიზაში დაბრუნდა და ნაშრომზე მუშაობა განაგრძო. 1619 წელს კი დემპსტერმა გადაწყვიტა, პიზა დაეტოვებინა და ბოლონიაში გადასულიყო, სადაც მას ენათმეცნიერების კათედრა შესთავაზეს. გადასვლის მიზეზები ჩვენთვის უცნობია.

1625 წელს პროფესორი ციებამ ლოგინად ჩაავდო. მის ბინაში ერთი ოთახიდან მეორეში განუწყვეტლივ დაფუსფუსებდნენ მსახურნი გამთბარი თევშებითა და პირსახოცებით ხელში. ექიმს ექიმი სცვლიდა. დემპსტერი კი საწოლში ბორგავდა და ხან რას წამოიყვირებდა გაუკებრად და ხან რას. შეიძლება, ეს მისი მშობლიური ენა იყო, რომელიც ბოლონიაში არავის ესმოდა. ან იქნებ ეს სიტყვები მან მიწიდან ამოდებულ ქანდაკებებსა და სარკოფაგებზე ამოიკითხა? 15 სექტემბერს დემპსტერი გარდაიცვალა. დასაფლავეს წმინდა დომენიკეს ტაძარში.

ძნელი შესაცნობია, რა მოვლის კალმით, საკრეტოლით თუ ფუნჯით შექმნილ ნაწარმოებთ. არც მათმა შემოქმედებმა უწყიან, რა ბედი ეწევა მათ — დაიფყება თუ მარადიული სიცოცხლე. აბა, რას წარმოიდგენდა დემპსტერი, რომ არა მის მიერ დაწერილი ათობით წიგნი, არამედ ერთი დაუსრულებელი ხელნაწერი შემოუნახავდა მის სახელს შთამომავლობას და ამის მიხედვით შეარქმევდნენ სამართლიანად ამ დაუდგრომელ შოტლანდიელს ეტრუსკოლოგიის მამას. ეს ხელნაწერი ასი წლის მანძილზე ხელუხლებლად იდო, ვიდრე 1723 წელს დემპსტერის თანამემამულემ თომა კოკმა ორ ტომად არ გამოსცა იგი ფლორენციაში. თან დაურთო ტაბულები, რომლებიც ასახავენ ეტრუსკულ წარწერებს. ქანდაკებებს, ლარნაკებს, სამარხის ძეგლებს, მონეტებს. დიდი ხნის მანძილზე დემპსტერის ნაშრომი ეტრუსკოლოგიის ენციკლოპედია იყო; ამ წიგნს მიმართავდა ყველა, ვისაც კი ამ უძველესი ხალხის ისტორია და ხელოვნება აინტერესებდა.

თუმცადა, უნდა ითქვას, რომ იმ დროს, როცა გამოვიდა „შიდი

წიგნი ეტრუჩიის სამეფოზე“, ბევრი ჰკუამახვილი მეცნიერისთვის უკვე ცნობილი იყო დემპსტერის ხარვეზები და ნაკლოვანებანი. ამიტომაც დაერთო მეორე ტომს სტატია სენატორ ფილიპე ბუონაროტისა, რომელმაც ნაშრომი შეავსო ეტრუსკთა ღმერთებზე ცნობებით. ამ ღმერთებს მან მიაკუთვნა მინერვა. ჰერკულესი, აპოლონი, მერკური, ბაკქი, ცერერა, პროზერპინა, ვიქტორია, ნემესიდა, ფორტუნა და იანუსი. ბუონაროტიმ გამოიყენა დემპსტერის სიკვდილის შემდეგ მოკვლეული ძეგლები და დაადგინა ეტრუსკული ასოების დამწერლობის ტიპები. მაგალითად, ასო L-ს ეტრუსკები ასეც წერდნენ — L და ასეც V.

კოკისა და ბუონაროტის შესწორებებით დემპსტერის შრომის გამოსვლა დაემთხვა იმ ამბავს, რომ არნახულად გაიზარდა ინტერესი ყველაფერი ეტრუსკულისადმი.



კორტონას ღამეები

მთის ფერღობზე, საიდანაც მნახველს თვალწინ ეშლება ვალდი კიანას აყვავებული ველი და ტრაზიმენის ტბის მოსარკული ზედაპირი, შეფენილა იტალიის ერთი პატარა ქალაქი კორტონა, რომელიც უფრო თავისი ბრწყინვალე წარსულითაა განთქმული, ვიდრე ლამაზი მდებარეობით. აქაურებმა კარგად იცოდნენ, რომ კორტონა რომზე ძველი ქალაქი იყო. ძვ. წ. V საუკუნის მწერალი ჰელანიკე ლესბოსელის აზრით, კორტონა დაუარსებია ტირენიისკენ მიმავალ, საბერძნეთისა და ეგეოსის ზღვის კუნძულების უძველეს ბინადარ ხალხს პელასგებს. შემდეგ კი, — ამბობს იგივე ავტორი, — იტალიაში რომ დასახლებულან, თავიანთი თავისთვის ტირენელები შეურქმევიათ.

ისტორიის მამა ჰეროდოტესთვისაც კორტონა ტირენიული ქალაქია.

კორტონას მცხოვრებთაც და ჩამოსულებსაც აოცებდათ ამ ქალაქის მასიური კედლები, მათ სიძველეში ეკვიც არავის ეპარებოდა. კორტონას მიდამოებში ბევრი იყო ყორღანული სამარხი, რომელ-

თაც მდაბოურ ენაზე „ნესვებს“ უწოდებდნენ. იქვე მდებარეობდა ახლა უკვე არარსებული, მთლიანად მასიური, გულმოდგინედ გათლილი ქვებით ნაგები სამარხიც. ყველამ ასე იცოდა, რომ ეს იყო საფლავი ცნობილი ფილოსოფოსისა და მათემატიკოსისა — პითაგორასი, რომლის ერთ-ერთი თეორემა ყოველი მოწაფისთვისაა ცნობილი. სინამდვილეში ფილოსოფოსი სამხრეთ იტალიაში ცხოვრობდა. ქალაქ კორტონაში. ამ ორი ქალაქის სახელწოდებათა თითქმის ერთნაირმა ელერადობამ წარმოქმნა ლეგენდა, თითქოს პითაგორა ეტრუსკი იყო.

1726 წლის 29 ნოემბერს კორტონას ვიწრო ქუჩებს ზარის გაბეულმა ხმამ ჩამოურბინა, მაგრამ ამ ხმაზე ქალაქის მკვიდრთ არც პირვეარი გადაუწერიათ და არც ზეცისთვის მიუპყრიათ მზერა. იმიტომ, რომ ქალაქის ტაძრიდან როდი რეკდნენ ზარს, რომელიც, როგორც წესი, ან რაიმე დღესასწაულს იუწყებოდა ხოლმე, ანდა დიდგვაროვანი კავალერის გარდაცვალებას. მუნიციპალიტეტის სასახლიდან რეკდნენ და ეტრუსკული აკადემიის პირველი სხდომის დაწყებას იუწყებოდნენ. ამ დაწესებულების დამაარსებელი იყო თორმეტი პატრიცი, რომელთაც არა მარტო სამეცნიერო, პატრიოტული მიზნებიც აღაფრთოვანებდათ. ამ ამბიდან დიდი ხნით ადრე იტალიას უკვე დაქარგული ჰქონდა ევროპის მოწინავე ქვეყნის სახელი და დიდება. ხელოსნობა და ვაჭრობა დაცემის გზას ადგა, უცხოელთა თავდასხმები და შინაბრძოლები ქვეყანას ანადგურებდა. 1701 წლიდან იტალია ფრანკო-ესპანურ და ავსტრიულ არმიებს შორის სისხლისმღვრელი ბრძოლების ასპარეზად იქცა. რომელ ნხარესაც არ უნდა გაემარჯვა ამ ბრძოლაში, სულ ერთია, იტალიის ქალაქებს კონტრიბუციას ადებდნენ, გლეხობას კი ძარცვა-გლეჯით იკლებდნენ. 1714 წელს ესპანელები და ფრანგები განდევნეს აპენინის ნახევარკუნძულიდან. მაგრამ ესპანელთა ყოფილი სამფლობელოები ახლა ავსტრიელებმა იგდეს ხელთ. ავსტრიელები პარპაშებდნენ ძველი ეტრურიის ზოგიერთ რაიონშიც. 1737 წლიდან კი ტოსკანის ტახტზე მეფედ დასვეს ერთ-ერთი ჰაბსბურგი.

ეროვნული დამცირების ამ მძიმე წლებში ეტრუსკების სახელოვანი ისტორიის შესწავლა ერთგვარ მორალურ თვითკმაყოფილებას ანიჭებდა ტოსკანის მცხოვრებთ, რომელნიც თავიანთ თავს ეტრუსკების შთამომავლებად თვლიდნენ. აკადემიის წევრები იყვნენ კორტონისა და ტოსკანის სხვა ქალაქების კეთილშობილი სენიორები. უცხოელებს მაინც და მაინც დიდი ხალისით არ იღებდნენ ამ აკადემიაში. აკადემია ას ორმოცი წევრისაგან შედგებოდა. იმის გამო, რომ

სხდომები ღამ-ღამობით ტარდებოდა, მათ „კორტონას ღამეები“ უწოდეს.

ეს ღამის სხდომები, რომლებიც კანდელების შუქზე ტარდებოდა, რალაცნაირი იღუმალების საბურველში ხვევდა ყველაფერს, რაც კი ეტრუსკებთან იყო დაკავშირებული. ყოველწლიურად საზეიმო ვითარებაში ირჩევდნენ პრეზიდენტს და მას ძველეტრუსკულ ლუკუმონის ტიტულს ანიჭებდნენ. სხდომებზე კითხულობდნენ მოხსენებებსა და ახალ-ახალ უწყებებს, აჩვენებდნენ ახლადმოჩენილ ძეგლებს. მართავდნენ დისკუსიებს. ცხრა ტომად გამოქვეყნებული ამ სხდომათა მასალები დღეს მეცნიერების ისტორიკოსს თუ დაინტერესებს, ვინაიდან ისინი მოკლებულნი არიან სერიოზულ მეცნიერულ საფუძველს, სავსეა ყველანაირი ფანტასტიკური გამოწვანებით, რაც, საერთოდ. ახასიათებდა პირველ ეტრუსკოლოგთა ნაშრომებს. ყოველივე ამან განსაკუთრებული ტერმინიც კი წარმოშვა—ეტრუსკერია (უფრო ზუსტად, ეტრუსკომანია) — და მას შემდეგ ამ ტერმინით აღნიშნავენ არამეცნიერულ ნაშრომებს ეტრუსკოლოგიაში.

იმდროინდელი ისტორიკოსებისა და ხელოვნებისმცოდნეების ერთ-ერთი მთავარი შეცდომა ის იყო, რომ სწამდათ, იტალიის უძველესი ხელოვნების ყველა ძეგლი, ტოსკანიდან მოყოლებული კამპანამდე, ეტრუსკების მიერაა შექმნილიო. უფრო მეტიც, ეტრუსკული კულტურის გავრცელების კერად ისინი თვლიდნენ მცირე აზიას, საიდანაც, ჩვენთვის უკვე ცნობილი გადმოცემის თანახმად, წამოვიდნენ ეტრუსკები, და ესპანეთსაც კი. აქედან გამომდინარე, „კორტონას ღამეებზე“ ეკი მოისმენდა არა მარტო რომთან ან ნეაპოლთან აღმოჩენილი სამარხის გათხრების ანგარიშს, ანატოლიიდან ახლადდაბრუნებული მოგზაურის შთაბეჭდილებებსაც.

დაბოლოს. კორტონელ აკადემიკოსებს ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ მათი წინაპრები ყველა სხვა ხალხს სჯობნიდნენ არა მხოლოდ სიძლიერით, განათლებითაც. მართალია, ისეთი სწავლულნიც გამოჩნდებოდნენ, ბერძნულ კულტურას ეტრუსკულზე მაღლა რომ აყენებდნენ, მაგრამ ესენი უცხოელები იყვნენ — ფრანგები ანდა გერმანელები. ფრანგი პიერ ჟან მარიეტი იმასაც კი ამტკიცებდა, ეტრუსკები ბერძნების მოსწავლენი იყვნენო. აკადემიკოსებს პირიქით — ბერძნები მიაჩნდათ ეტრუსკების მოწაფეებად, ხოლო თვით ეტრუსკები — დედამიწის უძველესი ხალხის, ეგვიპტელების შევირდებად.

კორტონას აკადემიის სიამაყე იყო ეტრუსკულ სიძველეთა კოლექცია, რომელსაც 1750 წლიდან მუზეუმი დაერქვა. ცალკე, განსა-

კუთრებულ კარადაში ინახებოდა ამ მუზეუმის შედეგა — სახელგანთქმული „კორტონას მუზა“.

ეს არის ახალგაზრდა ქალის პორტრეტი, რომელსაც მუქი წაბლისფერი ხშირი თმა აქვს, ნუშისებრი თვალები დაბლა დაუხრია. მკერდზე მიუხუტებია რაღაც საგანი, რომელიც ღირას ჩამოჰგავს. ამან კორტონელ აკადემიკოსებს საფუძველი მისცა, ეფიქრათ, რომ სურათზე გამოსატული იყო პოლიპიმნია — მუსიკალური ხელოვნების მფარველი.

შემონახული ანგარიშების მიხედვით, კორტონას მუზა აღმოუჩენია 1735 წელს ვინმე კავალერ ჯოვანი ტომაზის ერთი გლახის ქონში. ამ გლახს ეს ნახევრადშიშველი ქალი ჯერ მადონა ჰგონებია და მას ისეთ პატივს მიაგებდა, როგორც ეს ქრისტეს დედასა და ყველა ქრისტიანის კეთილისმყოფელს შეეფერებოდა, მაგრამ მალე მიმხვდა, რომ ცდებოდა და წარმართი იმით დაუსჯია, რომ მას ღუმელის ხუფს აფარებდა ხოლმე. სწორედ ამ მდგომარეობაში მიუკვლევია კავალერ ტომაზის ამ ძველი სურათისთვის, დიდად შეუფასებია მისი ღირსებები და გლახისთვის გამოუერთმევია.

ეტრუსკული ხელოვნების მაშინდელი თაყვანისმცემლები და მცოდნენი იმ გლახზე ნაკლებ გულუბრყვილონი როდი აღმოჩნდნენ, ვისთანაც თავდაპირველად „კორტონას მუზა“ ინახებოდა. სურათი რომ მართლაც ასე ძველი ყოფილიყო, იგი ცეცხლთან სიახლოვეს ვერ გაუძლებდა. ვინაიდან ბერძენი, ეტრუსკი და რომაელი მხატვრები თავიანთ სურათებს ზეთით კი არ ხატავდნენ. არამედ ცვილის საღებავებით. მაგრამ არა მარტო საღებავები, რომლებითაც „კორტონას მუზა“ დახატული, ნაწარმოების ხასიათიც იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენს ხელთა XVI საუკუნის უცნობი ავტორის ნაწარმოები და არა ეტრუსკული კულტურის ძეგლი.

კორტონას მუზეუმის ოთხმოცდაერთი ექსპონატიდან. რომელიც აღნიშნულია 1750 წელს გამოცემულ კატალოგში, მხოლოდ თხუთმეტი იყო ეტრუსკული ხელოვნების ნიმუში. ყველა დანარჩენი ან გვიანრომაულ ეპოქას ეკუთვნოდა, ან ყალბი იყო.

XIX საუკუნეში მუზეუმი ახალი ძეგლებით შეივსო. მათი უტყუარობა უკვე ექვს არ იწვევს. რაც შეეხება მხატვრულ ღირსებას, ყველაზე უგრძნობი კაციც კი გულგრილი ვერ დარჩება მათი ნახვისას.

კორტონას მუზეუმის დამთვალეიერებლებს დღემდე აღაფრთოვანებს ბრინჯაოს ქალი, რომელსაც ეტრუსკულ ლამპრებს შორის ბადალი არ მოეძევა. კორტონას ქალი ეტრუსკული მეტალურგიის

ქვეშარტი შედეგია. მას თექვსმეტისკარტიანი მრგვალი ლანგარის ფორმა აქვს. თითოეულში ზეთს ასხამდნენ და პატრუქს დგამდნენ, ლანგარის ზედაპირი შემკულია რელიეფური გამოსახულებით. ქალის შუაგულში თვალეზადმოკარკლული, პირდაფენილი, ენაგადმოვლებული საფრთხობელაა, რომელსაც თავზე თმის წაცვლად ეველები აქვს. ეს გორგონაა — ქვესკნელის მითიური ურჩხული. მისი ერთი შეხედვა ქვად აქცევდა ყველაფერს. გორგონას ნიღაბს გარს შემოუყვება ლომების, ჯიქების, გრიფონების პატარა-პატარა ფიგურებისგან შემდგარი ვიწრო ზოლი. თითოეული ეს მტაცებელი თავს ესხმის ცხენს, ხარს, ან ირემს, მეორე ზოლი პირაღმართად გამოსახავს ტალღებს. რომელთა თავზე დაფრინავენ გრძელქანა და ვიწროფარფლებიანი დელფინები. სულ ბოლოს, ნისკარტ-ლანგარებს გარს შემოუყვება ერთნაირ პოზაში მჯდომი თექვსმეტი პარპია — ქარბუქის ფრთოსანი ღმერთები, და სილენები—მიწისა და მცენარეულობის სულები.

ეს გასაოცარი ქალი საინტერესოა არა მარტო როგორც ეტრუსკული ხელოვნების ნიმუში. მასზე აღბეჭდილია ძველი სამყაროს აღმამართა წარმოდგენები ცხოველთა სამყაროზე—მიწისა და ზღვის პინადრებზე, მათივე ფანტაზიით შექმნილ დემონებსა და ურჩხულებზე.



იოჰან ვინკელმანი

დიდი ხანია, აღარავის ახსოვს იმათი სახელები, „კორტონას ღამეებზე“ რომ ღრმავაროვან ფრაზებს წარმოთქვამდნენ. აღარავინ ჰკიდებს ხელს წიგნის თაროებზე შემოწყობილ ეტრუსკული აკადემიის შრომებს. მაგრამ ამ აკადემიის ერთ-ერთი წევრის სახელი დაუვიწყარი დარჩა. სხვათა შორის, ბევრმა როდი იცის, რომ იოჰან ვინკელმანი კორტონას აკადემიის წევრი იყო, მით უმეტეს უფრო ცოტა ვინმეს ეცოდინება, რა კოლოსალური ენერჯია დასკირდა მას, რომ ამ საზოგადოების წევრი გამხდარიყო. რატომ? იმიტომ, რომ მისი წინაპრები ბარბაროსები იყვნენ! რას იზამ! მალე მთელი მსოფ-

ლიო აღიარებს, რომ იმ ბარბაროსთა შთამომავალი, რომლებმაც გაანადგურეს ანტიკური ხელოვნება, პირველი ჩასწვდა ამ ხელოვნების საიდუმლოს და იგი მთელ ევროპას გააცხო. მაგრამ ვინკელმანი არა მარტო ხელოვნების ბეცნიერული ისტორიის მამამთავარია. იგი, ამავე დროს. პირველი არქეოლოგიცაა. ამიტომ შეუძლებელია, გვერდი ავუაროთ ამ უზარმაზარი მეცნიერისა და აღმიანის ფიგურას.

ვინკელმანის მამა გერმანიის ერთი პატარა ქალაქის ღარიბი მეწაღე იყო. ამიტომ ზღვა ადრევე შეიყვანო სიღატაკეც. შეურაცხყოფაცა და პროვინციული გერმანელი გონებალუნგობაც. იგი ბავშვობიდანვე ელოლიაუებოდა ხეცებს. ეხილა მშვენიერა, სრულყოფილი ანტიკური სანყარო. იმ დროს, როცა თავადების ბიბლიოთეკებში ძველ ფოლიანტებს არჩევდა და ჩანაწერებს აკეთებდა ისტორიული შრომებისათვის (რომელთაც დღეს სინათლის ნახვა არ ეწეოთ), ან კიდევ ანაბანას უქედავდა ტერწში შეგირდებს. იგი გონებით რომში იყო და მოგზაურობდა მიწაზე, სადაც ფეხი დაედგათ ციცერონსა და ცენარს. კატულუსსა და ვერგილიუსს. თითქოს ამ ოცნებას განხორციელება არ ეწერა. აბა როგორ! სად იშოვიდა ვინკელმანი სახსრებს რომის სანახავად, მითუმეტეს. ეცხოვრა მარადიულ ქალაქში? კიდევ რომ მოახერხოს რომში ჩასვლა, ვინ შეუშვებს თავადების სასახლეებში, სადაც დაცულია ის ქანდაკებები, რომელთა არსებობა ან ყურმოკვრით. ანდა მონფოკონისა და სხვა ანტიკვართა პუბლიკაციების ცუდა რეპროდუქციებით იცის?

ვინკელმანი ხშირად ერთი ქალაქიდან მეორეში გადადიოდა. ერთხელაც იგი დრეზდენში მოხვდა. დრეზდენელი თავადები კათოლიკები იყვნენ და სამეფო კარზე დიდა გავლენით სარგებლობდნენ იეზუიტები. სწორედ ისინი დაპირდნენ ვინკელმანს, რომში გაგზავნით, თუ კათოლიკობას მიიღებო. „რომი წირვად ღირს!“ — გადაწყვიტა ვინკელმანმა. მაგრამ ეს გადაწყვეტილება დიდი შინაგანი ბრძოლა-ყოყმანის შემდეგ მიიღო. მართალია, მტკიცე პროტესტანტი იგი არასოდეს არ ყოფილა, მას უფრო საზოგადოებრივი აზრი აშფოთებდა, ყოველთვის შეუბრალებელი რომ არის იმათ მიმართ, ვინც რელიგიურ ან პოლიტიკურ შეხედულებებს იცვლის ხოლმე. მათ ბანაკში გადმოსულთ ისინი ხალისით იღებენ, მაგრამ ოცდაათ ვერცხლს ზიზლსაც თან დააყოლებენ ხოლმე.

აი, ვინკელმანი უკვე რომშია, დაეხეტება მის ქუჩებში, ტყებზე გიგანტთა საუკუნის ნანგრევებით. მაგრამ კეშმარტი განძეული სასულიერო და საერო ხელისუფალთა სასახლეებშია გამოკეტილი. მდიდარმა დილეტანტებმა — თავადებმა და კარდინალებმა — თავი-

ანთი სასახლეები ხელოვნების საწყობებად აქციეს. ამ საწყობებში ყოვლად უსისტემოდ ერთმანეთის გვერდით ეწყო სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი ქანდაკებები თუ ფერწერის ნიმუშები. მათ მფლობელთ კი ესთეტიკური ტკობა ყველაზე ნაკლებად აინტერესებდათ, მარტოდენ პატივმოყვარეობა ამოძრავებდათ. უნდოდათ, ხელოვნების მცოდნეებად გამოეჩინათ თავი, ამ დროს კი ძველი ოსტატის ქმნილებას გვიანდელი სიყალბისაგან ვერ ასხვავებდნენ.

ზოგიერთი ქანდაკება ვინკელმანს ფლორენციაში ნანახ ბრინჯაოს ქიშკრას აგონებდა თავისი შეუსაბამობით. როგორც ეს ქიშკრა იყო სხვადასხვა ცხოველების ნაწილებისაგან შემდგარი, ისე ეს ქანდაკებებიც ძველი და გვიანდელი დანამატებით იყო შეკოწიწებული. აქ ნახავდით ორფეოსს ვიოლინოთი ხელში, ანდა რომაულ ბრინჯაოს ცხენს თანამედროვე ნალებით. მაგრამ ეს სრულიადაც არ აშფოთებდათ „სიძველეთა მცოდნეთ.“ ის კი არა, ზოგ-ზოგები ძველბერძნული ვიოლინოების ანდა ძველრომაული ნალების შესწავლასაც კი ჰკიდებდნენ ხელს.

ვინკელმანი აღშფოთებით ადევნებდა თვალს, რა სამარცხვინოდ ჰყიდდნენ ამ ქანდაკებებს დიდგვაროვან უცხოელებზე. მისი აზრით, ეს ნიშნავდა ანტიკური ხელოვნების ძეგლების გადასახლებას შორეულ მამულებში უცხო, ნისლიან ცის ქვეშ. დამშლელი კი არავინ ჩანდა. ფავნები და ვენერები ფეოდალ გამგებელთა ისეთივე საკუთრება იყო, როგორც ის მიწა, საიდანაც ისინი ამოთხარეს.

ერთ ძველ იგავში. ლაპარაკია, როგორ მოატყუა ბრძენმა მშობელმა ზარმაცი შვილები. თურმე სიკვდილის წინ დააჯერა ისინი, შემკვიდრეობით რომ მიწას გიტოვებთ, იქ განძი მაქვს დამარხულიო. გამდიდრების წყურვილით ანთებულმა ხარბმა შვილებმა სულ ერთიანად გადათხარეს მიწის ნაკვეთი და ვენახმაც მეორე წელს დაიხსნა, მაგრამ რა დაიხსნა! იტალიის მიწა-წყალი კი სინამდვილეშიც სავსე იყო უთვალავი განძეულობით. ვენახებზე უფრო დიდ შემოსავალს აქ ქანდაკებები იძლეოდა, რომლებსაც არათუ მეზობელ ქვეყნებში, შორეულ თოვლიან რუსეთშიც კი დიდი გასავალი ჰქონდა. ამიტომ ყველა, ვისაც კი მიწა ეკუთვნოდა, თხრიდა მას, სადაც სურდა და როგორც სურდა, ანდა ამ საქმეს სხვას მიანდობდა ხოლმე. თუ ამოთხრილ ორმოში არც ქანდაკება აღმოჩნდებოდა და არც მთელი ლარნაკი, მას ხელახლა ამოავსებდნენ ხოლმე. (ვინაიდან შრომის იარაღებს, იაფფასიან ნივთებს, თვით ფრესკებსაც კი არავინ ყიდულობდა). ახლა სხვა ადგილას იწყებდნენ თხრას.

სწორედ ამგვარად წააწყდნენ სრულიად შემთხვევით 1711 წელს

ქალაქ ჰერკულანეუმს, რომელიც ვეზუვის ღერძულს დაეფარა ახ. წ. 79 წელს. 1738 წელს კი აღმოჩნდა მეორე ქალაქი — პომპეი. აქ ყოველ ნაბიჯზე, სადაც კი კატორღელის ბარი ან ძალაყინი მოხვედებოდა (გათხრებს კატორღელები აწარმოებდნენ), განძს პოულობდნენ. გარეშე პირებს — მოგზაურებს ანდა მეცნიერებს — გათხრებზე არ უშვებდნენ: ვაითუ მთელ ქვეყანას მოსდონ მეფის საგანძურების ამბავი, ანდა, უფრო უარესი, ჩაიხატონო რამე. მხოლოდ ვინმე ბაიარდის დართეს ნება. შეედგინა აღმოჩენილი ნივთების კატალოგისიცი შეუდგა აღწერას, მაგრამ ისე, რომ გათხრების დათვალიერებით თავი არ შეუწუხებია. მარტო წინასიტყვაობას 2677 გვერდი დასკირდა (თვით შრომამდე კი ბაიარდომ საერთოდ ვერ მი-აღწია).

ადვილი წარმოსადგენია, რა დაუჭდა ვინკელმანს ნებაართვა, შე-ელწია სამეფო მუზეუმში და ვეზუვის ძირას წარმოებული გათხრე-ბის ადგილას. ეს ნებაართვა ვინკელმანმა, როგორც იქნა, მიიღო და მისი შედეგი იყო „ჰერკულანეუმის გათხრების ანგარიში“. ამან და კიდევ სხვა თხზულებებმა, რომლებიც ანტიკური ხელოვნების ძეგ-ლების ღია ცის ქვეშ, მათ მშობლიურ მიწაზე უშუალო კვრებით შეიქმნა, სიცოცხლეშივე სახელი გაუთქვა ვინკელმანს მთელს ევრო-პაში. მაგრამ ვინკელმანის ცხოვრების მიზანი „ძველ ხელოვნებათა ისტორიის“ დაწერა იყო. ამ ტიპის ნაწარმოები მანამდე ჯერ არავის დაეწერა, ამიტომ ცხადია, ავტორს არავითარი ნიმუში არ ექნებოდა, გარდა მხოლოდ ინსტინქტურად გამომუშავებული მხატვრული გე-მოვნებისა. ეს დაეხმარა ძველ მწერალთა სისტემასა და მათ ნაწყ-ვეტ-ნაწყვეტ ცნობებზე დაყრდნობით განეხილა ანტიკური ხელოვ-ნების განვითარება.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ვინკელმანი ბერძნულ ხე-ლოვნებას, რომლის შინაარსსა და იდეებს იგი ელადის ბუნებო-ელონებისათვის დამახასიათებელი მსოფლმხედველობითა და დე-მოკრატიით ხსნის. „მთელი ისტორია იმას ცხადყოფს, რომ სწორედ თავისუფლებამ შექმნა ხელოვნება“. — აცხადებს ვინკელმანი. მისი თანამედროვე ხელოვნების დაცემის მიზეზს იგი დესპოტიზმში ხე-დავს: „დესპოტიზმი იმიტომ ზღუდავს ხელოვნების ასპარეზს. რომ ერთ პიროვნებას აქვს მიკუთვნებული უფლება. იყოს უდიდესი და უკვდავი, ყველა დანარჩენს კი ეს უფლება წართმეული აქვს“.

მეცნიერებისათვის მანამდე უცნობი. დიდებულთა სასახლეებისა და სამეფო მუზეუმების კედლებსმიღმა თვალსმიფარებული ანტი-

კური ხელოვნების ათასობით ძეგლის გაცნობა ვინკელმანს დაეხმარა, დაედგინა ძველი ხალხების ტანსაცმლის, ავეჯის, სამკაულების თავისებურებანი. ვინკელმანი ხედავდა ისეთ რამეს, რაც მანამდე არავის შეემჩნია, ანდა თუ შეემჩნია, მნიშვნელობა არ მიეცა. ეს იყო ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის ფორმები, ფერი და ის ქსოვილიც კი, რისგანაც შეკერილი იყო ეს ტანსაცმელი. ვინკელმანი ქსოვილის სახეობას მარმარილოში აღბეჭდილი ნაკეცებისა და ნაოქების მიხედვით ხედებოდა! მან ქანდაკებების საშუალებით არა მარტო სანდლების შეკვრის ყველანაირი ხერხი, ფესსაცმლის ლანჩის სისქე და ტყავის ფენათა რაოდენობაც კი დაადგინა. მის გამპკრაობ მწერას არ გამოჰპარვია რომელი ლამაზმანების თმათა ვარცხნილობის არც ერთი დეტალი — დაწყებული თმის წყობიდან, დამთავრებული სარკვების ფორმითა და თმაზე გადასაკვრელი ბაფთების სიფართით. მაგალითად, იმპერატორ ლუციუს ვერუსის მეუღლე ლუცილა თანამედროვეთ ხიბლავდა თავზე დახვავებული კულულების სიმრავლით. ვინკელმანმა გამოააშკარავა მისი ხრიკი: თურმე სხვისი თმა ელო თავზე.

ვინკელმანის ყურადღების ცენტრშია არა მარტო ბერძნული და რომაული, ეტრუსკული ქანდაკებებიც. მან დაადგინა, რომ ეტრუსკული ტანსაცმელი უფრო წვრილნაოქიანი იყო და ხაზებიც თითქმის ერთმანეთის პარალელურად მიემართებოდა. ვინკელმანი ასკვნის, უფრო ძველი სტილის ბერძნული ტანსაცმელიც ალბათ ეტრუსკულს ჩამოჰგავდაო. ასეთი დასკვნა კიდევ უფრო ამაღლებს ჩვენს თვალში ვინკელმანის დაკვირვებულობას. უძველეს ბერძნებს თავიანთი ტანსაცმელი მცირე აზიელთაგან გადმოეღოთ და ეტრუსკებიც ხომ წარმოშობით მცირე აზიიდან იყვნენო.

ვინკელმანისთვის ცნობილია ეტრურიაში აღმოჩენილი მოხატული ლარნაკები. მას ისინი მონფოკონის, დემასტერისა და სხვა ანტიკვართა ნაშრომებში აქვს ნანახი. რამდენიმე ლარნაკის სურათი კი თავის „ხელოვნების ისტორიაშიც“ მოათავსა. მაგრამ მათ ეტრუსკულად კი არა, ბერძნულად თვლიდა და წინადადებას იძლეოდა, მათთვის იტალიურ-ბერძნული, ანდა ბერძნულ-სიცილიური ეწოდებინათ, ვინაიდან ისინი ვაჭრების მიერ სამხრეთ იტალიის ან სიცილიის ბერძნული კოლონიებიდან ჩამოტანილად მიაჩნდა.

დიდ ინტერესს იჩენს ვინკელმანი ძველი იტალიის ფერწერისადმიც. ახლა იგი მხოლოდ ძველი ავტორების აღწერებით როდია ცნობილი. პერკულანეუმში, სტაბიაში, რომში და ზოგ სხვა ქალაქში უკვე აღმოაჩინეს სურათების ფრაგმენტები. პომპეის სახელგანთქმუ-

ლი ფრესკები მაშინ ჯერ კიდევ უცნობი იყო. დემპსტერის ნაშრომიდან ვინკელმანი იცნობდა ეტრუსკულ სამარხებში აღმოჩენილ სურათებსაც. ამასთან დაკავშირებით იგი ამბობს: „დღესათვის ამ სურათებიდან აღარაფერია დარჩენილი, გარდა ნატურალური სიდიდის ერთი გვირგვინოსანი ქალის ფიგურისა. ნაწილი ჰაერის ზემოქმედებით დაიღუპა სამარხის გახსნისას, ნაწილი კი განძის ძიებაში წერაქვის მსხვერპლი შეიქნა“.

ეს შენიშვნა საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ ვინკელმანს მოუწინააღმდეგებია კორნეტო და ეტრუსკულ სამარხებშიც ჩასულა, რათა საკუთარი თვალთ ეხილა დემპსტერის მიერ აღდგენილი ფრესკები. მაგრამ მათი კვალიც აღარ დახვედრია.

ვინკელმანის თვალს შეუმჩნეველი არ დარჩენია კორნეტოს მონუმენტში, ძველად რომ ტარკვინის ეძახდნენ, უამრავი სამარხის ბორცვი.

„სამარხებში შესასვლელი მიწითაა ამოვსებული.—წერდა იგი.— ვინმე რომ იყისრებდეს ხარჯების გაღებას და რამდენიმე მათგანს გათხრიდეს, არა მარტო ეტრუსკულ წარწერებს, მოხატულ კედლებსაც ნახავდა“. ვინკელმანის ეს ნათქვამი წინასწარმეტყველური გამოდგა. კორნეტოს სამარხების კედლებზე მართლაც უამრავი სურათი და წარწერა აღმოჩნდა, მაგრამ ეს მოხდა იოჰან ვინკელმანის გარდაცვალებიდან სამოცდაათი წლის შემდეგ.

ერთი მხრით ეტრუსკული, მეორე მხრით კი ბერძნული ხელოვნების თაყვანისმცემელთა დავის დროს ვინკელმანს ამ უკანასკნელთა მხარე ეკირა. იგი ეტრუსკომანიის შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო და დაადგინა კიდევ ბევრი ძეგლის ბერძნულობა. ადრე რომ შეცდომით ეტრუსკულად მიაჩნდათ. ვინკელმანი თვლიდა, რომ ეტრუსკულ ხელოვნებას არასოდეს არ შეეძლო მიეღწია იმგვარი აყვავებისათვის, რაც ბერძნულ ხელოვნებას ახასიათებს. ამის მიზეზად მას მიაჩნია ის ცრურწმენა, რამაც პირქუში კვალი დააჩნია ეტრუსკების ხასიათს და განაპირობა ის მელანქოლია, რაც თითქოსდა გამოსკვივის ეტრუსკული ხელოვნების ყოველი ძეგლიდან. ვინკელმანის ამან და კიდევ ბევრმა სხვა შეხედულებამ საუკუნეთა მანძილზე განაპირობა ევროპელ მეცნიერთა დამოკიდებულება ეტრუსკებისადმი.



მძინარე მეომარი

1823 წლის ზაფხულის ერთ თაკარა დღეს ვინმე კარლო ავოლტა მშობლიურ ქალაქ კორნეტოს ახლოს, გზისპირას მუშაობდა. კარლო არ იყო მიწის მუშა. სიმდიდრეც ჰქონდა და არც ვინმეზე იყო დამოკიდებული. „სენიორ ავოლტა“, — მიმართავდნენ ხოლმე მას. მაგრამ კარლოს ფიზიკური შრომა არ ესირცხვილებოდა, მით უმეტეს, როცა ამ შრომისგან სარგებელსაც ელოდა. იმ წელიწადს კარლოსთვის გზის შეკეთებაზე მეთვალყურეობა დაევალებინათ, სამშენებლო მასალა კი ძვირიც იყო და შორიდანაც უნდა ეზიდათ. ამიტომ კარლომ უფროსებს შესთავაზა, გამოეყენებინათ ის ფილები. იქვე, პატარა ბორცვს რომ ფარავდა. რომ დაემტკიცებინა. მათი აყრა სულ იოლი საქმეაო, გადაწყვიტა, თვითონ აეძრო რამდენიმე ფილა.

შეარჩია ერთ-ერთი მათგანი და ძალაყინი შეატურა ამოსაბრუნებლად, მაგრამ გაოცებულმა იგრძნო, რომ ძალაყინი თავისუფლად შევიდა მიწაში. „ეჰ-ე! მგონი, აქ ორმო უნდა იყოს!“ — გაიფიქრა კარლომ და დაიხარა, რომ ხვრელში ჩაეხედა.

ძირს, ცოტა შემადღლებულზე, იწვა მეომარი საომარი აღჭურვილობით — შუბიძე, ფართი, საბარკულითა და მუზარადით. მთლად ახალგაზრდა იყო, უწვევრულვაშო, ლამაზი, მზით გარუჯული სახე ჰქონდა. დახუჭულ თვალებს ზემოთ ერთ მთლიან ხაზად გადაჰიმოდა წარბები. მარჯვენა ხელი ყმაწვილს მკერდზე ელო.

ერთ წამსაც არ გასტანა ამ ჩვენებამ. განძრევაც ვერ მოასწრო კარლომ, რომ მეომარი ფერფლად იქცა. დარჩა მხოლოდ ქსოვილის ნაგლეჯები, ლითონის ნამსხვრევები და ძვლები. იქ, სადაც მეომარი იწვა, ოქროსფერი მტვერი აისვეტა.

კარლო მაშინვე მიხვდა, რომ ეტრუსკი მეომარი იხილა — კორნეტო ხომ ძველი ტარკვინის მიწა-წყალზე მდებარეობდა. ქალაქის მიდამოებში აღრეც არაერთხელ უპოვიათ ეტრუსკული სამარხები. ზოგიერთი სამარხის კედლები ლამაზი სურათებით იყო შემკული, მაგრამ კარლოს ჯერ არ სმენოდა, ვინმეს მძინარე მეომარი ენახოს.

დიდი ხნის წინათ, ვიდრე კარლოს მამა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ხოლო თვით კარლოს ხუთი წელიც არ შესრულებოდა, მათ

ოჯახს რომიდან ჩამოსული ვილაც ინგლისელი მხატვარი ესტუმრა. ბიკს მესხიერებაში ჩარჩა მისი უჩვეულო ტანსაცმელი, უცნაური ენა და დედისთვის მიერთმეული ძვირფასი საჩუქრები. მამას იგი ერთი სამარხიდან მეორეში დაჰყავდა და ინგლისელი სურათებს ისა-ტავდა კედლებიდან. რამდენიმე ნახატი ახლაც აგდია სადღაც, სხვენზე. „ნეტა ხატვა მკოდნოდა! ხომ დავხატავდი ამ მეომარს! დავხატავდი მის სახეს, ტანსაცმელს, იარაღს! აბა, ახლა ვინ დამიჭე-რებს, რომ ყველაფერი ეს არ მომეჩვენა!“ — ფიქრობდა კარლო.

კარლომ გადაწყვიტა, ჩასულიყო სამარხში და რაც სუფთა ჰაე-რის ნაკადს გადაურჩა, ის მაინც ეხსნა. ფილა გადასწია და ჩავიდა.

მეომრის ნეშტის გვერდით, სარეცელზე, ეწყო ერთი დიდი შუბი და ერთმანეთს მიეხანგული რვა ხელშუბი. კარლომ სცადა დეცილებინა ისინი, მაგრამ ხელში მხოლოდ ნატეხები შერჩა. აქვე იდო შუ-ბის ხის ტარების ნატეხები და მოკლე ორღესული მახვილიც. ეტყო-ბა, მახვილის ტარი მეომარს ეპყრა ხელში.

სარეცლოს გვერდით, მიწაზე, ბრინჯაოს დიდი ლარნაკი იდგა. პირდაპირ კედელთან კი მაგიდის მსგავსი სწორკუთხა ფილა მოჩან-და. ზედ ერთი მუქა შავი მიწა ეყარა და ოქროს დიადემა იდო. დიადემა მთის შროშანას ფორმის პატარ-პატარა ძვირფასი ლითონის ნაჭრებისაგან შედგებოდა. მეორე კედელზე ორი ბრინჯაოს ფარი იყო მიყუდებული. ფარზე სამ კონცენტრიულ წრეში ჩასმული იყო ადამიანების, ცხენებისა და სხვადასხვა ცხოველის გამოსახულებანი. ფარებთან იდგა ბრინჯაოს ორი ურნა და ორი მაღალი სურა, ესენიც ბრინჯაოსი. ეტყობოდა, თავდაპირველად ისინი კედელზე ეკიდა, რა-საც კედელზე შერჩენილი ლურსმნების კვალიც მოწმობდა.

ფეხებთან მეომარს ტერაკოტის რვა დიდი ჭურჭელი ედგა. ისი-ნიც რომელიღაც ფანტასტიური ცხოველების გამოსახულებებით იყო დაფარული. ასეთ ცხოველებს ზღვაზე მოგზაურობისადმი მიძღ-ვნილ წიგნებში ხატავენ ხოლმე. იქვე ეწყო მომცრო ზომის, მაგრამ ძალიან ნატიფი ფიალები. შესასვლელთან შავი თიხისაგან დამზადე-ბული ჭურჭლების კიდევ ერთი მწკრივი იყო.

ვინ მოთვლის, რამდენჯერ ჩავიდა კარლო სამარხში, ვიდრე ყვე-ლა ნივთს ამოზიდავდა.

მათ შორის ყველაზე ძვირფასი, ოქროს დიადემა, რომის მუზეუ-მისთვის უნდოდა გადაეცა, მაგრამ მუზეუმში მიტანამდე, გზაში, ნა-წილ-ნაწილ დაიშალა და დაიღუპა.

კარლომ ძიება განაგრძო და იმავე მიწაყრილის ქვეშ კიდევ ერ-თი სამარხი აღმოაჩინა. მართალია, იგი დანგრეული იყო, მაგრამ ქა-

ლის სამკაულების ნაშთს მაინც მიაკვლია. იქვე მიწითა და ძვლებით
სავსე რამდენიმე ქურქელი იდგა. კარლომ გადაწყვიტა, ეს ალბათ
იმ მეომრის მეუღლის სამარხიაო.

„მძინარე მეომრის“ ნახვამ ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახ-
დინა კარლოზე, რომ კორნეტოში ჩამოსულ მეგობრებსა თუ უცხო-
ელებს ყოველთვის ამ ამბავს უყვებოდა ხოლმე.

ამ შემთხვევითმა წარმატებამ, ცხადია, კარლო მეცნიერი არ გა-
ხადა, მაგრამ ბიძგი კი მისცა, ძიება დაეწყო. აშკარა იყო, კორნეტოს
რაიონში აღმოჩნდებოდა გაუძარცვავე სამარხები, რომელთა კედ-
ლები ფრესკებით იქნებოდა შემკული.



ეტრუსკული ლარნაკი

„ისტორიკოსის ვალი მაიძულებს გაუწყოთ, რომ ივლისის ერთ
ღამეს, მზის ამოსვლამდე რამდენიმე წუთით ადრე, ერთ-ერთი სა-
კარმიდამოს პარკის ჭიშკარი გაიღო და იქიდან გამოვიდა კაცი, რო-
მელიც ქურღავით ფრთხილობდა. საკარმიდამო გრაფინია დე კურ-
სის ეკუთვნოდა, ხოლო პარკიდან გამოსული კაცი სენ-კლერი იყო...“

თუმცა არა. მე აქ პროსპერ მერიმეს ცნობილი მოთხრობის „ეტ-
რუსკული ლარნაკის“ გადმობეჭდვას არ ვაპირებ. ამჯერად ჩვენ არც
სენ-კლერის ტრაგიკული სიყვარულისა და დაღუპვის ამბავი გვაინ-
ტერესებს. მაგრამ, მოდი, თვალი გავადევნოთ იმ ეტრუსკული
ლარნაკის კვალს, რომელიც მზეთუნახავ დე კურსის ეკუთვნოდა და
სენ-კლერის ექვიანობის საფუძველი გახდა. ეს ლარნაკი იტალიიდან
ჩამოიტანა და გრაფინია დე კურსის აჩუქა ვინმე მასინიმ. ეს ცნობა
თითქოს ბევრს არაფერს გვეუბნება ლარნაკის სადაურობაზე. მაგ-
რამ ამჯერად ისტორიკოსს დახმარებას უწევს მოთხრობის გამოქვეყ-
ნების თარიღი — 1830 წლის იანვარი.

მოთხრობის გამოქვეყნებამდე სულ რაღაც ორი წლით ადრე,
1828 წელს, იტალიის ერთი პაწაწინტელა სამთავროს — კანინოს
მიდამოებში, კავალუპოს მთაზე, ვიღაც კაცი მიწას ხნავდა. უეცრად
ერთ-ერთი ხარი მიწამ შთანთქა. მოგვიანებით გამოიჩვენა, რომ ამ

ორმოს ფსკერზე უნახავთ რამდენიმე დამსხვრეული ლარნაკი, რომლებიც მალე სიძველეებით მოვაკრეთა ხელში აღმოჩენილა. ისინი მრავლად იყვნენ მაშინ იტალიაში. შემდეგ ამ გადაწყიდველთაგან ლარნაკები შეუძენია გერმანელ კოლექციონერ მ. დოროვს, რომელსაც ექვი არ შეპარვია, რომ ეს ნივთები კანონიერი გზით მოხვდა მის ხელში, ამიტომ არც დაუფარავს რა ფასი ჰქონდა ამ ლარნაკებს. მალე ეს ამბავი ამ მიწების მფლობელის ლუსიენ ბონაპარტის — ნაპოლეონის ძმის — ყურამდე მივიდა.

1828 წლის ოქტომბერში ლუსიენ ბონაპარტმა ბრძანა, გათხრები დაეწყოთ. ადგილიც შეარჩიეს — ეს იყო დოგანელოს ველი მდინარე ფიორას ნაპირას. გათხრების შედეგად ისეთი ძვირფასი ლარნაკები აღმოჩნდა, რომ პრინცესა კანინომ გადაწყვიტა, გაეგრძელებინა გათხრები. ამჯერად კუკუმელას მალლობი შეარჩიეს, ვარაუდობდნენ. რომ იგი ხელოვნური წარმოშობისა იყო.

გათხრების შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააქარბა. რამდენიმე თვის განმავლობაში ორი-სამი აკრი მიწის ფართობიდან ბრწყინვალე ნახატებით შემკული ორ ათასზე მეტი ლარნაკი ამოჭიდეს. ზოგიერთზე წარწერებიც იყო, რომლებიც ან გამოსახულებებს ხსნიდა, ანდა მფლობელის გვარს გვაძენობდა.

მსგავსი ლარნაკები მანამდეც იყო ცნობილი. მათ სურათებს ვპოულობთ დემასტერის, მონფოკონის, კეილიუსის და XVII-XVIII საუკუნეების სხვა სწავლულთა შრომებში. 1767-1775 წლებში იტალიელმა ეტრუსკოლოგმა პასერიმ სხვადასხვა კოლექციებიდან ამოკრებილი ამგვარი მოხატული ლარნაკების სამი ტომი გამოსცა. მოხატული ეტრუსკული ლარნაკების ყველაზე მდიდარ კოლექციას XVIII საუკუნეში ბრიტანეთის მღვწეუმი ფლობდა. 1767 წელს ისინი მუზეუმს მიჰყიდა ინგლისის ელჩმა ნეაპოლში სერ უილიამ ჰამილტონმა. ფრანგმა პუგო დ. ახკარვილმა ოთხ ტომად გამოსცა შესანიშნავი შრომა ამ კოლექციის ლარნაკების ილუსტრაციებით. მაგრამ ახლა მოხატული ლარნაკების რაოდენობით თვით ბრიტანეთს მუზეუმშიც ვეღარ შეედრებოდა ლუსიენ ბონაპარტის კოლექციას. გარდა ამისა, კუკუმელას მალლობზე ოქროსა და ვერცხლის ბრწყინვალე სამკაულებიც აღმოჩნდა.

ერთხელ თურმე პრინცესა კანინო, პაპის სასახლეში მორიგ მიღებაზე რომ გამოჩნდა, დარბაზს აღტაცებულმა ჩურჩულმა გადაურბინა.

— შეხეთ, შეხეთ! რა დიდებული საყურეები უკეთია! ახლა სამაჯურს არ იტყვიან? გინახავთ სადმე მსგავსი რამ?

— ესენი ჩემი მეუღლის გათხრებიდანაა. — არც მობრუნებულა, აგდებით წარმოთქვა პრინცესამ.

ვიდრე რომის მაღალი საზოგადოება კანინოში აღმოჩენილ ძვირფასეულობათა ღირებულებაზე დაობდა, მეცნიერთა შორის დაიწყო დისკუსია ამ შედეგების წარმომავლობაზე. ერთ-ერთ დიდ ლარნაქს ეწერა „ვიტლონი“. ამან ზოგ მკვლევარს საბაბი მისცა ემტკიცებინა. აღმოჩენილი ნივთების სამშობლო ძველი ქალაქი ვეტულონიაო. დღეს უკვე ცნობილია, რომ ამ ადგილას სხვა ეტრუსკული ქალაქი — ვულჩი არსებობდა.



უცნაური მოგზაური

1843 წლის ზაფხულში ფლორენციის სამხრეთ-დასავლეთით განლაგებული პატარ-პატარა ქალაქების მცხოვრებნი ხშირად ხედავდნენ ერთ უცნაურ მოგზაურს. ეტყობოდა, ინგლისელი იყო. უცნაურობას კი იმაში ავლენდა, რომ თავის თანამემამულეთაგან განსხვავებოდა. ჯგროდ რომ დაეხეტებოდნენ დიდ ქალაქებში და ღრმააზროვანი გამომეტყველებით ათვალთვრებდნენ ძველთაძველ სახლებსა და ტაძრებს, ეს უცხოელი ყოველთვის განმარტოებით მოგზაურობდა და ისეთ მივარდნილ ადგილებს ეტანებოდა, რომლის გზა-კვალი სიძველეთა ადგილობრივმა მცოდნეებმაც არ იცოდნენ. მას უფრო აქა-იქ შემორჩენილი ფორმალაკარგული ნანგრევები აინტერესებდა. იქაური გლეხები მათ „მურაჩას“ ეძახდნენ. ამ ძველთაძველ კედლებს მწყემსები აფარებდნენ ხოლმე თავს თაკარა სიცხის დროს. რას ხედავდა საინტერესოს ეს უცხოელი იმ დახვავებულ ქვებში? იგი ისეთი სახით იხატავდა მათ ალბომში, თითქოს დიდად ღირსშესანიშნავი რამ ნახაო. ხატვის დროს თან რაღაც მელოდიას უსტვენდა და ეს მელოდიაც ისევე მკვეთრად განსხვავდებოდა იტალიური ნოტივებისგან, როგორც მისი გრძელცხვირა, სუფთადგაპარსული ოქთარი პირისახე ადგილობრივთა გაჯაგრული და მზით გარუჯული სახეებისაგან. აქაურებისათვის ეს მელოდიაც ისევე მოსაწყენი იყო, როგორც ამ უცხოქვეყნელის ინტერესის სფერო. იგი არასოდეს არ

იკითხავდა, სად იყო ტრატორია, ანდა რანაირად გაეცნო ლამაზი გოგობი. გამვლელ-გამომვლელთ მხოლოდ ერთი კითხვით მიმართავდა: „ხომ არსად წაწყდომინარ ძველ სამარხებს?“ ერთხელაც, კორნეტოს მახლობლად, ვილაცამ უჩჩია, კარლო ავოლტას მიმართეო.

— კარლო ავოლტა ვინ არის? — იკითხა უცხოელმა.

— ო, იგი გასაოცარი ადამიანია! ერთხელ თურმე ოქროს საჭურველში ჩასმული შშინარე მეომარი უნახავს, ხელიც კი გაუწვდია დასაჭერად, მაგრამ მეომარი გამქრალა. მას შემდეგ სულ გაღთხარა ყველა სამარხი, მაგრამ მეომარი დღემდე ვერ იპოვა.

თხელ ტუჩებზე უცხოელს ღიმილმა გადაურბინა.

— როგორ თქვი? ოქროს საჭურველიო? თითზეც ბრილიანტის-თვლიანი ბეჭედი ეკეთა და თავზე ოქროს მუზარადი ეხურა, არა? ღიცი. ეს ამბავი ჭერ კიდევ ფლორენციაში მიაშბეს. ოლონდ ის მეომარი ყმაწვილ სენიორინა ბეატას უნახავს და, ცხადია, შეჰყვარებია. მეომარს კი თავისთან, იმქვეყნად წაუყვანია ქალი.

— ვატყობ, ჩემი არ გჯერათ, სენიორ, — გული მოუვიდა იმ კაცს. — წამოდით და გაჩვენებთ კარლოს სახლს. არაფერს არ გამოგართმევთ.

რამდენიმე საათის შემდეგ ისინი ერთი დიდი სახლის ჰიშკართან იდგნენ კორნეტოს წყნარ ქუჩაში. ფანჯრიდან ვილაცამ გადმოყო თავი და უგულოდ გადმოსძახათ, კარლო ტრატორიაში წავიდაო. უკვე გვიან იყო, მაგრამ ტრატორიაში მაინც წავიდნენ. ჯორჯ დენისის (ასე ერქვა უცხოელს) არ უნანია, შემთხვევით გამვლელს რომ დაუჭერა. მან ძალიან საინტერესო ადამიანი გაიცნო.

მოგვიანებით დენისი კარლო ავოლტას შესახებ წერდა: „ეს იყო ცოცხალი ბუნების, არქეოლოგიურ გათხრებში გათვითცნობიერებული ხანშიშესული ინტელიგენტი. მას ძალიან აინტერესებდა კორნეტოს. თავისი სამშობლოს სიძველეები. ყოველთვის მზად იყო, თავისი ცოდნა სხვისთვის გაეზიარებინა, უცხოელებს თავაზიანად ეპყრობოდა, მეგობრებს კი გულითადად ლებულობდა. ოთხმოცი წლის მიუხედავად, დაუცხრომელი სპორტსმენი იყო და ოცდაათი წლის მამაკაცის ენერგიასა და სიმკვირცხლეს ფლობდა. ცხოვრობდა დიდ, მაგრამ პირქუშ სახლში, სადაც ყველაფერი სიძველით იყო გაყლენთილი. მთელი დღის შრომის შემდეგ საღამოებს კაფეში ატარებდა. იქ მისთვის დამახასიათებელი ენთუზიაზმით მღეროდა. ანდა ეტრუსკული სამარხების სიმღიდრესა თუ ფრესკებზე უყვებოდა შემოკრებილთ“.

კარლო ავოლტასაგან გაიგო დენისმა შშინარე მეომრის გასაოცა-

რი ამბავი. კარლომ ისიც უთხრა უცხოელს, სამოცდაათი წლის წინ ეს ადგილები ვილაც ინგლისელმა მხატვარმა მოინახულა და რიგი სამარხების ჩანახატებიც გააკეთაო, მაგრამ, სამწუხაროდ, კარლოს მისი გვარი არ ანსოვდა, დენისისთვის კი ცნობილი იყო. ექვიც არ ეპარებოდა. რომ კარლოს მხედველობაში ჰყავდა შოტლანდიელი ჯემს ბაირესი, რომელიც XVIII საუკუნის შუა წლებში ცხოვრობდა რომში. ბაირესის ნახატები გამოქვეყნდა 1842 წელს საკმაოდ სქელ ტომში, რომელსაც ასეთი ვრცელი სათაური ჰქონდა: „ჰიპოგეები ანუ ძველი ეტრურიის დედაქალაქის, ტარკვინიის მიწისქვეშა გამოქვაბულები, შესრულებული განსვენებული ჯემს ბაირესის, ტონლეელი (აბერდინშირი) ესკვაირის მიერ. რომელიც ორმოც წელზე მეტ ხანს ცხოვრობდა რომში, 1790 წლამდე“. დენისი კარგად იცნობდა ამ ნაშრომს და ყველგან თან დაჰქონდა. მას მხოლოდ ერთი რამ აოცებდა: ბაირესი დემპსტერის თანამემამულე იყო და მისი ნაშრომიც თითქმის იმდენსავე ხანს იღო ხელნაწერის სახით გამოუქვეყნებელი. რამდენ ხანსაც „მეფეთა ხანის ეტრურია“.

დენისმა კარლოს აჩვენა ბაირესის წიგნი და აუხსნა კადეც თავისი მიზანი. სურდა, ორიგინალისთვის შეედარებინა შოტლანდიელი მხატვრის ნახატები და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ახალი ფრესკებიც ჩაეხატა.

— ჩინებულია! — შესძახა ავოლტამ. — მე თქვენ გიდს გააუყოლებთ, მას აგაპიტო აღდანეზი ჰქვია. პროფესიით ხარაზია, მაგრამ აქ ყველა იცნობს, როგორც „სამარხების პოვნაში ფეხბედნიერს“.

იმხანად, როცა დენისმა კორნეტოსა და ძველი ტარკვინიის სხვა სამარხების შესწავლა დაიწყო, იგი დაახლოებით ოცდაათი წლისა იყო. დაიბადა 1814 წელს საგადასახადო უწყების დიდი თანამდებობის მოხელის ოჯახში. თხუთმეტი წლის ჯორჯმაც ამავე უწყებაში დააწყო მუშაობა კლერკად, ოცდახუთი წლისა უკვე მაგიდის უფროსი იყო, მაგრამ ჩინოვნიკის კარიერა ნაკლებად იზიდავდა ახალგაზრდა ინგლისელს. თავისუფალ დროს იპოვიდა თუ არა, ენებსა და ისტორიას სწავლობდა. ანდა კონტინენტზე მოგზაურობდა. 1839 წელს გამოვიდა მისი წიგნი „ზაფხული ანდალუზიაში“, რომელშიც აღწერალია სამხრეთ ესპანეთში მოგზაურობა. 1845 წელს კი ღღის სინათლე იხილა მისმა მეორე წიგნმა „სიდი“, რომელსაც ასევე ესპანური მასალა ედო საფუძვლად. უკვე ამ დროს დენისი ეტრუსკებით იყო გატაცებული და ხუთი წლის განმავლობაში ზედიზედ იმოგზაურა ძველ ტოსკანაში; განცვიფრებული იყო ამ მხარის მდიდარი ძეგლებით, მაგრამ არა ნაკლებ გაოცებული იყო იმით, რომ ამ

ძეგლებს კაციშვილი არ იცნობდა. ერთხელ მან ასეთი რამ ჩაიწერა: „ისეთ ქვეყანაში, როგორც ინგლისია, ძნელია, კაცმა წარმოიდგინოს, რომ მიწის ზედაპირზე იმყოფება თუნდაც ნაკლებმნიშვნელოვანი წარსულის ძეგლი და საუკუნეთა მანძილზე მას არავინ იცნობს. სწორედ ასეთი ვითარებაა იტალიაში. აქ უხვად ნახავთ ანტიკური ხანის ძეგლებსა და უკვე გამჭრალი ცივილიზაციების კვალს. ისინი სულ რაღაც რამდენიმე მილზე თუ იქნება მთავარი გზიდან, მსოფლიომ კი არაფერი იცის მათ არსებობაზე, თითქოს ისინი სადღაც უკიდევანო უდაბნოს შუაგულში იყოს“.

დენისს სამუდამოდ დაამახსოვრდა ის პირველი სამარხი, რომელიც აგაპიტომ აჩვენა. მას „კვერჩოლას მღვიმეს“ ეძახდნენ, ამ ადგილის მფლობელის გვარის მიხედვით. მაგრამ აგაპიტო არ დააკმაყოფილა ამ სახელწოდებამ და დენისს შესთავაზა, მისთვის „გარეულ ტახებზე ნადირობის სამარხი“ შეერქმიათ.

სამარხს ოციოდე ნაბიჯის სიგრძის ჩასასვლელი ჰქონდა, რომელიც ძველადვე გამოეკვეთათ პიტალო კლდეში. მაგრამ შესასვლელი სრულიად თანამედროვე კარით იყო ჩაკეტილი. დენისმა გააღო კარი და ვრცელ სათავსოში აღმოჩნდა. ჯერ თითქოს იმედი გაუცრუვდა. მართალია, ოთახს ეტრუსკული სამარხის ფორმა ჰქონდა, მაგრამ ფრესკები არსად ჩანდა. მერე, თანდათან, ჟვალი რომ შეეჩვია სიბნელეს, კედლებზე ერთიმეორის მიყოლებით გამოჩნდა ფიგურები. უკვე გაირჩეოდა ერთმანეთისგან ფერადი ზოლით გამოყოფილ გამოსახულებათა ორი მწკრივი.

მხატვარს ნადიმი დაეხატა. სარეცლებზე წამოწოლილი მონადიმენი ლირაზე და ფლეიტაზე დამკვრელთ უსმენენ, მსახურნი საქმელებს არიგებენ და ღვინოს ასხამენ. ყმაწვილ გოგო-ბიჭებს კი ცეკვა გაუმართავთ. იქვე, ახლოს, გარეულ ტახზე ნადირობის სცენაა წარმოდგენილი.

დენისი ყურადღებით აკვირდებოდა თვითვეულ ფიგურას. ცენტრში, სარეცელზე, ულამაზესი ქალი იყო წამოწოლილი, ცალი ხელი მის გვერდით წამოწოლილი მეუღლისთვის მოეხვია, მეორეთი კი ღვინით სავსე თასი მალა აეწია. სარეცლისა და მაგიდების დახვეწილი ფორმები, ლამაზი ფერის ქსოვილები, ამოქარგული ბალიშები — ყველაფერი ეტრუსკული ყოფა-ცხოვრების ფუფუნებაზე მიუთითებდა. თვით მოცეკვავეებსაც კი, განსაკუთრებით ქალებს. მდიდრულად ეკვით — ფერადქობიანი კვარტები, სამაჯურები, საყურები. ნადიმი, ეტყობოდა, ღია ცისქვეშ და თანაც ღამით იყო

გაპართული. ამაზე მიუთითებდა სარეცელთა უკან დახატული ხე-ები და ანთებული ლამპრები.

ნადირობის სცენას რომ აკვირდებოდა, დენისს გაახსენდა ძველ ავტოობთან წაკითხული გამოთქმა „ეტრუსკული ტახი“. ტახზე ნადირობა ძველ რომაელთა ერთ-ერთი საყვარელი გასართობი იყო. მაგრამ ნახატი მიუთითებდა, რომ მათზე ნაკლებ არც ეტრუსკებს ჰყვარებიათ ეს გართობა. ჭაგარაშლილ ურჩხულს ძაღლები შემოხვევიან. გამოსახულია ორი კაციც, რომელთაგან ერთ-ერთი მხედარია. მას ხელშუბი უკავია. ფიგურებისა და ცხოველების უკან მოჩანს ბადეები, სადაც, ჩვეულებრივ, შეიტყუებდნენ ხოლმე დევნილ მხეცს.

„კვერჩოლას მღვიმედან“ რამდენიმე ასეულ მეტრზე მდებარეობდა „კარდინალის სამარხი“. პირველად იგი 1699 წელს აღმოაჩინეს. მერე — 1738 წელს, შემდგომ — 1760 წელს და, ბოლოს—1780 წელს. ამ ბოლო აღმოჩენის დროს ეს სამარხი შეისწავლა კორნეტოს ეპისკოპოსმა, კარდინალმა გარამპიმ, ამიტომაც შეარქვეს მას „კარდინალის სამარხი“.

ძირს ჩასულმა დენისმა იხილა უზარმაზარი სათავსი, რომელიც მთლიანად კლდეში იყო გამოკვეთილი. სამარხის ჭერი ასევე კლდეში გამოკვეთილ ოთხ სვეტს ეყრდნობოდა. აგაპიტომ მოგზაურა შესასვლელიდან მარჯვნივ, კედელთან მიიყვანა.

— აი. აქ ნახეთ! — უთხრა მან.

დენისმა ძლივს გაარჩია ფიგურათა მკრთალი გამოსახულება. მხატვრობა თითქმის აღარ ჩანდა, ისე იყო გაჭვარტლული ტურისტების ჩირაღდნებისგან. მაგრამ დამთვალეიერებელთ არც ეს ეკმართ და მოსაგონრად თავიანთი გვარებიც მიეწერათ. ეს წარწერები გვამცნობდა, რომ სამარხი ენახათ ფრანგებს, პორტუგალიელებს და, რასაკვირველია, ინგლისელებს.

„რადღენ დიდი ბედნიერებაა, რომ ბაირესმა მაშინ ჩაიხატა ეს სურათები, როცა ისინი უკეთეს მდგომარეობაში იყო,“ — გაიფიქრა დენისმა.

რამდენიმე კვირა დასჭირდა დენისს კორნეტოს სამარხების დასათვალეიერებლად. იგი გამთენიისას გადიოდა შინიდან და მთვარის შუქზე ბრუნდებოდა. ღამითაც არა ერთხელ ამდგარა, რომ თავის უბის წიგნაკში მორიგი ჩანაწერი გაეკეთებინა. „განა საოცარი არ არის, — წერდა იგი, — რომ ნახატებზე გამოსახულ ნადიმსა თუ სხვა გართობაში ქალები და კაცები ერთად მონაწილეობენ? ეს ხომ ადასტურებს ძველ ავტორთა ნათქვამს, ეტრუსკი ქალები თავისუფლები

იყვნენო. ათენში კი ქალი დამცირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. იგი არასოდეს არ ედგა მეუღლეს გვერდით, როგორც მეგობარი და თანაშემწე, მას ქმრისთვის თვალეზში უნდა ეცქირა მოწასავით. ქალთა სქესის ამგვარი აბუჩად ავლება, რაც აღმოსავლეთისთვის იყო დამახასიათებელი, პერიკლეს დროსაც კი შეიმჩნეოდა. ეტრურიაში კი ქალს აფასებდნენ და პატივს სცემდნენ. იგი მაგიდასთან ქმრის გვერდით იჯდა, რის ნებასაც ათენში მას არ მისცემდნენ. ქალს აქ სათანადო აღზრდა-განათლებას აძლევდნენ და ზოგჯერ შვითხაობის საიდუმლოებასაც აცნობდნენ. ეტრურიაში შვილები დედის სახელსაც ისევე ლეებულობდნენ, როგორც მამისას. და მის სამარხსაც ისევე ფუფუნებით რთავდნენ, როგორც ქმრისას.“

ტოსკანაში ერთ-ერთი მორიგი მოგზაურობის დროს დენისმა მოინახულა ჩერვეტერი. ეს „უბადრუეი სოფელი“, როგორც დენისმა უწოდა მას თავის ჩანაწერებში, იმ მდიდარი და ძლიერი ქალაქის ადგილას მდებარეობდა, რომელსაც ეტრუსკები ცერეს, ხოლო ბერძნები აგილეს უწოდებდნენ. „აქა-იქ აღმართული ყორღანები ინახავდნენ იმ მეფეთა ნეშტებს, შესაძლოა, ტროელ გმირთა თანამედროვენი რომ იყვნენ.“ ამ სამარხთაგან ყველაზე ცნობილი იყო 1836 წელს მღვდელ რეგოლინის და გენერალ გალასის მიერ გათხრილი სამარხი, რომელსაც აღმომჩენთა გვარების მიხედვით რეგოლინი-გალასის სამარხს ეძახდნენ. აქ აღმოჩენილი ნივთები, რომლებიც როგორღაც გადარჩენოდა გაძარცვას, რომის მუზეუმის რამდენიმე დარბაზში იყო გამოფენილი. დენისი ყოველ ჩამოსვლაზე მოინახულებდა ხოლმე მეზეუმს და ტკებობდა რეგოლინი-გალასის სამარხის ეტლების, ცხოველის თათების ფორმის ფეხებიანი ხის ტახტის, ფარების, კურკლის, ოქროს სამკაულების ცქერით. თუკი ეს ამდენი სიმდიდრე იმ ქვეყნად მიმავალი მიცვალებულების — დედოფალ ლარციასა და მისი მეომარი ქმრის — გასაცოლებლად იყო განკუთვნილი, ადვილი წარმოსადგენია, რა სიმდიდრე ექნებოდათ ლუკუმონებს სიცოცხლეში.

რეგოლინი-გალასის დაცარიელებულმა სამარხმაც კი ძალან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დენისზე. ესაა ვიწრო, შვიდ-ნახევარი მეტრი სიგრძის მქონე საკანი. სუფთად გათლილი ქვებით ნაგებ კედლებს არავითარი სამკაული არ ჰქონდა. ცენტრალური სათავსოდან კარები მარჯვნივ და მარცხნივ, გვერდითა ოვალურ სათავსებში გადიოდა. სამარხი აკლდამის გეგმა საცხოვრებელი სახლის ფორმისა იყო, რაც აადვილებდა იმის წარმოდგენას, თუ როგორი იქნებოდა ეტრუსკული საცხოვრებელი სახლი. ჩერვეტერის ტარკვი-

ნათა აკლდამაში დენისის ყურადღება მიიპყრო დიდმა ოთხკუთხა დარბაზმა. ორფერდა ბრტყელი კერი ზუსტად იმეორებდა კოჭებითა და ფიცრებით ნაგებ კონსტრუქციას. კერი კვადრატულად გადაკვეთილ ორ სვეტს ეყრდნობოდა. აკლდამის კერიდან კლდეში კვეთით გარეთ გადიოდა ხერელი, რომელიც რომაული იმპლუვიუმის¹ როლს ასრულებდა.

დენისმა მოინახულა ოდესღაც რომის ძლიერი მეტოქის, ძველი ვეის მიდამოებიც. მისი ყურადღება მიიქცია მარკიზ კამპანას მიერ ახლად აღმოჩენილმა სამარხმა, რომლის ფრესკებზე გამოსახული იყო ნადირობის სცენები და ფანტასტიკური ცხოველები. მისის ჰამილტონს, რომელიც ეტრურიის სამარხებს აგვიწერს თავის წარმტაც წიგნში, სამწუხაროდ, ეს სამარხი არ შეეძლო ენახა.

„ეს რა უცნაური ფიგურაა? — ფიქრობდა დენისი. — ფეხები კრიკინასავით წვრილი და გრძელი აქვს, ტანი კი — ხარივით მსხვილი. ანდა, საღებავთა რა მრავალფეროვნებაა? ყველ-კისერი წითელია, ყვითლად დალაქული, თავი — შავი, კუდი და ფაფარი — ღი-მონისფერი. ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ არ ჩანს ბერძნულის რაიმე გავლენა. ეტყობა, ეს ყველაზე ძველი სამარხია!“

ერთ-ერთი მოგზაურობის დროს დენისმა მოინახულა მიზინიანო, ნაპოლეონის უმცროსი ძმის, ლუსიენ ბონაპარტის ყოფილი რეზიდენცია. მან იცოდა, რომ პრინცი და პრინცესა 1828 წელს მთელი ოთხი თვის განმავლობაში თხრიდნენ სამაჩხებს.¹ გულაძგერებული მიუახლოვდა იგი შენობას, რომელიც ნაკლებად წააგავდა იტალიელ თავადთა სასახლეებს. შორიდან მონასტერიც კი გეგონებოდათ. მაგრამ მასიური კიშკრის ორივე მხარეს ეტრუსკული გრიფონები და ლარნაკები რომ იხილა, დენისმა ეს კარგის მომასწავებლად ჩათვა-ლა და ხალისიანად შეაბიჯა ბონაპარტის ქვრივის სამფლობელოში.

პრინცესას შეილობილმა სენიორ ვალენტინიმ მოგზაური მეტად თავაზიანად მიიღო და კაბინეტისკენ წაუძღვა. იქ მხოლოდ ათიოდე ლარნაკი ნახა, ყველა დანარჩენი, რამდენიმე ათასამდე, ზოგი პაპს შეეძინა გრიგორიანული მუზეუმისთვის, ზოგიც სხვა ქვეყნების მუზეუმებს. საეპრო აგენტები პრინცესას ევროპის ყველა დედაქალაქში ჰყავდა, ლონდონიდან დაწყებული სანკტ-პეტერბურგით დამთავრებული. ოქროსა და ვერცხლის ყველაზე ძვირფასი ნაკეთობანი

¹ იმპლუვიუმი—ატრიუმის ცენტრში მოთავსებული აუზია, რომელშიც გროვდებოდა სახურავიდან ჩამოსული წვიმის წყალი. ატრიუმი კი ეწოდება რომაული სახლის ცენტრალურ ნაწილს—გადახურულ შიდა ეზოს (ერლოთი გადახურვის ცენტრში).

თვით მარკიზ კამპანას შეეძინა, სწორედ იმას, ვეისთან ახლომდებარე სამარხი რომ აღმოაჩინა.

კარგად რომ დააკვირდა პრინცესას ლარნაკებს, დენისმა შეამჩნია, რომ ისინი ნატეხებისგან იყო შეკოწიწებული. 'მართალია, ამის გამო მათი მხატვრული ღირებულება არ მცირდებოდა, მაგრამ მაინც დიდ ფასად ვერ გაიყიდებოდა. ბრინჯაოს ნაკეთობანიც ცოტალა შემორჩენოდათ — რამდენიმე კანდელაბრი, ორი-სამი სარკე, სამფეხები, ხორცის კაუჭები. ეტყობოდა, ამ ნივთებს მყიდველი არ გამოსჩენოდა.

ვილას გარს ეკრა ინგლისური სტილით გაშენებული პარკი: გადაკრეპილი ხეების ძირას იდგა ქვის ყუთები — სარკოფაგები. დენისმა ამოიღო ალბომი და ჩახატვას შეუდგა. „ვინ იცის, ვის ხელში მოხვდება, — გაიფიქრა, — ეს ძეგლები კი ფრესკებზე ნაკლებსაინტერესო როდია. რა არის გამოხატული, მაგალითად, აი, ამ სარკოფაგზე? დაკრძალვის პროცესია? ორი ფრთოსანი დემონი მიაცილებს ყმაწვილ ქალს. ეს ქალი ხომ არ არის სარკოფაგზე წამოწოლილი? აი, ეს კი, ეტყობა, ამ ქალის მამაა, ხელები გაუწვდია შვილისაკენ. დედას კი პატარა ბავშვი უკავია ხელში და მწუხარებისგან გარინდებულა. სარკოფაგის მეორე მხარეს სხვა ჯგუფია გამოსახული. უდავოა, ეს ნიჩბიანი დემონი ქვესკნელის სამეფოში გადამყვანი ქარონია. რომელიც მიცვალებულის სულს ელოდება. მეორე დემონს კი ბედისწერის ჩაქუჩი უკავია“.

ჯერაც არ დაემთავრებინა დენისს სარკოფაგის დათვალიერება. რომ სენიორ ვალენტინიმ სასიამოვნო ცნობა მოუტანა: მიზინიანოდან რამდენიმე მილის დაშორებით გათხრები მიმდინარეობს და, თუკი მოისურვებს, სენიორს შეუძლია ინახულოსო.

მალე დენისის უბის წიგნაკში ახალი ჩანაწერი გაჩნდა: „ორმოსთან. სადაც გათხრები მიმდინარეობდა, იქდა კაპო, ანუ მეთვალყურე, გვერდით თოფი ეღო და თვალს ადევნებდა, ვინმეს რამე არ მოეპარა. ჩვენ იმ დროს მივედით, როცა სამარხს ხსნიდნენ. ვულკანური ტუფის სახურავი ჩაინგრა და სამარხი მიწით ამოივსო, ამიტომ ყველა ნივთი სათითაოდ უნდა ამოეთხარათ. ეს საქმე კი ძალიან დიდ ყურადღებასა და სიფრთხილეს მოითხოვდა. ამოთხრილი ნივთები ისეთი ძვირფასი არ აღმოჩნდა, როგორსაც მოელოდნენ. უხეში, მოუხატავი და ლაქწაუსმელი კერამიკა იყო და შავი თიხის პატარ-პატარა ნივთები. როგორ აღვშფოთდი, როცა დავინახე, რომ მუშები ამ ნივთებს მიწაზე ისროდნენ და ფეხებით ამტვრევდნენ, როგორც „ზღვის ბალახზე უფრო იაფ“ რამეს. ამოდ ვევედ-

რეზოლი უველას, გადაერჩინათ ისინი დალუპვისაგან. მართალია, ისინი დიდი საფასურისა არ იყო, მაგრამ თავისებური და, შეიძლება ითქვას, ელევანტურა ფორმისანი იყვნენ, რომ აღარათფერი ვთქვათ მათზე, როგორც გარდასულ დროთა რელიკვიებზე. მაგრამ კაპოს თვალში ეს „უვარგისი ხარახურა იყო“. ვერაფრით აზრი ვერ შევაცვლევინე. თურმე ნაბრძანები ჰქონდა, მოესპო ყველაფერი, რაც არ გაიყიდებოდა. ვერც შენ გაგატანო თუნდაც ერთ რელიკვიას.“

სიძველეთა მიმართ ამგვარი ბარბაროსული დამოკიდებულება გამონაკლისი როდი იყო. დენისს გაგონილი ჰქონდა „იტალიური ბარბაროსობის“ არა ერთი და ორი მაგალითი — ასე უწოდებდა იგი ღველი ხელოვნების ძეგლების განადგურებას. პრინცესამ „თავისი გათხრების“ წარმოება ვილაც ვიგინდარას, გაუნათლებელს, ანტიკურის უტოლდინარს მიანდო. მაგრამ ამ ვიგინდარას კარგად ეხერხებოდა სამარხების მიგნება და იცოდა, რა ფასად გაიყიდებოდა წაბოვნი ნივთები ბაზარზე. ცხადია, ამგვარ აღამიანებს ისტორია და ხელოვნება სულაც არ აინტერესებდათ. რაში ესაქმებოდათ, როგორ იყო ნივთები განლაგებული სამარხში, დამარხვის რა წეს-ჩვეულება იყო დაცული! მათ მიერ ჩატარებული გათხრების შემდეგ ნანგრევების გროვალა რჩებოდა.

დენისს მართო ეტრუსკული სამარხები კი არა, ქალაქებიც აინტერესებდა. მან გარდიგარდმო გადასერა მთელი ტოსკანა ძველი ავტორების მიერ ნახსენები ეტრუსკული ცენტრების ძებნაში. ინახულა ის ადგილები, სადაც იყო ვეი, კორტონა, პირგი, პოპულონია, პერუზია. ამ ძებნაში მან ისეთი ეტრუსკული ქალაქიც კი იპოვა. რომელიც ძველ ავტორებს ნახსენებიც არ ჰქონდათ. ამ ადგილას ყოფილა რომაული კოლონია სოანა, ანუ სოვანა. მაგრამ გარეუბნებში შემორჩენილი ქალაქის ნაშთები და სამარხები უდავოდ ეტრუსკულ წარმოშობას მოწმობდნენ. გრავისოკის რაიონში დენისმა მიაკვლია სუფთად გათლილი ქვებისგან ნაგებ თაღს. შეიძლება იგი ხიდის ანდა საკანალიზაციო ნაგებობის ნაწილი იყო. რომაული კლოაკის ტიპისა, აგებული ეტრუსკთა მეფობის ხანაში.

„ეტრურიას არც პლატონი წარმოუშვია, არც დემოსთენე. არც თუკიდიდე და ფიდიასი, — წერს დენისი, — მაგრამ იგი ერთგვარად მანაც წინ დგას საზოგადოებრივი ორგანიზაციითა და ტექნიკით. ეტრუსკ ინჟინრებს ბადალი არა ჰყავდათ ოსტატობასა და ნიჭიერებაში. ბევრი გზა, ხიდი, აკვედუკი თუ სარწყავი არხი, რომელთა აგებას რომაელებს მიაწერენ, ეტრუსკთა ნახელავი იყო. განსაკუთრებით

ეხერხებოდათ ეტრუსკებს გვირაბების გაყვანა, მიწის ამოთხრა და უფორმო კლდეებისთვის ფორმის მიცემა და გამშვენიერება“.

დენისის წიგნი 1848 წელს გამოვიდა. მას ეწოდება „ძველი ეტრურის ქალაქები და სამაროვნები“. თვით ინგლისში დენისის წიგნი მაშინვე არ შეუშინევიათ. მაგრამ მას ყურადღება მიაქციეს გერმანისა და საფრანგეთში. მალე გამოჩნდა „ძველი ეტრურის ქალაქებისა და სამაროვნების“ გერმანული თარგმანი.

დენისმა, ცხადია, იცოდა, რა წარმატება ხელა წილად მის ნაშრომს. მაგრამ მას შემდეგ ეტრურის საკითხისთვის ხელი აღარ მოუჭიდა. მალე იგი გაემგზავრა ბრიტანეთის გვიანში. სადაც გუბერნატორის მდივნად მუშაობდა. 1863-1866 წლებში დენისი ტრიპოლისა და კირენაიკის (ჩრდილოეთ აფრიკა) ვიკე-კონსული იყო და იქაც ინტერესი გამოიჩინა არქეოლოგიისადმი. ტრიპოლიდან სიცილიაში გადაბარგდა.

1878 წელს, როცა დენისი უკვე თურქეთში იმყოფებოდა და იღუპალებით მოცულ ხეთურ კულტურას ეცნობოდა. მეორედ გამოვიდა მისი „ძველი ეტრურის ქალაქები და სამაროვნები“. ამ დროს იტალია უკვე ერთიანი სახელმწიფო იყო და მისმა ხელისუფლებამ ყველა არქეოლოგიურ ძეგლი ეროვნულ საკუთრებად გამოაცხადა. ეტრუსკულ სამარხებს ამიერიდან სახელმწიფო იცავდა. დათვალიერება მხოლოდ განსაზღვრულ საათებში შეიძლებოდა და ისიც ექსკურსიის ხელმძღვანელის თანდასწრებით, რომლის მოვალეობა ისიც იყო. თვალი ედევნებინა, დათვალიერებელთ კიბეები „სუვენიერუბით“ არ ამოეცნოთ და დანის ანდა სხვა სახის მურელი იარაღით არ შეემოწმებინათ ფრესკების გამძლეობა. დაარსდა ეტრუსკული ძეგლების რამდენიმე მუზეუმი. მათ შორის ვილა ჯულია რომში და გრიგორიანული მუზეუმი ვატიკანში. წერტილი დაესვა განძის მაძიებლობას. კერძო პირებს უფლება არ ჰქონდათ. გათხრები ეწარმოებინათ, თუმცა ჩუმ-ჩუმად ეტრუსკული საგანძურების ძიებას თავს მაინც არ ანებებდნენ. ჩამოყალიბდა სამეცნიერო ექსპედიციები ეტრუსკული სამარხებისა და ნაქალაქარების გათხრების ჩასატარებლად. ამ ექსპედიციებს სათავეში ედგნენ როგორც იტალიელი არქეოლოგები, ისე საფრანგეთის, ამერიკის, გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტები, რომლებიც შეიქმნენ რომში, აფინანსებდნენ კი შესაბამისი სახელმწიფოები.

არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში დაწყებულმა ახალმა პერიოდმა კიდევ უფრო აამაღლა დენისის შრომის მნიშვნელობა. საყურადღებო იყო არა იმდენად ამ შრომის დასკვნები, რამდენადაც განძის მაძიებლობის დროს დაღუპული ძეგლების აღწერები.



როცა წიგნს ვკითხულობთ, ან რვეულში რაიმეს ვიწერთ, გვიფიქრია კი იმ ხანაზე, როდესაც ადამიანებმა წერა საერთოდ არ იცოდნენ, ანდა თუ იცოდნენ, თავიანთ აზრს რთული, მოუხერხებელი იეროგლიფებით ანდა ლურსმული ნიშნებით გამოხატავდნენ?

ჩვენთვის უცნობია გვარი იმ ანბანის გამომგონებლისა. რომელიც საფუძველი შეიქნა ევროპის, ამერიკის, ავსტრალიის და ნაწილობრივ აზიის ხალხთა დღევანდელი ანბანისა. მაგრამ ვიცით, რომ იგი დაახლოებით სამი ათასი წლის წინ ცხოვრობდა ზღვისპირა ქვეყანაში — ფინიკიაში. ფინიკიელის ენაზე სიტყვა „ალეფ“ ნიშნავდა „ხარს“. გონებამახვილმა ფინიკიელმა გადაწყვიტა, იმის მაგივრად, რომ იეროგლიფი დაეწერა, ასო „A“ შეეცვალა ხარის რქების გამომ-

სახელი პირობითი ნახატი < . მას შემდეგ ყველა ფინიკი-

ურ სიტყვაში, სადაც „A“ ბგერა ბყო საჭირო, ამ ნიშანს ხატავდნენ. ამგვარი სიტყვები კი ცოტა როდი იყო. ამგვარადვე მოიგონეს ნიშნები სხვა ბგერებისთვისაც. ასე დაიბადა ანბანი. ამიერიდან ასოებით შეიძლებოდა ყოველგვარი სიტყვის, ყოველგვარი აზრის გამოცხადება.

ბერძნები ერთ-ერთი პირველნი მიხვდნენ, რაოდენ მოსახერხებელი იყო წერის ეს ახალი სისტემა. ფინიკიაში გამოგონილ ასოებს წარმატებით შეეძლო შეეცვალა მანამდე ხმარებული ნიშნები, რომლებიც მთელ მარცვლებს აღნიშნავდა. ოღონდ პირველი ასო ბერძნებმა ფინიკიურისგან ცოტა განსხვავებულად დაწერეს — A. შეუცვალეს თავდაპირველი სახელიც. ასე გაჩნდა „ალფა“, მერე მას მოჰყვა „ბეტა“, „გამა“, „დელტა.“

„ალეფი“ მალე დასავლეთისკენ, იტალიაში გაემგზავრა. მისი გამოსაუღლება გვხვდება ეტრუსკულ ბრინჯაოს ფირფიტებზე, ქვის ფილებსა თუ ძვლის პატარა ტაბულებზე. მასთან შეხვედრა ძველი ნაცნობის ნახვასავით გვახარებს.

ასევე ადვილად ვცნობილობთ ასო . Э -ში E -ს,

კული და ბერძნულ-ფინიკიური ანბანის საკმაოდ ბევრი ასო ემთხვევა ერთმანეთს. მაგრამ ზოგიერთმა ეტრუსკულმა ასომ საკმაოდ დიდხანს მოამწყვდია მეცნიერები ჩიხში. აი, ავიღოთ თუნდაც ეს სამი

ასო: 8, '1 ⊕ რას აღნიშნავდა ისინი?

XVI-XVII საუკუნეებში, როცა მეცნიერებმა პირველად მიაქციეს ყურადღება ეტრუსკულ წარწერებს, ისინი მხოლოდ მხრებს იჩივდნენ, აოცებდათ ცალკეული ასოების უცნაური მოხაზულობა. სწორედ მაშინ გაჩნდა ეს ლათინური ანდაზა: „Etruscum est non legitur“ — „ეტრუსკული არ იკითხება.“

მერე მეცნიერები თანდათან გაიწაფნენ ეტრუსკული სიტყვების კითხვაში, მაგრამ აზრი მაინც არ ესმოდათ. უპირველეს ყოვლისა, მათ დაადგინეს, რომ ეტრუსკები ჩვენსავით მარცხნიდან მარჯვნივ კი არ წერდნენ, მარჯვნიდან მარცხნივ, ებრაელებისა და აღმოსავლეთის ზოგიერთი ხალხის მსგავსად. (წერის ასეთი მიმართულება დღემდე შემორჩა არაბულ დამწერლობას.) ამტომაც ეტრუსკები ასო

K-ს წერდნენ ასე — .X, ასო E -ს შემდეგნაირად: 3

აქედან გამომდინარე, უკვე აღვიღალ შეიძლებოდა იმის მტკიცება, რომ ეტრუსკული ენა ძველ-ებრაულს ენათესავებოდა. ამ მცდარმა მოსაზრებამ კარგა ხნით შეაფერხა ეტრუსკული ენის შესწავლა, თუმცა უკვე XVI საუკუნეში სწორად ამოიხსნა ათობით ეტრუსკული ასოს ბგერადობა და ისიც დადგინდა, რომ ეტრუსკები სიტყვებს ერთმანეთისგან ერთი ან ორი წერტილით გამოყოფდნენ.

დიდი დავა გამოიწვია იმანაც, თუ როგორ წაიკითხავდნენ ასო 8 -ს. ზოგი მას რუსულ E-დ გამოთქვამდა, ზოგი როგორც D-ს. ზოგჯერ კი მას კითხულობდნენ როგორც O-ს.

მხოლოდ 1737 წელს დაადგინა იტალიელმა მეცნიერმა გორიმ მისი ქღერადობა. ეს იყო F (რუსული Ф).

არანაკლები გაუგებრობა გამოიწვია ზოგიერთი ეტრუსკული და ლათინური ასოების მსგავსებამაც, რომლებიც სინამდვილეში სხვადასხვა ბგერას აღნიშნავდნენ. მაგალითად, ეტრუსკულ ასო M-ს დიდხანს ლათინურ M-დ კითხულობდნენ. ამ წაკითხვის უზუსტობა პირველად 1789 წელს დაასაბუთა იტალიელმა სწავლულმა ლუიჯი

ლანციმ. მისი ყურადღება მიიქცია იმ ამბავმა, რომ ერთ სამარხში აღმოჩენილ ორ სხვადასხვა ურნაზე ერთი და იგივე საგვარეულო სახელი სხვადასხვაგვარად იწერებოდა. ერთზე ეწერა **VMVM**

მეორეზე — **VΛVM** აქედან შეიძლებოდა დასკვნის გაკეთება. რომ ეტრუსკული **M** -ს ქლერადობა უახლოვდებოდა ასა **Λ** -ს (რუსული C). რათა საბოლოოდ დარწმუნე-

ბულიყო ლათინური **M**-ს და ეტრუსკული **M** -ს განსხვავებულ ქლერადობაში, ლანციმ შეამოწმა ორი ეტრუსკული სიტყვის დამწერლობა. ესენია „მეტელა“ და „მარციანა“. გამოიჩვენა, რომ ისინი იწყებოდა არა ასო **M** -ით, არამედ ასო **m**-ით, რომე-

ლიც შეცდომით ასო **M** -ს ვარიანტი ეგონათ. ამრიგად, საბოლოოდ გამოიჩვენა, რომ ასო **M** უნდა წაეკითხათ, როგორც მსტვინავი. ასო **Λ** (რუსული C) მსგავსი.

ამ აღმოჩენის შემდეგ თითქოს მხოლოდ ერთი ეტრუსკული ასო-ლა რჩებოდა წაუეითხავი — ეს იყო **‡** მისი მნიშვნელობა 1833 წელს განსაზღვრა ახალგაზრდა გერმანელმა მეცნიერმა რ. ლეპსიუსმა. ლეპსიუსმა გააანალიზა სიტყვა **‡VIV** — „ოდისეესი“, რომელსაც ადრე კითხულობდნენ, როგორც „უტუსე“-ს, და დაამტკიცა, რომ უნდა იკითხებოდეს ასე — „უტუსე“ (ანდა „უტუსე“).

არც მარტო ასო **M** -ს მნიშვნელობის დადგენა კმაროდა, უნდა გარკვეულიყო ისიც, თუ როგორ აღმოჩნდა ეს ასო ეტრუსკულ ალფაბეტში. ბერძნულიდან ვერ მოხვდებოდა, რადგან იგი იქ არ არის, მისი მსგავსი ასო კი სულ სხვაგვარად გამოითქმოდა. მაგრამ კიდევ რომ დაესვა ლანცის ეს საკითხი, საექვოა, მასზე პასუხი გაეცა, ვინაიდან იმ დროს მეცნიერებს ჯერ კიდევ არ გააჩნდა საკმარისი მასალა.

ცხადია, შეიძლებოდა ანბანი ცალკეულ სიტყვებში გაბნეული

ასობის მიხედვით შეედგინათ, მაგრამ საინტერესო თვით ეტრუსკე-
ზისგან შედგენილი ანბანის მიკვლევა იყო. ერთ-ერთი ამგვარი ანბა-
ნი იპოვეს კიდეც 1921 წელს მარსილიანა დ'ალბენიაში სამარხის
გათხრის დროს. ძვირფას ოქროს სამკაულებთან ერთად სამარხიდან
ამოიღეს სპილოს ძვლის სწორკუთხა საგანი, რომელიც შუაში ჩაღრ-
მავებული იყო. ოდესღაც ამ ღრმულში სანთელი ესხა, რისი კვალიც
ჯერ კიდევ აჩნდა. ეს უცნაური ნივთი საწერი ფირფიტა აღმოჩნდა.
როგორც ცნობილია. ამგვარ ფირფიტებს ხმარობდნენ რომაელი მო-
წაფეებიც. სანთელზე წერდნენ წაწვეტებული ლითონის ჩხირით —
სტილით (აქედან წარმოსდგება დღევანდელი „სტილი“).

ამ ნივთმა დაამტკიცა, რომ ეტრუსკები რომაელებზე ბევრად
ადრე წერდნენ თურმე სანთლის ფირფიტებზე. ამას აღსტურობდა
იმ სამარხის თარიღი, სადაც იგი აღმოჩნდა — ძვ. წ. VII საუკუნე.
ხოლო მაშინ რომაელებმა წერა-კითხვა ჯერ კიდევ არ იცოდნენ.

ყველაზე საინტერესო მაინც თვით ანბანი იყო, რომელიც ამ
ფირფიტის გვერდზე ეწერა მარჯვნიდან მარცხნივ.

ეს იყო სანიმუშო ანბანი იმათთვის, ვინც წერას სწავლობდა. იმ
შემთხვევაში, თუ მოწაფეს ამა თუ იმ ასოს დაწერილობა დაავიწყ-
დებოდა, მასწავლებლის მიერ დაწერილ ასოს ჩახედავდა ხოლმე,
რასაც დღესაც აკეთებენ ჩვენი მოწაფეები.

მაგრამ მარსილიანა დ'ალბენიაში მიკვლეული ეს ფირფიტა ეტ-
რუსკ მოწაფეებზე ნაკლებ როდი გამოადგათ ეტრუსკოლოგებს. მა-
ნამდე ცნობილი ასობებს გარდა ფირფიტაზე ჩამოწერილი ანბანი
უცნობ ასობებსაც შეიცავდა. ბეილოთ. მაგალითად. ასო **⌘**

უფრო გვიანდელ ანბანებში ეს ასო არ გვხვდება. აქედან დასკვნა.
რომ ეტრუსკული ანბანი საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა. მას
ამარტივებდნენ ხოლმე „ზედმეტი“ ასობის ხარჯზე. ასეთი რამ სხვა
ანბანებსაც ახასიათებთ. მაგალითად. ოქტომბრის რევოლუციის
შემდეგ ჩვენში ჩატარდა დამწერლობის რეფორმა და რუსული ანბა-
ნიდან ამოაგდეს ასო „ѣтъ“. რასაც, ვინ მოთვლის, რამდენი უსი-
ამოვნება მიუყენებია გიმნაზიელებისათვის. ახლა კი ძალიან კარგად
ვგრძნობთ თავს ამ ასოს გარეშე. ასევე გრძნობდნენ თავს ალბათ
ეტრუსკებიც ძვ. წ. V საუკუნეში ასო **⌘** -ს გარეშე.

კიდევ უფრო საინტერესო და ჭკუისსასწავლი აღმოჩნდა მარსი-
ლიანა დ'ალბენიაში ნაპოვნი ანბანის შედარება უძველეს ბერძნულ
ანბანთან. ამ უკანასკნელში ასო **⌘** არ არის, არც ასო

მიც, რომლის მნიშვნელობაც ახსნა ლანციმ, მაშინ, როცა ორივე ეს ასო არის ფინიკიურ ალფაბეტში. ეს უკვე ექვის ქვეშ აყენებდა სანამდე ურყევ დასკვნას, თითქოს ეტრუსკებმა ანბანი ბერძნებისგან გადმოიღეს. ხომ შეიძლებოდა, ეტრუსკული ანბანი სრულიად დამოუკიდებლად შექმნილიყო, უძველესი ფინიკიურის გავლენით?

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება გახდა შესაძლებელი ამ ფირფიტის მეოხებით. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში გაბატონებული იყო უდიდესი ისტორიკოსის თეოდორ მომზენის მოსაზრება, რომაელებმა თავიანთი ანბანი სამხრეთ იტალიის ბერძენი კოლონისტებისგან გადმოიღესო. საბუთად მოჰყავდა არა მარტო ლეგენდა ბრძენ ბერძენ ევანდრუსზე, ვითომ რომაელებს წერა-კითხვა რომ ასწავლა, არამედ მსგავსებაც ლათინურსა და უძველეს ბერძნულ ანბანს შორის. ლათინურის ეტრუსკულიდან წარმოშობის თვით შესაძლებლობაც კი უარყოფილი იყო, ვინაიდან ამ უკანასკნელს არ გააჩნდა ისეთი დამახასიათებელი ასოები, როგორც იყო B და O. მაგრამ ეს ასოები აღმოჩნდა სპილოს ძვლის ფირფიტაზე, ხოლო რადგან ეს ფირფიტა იტალიის ტერიტორიაზე ნაპოვნ ყველა ბერძნულ წარწერაზე უძველესია, აშკარაა. ბერძნებს კი არა, ეტრუსკებს უსწავლებიათ წერა-კითხვა რომაელებისათვის.



ფრანსუას აკლდამა

ადამიანები იხოცებიან, ტოვებენ ამ ქვეყანას, მათი სახელი კი რჩება ქალაქებს, ქუჩებს, სკოლებს, ფაბრიკებს, პარკებს, გემებს. ყოველი დიდი თუ პატარა საქმე ვინმეს სახელთანაა დაკავშირებული.

ეტრუსკებზე დაწერილ წიგნებში მე არაერთხელ წავწყდომივარ გამოთქმას „ფრანსუას აკლდამა“, „ვინ იყო ეს ფრანსუა? ალბათ, ფრანგი“, — ვასკენიდი ჩემს გულში.

მაგრამ, როგორც შემდგომ გავიგე, ეს ადამიანი, ვისი სახელიც დაერქვა სამარხს, ფრანგი კი არა, იტალიელი იყო და ალექსანდრე ფრანსუა ერქვა.

ალექსანდრე ფრანსუამ მთელი სიცოცხლე ძიებას შესწირა. არ

დარჩენილა ქალაქი თუ სოფელი მის მშობლიურ ტოსკანაში. რომ მას იქ ფეხი არ დაედგა. მთლად გადაჩხრიკა ძველი ნანგრევებით მოფარული ყველა ბორცვი, უშიშრად ეშვებოდა კატაკომბებსა თუ მიწისქვეშა მღვიმეებში. მას იცნობდა ყველა გლეხი და მწყემსი, კორნეტოდან მოყოლებული ფიეზოლემდე, უმბრიის ტყეებიდან — ზარემამდე (დაქობებულნი ადვილია იტალიაში, ტირენის ზღვის სანაპიროზე).

— გამარჯობა, ალესანდრო! იპოვე მეფის საგანძური?— ეკითხებოდნენ მას შეხვედრისას.

— როგორ არაო, — ისიც პასუხობდა და თავის დაკერებულ ფეხსაცმელებს უჩვენებდა.

და აი, 1845 წელს ფრანსუეს სახელი ცნობილი გახდა სამეცნიერო წრეებშიც. მის მიერ ნაპოვნი ერთ-ერთი ლარნაკის გამოსახულებამ ყველა ეურნალი და მეცნიერული გამოცემა მოიარა. ჩამოდიოდნენ პარიზიდან და ლონდონიდან, რათა თვალი შეეველოთ „ეტრუსკული ლარნაკების დედოფლისათვის“, რომელიც სინამდვილეში ბერძნული ლარნაკი იყო. იმხანად ფლორენციაში, არქეოლოგიური მუზეუმის დარბაზში, სადაც ეს ლარნაკი გამოეთინათ, რუსულ ლაპარაკსაც გაიგონებდით.

— ივან სტეფანოვიჩ, ერთი ამ სასწაულს შეხედეთ. ძნელია, კაცმა ირწმუნოს. რომ იგი ორი ათასი წლისაა. რა ხალასი საღებავებია, რა ცოცხალი გამოსახულებები! ახლა არ გიკვირს, ექვს ზოლში ამდენი გამოსახულება როგორ ჩაეტია! თანაც თითოეულს წარწერაც რომ აქვს!

— ასი წარწერაა, ნიკოლოზ ვასილევჩი. უფრო ზუსტად. ოთხმოცდაათექვსმეტი, თუ მეთუნისა და მხატვრის სახელებს არ ჩავთვლით. არ იცით, რა უცნაური თავგადასავალი აქვს ამ ლარნაკს?

— არა. არ ვიცი. თუ შეიძლება. მიაშვებ.

— ეს კრატერი იპოვეს კიუზიში სულ პატარ-პატარა ნამსხვრევების სახით. მაგრამ ისე აღადგინეს, რომ ძველი სიდიადე დაუბრუნეს. ამ საცოდავს მუზეუმის ერთ-ერთი მოსამსახურის ავად გახდომა ეკირვებოდა კიდევ? (გაგიჟდა თურმე.) აუღია და ლარნაკი იატაკზე დაუხეთქებია!

— ოჰ, რა უბედურებაა!

— ცხადია, ლარნაკი ისევ ნამსხვრევებად იქცა. სამი წელი მუშაობდნენ რესტავრატორები, ვიდრე პირვანდელ სახეს დაუბრუნებდნენ.

— თითქმის ისეთივე ამბავია, მერიმეს რომ აქვს თავის „ეტრუნ-

კულ ლარნაკში“. არ წაგიკითხავთ? რამდენადაც მახსოვს, იმ ლარნაკზეც გამოსახულებანი სამ ფერშია შესრულებული.

— მართალია, მაგრამ იქ ლარნაკი სიყვარულმა დაღუპა.

— და განა სიყვარული სიგიჟის ერთ-ერთი სახეობა არ არის?

ფრანსუას, ცხადია, მისი ლარნაკის ირგვლივ ამტყდარი არც ეს საუბარი და არც სხვა მითქმა-მოთქმა არ გაუგონია, მას არც მუზეუმში ხშირ-ხშირად შეველის დრო ჰქონდა და არც თავის აღმოჩენათა აღწერისათვის ეცალა. სიკვდილამდე ორი წლით ადრე იგი შეხვდა ერთ ფრანგს, არქეოლოგიის ისეთსავე ენთუზიასტს, როგორიც თვითონ იყო, მაგრამ პროფესიად მწერლობა აერჩია.

ეს კაცი იყო ნოელ დე ვერჟე. მის წიგნში „ეტრურია და ეტრუსკები“ მკითხველი ისეთ ამბებს წაიკითხავს, რაც ფრანსუას გადახდა თავს და მერე თავის მეგობარს მოუყვა.

ერთხელ, კიუზის მიდამოებში მორიგი ხეტილის დროს. ფრანსუა ერთ ვიწრო ხვრელს წააწყდა. დაიქირავა მუშა. რომლის სიმაძაცესა და ერთგულებაში ეჭვი არ ეპარებოდა. და შეუდგა გამორკვევას. საით მიდიოდა ეს ხვრელი ხან დაოთხილი. ხანაც მუცელზე ვანრთხმული ხოხვით მიუყვებოდა იგი კლდეში განოკვეთულ საძრომს და ბოლოს მიადგა თითქმის ჰერამდე მიწით ამოვსებულ ერთ სათავსს. უეცრად ჰერი ჩამოიქცა. რაღა თქმა უნდა. ფრანსუა კარგ გუნებაზე არ დადგებოდა. მაგრამ შაინც განაგრძო გზა, თან გზადგზა ქვებისგან ათავისუფლებდა გასასვლელს. ცოტაც და ერთბაშად რამდენიმე სათავსს მიაღდა.

ჰერი კი თანდათან მძიმდებოდა. ჟანგბადმა იკლო, ჩირაღდანი საცაა ჩაქრებოდა. გამოკოლმა შესჩივლა ფრანსუას. ცუდად ვარო. ამას ისიც დაემატა. რომ უეცრად ჩხავილ-ჩხავილით რაღაც დიდი ფრინველი აუფრინდათ წინ, რომელიდაც ცხოველების გულგამგმირავი ხმებიც გაისმა. ხოლო დერეფნებში გველები სისინებდნენ.

გარეთ გამოსულ ფრანსუას დღის სინათლემ თვალები მოსკრა. საათზე დაიხვდა. დაზვერვას ოთხი საათი წაელო. ასლა გათბრების ჩატარებაზე უნდა ეფიქრა, და ცხადია, იმაზეც, სად ეშოვა საკირო სახსრები.

ათობით სამარხი გამოიკვლია ამგვარად ფრანსუამ. მაგრამ მხოლოდ ერთს ეწოდა მისი სახელი. ეს სამარხი ცნობილია თავისი კედლის მხატვრობით, რომლის ბადალი დღემდე არ მოიპოვება. შემთხვევით კი არ მიუძღვნეს მას მეცნიერებმა თავიანთი შრომები.

სამარხის ერთ-ერთ კედელზე ეტრუსკების ცხოვრების სცენაა გამოსახული. ვაჟკაცური, მზით გარუჯული სახის შუახნის მამაკაცს

თავზე გვირგვინი ადგას. ტანთ აცვია ორნამენტითა და მეომარი ამორძალების ფიგურებით მოქარგული ტანსაცმელი. წარწერა გვატყობინებს ამ მდიდარი ეტრუსკის გვარს — ესაა ველ სატიესი. ეტყობა, სურათზე იგი უკვე მიცვალებულია გამოსახული. წინ არნტა უდგას — მსუქანი ბიკუნა, რომელსაც წითელქობიანი ტუნიკა აცვია და ზეაღმართულ ხელში მტრედი უჭირავს. მტრედს წმინდა ფრინველად თვლიდა აღმოსავლეთის ყველა ხალხი. გავიხსენოთ თუნდაც ბიბლიური მტრედი. რომელმაც ლეგენდარულ ნოეს ზეთისხილის რტო მოუტანა და ჩვენი დღევანდელი; მშვიდობის მტრედის პირველსავე გახდა. მტრედი განსაკუთრებულ როლს ასრულებდა აგრეთვე კუნძულ კრეტას ქალ-ღვთაებათა კულტშიც. კრეტულ ქეგლეშზე მტრედები თან ახლავან ქალღმერთებს. აგრეთვე ხშირად ჩამომსხდარნი არიან ორმაგ ჩუკლეგებზე. სეკტებზე და ხეცებზე.


შეტ ინტერესს იწვევს მეორე სენა, რომელიც რამდენიმე წევრული მეომრის ბრძოლას გამოსახავს. მეომართა თავზემოდ მოთავსებული წარწერები გვატყობინებს. რომ მხატვარს გამოუხსნავს მასტარნა, ორი ძმა — ავლუსი და ცელიუს ვიბენები და სხვა ეტრუსკი მხედართმთავრები.

ცელიუსი და ავლუს ვიბენები ეტრუსკულ თქმულებათა უსაყვარლესი გმირები იყვნენ. მათ სახელებს ჩვენ ვხვდებით ძვ. წ. III საუკუნის სარკეზე და სამარხ ურნაზე. ამ უკანასკნელზე ის-ნი უჩინებულთა დამმარცხებლების რაღში არიან განოსახულნი. რომელი ისტორიკოსების აზრით. რომის შვიდი ბორცვიდან ერთ-ერთმა — ცელიუმმა, სახელი სწორედ ამ ცელიუს ვიბენასგან მიიღო. იგი თურმე რომს მიშველებია ერთ-ერთი მეფის. რომულუსის. თუ ტარკვინიუსის დროს. ერთი ხელნაწერის მიხედვით. რომელმაც ჩვენამდე დაწინაებულნი. სახით მოაღწია. ვოლსინიელ ძმებს ცელიუს და ავლუს ვიბენებს კიდევ ვიღაც მესამე ხლებია თურმე თან. ბელნაწერში მისი სახელისგან ოთხი ასოაა დარჩენილი, Macs... თუ იმპერატორ კლავდიუსს ვერწმუნებით. თვითონ ეტრუსკები ამ ეპიზოდს სხვაგვარად გადმოგვცემდნენ. ცელიუს ვიბენასთან ერთად რომს მიშველებია მასტარნა (ან მაკსტარნა). რომელიც რომაელთათვის ცნობილი იყო მათი მეექვსე მეფის — სერვიუს ტულიუსის სახელით.

ფრანსუას სამარხის კედლის მხატვრობა სრულ წარმოდგენას გვაძლევს ორი ეტრუსკი მეომრის. ძმების ცელიუს და ავლუს ვიბენების. აგრეთვე მათი ერთგული მეგობრის, მასტარნას ცხოვრების

ერთ-ერთ ღრამატულ ეპიზოდზე. ცელიუს ვიბენა სურათზე უიარალოდაა, ხელბეშეკრული, ხოლო მასტარნა ხანჯლით უკრის თოკს და მეგობარს ათავისუფლებს. ავლუს ვიბენა ჰკლავს თავის მოწინააღმდეგეს, ვინმე ბენფიკალს, ლარს ვოლტიუსი კლავს ვოლსინიელ ლარს პაპაციუსს, რასციუსი — სოვანელ პეზიუს არკუმნიუსს. მაგრამ, იქნებ, უფრო საინტერესო ორი გმირის, მარკუს კამილტერის და გნეუს ტარკვინიუს რომაელის ორთაბრძოლაა, რის საფუძველზეც ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ მხატვარმა სწორედ რომზე ლაშქრობა ასახა. ძმები ვიბენებისა და მასტარნას მოწინააღმდეგენი კი ეტრუსკები არიან. ტარკვინიუს რომაელიც ეტრუსკი იყო. ხოლო მისი დროისათვის, რომელსაც მიეკუთვნება ლეგენდა ძმებ ვიბენებსა და მასტარნაზე, ერთიანი ეტრუსკული სახელმწიფო აღარ არსებობდა. გამუდმებული ბრძოლა ჰქონდათ გამართული ეტრუსკულ ქალაქებს. ამ ბრძოლაში რომიც მონაწილეობდა, რომელსაც ამ დროს ეტრუსკ მეფეთა. ტარკვინიუსების დინასტია განაგებდა. მასტარნა რომ ტარკვინიუს რომაელის მტრების მხარეზე იბრძვის, ეს ბევრ რამეს ხსნის რომის მეექვსე მეფეზე არსებულ ლეგენდაში. ეს მეექვსე მეფე რომს მართავდა ტარკვინიუს ძველსა და ტარკვინიუს ამაყს შორის. აშკარაა, ჩვენთვის უკვე ნაცნობი გადმოცემა, რომის მომავალი მეფე სერვიუს ტულიუსი ტარკვინიუს ძველის ოჯახში დაიბადაო, გამოწვეულია სწრაფვით, დაამტკიცონ სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობითობა. სერვიუს ტულიუს-მასტარნამ ალბათ ხელისუფლება რომაელი პლებეების დახმარებითა და მხარდაჭერით იგდო ხელში. რომი ამის მერეც ეტრუსკულ ქალაქად დარჩა, მაგრამ მეფე იძულებული იყო, რიგი კანონები გაეტარებინა დაბალი ფენების სასარგებლოდ. ამიტომაც თვლიდნენ მოგვიანებით სერვიუს ტულიუსს სახალხო, პლებეების მეფედ.

ამრიგად, ფრანსუას სამარხის კვლევებზე აღმოჩენილი მხატვრობა ჩინებული წყაროა ეტრუსკთა პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად. ეს უკანასკნელი კი ჩვენთვის ყველაზე ცუდადაა ცნობილი. რომაელი ავტორები ახსენებენ „ეტრუსკთა ისტორიების“ არსებობას, ფრანსუას წყალობით კი ცნობილი გახდა ჩვენამდე მოუღწეველი ამ ნაშრომების ერთ-ერთი ეპიზოდი. ფრანსუა გარდაიცვალა 1867 წელს ციებისგან. იგი დაავადდა ტოსკანას ჰაობებში ხეტილის დროს და არც ვიცით, სად დაასაფლავეს. სამაგიეროდ, ყველასათვის ცნობილია „ფრანსუას აკლამა“.



ზღაპრული ბალი

აყვავებული ოლქანდრებისა და მტევნებით დახუნძლული ვაზის ლერწმების ჩრდილქვეშ უძრავად გარინდულან თეთრითმოსილი ფიგურები. გეგონებათ, რალაც ჯადოსნურ ძალას გაუქვავებია ეს ადამიანები, მაგრამ იმავე ძალას ყოველ წუთს შეუძლია სიცოცხლე დაუბრუნოს მათო. ხომ სუნთქავენ ეს მთვარის შუქით განათებული ყვავილები, თრთიან ფოთლები აგურის კედელსაყოლებულ ლერწმებზე, შადრევანიც ისევე ჩქრიალებს, როგორც ამ ორი ათასი წლის წინათ. თეთრი ქიტონებით შემოსილი ლუკუმონებიც ისევე მედიდურად გარინდულან სარკოფაგებზე წამოწოლილნი: მათი გაქვავებული, საკუთარი ღირსების გამომხატველი სახეები ზოგჯერ ზიზღითაც იმზირებიან. მათ სიმშვიდეს სდარაჯობენ ლომები, სფინქსები და ქიმერები.

ეს რალა კარია, კარნიზზე უცხო ენაზე შესრულებული წარწერა რომ ამოუკვეთათ? ჩავდივართ ეტრუსკული სარკოფაგებით სავსე აკლდამაში და ყველაფერი ნათელი ხდება — ბალის მფლობელს ეტრუსკულა სამარხისთვის როდი მიუკვლევია თავისი ბალის ტერიტორიაზე. ყველაფერი, რასაც ვხედავთ, მას ხელოვნურად აღუდგენია ეტრუსკული აკლდამების დეტალებით.

მნახველი ხელში იღებს ქალაღლის ფურცელს. ერთ-ერთ სარკოფაგთან რომ დევს. „ნაყიღია სენიორ ალბანის მიერ 900 ლირად“. აი, თურმე სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული! რაც ჩვენ ახლან ვიხილეთ, არც სასწაულებათა ბალი ყოფილა და არც მუზეუმში, არამედ, უბრალოდ, არქეოლოგიურ აღმოჩენათა საწყობში. და ეტრუსკი ლუკუმონებიც ჯადოქარს კი არ ელიან, რომელიც სიცოცხლეს შთაბერავს მათ, არამედ მყიდველებს.

ტოსკანელას ბალის მფლობელები. ძმები კამპანარიები, გასულ საუკუნეში მთელ ევროპაში სახელგანთქმული ანტიკვარები და სიძველეებით მოვაჭრენი იყვნენ. უფროსმა ძმამ. სენიორმა კარლომ ეტრუსკულ სიძველეთა მდიდარი კოლექცია ჩაიტანა ინგლისში. ამ კოლექციის ნაწილი ბრიტანეთის მუზეუმმა შეიძინა. სენიორ კარლო, იმხანად უკვე გარდაცვლილ მამასთან, სენიორ ვიჩენტოსთან

ერთად, მრავალი წლის განმავლობაში თხრიდა ეტრუსკულ სამარ-
ხებს. მამაც მასავით იყო გატაცებული საგანძურთა ძიებით. შუათა-
ნა ძმა, სენიორ სეკონდინო ჩვენთვის უფრო ეტრუსკული ძეგლე-
ბის კრიტიკული გამოკვლევებითაა ცნობილი. მან არაერთი ნაშრომი
გამოაქვეყნა რომის არქეოლოგიური ინსტიტუტის მოამბეში. უმც-
როსი ძმა, სენიორ დომენიკო კი ლონდონში დამკვიდრდა და ეტ-
რუსკული ძეგლების ყიდვა-გაყიდვის შუამავლის როლი იკისრა.
აი, ასე წარმოგვიდგება XIX საუკუნის შუა წლებში მოღვაწე ეტ-
რუსკოლოგთა ეს ოჯახი.

ძმები კამპანარიები ყველაფრით ვაჭრობდნენ, ეტრუსკული
ლარნაკები იქნებოდა ეს. ბრინჯაოს ნაქეთობანი, თუ ძვირფასეუ-
ლობა. საქმე კარგად ჰქონდათ აწყობილი და მოგებასაც დიდს ნახუ-
ლობდნენ. მაგრამ სარკოფაგებზე კოლექციონერები მაინცა და მა-
ინც დიდ მოთხოვნებს არ აუყენებდნენ მათი სიდიდის გამო. სარკო-
ფაგს ხომ ვერ შეუთუთავ და სელით ვერ წაიღებ!

მოდით. გავიაროთ კამპანარიების ბაღში და ყურადღებით და-
ვათვალიეროთ ეს სარკოფაგები, ვიდრე ისინი სხვადასხვა ქვეყნებ-
სა და მუზეუმებში არ წაულ-წამოუღლიათ.

აბა. დააკვირდით, რა მდგომარეობაში არიან გამოსახულნი მიც-
ვალეებულნი. ისინი კი არ სხედან, მხარ-თეძოზე არიან წამოწოლილ-
ნი, მარცხენა მკლავი ბალიშზე დაუყრდნიათ. ჩვენც არაერთხელ წა-
მოგწოლილვართ ასე და შენიშვნაც ნიგვილია უჯროსტეისგან: „ნუ
ჭამ მწოლიარე! ნუ კითხულობ მწოლიარე! ჯანმრთელობისთვის არ
ვარგა! დაჯექ მაგიდასთან!“

დიდგვაროვან ეტრუსკებს კი, მოგვიანებით რომაელებსაც. რა-
ტომღაც ეს მდგომარეობა ჯანმრთელობისთვის საზიანოდ. ანდა უხ-
რდელოზად არ შიანდათ. ასეა გამოსახული მოქანდაკეთა მიერ პე-
რობა-ნადიმების ყველა მონაწილე. „კი მაგრამ. მიცვალეებულნი მო-
ნადიმედაა გამოსახული?“ — იკითხავეთ თქვენ.

ნუ გაგიკვირდებათ. სწორედ რომ მონადიმედაა. მაგრამ ეს ჩვე-
ულებრივი ნადიმი კი არა, მსხვერპლთმეწირვაა. მათი წარმოდგე-
ნით, თუ ადამიანი ღმერთებისადმი მირთმეული საქმელ-სასმლის
თანაზიარი გახდებოდა, თვითონაც ღმერთების თვისებებს შეიძენდა.

ეს რომ მართლაც ასე იყო და არა ისტორიკოსთა მონაგონია,
ადვილად დარწმუნდებით, თუ დააკვირდებით, რა უკავიათ ხელში
ამ ქანდაკებებს.

მამაკაცებს უფრო ხშირად ბრტყელძირიანი ფიალა უპყრიათ
ხელთ, რასაც ღმერთებისადმი მსხვერპლმეწირვის დროს იყენებდ-

ნენ ხოლმე. ჩვენთვის იგი ცნობილია ლათინური სახელით „პატერა“.

ქალებს მარჯვენა ხელში მეტწილად კვერცხი ან რაიმე ნაყოფი უჭირავთ. ძველი ადამიანისთვის კვერცხი სიცოცხლის საოცრების ყველაზე თვალსაჩინო და მარტივი ნიმუში იყო. კვერცხის შექმნით ანდა ღმერთებისადმი შეწირვით დედა-ქალი, თითქოს იმქვეყნად წასულიც, სიცოცხლის მიმნიჭებლის უნარს იძენდა. იგივე აზრი აქვს ნაყოფსაც მის ხელში, რაც აგრეთვე ნაყოფიერების სიმბოლო იყო.

რაც შეეხება საწერ ფირფიტას, ზოგ ფიგურას რომ უკავია ხელში, სხვაგვარი გაგება აქვს. აუცილებელი არ არის. ფირფიტაში მიცვალებული სიცოცხლეში სწავლული ან მწერალი ყოფილიყო. ძველ ეგვიპტელებს ჰქონდათ საგანგებო „გარდაცვლილთა წიგნები“, რომელსაც სარკოფაგში უდებდნენ მიცვალებულს. მათი აზრით, ეს აადვილებდა გარდაცვლილთა სამეფოსკენ სავალ გზას და იმქვეყნად არსებობას. ეტრუსკებიც, ეტყობა, ამავე მიზნით გამოსახულენ მიცვალებულს ფირფიტებით.

სარკოფაგებზე წამოწოლილი ფიგურები დღეს უკვე თეთრი ფერისა გვეჩვენება. მაგრამ თუ ვარვად დავაკვირდებით. შევამჩნევთ, რომ ისინი შეღებილი ყოფილა: ტანსაცმელი — ცისფრად და ვარდისფრად, ხოლო სამაჯური — ყვითლად. ალბათ ოქროსი ეკეთა და იმითომ.

მხატვარი ცდილა, სრულყოფილად გადმოეცა გარდაცვლილის არა მარტო გარეგნობა, მისი ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, სამკაულების უწვრილესი დეტალებიც კი. მიცვალებულისა და მისი საოჯახო გარემოს ზუსტად გადმოღებასაც რელიგიური მნიშვნელობა ჰქონდა. — მიცვალებული ხომ თავის ოჯახიანად მკვიდრდებოდა სამუდამოდ იმ ქვეყნად და რაიმეს გამოტოვება ანდა მკირეღი უზუსტობა შეურაცხყოფდა მიცვალებულის ნაიესაფთა გრძნობებს — ისინი დარწმუნებული უნდა ყოფილიყვნენ, რომ მათი მამა, დედა, ძმა თუ ქალიშვილი ისევე იქნებოდნენ გარემოცული ფუფუნებითა და ყოველივე სიკეთით, როგორც სიცოცხლეში.

ამიტომ სარკოფაგებისა და სამარხთა ფრესკების გამოსახულებანი შესანიშნავი წყაროა ძველი ეტრუსკების ყოფა-ცხოვრების შესასწავლად. მერე რა. თუ მათი არც ტანსაცმელი შემოგვრჩა და არც ავეჯი, — სამაგიეროდ, მათი ზუსტი ასლები გვაქვს და შეგვიძლია, ძველი ეტრუსკების გარეგნობა ისე ავწეროთ, თითქოს მათთან ერთად გვეცხოვროს ერთ ქალაქსა და ერთ სახლში.



ეტრუსკული პომპეი

ეტრუსკული ქალაქები უფრო მოგვიანებით გახდა ცნობილი, ვიდრე სამარხები, ვინაიდან მათ ზედ გადაფარებული ჰქონდათ რომაული, შუასაუკუნეობრივი, თუ თანამედროვე ნაგებობანი. ამიტომაც იყვნენ ძნელად მისადგომნი და ისინი არც თუ დიდად აინტერესებდა ვინმეს. არავინ ყიდულობდა ბათქაშის ანდა აგურის ნამტვრევებს, არც ჟანგმოკიდებულ შრომის იარაღებს. რაც შეეხება ძველთაძველ ნაქალაქეთა და საყოფაცხოვრებო საგნების უზარმაზარ მეცნიერულ მნიშვნელობას, ამას უცბად როდი მიხვდნენ.

1831 წელს, ერთი პატარა დასახლების მარცაბოტოს (ბოლონიიდან სამხრეთით 20 კილომეტრზე) ახლოს, ძველი ქალაქის ნაშთები აღმოჩნდა, რომლის სისტემატური გათხრები მხოლოდ ორმოცდაათი წლის შემდეგ, 1882 წელს დაიწყო და პირველ მსოფლიო ომამდე გაგრძელდა. 1916 წელს გათხრების მიდამოები მძაფრი ბრძოლების ქარ-ცეცხლში გაეხვია, იმხანად განადგურდა ეტრუსკული მუზეუმიც. ომის დამთავრების შემდეგ გათხრები განახლდა. 1944 წელს კი ეს ადგილი ხელახლა ძლიერ დაზიანდა დაბომბვის შედეგად. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ისევ შეუდგნენ გათხრებს, რაც დღემდე გრძელდება. ასეთია ამ ქალაქის არქეოლოგიური კვლევა-ძიების მოკლე ისტორია. მას ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში შეარქვეს „ეტრუსკული პომპეი“.

მაგრამ რა ერქვა ქალაქს ეტრუსკულად, არ ვიცით, არც წერილობით წყაროებშია იგი ნახსენები. ყველაფერი, რაც დღეს ამ ქალაქზე ვიცით, ყოფისა და კულტურის ამსახველმა ძეგლებმა მოგვითხრო. პირველი ეტრუსკი კოლონისტები აქ ძვ. წ. VI საუკუნეში დასახლებულან, ძვ. წ. IV საუკუნეში კი ქალაქს უკვე შეუწყვეტია არსებობა. შენობათა ნანგრევებში აღმოჩენილმა ადამიანის ჩონჩხებმა, ეტრუსკულმა და გალურმა იარაღმა გვამცნო, რა ტრაგედიაც დატრიალებულა: ქალაქი მეომარ გალთა ურდოებს დაუპყრიათ და მიწასთან გაუსწორებიათ. მერე გალები თვითონ დასახლებულან აქ, მაგრამ დიდხანს არც ისინი დარჩენილან. ყველაფერი ეს შემოგვინახა ქალაქის ნანგრევებმა, რომელსაც წილად ხვდა, არქეოლოგიური ძეგლი გამხდარიყო.

რომისა და იტალიის სხვა დიდი ცენტრების მსგავსად, მარცაბოტოსაც ჰქონია შემადღებულ ადგილზე აღმართული ციხესიმაგრე. ამ ეტრუსკული კაპიტოლიუმის გათხრის შედეგად აღმოჩნდა ხუთი ნაგებობის საძირკველი, შესასვლელით სამხრეთიდან. ქვეყნიერების მხარისადმი ასეთი ზუსტი ორიენტაცია შეიძლებოდა მხოლოდ ტაძარს ჰქონოდა. სხვა სახის აღმოჩენებიც ადასტურებენ ამ ვარაუდს. ნაპოვნია საკურთხეველთა ნაშთები, კედლების თიხის ნარჩენები, ნაირ-ნაირი ნაძერწი მორთულობით შემკული ტაძრების სახურავები. ცნობილია, რომ ტაძრები ჰქონდა როგორც რომის კაპიტოლიუმს, ისე იტალიის სხვა კაპიტოლიუმებს.

ციხესიმაგრის ძირას, მიზანოს პლატოზე, გაშენებული ყოფილა 100 ჰექტარი ფართობის ქალაქი. ქალაქის გეგმას განსაზღვრავდა ორი პროსპექტი, რომლებიც სწორი კუთხით კვეთდნენ ერთმანეთს. მთავარი პროსპექტი ქალაქს ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით კვეთდა და იტალიის ქალაქებისთვის უჩვეულო სიგანისა იყო — 15 მეტრი. აქედან 9 მეტრი ორ ტროტუარს ჰქონდა დათმობილი, დანარჩენი ტრანსპორტს. მეორე, პერპენდიკულარულ პროსპექტს. 12 მეტრის სიგანე ჰქონდა. ამ პროსპექტების პარალელური ქუჩები თითოეული 5 მეტრი სიგანისა იყო. მოკირწყლულ ქუჩებს დახურული არხები მიუყვებოდა, რომლებშიც წვიმის წყალი და უსუფთაობა მიედინებოდა, სწორედ ისე, როგორც პომპეიში და ოსტიაში ყოფილა.

ქუჩების ოთხი მონაკვეთი საზღვრავდა სახლების ჯგუფს, რომელსაც რომაელები ინსულას (კუნძულს) ეძახდნენ. მარცაბოტოს ინსულას სიგრძე 165 მეტრი იყო, სიგანე — 35, 40 ან 68 მეტრი. ინსულაში თავმოყრილი იყო საცხოვრებელი სახლები, სავაჭროები და აგრეთვე, წიღებისა და სხვა აღმოჩენათა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სამკედლოები და საიუველირო სახელოსნოები. ეზოებში მდგარა წყლით სავსე ცისტერნები, ზოგჯერ წყაროებიც კი ყოფილა, ურომლისოდაც ხელოსნები ვერ იმუშავებდნენ.

ძველად ქალაქები ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრები იყვნენ. გარდა იმისა, რომ აქ ამუშავებდნენ ლითონს, რაც ძირითადი საარსებო წყარო იყო, მაღალ დონეზე მდგარა მეთუნეობაც. ადგილობრივმა მეთუნეებმა ოსტატურად აითვისეს ბერძნული კერამიკის ფორმები. ვაჭრობის არსებობას მოწმობს ფულების, საწონების, სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი კერამიკის, სპილოს ძვლისა და ქარვის ნაწარმის არსებობა. ამ ბოლოდროინდელი გათხრების დროს აღმოჩნდა პარო-

სის მარმარილოსაგან გაკეთებული ყმაწვილის თავი, რომელიც უეკველად საბერძნეთიდანაა შემოტანილი.

ქალაქს გარს ერტყა ორი მეტრი სისქის გათლილი ქვებისგან ნაგები კედელი. როგორც ძვ. წ. V საუკუნის რომში, ეტრუსკულ ქალაქებშიც აკრძალული იყო მიცვალებულთა დამარხვა, გარდა ჰიგიენურისა, რელიგიური მოსაზრების გამოც მიცვალებულიც და დამარხვის კულტის ნივთებიც უწმინდურად ითვლებოდა. ამიტომ სასაფლაოები ქალაქგარეთ იყო განლაგებული. ქალაქის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ კარიბჭეებთან გათხრილ ორ სასაფლაოზე სამასზე მეტი სამარხი აღმოჩნდა. რამდენად მდიდრული იყო ეს სამარხები, ვერ ვიტყვით, ვინაიდან ისინი ძველადვე გაუძარცვავთ გალებს. მაგრამ ზოგ სამარხში მაინც აღმოჩნდა ლამაზად ნაკეთები ოქროს ნივთები. სამარხთა უმეტესობა ქვაყუთია — ტუფის ოთხი ფილისაგან შეკრულ ყუთს აქვს ჰერი და ორქანობიანი სახურავიც.

ასეთია „ეტრუსკული პომპეი“. იგი მოწმობს ეტრუსკული ქალაქთმშენებლობის დიდ ხელოვნებას და იმ კულტურას, რაც ეტრუსკმა კოლონიტებმა მიიტანეს ტყეებითა და ჭაობებით დაფარულ მდინარე პოს ველზე. მათ შეასწავლეს ადგილობრივ მცხოვრებთ სახლების, სიმაგრეების შენება და არხების გაყვანა.



ენის გამოცანა¹

გასული საუკუნის შუა წლებში ბრატისლავაში ცხოვრობდა ერთი უბრალო მოხელე, გვარად მიხეილ ბარიჩი. უმწიკვლო კაცი იყო, ხელოვნებით გატაცებული. აგროვებდა ძველებურ ფულებს, ლარნაკებსა და სხვა იშვიათ ნივთებს. ოცნებად ჰქონდა გადაქცეული, ენახა ეგვიპტე, პირამიდების ქვეყანა.

ეს ოცნება მას 1848 წელს აუსრულდა. მოგზაურობიდან დაბრუნებულმა სხვადასხვა ნივთებთან ერთად ჩამოიტანა დიდი, გრძელი ღრავნილი, რომელშიც... ქალის მუშია აღმოჩნდა. ხუმრობით მან მუშიას „უნგრეთის მეფე სტეფანის და“ უწოდა.

¹ ეს თავი დაწერა ა. ი. ხარსკეინმა

ერთხანს მუშია მის პატარა საოჯახო მუზეუმში ინანებოდა, მფლობელის გარდაცვალების შემდეგ კი მისი ძმის, ილიას საკუთრება გახდა. ილია ბარიჩმა ეს მუშია თავის სახვევებიანად გადასცა ხორვატიის ეროვნულ მუზეუმს, რომელიც ქალაქ ზაგრებში იყო. 1868 წელს მუშით დაინტერესდნენ მეცნიერები, რომლებმაც სახვევებზე მანამდე უცნობი დამწერლობა აღმოაჩინეს. ჯერ ეგონათ, ასოებით გამოსახული ეგვიპტური ანდა კარიული დამწერლობა არისო, მაგრამ როგორც გაოცდნენ, როცა გამოიკვია, რომ ტექსტეტრუსკულად იყო დაწერილი. იმ დროისათვის უკვე საკმაო რაოდენობით გააჩნდათ თვით იტალიაში აღმოჩენილი ეტრუსკული წარწერები, მაგრამ აზრადაც არავის მოუვიდოდა, თუ ეტრუსკული ტექსტი, თანაც ასეთი მნიშვნელოვანი, ეგვიპტეში აღმოჩნდებოდა.

ბარიჩის მიერ ჩამოტანილი ტექსტი ნაწილი იყო ტილოზე ნაწერი წიგნისა (ლიბერ ლინტეუს), ერთ-ერთი იმათგანი, რომელსაც რომაელი და ეტრუსკე ავტორები იხსენიებენ. ამგვარი წიგნები თავდაპირველად გრაგნილებად (ვოლიუმენად) იყო დახვეული. ჩვენთვის საინტერესო წიგნის ტექსტი საგულდაგულოდ იყო დაწერილი თორმეტ სვეტად წითელი მელნით სამ მეტრზე მეტი სიგრძის სელის ტილოს ქსოვილზე. მთელი წიგნი 340 სტრიქონი, ანუ თითქმის 1500 სიტყვაზე ნაკლები არ იქნებოდა, ჩვენამდე კი ორ მესამედზე ცოტა მეტმა მოაღწია. ეტყობა, ეს წიგნი ეგვიპტელი დამბალზამებლის სახელოსნოში მოხვედრილა, იქ იგი ვიწრო სახვევებად დაუხვევიათ და მუშიების გასახვევად გამოუყენებიათ. ნაწილი ამ სახვევებისა სამუდამოდ დაიკარგა, ხოლო რაც გადარჩა, ისიც ალაგ-ალაგ ძალიანაა დაზიანებული ბალზამისაგან. თუმცა, ამ ბოლო დროს ინფრწითელი სხივების საშუალებით ისეთი ადგილებიც ამოიკითხეს, გასულ საუკუნეში რომ ვერ კითხულობდნენ. 1200 წაკითხული სიტყვიდან 530-მდე სხვადასხვაა. დანარჩენები მეორდება. მაგრამ ამის მიუხედავად, ზაგრების წარწერა ბევრად აღემატება, რომელიც გნებათ ცნობილ ეტრუსკულ წარწერას.

რაზეა ლაპარაკი ამ ტექსტში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე ადვილია, ვიდრე ეტრუსკული ენა ჯერ კიდევ მთლიანად არ ამოუხსნიათ. რაკი ეს წიგნი მუშიაზე იყო შემოხვეული, გამოითქვა მოსაზრება, ეგვიპტელების „მიცვალებულთა წიგნის“ ეტრუსკულ თარგმანთან ხომ არ გვაქვს საქმეო? მაგრამ ამ მოსაზრებას უკვე აღარც ერთი მეცნიერი არ იზიარებს, ვინაიდან ტექსტში ერთი ეგვიპტური ლეთაებაც არ არის მოხსენიებული. მეცნიერთა სხვა ჯგუფი ვარაუ-

დობდა, შესაძლოა ტილოს სახვევებზე სხვა ეტრუსკული და ლათინური წარწერებიდან ცნობილი წყევლის ფორმულებიაო ჩაწერილი. მეცნიერთა მესამე ჯგუფის აზრით კი სახვევებზე ჩაწერილი იყო ღმერთებისა და გაღმერთებული წინაპრებისთვის მსხვერპლის შეწირვის წესები. დაბოლოს, მეოთხე მოსაზრების მიხედვით, რომელიც დღეისათვის საყოველთაოდ აღიარებული, ჩვენს ხელთაა რელიგიური კალენდარი. ამას მოწმობს თვისა და რიცხვის აღნიშვნა ყველა ქვეთავის დასაწყისში — მთელი ტექსტი ასეთ პატარ-პატარა თავებადაა დაყოფილი. ხოლო ვიდრე მეცნიერები დამაკმაყოფილებელ თარგმანს არ გააკეთებენ, წარწერის ძირითადი შინაარსიც კი ყოველთვის საეჭვო და საკამათო იქნება. ბუნდოვანი იქნება სხვა რამეც, კერძოდ, როგორ მოხვდა ეტრუსკულწარწერიანი სახვევები ეგვიპტეში? შეიძლება ეტრუსკმა ქალმა უცხო მხარეში დალია სული და იგი შერეული — ეგვიპტურ-ეტრუსკული წესით დაკრძალეს?

სხვაგვარი ახსნაც შეიძლება მოინახოს. ვინ იცის, იქნებ ეგვიპტეშიც ზოგ-ზოგი ეტრუსკ. ღმერთებს სცემდა თაყვანს. ხომ ცნობილია, რომ ეტრურიაშიც იყვნენ ეგვიპტური რელიგიის მორწმუნენი.

ეტრუსკული წარწერის ეგვიპტეში პოვნა უიშვიათესი მოვლენაა. წარწერათა ძირითადი ნაწილი სიძველეებით მდიდარი იტალიის მიწაშია ნაპოვნი. ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ეტრუსკული წარწერებით აავსო არა მარტო იტალიის, არამედ მსოფლიოს ბევრი მუზეუმი. დღეისათვის მათმა რიცხვმა ათი ათასს გადააქარბა.

მაგრამ ამ რიცხვმა შეცდომაში არ შეგვიყვანოს. წარწერათა ცხრა მეათედი მოკლე ეპიტაფიებია (სამარხის წარწერები), რომლებიც თითქმის მთლიანად მხოლოდ საკუთარ სახელებს შეიცავენ. ისინი, როგორც წესი, გვამცნობენ გარდაცვლილის პირადსა და საგვარეულო სახელს, ხშირად მშობლების სახელებსაც, უფრო იშვიათად გარდაცვლილის ასაკსაც. მხოლოდ აქა-იქ თუა ნახსენები თანამდებობა, რაც გარდაცვლილს სიცოცხლეში ეკავა, ანდა რაიმე სხვა დამატებითი ცნობა.

მოკრძო ტექსტები იშვიათად გვხვდება. ერთ სტრიქონზე მეტი მარცხლობის ტექსტი სულ რამდენიმე ათეულია მიკვლეული. მხოლოდ სამი წარწერა შეიცავს ორმოცდაათ სიტყვაზე მეტს თითოეული და მხოლოდ ერთი — ასზე მეტს.

აქვე გვინდა შევასწოროთ ერთი მეტად გავრცელებული უზუსტობა. არა ერთხელ გვსმენია გამოთქმა — ეტრუსკულ წარწერათა „გამიფერა“. სინამდვილეში ეტრუსკული დამწერლობის ძეგლები

არ საჭიროებენ გაშიფვრას, მაგრამ ბევრი მათგანი, მათ შორის, ყველა დიდი მოცულობის წარწერა, საჭიროებს გაგებას, ინტერპრეტაციას.

გაშიფვრაში მეცნიერები გულისხმობენ დამწერლობის უცნობი სისტემის, თვით დამწერლობის ნიშნების ახსნას, ინტერპრეტაციაში — დაწერილის შინაარსის ამოხსნას. გაშიფვრის საბოლოო შედეგია უცნობი დამწერლობის წაკითხვა. თუ ამასობაში აღმოჩნდება, რომ გასაშიფრი ენა ენათესავება რომელიმე უკვე ცნობილ ენას, შემდგომი ინტერპრეტაცია უკვე შედარებით იოლია. ასე მოხდა, მაგალითად, მინოსური ხაზობრივი B დამწერლობის ძეგლების წაკითხვისას, რომელიც თავდაპირველად ბევრად უფრო გაძნელდა, ვიდრე ეტრუსკული, ვინაიდან დამწერლობაც უცნობი იყო და სიტყვების ასრიც. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ თურმე მინოსური ერთ-ერთი ძველბერძნული დიალექტი ყოფილა. ამან გადამწყვეტი როლი ითამაშა დამწერლობის ამოხსნაზე მთელ შემდგომ მუშაობაში.

ეტრუსკულში ჩვენ მხოლოდ ერთ უცნობთან გვაქვს საქმე, მაგრამ, ამის მიუხედავად, ინტერპრეტაციის პროცესი ძალიან დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, ვინაიდან ეტრუსკული ენა საკმარის სიახლოვეს არ ამქლავნებს მეცნიერებაში დღემდე ცნობილ არც ცოცხალ და არც მკვდარ ენებთან. საქმეს ისიც აძნელებს, რომ ამ ბოლო დრომდე მეცნიერებს ხელთ არ ჰქონდათ რამდენადმე მნიშვნელოვანი ორენოვანი წარწერები (ბილინგვები), რომლებმაც ფასდაუდებელი დახმარება გაუწია მეცნიერებს სხვა ენების დამწერლობის ამოხსნის საქმეში.

ეტრუსკული ტექსტების ფარული აზრის ამოცნობას მეცნიერები ორნაირი გზით ცდილობდნენ. ჯერ, ეგრეთწოდებულ, ეტიმოლოგიურ ხერხს მიმართეს, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ სიტყვებსა და გრამატიკულ ფორმებს უკვე ცნობილი ენების მსგავს ელემენტებს უპირისპირებდნენ. ამ ხერხის გამოყენებით ეტრუსკულმა ენამ თითქმის ყველა ძველსა და ბევრ თანამედროვე ენასთან გამოამქლავნა ნათესაობა. ეს ენებია: ბერძნული, ლათინური, ძველი ინდური, თურქული, სემიტური, კელტური, გერმანული, კავკასიური და ბევრი კიდევ სხვა. თითქმის ყოველთვის პოულობდნენ ამ ენებთან მსგავსებას.

მაგრამ ეს არ არის გასაკვირი. ჩვენ ხომ არ გვესმის ბევრი ეტრუსკული სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა, ხოლო როგორი ორი ენაც არ უნდა აიღოთ, ყოველთვის შეგიძლიათ, იპოვოთ ისეთი სიტყვები, რომლებიც ძალზე მსგავსნი ან თითქმის ერთნაირნი არი-

ან გამოთქმით, მაგრამ სინამდვილეში ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ. ავიღოთ ასეთი მაგალითი: დავუშვათ, რომ გერმანული ენა არ გვესმის. ამ შემთხვევაში შეგვეძლო „ახლო მსგავსება“ გვეპოვა გერმანულისა და რუსული ენების ისეთ სიტყვებს შორის, როგორცაა: გერმანული ja — „დიახ“ და რუსული я, Tee — „ჩაი“ და რუსული „те“, nahm — „ავიღე“ და რუსული „нам“, was — „რა“ და რუსული „вас“, wasche — „მე ვიბან“ და რუსული „ваше“, tasche — „პირს ვიტკბარუნებ“ და რუსული „наше“, tot — „მკვდარი“ და რუსული „tot“, tut — „აკეთებს“ და რუსული „тут“, Tag — „დღე“ და რუსული „так“. ხოლო თუ კარგად მოვძებნით, ასეთ „მსგავს“ სიტყვებს კიდევ ბევრს ვნახავთ. ცხადია, ეს კურიოზია, მაგრამ იგი ძალზე წააგავს იმ ხერხს, ზოგჯერ ეტრუსკული ლექსიკის ამოსახსნელად რომ მიმართავდნენ.

აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ხშირად უფრო ნაკლები მსგავსებითაც კმაყოფილდებოდნენ, თვლიდნენ, რომ შეიძლება დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა სიტყვების გამოთქმა შესაძარებელ ენებშიო.

ადვილი მისახვედრია, რა შეცდომებიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამგვარ „ძიებებს“.

სწორედ ამგვარი შეცდომა მოუვიდა რუს მეცნიერს ა. დ. ჩერტკოვს, რომელიც გასული საუკუნის შუა წლებში ცხოვრობდა. მან ეტრუსკული და რუსული სიტყვების შეპირისპირებით ეტრუსკული წარწერების თარგმნა სცადა. მაგალითად, იგი აიგივებდა ეტრუსკულ ტეტის-ს რუსულ тетра-სთან (შემდეგ გამოირკვა, რომ ეს იყო ეტრუსკული ქალღმერთის სახელი, იგივე ბერძნული თეტიდა). ეტრუსკულ ვატი-ს (სინამდვილეში საგვაროვნო სახელია) რუსულ баты-სთან, ეტრუსკულ პურნი-ს (ასევე საგვარეულო სახელს) რუსულ парень-თან, ეტრუსკულ ხეტრე-ს (კაცის საკუთარი სახელია) რუსულ сестра-სთან, ეტრუსკულ სინუ-ს (მეტსახელია) რუსულ сын-თან, ეტრუსკულ სნაკე-ს (საგვარეულო სახელია) რუსულ сноха-სთან, ეტრუსკულ ტუკერ-ს (საკუთარი სახელია) რუსულ теща-სთან.

ამგვარმა შეპირისპირებამ ის გამოიწვია, რომ ეტიმოლოგიურ მეთოდს უკვე აღარ ენდობოდნენ და უკვე გასული საუკუნის მიწურულიდან ბევრი სწავლული ყოველნაირად ცდილობდა, თავი აერიდებინა ყველა სახის „გარეგნული“ მსგავსებისათვის. გაჩნდა ახალი კვლევითი მეთოდი, „კომპინატორული“, რომელიც მხოლოდ ეტ-

რუსკული წარწერების ურთიერთშეპირისპირებას (კომბინირებას) ეყრდნობოდა.

ზოგი სიტყვის მნიშვნელობას იმ ნივთის დანიშნულების მიხედვით ხვდებოდნენ, რაზეც ეს წარწერა იყო მოთავსებული. შემდეგ ამ ვარაუდს სხვა ტექსტით ამოწმებდნენ, სადაც იგივე სიტყვები იყო. ბოლოს ამ სიტყვების მნიშვნელობის გაგება ეხმარებოდათ მოძიწნავე სიტყვების და მთელი წარწერის საერთო შინაარსის დადგენაში. ასე, მაგალითად, სიტყვა ტ უ რ უ კ ე ხშირად ხვდებოდათ ნაჩუქრობის (ბოძების) ტექსტებში მჩუქებლისა და დასასაჩუქრებელი ღეთაების სახელებს შორის, რის შედეგად მიხედნენ, რომ ეს სიტყვა ნიშნავდა „ვაჩუქე“, „მივეცი“.

საფლავის ისეთი წარწერებით, როგორებიც იყო 1) არნტ ალეტნა ველუს კლან, 2) ტანხვილ რუეფი პუია არნტალ ალეტნას. 3) ავლ ალეტნას არნტალ კლან ტანხვილუსკ რუეფიალ და 4) ლარტ ალეტნას არნტალ რუეფიალკ კლან—დაადგინეს კლანის და პუია-ს მნიშვნელობა. ამასთან, უკვე იცოდნენ, რომ „ლ“ და „ს“ ნათესაობითი ბრუნვის მაჩვენებელი იყო. მართლაც, საკუთარ სახელთა შედარებაში გვიჩვენა, რომ მე-3 და მე-4 წარწერებში მოხსენიებული ავლ და ლარტ ალეტნა იყვნენ არნტ ალეტნასა და ტანხვილი რუეფის შვილები. თუ ასეა, მაშინ სიტყვა კლან ნიშნავს ვაჟს, ძეს. რაკი ეს გაიგეს, ამოიხსნა მეორე წარწერაში მოხსენიებული სიტყვა — პუია. იგი ცოლის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. მართლაც, ეს დაადასტურა უამრავმა სხვა ანალოგიურმა ტექსტმა.

შესაძლოა, ამ მეთოდს მნიშვნელოვანი წარმატებები მოჰყოლოდა კიდევ, მაგრამ. საუბედუროდ, ბევრი ეტრუსკული სიტყვა წარწერებში სულ რაღაც ერთი-ორჯერ იხსენიება. ეს კი თავდაპირველი ვარაუდების საიმედო შემოწმების საშუალებას არ იძლევა. და თუ ხელშემწყობი გარემოც არ არის, — რაც არც ისე იშვიათია ხოლმე — ზემოაღწერილი მეთოდის გამოყენება მთლად შეუძლებელი ზდება. სხვა მეთოდები ეტიმოლოგიური და კომბინატორული მეთოდების ნაირსახეობანია ანდა მათი ნარევი.

მოკლედ, მეთოდების ძიებას ჯერჯერობით დამაკმაყოფილებელი შედეგი არ მოჰყოლია და მკვლევართა შრომაც დღემდე უნაყოფო იყო: ასი წლის მანძილზე, რაც ეტრუსკული ენის სერიოზული შესწავლა დაიწყო. საბოლოოდ გაშიფრული იყო მხოლოდ 130-140 სიტყვა და დაახლოებით თორმეტამდე გრამატიკული ფორმა. წელიწადში საშუალოდ სიტყვა-ნახევარსაც ვერ ხსნიდნენ!



რუსი რომაელი

აგურის ნამსხვრევების პატარა გორაკზე სამოციოდე წლის მაღალი, ჩასკენილი, ქაღარა; ფაფუკწვერიანი მამაკაცი იდგა და ყუბილით გასცქეროდა მის წინ გაშლილ ნანგრევთა ზღვას. პირდაპირ მიწისქვეშეთიდან ამოზრდილიყვნენ კედლები, კარნიზების, საფეხურებისა და ზღუდეების ნატეხები. იულიუსის ბაზილიკის საძირკველი თითქოს წაკნეტილი სვეტებით შაშის სათამაშო უზარმაზარ დაფას წააგავდა, რომელზეც თეთრი ქვებია განლაგებული. მიწაში ღრმად ჩამჯდარ ქვის ფილებშუა ნელა ირხეოდა მინდვრის ბალახების, შვრიის, სამყურას ღეროები.

ეს იყო სახელგანთქმული ფორუმი, რომელიც უღმობელ უამთასვლას მიწასთან გაესწორებინა. სწორედ აქ იკრიბებოდნენ საუკუნეთა მანძილზე კვირიტები ჯერ თავიანთი ციციქნა სახელმწიფოს, შემდეგ კი უზარმაზარი იმპერიის ბედის გადასაწყვეტად, იმპერიისა, რომელიც რაინის ყინულოვანი ტალღებიდან თავარა აფრიკის ქვიშებამდე, ოკეანიდან ვეფრატამდე იყო გადაქმული. აქ, ფორუმზე, სავაქროებიც, იყო და ტაძრებიც, სატუსალოებიც და საწყობებიც, ორატორთა ტრიბუნაც და საკურთხეველიც. ოდესღაც აქაურობა სავსე იყო უამრავი ქანდაკებით, რაც უფრო შორეულ წარსულს მოგვაგონებდა.

გორაკზე მდგომი კაცი ოდნავ შესამჩნევი ბილიკით გამოუყვავზას მოედნის ცენტრისაკენ და ერთ კიდევებჩამოშლილ ღრმა თხრილთან შეჩერდა. ამ ადგილას ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ დაიწყეს გათხრები. ეს თხრილი იყო ფანჯარა იმ შორეული წარსულისაკენ, როცა ეს მოედანი საძოვრისა და სასაფლაოს როლს ასრულებდა, ხოლო ბორცვებზე ქვისა და აგურის სახლების ნაცვლად თივით გადახურული ქოხები იდგა.

ეს იყო გზა ძველთაძველი რომისაკენ, რომლის მღვიმეებში ნიშნები ცხოვრობდნენ და რომაული ლეგენდების ძე მგელი დაეხეტებოდა. მდინარე ტიბრის მღვრიე ტალღებს ჯერ არ გამოერიყა ატირებული ტყუბი ძმების კალათა. მწყემსი ფაუსტულუსი. გარეგნობით ჰერკულესს რომ ჰგავდა და ბერძენი გმირივით ხელში კომბა-

ლი ეკავა, ცხვრებს მწყემსავდა იმ ადგილას, საუკუნეთა შემდგომ დიდი განცდები რომ ააღლევებდა ადამიანებს, და შელანძლულტო-გიან უბრალო ხალხში მდგომი სახალხო ტრიბუნები წარმოთქვამდ-ნენ მგზნებარე სიტყვებს: „იტალიაში გარეულ მხეცსაც კი აქვს თა-ვისი სორო, თუ ბუნაგი, ხოლო ადამიანებს, რომლებიც სისხლ-ღვრიან და თავს სწირავენ იტალიას, მიწის ნაგლეჯიც არ გააჩნი-ათო“.

— სენიორ პროფესორო! — მოისმა ძახილი.

კაცმა მიიხედა. მის წინ ორნი იდგნენ: გათხრების ხელმძღვანელი ჯაკომო ბონი და ვილაც მოხდენილად ჩაცმული ორმოცდაათიოდე წლის უცნობი.

— ეს-ესაა თქვენზე ვუამბობდი ჩემს მეგობარს ანატოლს. — თქვა ბონიმ. — ახლა კი მინდა ერთმანეთი გაიცნოთ. პროფესორო ბაზილიო მოდესტოვი, ანატოლ ფრანსი.

— მოხარული ვარ! — მოდესტოვმა მაგრად ჩამოართვა გამოწვ-დილი ხელი. — რა თქმა უნდა, თქვენი „თაისი“ წავიკითხე. დიდ-ბული წიგნია!

— ქათინაურად ნუ ჩამოძარტმევთ და იგივე უნდა გითხრათ თქვენს ნაწრომზეც, — მიუგო მწერალმა. — თქვენ ხომ მეცნიერება-ში ახალ მიმართულებას ჩაუყარეთ საფუძველი. ვწუხვარ, რომ რუ-სული ენა არ ვიცო, თორემ ორიგინალში გავეცნობოდი თქვენს ნ.შ-რომს.

— ჩვენი შრომების თარგმნა არც ისე რთული პრობლემაა. თა-ნაც მე ბედმა გაძლიმა. ყველაფერზე ჩემმა ფრანგმა მეგობარმა სო-ლომონ რეინანხმა იზრუნა.

— თქვენი წიგნი ამის ღირსიც არის. არ მახსოვს იტალიის შეს-ხებ დაწერილ რომელიმე მეცნიერულ ნაშრომს ასე ვესიამოვნე-ბინე.

— თქვენ აქარბებთ ჩემი დამსახურების შეფასებისას. — თქვა მოდესტოვმა. — ეს პირველი ცდაა. ყველაფერს კი იტალიელ კოლე-გებს ვუმაღლი. ენა ვერ აღწერს იმ პატივისცემას, რაც მე მ-მ ახალ სფეროში მუშაობისას გამოიწიეს.

— თქვენ თავმდაბალი კაცი ხართ, პროფესორო! — თქვა ანატოლ ფრანსმა. — რამდენადაც ვიცი, იტალიურ მეცნიერებაში მსგავსი წიგნი არ მოიპოვება, არ არის იგი არც ფრანგულ მეცნიერე-ბაში.

— რომში ძნელია, არქეოლოგიის თაყვანისმცემელი არ გახდეს კაცი, — თქვა მოდესტოვმა. — მას შემდეგ, რაც აქ დავსახლდი.

არქეოლოგია ძალიან წინ წავიდა! თავდაპირველად კი რა ცოტა რამ იყო ცნობილი...

— მე გაგებულნი მაქვს, რა გარემოებებიც დაგეხმარათ, რათა არქეოლოგი გამხდარიყავით, — ჩაუბრალო ფრანგმა.

— გარემოებანი... — გაიმეორა მოდესტოვმა. — სწორედ მათი წყალობით გავატარე აქ მე ჩემი სიცოცხლის უბედნიერესი წუთები. რომი პირველი ნახვისთანავე, ჯერ კიდევ სიყმაწვილეში შემიყვარდა. მაგრამ სულ სხვაა სტუმრად ყოფნა, და სულ სხვა, როცა აქ ცხოვრობ და დღითი დღე, თანდათან იმსჯელები საოცარი, განუმეორებელი წარსულის სულით.

— მართალია! — დაეთანხმა ბონი. — ბატონი პროფესორი ჩვენი ყველაზე ხშირი სტუმარია. — მის თვალს არ გამოპარვია არც ერთი სერიოზული აღმოჩენა. ეს მაშინ, როცა ბევრი მეცნიერი დღემდე აგდებულად უყურებს ჩვენს საქმიანობას. ერთხელ გავიგონე, როგორ უთხრა ერთმა გერმანელმა თავის თანამგზავს: „რას ჩააცივდნენ ამ კრამიტის ნამტვრევებსა და ნანგრევებს! ციცერონის მარტო ერთი სტრიქონი უდრის მთელ მაგათ აღმოჩენებს ამ ასი წლის მანძილზე!“

— ეგ მოძველებული სიმღერაა! — თქვა მოდესტოვმა. — არ განსოვთ, რა აზრისა იყო არქეოლოგიაზე მომზენი? განა მაშინ, როცა „რომის ისტორია“ იწერებოდა, ბევრი დიდი აღმოჩენა უკვე ცნობილი არ იყო? რაც არ უნდა იყოს, არქეოლოგია თუმცა მკვდარი, მაგრამ მაინც მატერიაა. ესენი კი, ეს პროფესორები, მხოლოდ სულიერ მწვერვალებს სცნობენ. თითქოს სულს უმატერიოდ შეეძლოს საღდაც ღრუბლებს მიღმა ფრენა!

— ჩინებულია! — შესძახა ანატოლ ფრანსმა. — ჰეგელისა და ჰეგელიანობის ეს თქვენი კრიტიკა ისევე შეუდარებელი რამაა, როგორც თქვენი დასკვნები არქეოლოგიის სასარგებლოდ. მე დამამახსოვრდა შემდეგი სიტყვები თქვენი წიგნის წინასიტყვაობიდან: „რომის ისტორია პირველი ადამიანის ნაკვალევიდან უნდა დავიწყოთ, რათა რომულუსის ქალაქში ხელცარიელი არ შევიდეთ“. ამასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ, ისევ განაგრძობთ არქეოლოგიურ გასეირნებებს რომის მიწაზე?

— ისტორიული კვლევის დროს აჩქარება დაუშვებელია, — მიუგო მოდესტოვმა. — შეყოვნება უფრო სასურველია. მასალას, რომელზეც მე ვმუშაობ, წლების მანძილზე ყოველდღიურად ვამზადებ

და ესწავლობ. ხან ერთ, ხან მეორე ადგილას აღმოჩნდება ხოლმე ახალი მონაცემები, რომლებიც მკვლევარს აიძულებს, გეზი შეიცვალოს.

— ძალიან მაინტერესებს. — ჩააცივდა ფრანსი, — ჰეროდოტეს მომხრე ხართ თუ დიონისესი?

— ეტრუსკები რომ წარმოშობით მცირეაზიელები არიან, ეს აშკარაა. — თქვა მოდესტოვმა. — მე ვფიქრობ, ეტრუსკების წარმომავლობის საკითხი, ძირითადად, მაინც უკვე გადაჭრილია. მართალია, ეტრუსკების ენას ჭერ კიდევ ცხრა კლიტე ადევს, მაგრამ მისი წყაროები მაინც აღმოსავლეთში უნდა ვეძიოთ... ახლა კი, ბატონებო, იძულებული ვარ, დაგტოვოთ. უკვე გვიანაა. სახლამდე კარგადიდი გზა მაქვს. კარგად ბრძანდებოდეთ.

— საოცარი აღამიანია! — შესძახა ანატოლ ფრანსმა, როცა მარტონი დაჩნენ. — თუ რუსეთი ასეთი ტვინის ხალხს ბადებს, მაშინ მას დიდებული მომავალი ელის.

მოდესტოვი სექტიმიუს სევერუსის დანგრეულ თაღქვეშ მიდიოდა დიოსკურების ტაძრის სამი სვეტის მიმართულებით. ცის ლაქვარდში ისახებოდა სვეტისთავეების ხვეულები. შესაძლოა, ამ ნანგრევთა შორის დაეძებდა იგი ეტრუსკული რომის ნანგრევებს და იგონებდა თავის სიყმაწვილეს, უნივერსიტეტის წლებს, ოდესისა და ჟაზანის. კიევისა და სანკტ-პეტერბურგის სტუდენტთა ანთებულ თვალებსა და შთაგონებულ სახეებს და სინოდის ობერ-პროკურორის დამცინავ ღიმილს, როცა წერდა: „მოხსნილ იქნას!“ კაცმა რომ თქვას. განა ისეთი რა ჩაიდინა, რომ ამ ჩინოვნიკებმა ასეთი მრისხანება დაატეხეს თავს? იქნებ ის, რომ სტატიებს ბეჭდავდა გაზეთებში კლასიკური განათლების სიმცირეზე, ანდა იქნებ ის გაუხსენეს. ახალგაზრდობაში დობროლიუბოვთან რომ მეგობრობდა? „როგორ მოხდა, პროფესორო, რომ თქვენ, რომაული და ბერძნული სიძველეების კარგმა მცოდნემ, ჩვენი სასკოლო სისტემის წინააღმდეგ გაილაშქრეთ?“ — გაჰყვიროდა მინისტრი.

გაზეთები და ჟურნალები რომ არა, მაშინ მოდესტოვი შიმშილით მოკვდებოდა: კალმით ირჩენდა თავს. სწორედ იმხანად თარგმნა ლიუბკერის ლექსიკონი, უზარმაზარი შრომა. მაგრამ გამოცემის თითქმის მთელი ტირაჟი ცეცხლმა შთანთქა წიგნის საწყობში. ცოტა ხანი როდი გავიდა, ვიდრე მას პენსიას დაუნიშნავდნენ და რომში გადასახლდებოდა.

ახლა უცხოელ ავტორიტეტულ მეცნიერებს აღარ იტყვიოთ! ადვი-

ლი როდი იყო მათთან დაჯა ახალგაზრდა პედაგოგისთვის და ისიც პროვინციული-უნივერსიტეტის კათედრიდან. რომის ისტორიას ისინი ვალების შემოსევიდან იწყებდნენ. რომის იმპერიის პირველი სამი საუკუნე მათთვის არ არსებობდა, მაშინ რომაელებს დამწერლობაც ხომ არ ჰქონდათ.

ეტრუსკების ბატონობის დროს რომს გააჩნდა დამწერლობა, მაგრამ მისი ძეგლები არ შემონახულა. თუმცა მათი მიგნება ჯერ კიდევ შეიძლება. მიაგნებენ კიდევ. ოცდაათი წელი. ელოდა მოდესტოვი იმ დღეს, როცა აქ, ფორუმზე, მიწიდან ამოიღებდნენ უძველეს ლათინურ წარწერას, რომელშიც „მეფე“ იქნებოდა ნახსენები. ახლა ხომ ყველანი დარწმუნდებიან, რომ მეფეების დროს რომაელები წერდნენ. მართალი გამოდგა ის და არა ავტორიტეტები!

ახლა ეტრუსკულ კულტურას აღარ იტყვიოთ! მას არავითარი როლი არ შეუსრულებიაო, რომის სახელმწიფო და ლათინთა კავშირი თავისთავად დაირღვაო.

— სისულელეა! — ხმამაღლა განაცხადა მოდესტოვმა. — სისულელე!

მისი ფიქრები კვლავ ბონისთან და ფრანგ მწერალთან საუბარს დაუბრუნდა. როგორც ჩანს, წიგნს აფასებენ. მაგრამ არა რუსეთში. მართალია, განათლების სამინისტრომ მოწყალეობასავით გადმოუგდო დახმარება, მაგრამ უზრუნველბში მაინც მომწარო-მოტკბილო რეცენზიებს ბეჭდავენ. ნეტა თუ აქვთ წარმოდგენილი ამ უცხოელებს, რა პირობებში უხდება მას მუშაობა? რუსებს ხომ რომში არავითარი მეცნიერული დაწესებულება არ გააჩნიათ? როცა გერმანელი, ფრანგი ან ინგლისელი რაიმეზე მუშაობს, იგი ყოველთვის გრძნობს თავის თანამემამულეთა დახმარებას. აწვდიან ფოტოსურათებს. დაკვირვებათა შედეგებს, სხვადასხვა ცნობებს. რუს მეცნიერს კი ყველგან უქირს.

დღე იწურებოდა. მზე ის იყო კაპიტოლიუმს ეფარებოდა და სისხლისფრად გაენათებინა კლავდიუსის აკვედუკი. ეს იყო უკანასკნელი იმპერატორი, ვინაც ეტრუსკული ენა იცოდა. ამოხსნიან კი ოდესმე ამ ენის საიდუმლოს, თუ იგი სამუდამოდ საიდუმლოდ დარჩება?



ეტრუსკი მეტალურგები

თავდაპირველად სანაპიროს ბორცვებს უურადლება მეცნიერებმა კი არა, საქმოსნებმა მიაქციეს. პირველი მსოფლიო ომი ის-ის იყო დამთავრდა და ლითონი ძვირად ფასობდა. გარეგნულად ბორცვები ცოტათი განსხვავდებოდა უფრო სამხრეთით განლაგებული სხვა ბორცვებისაგან. აქაც მიწა ისევე იყო ჩაწოლილი, ოღონდ, მგონი, ცოტა უფრო მუქი ფერი ჰქონდა.

ლაბორატორიულმა ანალიზმა რკინის შემცველობა აჩვენა. მართალია, უფრო მცირე რაოდენობით, ვიდრე ამავე ტოსკანის მდინებში ფუჩინაიას ველზე, ანდა კამპლიერეს მთიან რაიონებში, მაგრამ იქ მალარობის გათხრაა საპირო, აქ კი მადანი პირდაპირ მიწის ზედაპირზეა.

ამ საოცარი ბორცვებით დაინტერესდნენ სპეციალისტები. მალე კი აშკარა გახდა, რომ ბორცვები წილისაგან იყო შექმნილი და საკმაოდ დიდი რაოდენობის რკინას შეიცავდა.

საიდან გაჩნდა ნაპირზე ეს წილა?

ამ კითხვანზე პასუხი გასცეს ისტორიკოსებმა. მათ ძველი ავტორების თხზულებებში ამოიკითხეს, რომ ჯამივით მომრგვალებული ყურის ნაპირზე ეტრუსკთა ბატონობის ხანაში მდებარეობდა ქალაქი პოპულონია, რომელიც განთქმული იყო ბრინჯაოს ჩამომსხმელი და რკინის დამამზადებელი სახელოსნოებით. ეს სახელოსნოები სანაპიროსთან ახლოს მდებარე პატარა კუნძულ ილვას (დღეს მას ელბა ეწოდება) ნელელულზე მუშაობდნენ. აშკარა გახდა, რომ წილის ბორცვები ეტრუსკთა მეტალურგიული წარმოების კვალი იყო.

იტალიელმა მეცნიერებმა შეისწავლეს ძველ მალარობებში დარჩენილი მეტალურგთა შრომის იარაღები. ფუჩინაიას რაიონში მიკველულ იქნა რამდენიმე კარგად შენახული მადნის სადნობი ქურა.

წილის ბორცვების ქვეშ კი აღმოჩნდა ხელუხლებლად შენახული საცხოვრებელი სახლის ფორმის ეტრუსკული სამარხები. შესაძლოა, ამგვარი სამარხები სხვაგანაც იყო, მაგრამ აღამიანებმა ისინი დაანგრეს. პოპულონიაში კი განადგურებისაგან წილის სქელმა ფენამ იხსნა.



მოჯადოებული რიცხვები

1848 წელს ძმებმა კამპანარიებმა ტოსკანელასთან ახლოს წყვილი კამათელი იპოვეს. მათზე ექვსი ეტრუსკული სიტყვა იყო ამოკაწრული. ქართულად ისინი აი. ასე იწერება: ტუ, ხუტ, ცალ, მახ, კი, შა. რას იფიქრებდნენ ეტრუსკები, რომ ეს გასართობი მეცნიერებსაც ჩაითრევდა თამაშში და ეს თამაში ასი წლის მანძილზე გასტანდა დაძაბულ გონებრივ შრომაში!

მეცნიერები ადრეც პოულობდნენ კამათლებს, მაგრამ მათზე სიტყვები კი არა, მხოლოდ წერტილები იყო ამოკაწრული. ბუნებრივია, იფიქრებდნენ, რომ ეს სიტყვები ექვსი ეტრუსკული რიცხვითი სახელი იყო. მაგრამ მათგან რომელია „ერთი“, რომელი — „ორი“, რომელი — „სამი“ და ა. შ.?

მეცნიერებმა ჯერ უკვე ნაცნობ ენათა რიცხვით სახელებთან სცადეს მათი შედარება. მაგრამ ამას დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. ზოგ მეცნიერს ეკვიც კი შეეპარა, კამათლებზე ნამდვილად რიცხვები იყო ამოკაწრული? გასული საუკუნის მიწურულს გერმანელმა მეცნიერმა კორსენმა თვითნებურად შეაერთა ჩვენთვის ნაცნობი სიტყვები და ისინი ამგვარად განალაგა: მახ ტუცალ ხუტ კიშა. „მახ“ მან საკუთარ სახელად მიიჩნია და მთელი ფრაზა ასე თარგმნა: „მახმა ეს გამოკვეთა საჩუქრად“.

სხვა წარწერებიდან კი, რომლებიც ზოგიერთ ზემოხსენებულ სიტყვას შეიცავდა, აშკარა იყო, რომ საქმე ნამდვილად რიცხვებთან გვექონდა. დაიწყეს ბერძნული კამათლების შესწავლა. აღმოჩნდა, რომ მოპირდაპირე გვერდების რიცხვთა ჯამი ბერძნულ კამათლებზე შეიდი იყო. ეტრუსკებთან კი ასე არ გამოდიოდა.

შეიძლებოდა გასაღების როლი შეესრულებინა საფლავის წარწერებს, სადაც გარდაცვლილის ასაკი იყო მოხსენებული. შეადგინეს „ასაკთა მრუდის“ გრაფიკი ცალკე მამაკაცების და ცალკე ქალებისათვის. გამოირკვა, რომ ეტრუსკების მამაკაცი მოსახლეობა ჰადესისკენ უფრო ხშირად 25-35 წლის ასაკში მიემგზავრებოდა, ქალები კი — 17-26 წლის ასაკში.

გერმანელმა მეცნიერმა გ. შტოლტენბერგმა ეს მონაცემები კა-

მათლების ექვს რიცხვს დაუპირისპირა და 1943 წელს ამ ექვსი რიცხვითი სახელის ასეთი თანმიმდევრობა შემოგვთავაზა: ტუ, ცალ, კი, ხუტ, მახ, შა. მაგრამ შეიძლება დავეყრდნოთ ამ სტატისტიკურ გამოთვლას? სად არის იმის გარანტია, რომ ამჭერადაც არ ვცდებით?

და აი, სულ ცოტა ხნის წინ ქარონის სამარხის კედელზე ამოკითხეს სიტყვა „ხუტ“. ორ კედელზე მხატვარს გამოესახა ქარონი — საიქიოს მდინარეზე გადამყვანი, მესამე კედელი ცარიელი იყო, მეოთხე კედელზე კი ისევ ორი ქარონი იყო დახატული და იქვე ეწერა: „ქარუმ ხუტს“, ესე იგი, მეოთხე ქარონიო.

ქალაქ პირგის წარწერამ ამოხსნა მეორე სიტყვა „კი“ — სამი. გამოირკვა, რომ გერმანელი მეცნიერი მართალი იყო.



ეტრუსკული ვენეცია

ძველი ავტორები გადმოგვცემენ, რომ ქალაქი სპინა მდინარე პოს შესართავთან მდებარეობდა. იგი თურმე პომეროსის გმირს დიომედს დაუარსებია. სპინა მთელ ადრიატიკის ზღვაზე ბატონობდა და საზღვაო ვაჭრობით მიღებული შემოსავლის მეათედს დელფეს ტაძარს სწირავდა. მაგრამ როცა ქალაქს მეზობელი ბარბაროსები დაესხნენ, ბერძნებმა სპინა დასტოვესო. ვინაიდან სპინა ეტრუსკების კოლონიზაციის რაიონში მდებარეობდა, გამოითქვა აზრი, სპინას დამპყრობი „ბარბაროსები“ ეტრუსკები იქნებოდნენო.

მდინარე პოს დაბლობზე გათხრები ჯერ კიდევ 1922 წელს დაიწყო. მეორე მსოფლიო ომამდე აღმოჩენილი იქნა 1200 სამარხი. ომის შემდეგ იტალიელმა არქეოლოგმა ნერიო ალფიერიმ კიდევ ბევრი ახალი სამარხი აღმოაჩინა.

...ალფიერი უხმოდ გასცქეროდა მის წინ გადაშლილ დაბლობს. გათხრების დროს ამოღებული ნოყიერი შავი მიწა რაღაც არ შეესაბამებოდა გარემო პეიზაჟის მკრთალ ფერებს. „ქალაქი სადღაც აქ უნდა იყოს, — ფიქრობდა არქეოლოგი. — სასაფლაოები ყოველთვის დასახლებული ადგილების ახლოს მდებარეობდა. ცოცხლები

და მკვდრები გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ. მაგრამ სად ეძებოს სპინა? იქნებ სწორედ მის ფეხქვეშა ან აღმოსავლეთით, ანდა ამ გათხრების ჩრდილოეთით? საეგვიპოდ თხაროს? ასეთი რამ ფუფუნებად ითვლება მაშინაც კი, როცა ძეგლი ქვიშაში ან თიხაშია ჩამარხული. აქ კი კაობია. ნეტა შემეძლოს იმის დანახვა, რაც მიწაშია!“

ალფიერის გაელიმა. უნებურად ტანკების ღრიალი გაახსენდა აპულიის მიწაზე: თვითმფრინავებისგან ცა აღარ ჩანდა. შესაძლოა. ინგლისელ მფრინავთა შორის იყო ჯონ ბრედფორდიც? ომი დამთავრდა. აეროფოტოსურათების მასალები შეიძლებოდა. სამხედრო არქივისთვის ჩაებარებინათ. მაგრამ რას ნიშნავს ეს უცნაური, დაუშთავრებელი ოვალის ფორმის კონტურები? ესენი ახალი ქვის ხანის სადგომები იყო. 1945 წლამდე მთელს იტალიაში მხოლოდ 170 ასეთი სადგომი იყო ცნობილი. ბრედფორდმა კი ამდენივე აღმოაჩინა აპულიაში. რუსებსაც აღმოუჩენიათ პაერიდან ქალაქი სადღაც სომხეთში. ნაწვიმარზე ქალაქის კედლებზე ამოსული ბალახი უფრო მკრთალი ფერისა იყო. მფრინავებმა ზოლები შეამჩნიეს... რა იქნება, რომ აქაც გამოიყენოს აეროფოტოგადაღება?

1956 წლის ოქტომბერში კაობების თავზე გამოჩნდნენ „პოლდერები“. შტურმანებმა ფოტოაპარატები ჩართეს. ალფიერი მოუთმენლად ელოდა ფირების გამქლავებას. და აი, ისინი უკვე მის ხელთაა. მაგრამ მათზე არაფერი არ ჩანდა პატარა ლაქების გარდა.

ხელახლა აფრინდნენ „პოლდერები“ ჰაერში. ამჯერად გადაღებას ხელმძღვანელობდა პროფესორი ვალვატსორი, ყოფილი სამხედრო მფრინავი და დახელოვნებული ფოტოგრაფი. იღებდნენ სხვადასხვა სიმაღლიდან, სხვადასხვა განათების დროს და სხვადასხვაგვარ ფირებზე.

და აი, დადგა ყველაზე ბედნიერი წუთი არქეოლოგის ცხოვრებაში. მის მაგიდაზე ძვეს სპინას კონტურების სურათი თავისი არხებით. მუქი ფერის ზოლები ყოფილი არხების ადგილას ამოსული ხშირი ბალახია, ხოლო იმ ადგილას, სადაც ბალახი მკრთალია, სახლების ნაშთებია საქებნი.

ჯერ კიდევ გათხრების დაწყებამდე ალფიერიმ უკვე იცოდა. რომ მის წინ ეტრუსკული ქალაქი იყო. არხები სწორი კუთხით კვეთდნენ ერთმანეთს და ქმნიდნენ ინსულებს (კუნძულებს). მოქცევის დროს ამ არხებში ზღვის წყალი შედიოდა და ასუფთავებდა მათ. სპინაში. ისევე. როგორც ვენეციაში. მიმოსვლა ნავეებით ყოფილა. სახლები კი ხიმინჯებზე იდგა.

წყალი და შლამი გათხრებს ხელს უშლიდა. მათ შესაკავებლად

ცილინდრის ფორმის ლითონის ფარები აღმართეს და წყალსაქაჩები ჩართეს. მაგრამ წყალი მაინც ჟონავდა ქვემოდან. მუშებს რეზინის ჩექმები და ვედროები დაურიგეს. თვითონ ალფიერი მყვინთავი გეგონებოდათ.

წებოვანი ტალახით დაფარული ქურჭლები ყველა ერთი ფერისა ეგონებოდა კაცს, მაგრამ საკმარისი გახდა, ისინი გაერეცხათ, რომ ძვ. წ. V საუკუნის საღებავები და ლაქი აბრწყინდა. ესენი დიდებული ატიკური ლარნაკები იყო. ახლა არ იტყვიოთ, რა მშვენივრად შენახულიყო ბრინჯაოს პატარ-პატარა ქანდაკებები?

მიშველი ათლეტები ბადროთი და საფხეკით ხელში, ჩაჯავშნული მეომრები, ქალი სარკით ხელში. ნეტა ამ ყმაწვილს რაღა უპყრია ხელთ? გვირგვინი! ეტყობა, სირბილში ან კილაობაში გაიმარჯვა და ეს მოკრძალებული ჯილდო დაიმსახურა.

ყველა ეს ნივთი ბერძენთა ხომალდებით იყო აქ მოტანილი. მოქცევის დროს ხომალდებს არხით ქალაქთან ძალიან ახლოს შეეძლოთ მისვლა. მეზღვაურები ჩაუშვებდნენ საბიჯელას, მონებს კი ტრიუმებიდან ამოჰქონდათ ეს ნივთები, რომლებიც დახელოვნებული ათენელი მეთუნეებისა და კორინთელი მკედლებისა თუ იუველიერების ნახელავი იყო. მათ ნაცვლად ტრიუმები ივსებოდა ოქროს ქვიშით, ვერცხლისა და ოქროს ზოდებით. ქარვით, რომელიც დიდად ფასობდა თავისი სილამაზისა და სამკურნალო თვისებების გამო. ბერძნებმა დიდხანს არ იცოდნენ, რომ ქარვას ჩრდილოეთის ზღვის ნაპირებზე მოიპოვებდნენ და იგი ალპებზე გადმოჰქონდათ იტალიაში. მათ ეგონათ, ქარვას მდინარე პოს ნაპირზე პოულობენო. ბერძნები ჰყვებოდნენ, თითქოს მზის ღმერთის ვაჟი ფაეტონი ამ მდინარეში ჩავარდა თავის ოქროს ეტლიანად, მტირალა ტირიფებად ქცეული მისი დები კი ცრემლებს ღვრიან და ეს ცრემლები ქარვად იქცევაო.

ვაჭრობა თანდათან ზარალიანი გახდა, ადგილობრივი მცხოვრებნი უკვე აღარ აცხრებოდნენ. მოხატულ ლარნაკებსა და ბრინჯაოს ქანდაკებებს. სპინას აგორაზე უკვე გამოჩნდა ადგილობრივი წარმოების წითელფიგურიანი ქურჭლები და ბრინჯაოს ნაკეთობანი, თუ კარვად დაუუყვირდებით, შევამჩნევთ. რომ მათზე ნახატიც უფრო უხეშია და საღებავებიც ისე არ ბრწყინავენ. მაგრამ ეს ლარნაკები და ქანდაკებები ორჯერ და სამჯერ იაფიც კი ღირდა ბერძნებისაზე. მათი ხელოსნები სპინელი ეტრუსკები იყვნენ. ამ ბარბაროსებმა, როგორც ბერძნები ეიახდნენ მათ. ისწავლეს ბერძნული მეთუნეების, მხატვრების. იუველიერების მიბაძვა. ბერძენთა ხომალდები სულ უფრო და უფრო იშვიათად შედიოდნენ სპინაში.

რასაკვირველია, მარტო ვაქრობის დაცემას ვერ მივაწერთ სპინას დაღუპვას. ქალაქი გაწამებული იყო წყალდიდობებით, შემცი-
რებულ მოსახლეობას კი აღარც ძალა ჰქონდა და არც სახსრები ხე-
ლოვანი ეტრუსკი ინჟინრების მიერ აგებული არხების აღსადგენად.
არხები შლამით აივსო და ხავსმა დაფარა. მერე ნაყარმა ქვიშამ იმი-
ნი ლაგუნასაც ჩამოაშორა. ზღვა თანდათან შორდებოდა ქალაქს.
ახ. წ. I საუკუნეში სპინას ადგილზე ერთი საცოდავი სოფელიღა
იყო. ვინმე რომეღ პოეტს რომ მაშინ ეს ადგილი ენახა, ისეთივე
სევდიანი აზრები დაებადებოდა თავში, როგორც ალექსანდრე
ბლოკს მეზობლად მდებარე ქალაქ რავენას ნახვისას:

ხოლო უდაბნო, ვაზით ნაბური
სახლები, ხალხი — სამარე არის.
მხოლოდ სპილენძი მძლე ლათინურის
ფილებზე მღერის როგორც საყვირი.
მხოლოდ რავენელ ქალწულთა ღიმილს,
უწყინარ მზერას და სიტბოს გულის
დაუბრუნებელ ზღვის სიმძიმილი
ჟამიყამ კრძალულ რიგით გაღუვლის..

გავიდა კიდევ ორი საუკუნე და ეს სოფელიც გაქრა. შუა საუკუ-
ნეებში უკვე აღარავინ იცოდა და არც ახსოვდათ უძველესი ეტრუს-
კული ქალაქი სპინა. ქარი თუ გაინავარდებდა დროდადრო ქაობებ-
ზე და ლერწმიანს შეათრთოლებდა.



პირგის ოქრო¹

პირგი ეტრუსკული ქალაქის, ცერეს ნავსადგური იყო. ცერე
ქვეყნის სიღრმეში მდებარეობდა, ზღვიდან შვიდ მილზე. ვერგილი-
უსი იხსენიებს „ძველ პირგის“, ხოლო სხვა, უფრო გვიანდელი
დროის მწერალი ამ სიტყვების ახსნას იძლევა და ამბობს, რომ პირ-
გი ეტრუსკების იმ დროინდელი ციხე-სიმაგრეა, როცა ისინი მეკობ-

¹ ეს თავი დაწერა ა. თ. ხარსეკინმა.

რეობას მისდევდნენო. ცნობილი იყო პირგის ტაძარი, რომელიც ქალი ღვთაების — ლევკოთეას — სახელზე იყო აგებული. პორტიცა და ტაძარიც ისე მდიდარი იყო, რომ სირაკუზის ტირანმა დიონისე უფროსმა ძვ. წ. 384 წელს აქედან უზარმაზარი ნადავლი — 15 ათასი ტალანტი (1 ტალანტი დაახლოებით 30 კილოგრამია) ვერცხლი წაიღო.

მოგვიანებით პირგი რომაელთა კოლონია იყო, შუა საუკუნეებში კი აქ ციხესიმაგრე ააგეს და ძველი ნავსადგურის სახელიც კი დავიწყებას მიეცა. ამიერიდან ამ ადგილს სანტა სევერა ეწოდება. სანაპირო რაიონის ნაგებობანიც თანდათან დაანგრია ქარიშხლებმა. აქაურ მცხოვრებთ არა ერთხელ უპოვიათ ქვიშაში ბრინჯაოსა და ოქროს ნივთები. გასული საუკუნის 40-იან წლებში სანტა სევერა მოუხაზულებია დენისს. მეორე მსოფლიო ომის დროს ზღებოდა ამ ადგილების აეროფოტოგადაღება, რამაც ცხადყო, რომ ციხესიმაგრიდან 400 მეტრზე, აღმოსავლეთით, რაღაც ნაგებობის საძირკველი იყო. გათხრები 1960 წელს დაიწყო. ტაძრები აღმართული ყოფილა ტუფისაგან ნაგებ მაღალ საძირკველზე პირით ზღვისკენ. გათხრების დროს ისიც აღმოჩნდა, რომ კედლები თიხით ყოფილა შელესილი, იპოვეს აგრეთვე ტერაკოტები, რომლებიც გამოსახავდა ქალღმერთ ათენას ბრძოლას გიგანტებთან.

მაგრამ ყველაზე საინტერესო აღმოჩენა ჭერ კიდევე წინ ელოდათ. 1964 წლის 8 ივლისს რომის უნივერსიტეტის ექსპედიცია სულ მტკაველ-მტკაველ ასუფთავებდა ეტრუსკული ტაძრის ნანგრევებს. უეცრად, ასე, შუადღის პირს, არქეოლოგის ნიჩაბი რაღაც მაგარს წააწყდა; არც ისე ღრმად სამალავი იყო მოწყობილი. რამდენიმე დიდი, მოგრძო ქვა ისე ეწყო, „აბაზანა“ გეგონებოდა. შესასვლელი სპილენძის ლურსმნებით შეკრული სამი აგურის ფილით იყო დახშული.

დიდი სიფრთხილით, ყველა წესის დაცვით ამოალაგეს არქეოლოგებმა სამალავიდან ფიგურული ტერაკოტის ფილები. რამდენიმე ნამტკრველი იყო დარჩენილი, ზოგიერთმა იმედგაცრუებულმა ამოიოხრა კიდეც... მაგრამ უეცრად... „აბაზანის“ ფსკერზე რაღაცამ იელვა და ჩამავალი მზის სხივებზე აბრწყინდა. ასისტენტმა ქალმა ფალკონიმ ფრთხილად, რომ სუფთა ჰაერზე მოხვედრისას არ გამქრალიყო, თითქმის სუნთქვაშეკრულმა, შიშით ამოიღო მიწიდან მილის ფორმაზე დახვეული ოქროს ფირფიტა. მას მოჰყვა კიდევე ორი.

აღმოჩენის შესახებ აცნობეს იმჟამად რომში მყოფ პროფესორ პალოტინოს, რომელიც მაშინვე გამოეშურა გათხრების ადგილის-

კენ. თუმცა ფირფიტა იმგვარად იყო დახვეული, რომ ზედაპირი შიგა მხარეზე მოექციათ, მაგრამ ასოები მაინც გარკვევით ჩანდა. სატყვეების გარჩევაც კი შეიძლებოდა. ყველაზე მოულოდნელი ის იყო, რომ სამი გრაგნილიდან მხოლოდ ორი აღმოჩნდა ეტრუსკული. მესამე ფირფიტის წარწერა ფინიკიური (პუნჯური) იყო. უკვე მეორე დღეს ამ აღმოჩენის ამბავი შეიტყო ანტიკურ სიძველეთა ყველა მცოდნემ თუ მოყვარულმა.

ამ ფირფიტებზე დიდ იმედებს ამყარებდნენ ეტრუსკოლოგები. ის ფაქტი, რომ სამივე ფირფიტა ზომითაც და ფორმითაც ერთნაირი იყო და ერთადაც ეწყო, მეცნიერებს აფიქრებინებდა მათი შინაარს-სა ერთგვაროვნებაზე. იქნებ, სწორედ ესაა ის ნანატრი ორენოვანი წარწერა (ბილინგვა), ასე რომ აკლდათ მეცნიერ-ლინგვისტებს? როცა ზუთი დღის შემდეგ ეს ფირფიტები გახსნეს სარესტავრაციო ლაბორატორიაში, გამოიკვია, რომ ფინიკიური წარწერა ორმოცსიტყვიანი იყო, ეტრუსკულებიდან კი — ერთი 36, მეორე კი 16 სიტყვას შეიცავდა. უფრო ვრცელი ეტრუსკულწარწერიანი გრაგნილის შიგნით აღმოჩნდა ბრინჯაოს ოცი ცალი ლურსმანი, რომელთაც თავები ოქროსი ჰქონდა. ასევე ოცი ნახვრეტი იყო როგორც ამ ფირფიტის, ისე ფინიკურწარწერიანი ფირფიტის ნაპირებზე. მესამე ფირფიტაზე ნახვრეტები უფრო წვრილი იყო, შიგნითაც უფრო წვრილი ლურსმნები ეწყო.

ამჟამად, პირველი ორი ფირფიტა (ეტრუსკული და ფინიკიური წარწერებით) ოდესღაც გვერდიგვერდ იყო მიკრული; ეს კი ამართლებდა ექვს, რომ მათი ტექსტი ერთდროულად ორ ენაზე იყო შედგენილი. მაშასადამე, თითქოს ადვილად უნდა წაკითხულიყო ეტრუსკული ტექსტი ფინიკიურის დახმარებით, ვინაიდან ფინიკიური ენა, რომელზეც მეტყველებდნენ კართაგენელები, მეცნიერებისთვის კარგად იყო ცნობილი. მაგრამ ამოცანა არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც თავდაპირველად ფიქრობდნენ. შინაარსის ფორმა და თანმიმდევრულობა ამ ვარიანტებში სხვადასხვაგვარი იყო, ეს კი საქმეს მნიშვნელოვნად ართულებდა.

და მაინც, მათი შედარებისას მაშინვე თვალში გვეცემა ის, რომ ერთმანეთს ემთხვევა წარწერის შემდგენლის ტიბერიუს ველიანუსის და ქალღმერთ ასთართას, ვისაც ეძღვნებოდა წარწერა, საკუთარი სახელები. გარდა ამისა, ადრე ამოკითხული ის რამდენიმე ეტრუსკული სიტყვა, რომელთა მნიშვნელობა უკვე იცოდნენ, აქ სავსებით ეთანხმება ფინიკიურ სიტყვებს. ასე მაგალითად, ფინიკიურ წარწერაში ნათქვამია, რომ კიშრის (ცერეს) მეფემ ტიბერიუს ველიანუსმა

„ააგო“ და „წმინდა ადგილი“ „აჩუქა“ ქალღმერთ ასთართას. პირველსა და მესამე სიტყვას შეესაბამება ეტრუსკული „ტემიასა“ და „ტურუქე“, რომლებიც ამავე მნიშვნელობით ცნობილია სხვა წარწერებიდანაც. იმ ადგილას, საცა წარწერა ფინიკიურად დათარიღებულია ტიბერიუს ველიანუსის მმართველობის „მესამე წლით“, ეტრუსკულ ტექსტში არის სიტყვები „კი ავილ“; მათ მნიშვნელობას ადრეც ასე ვარაუდობდნენ.

შემდეგ ამ პარალელური ტექსტების შესწავლის პროცესი ნელი ტემპით წარიმართა, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეში თავიდანვე ბევრი სპეციალისტი ჩაება. ასობით სხვადასხვა კომბინაცია შემოწმდა, პასუხი გაეცა გზადაგზა წამოჭრილ რთულ კითხვებს, ვიდრე ჩაწედებოდნენ ეტრუსკული ძეგლის აზრს. წარწერაში ქალაქ კიშრის მმართველი, რომელიც რომელიღაც „წმინდა ადგილს“ უძღვნის ფინიკიელთა ქალღმერთს ასთართას, იგივე ეტრუსკულ-რომაულ იუნონას, წერს:

იტა. ტმია. იკაჟ. ხერამასვა.
 ვატიეხე. უნიალასტრეს. ტე-
 მიასა. მეხ. ტუტა. ტეფარი-
 ეი. ველიანას. სალ. კლუვე-
 ნიას. ტურუქე... კი. ავილ.
 ხურვარ. ტესიამეიტალე.
 ილაკვე. აღსასე ნაკ. ატრა-
 ნეს. ცილაკალ...
 ეს ტმია და მისი ეს ხერამა

მბრძანებელ იუნონა-ას-
 თართასთვისაა აგებული.
 უმაღლესმა გამგებელმა ტი-
 ბერიუს ველიანუსმა სალ...
 აჩუქა... მესამე წელი (თვე)
 ხურვარო, (დღე) დამარხვი-
 სა. ვინაიდან მან (ასთართამ)
 თავისი მსახური მმართველი
 გახადა...

შედარებისათვის მოვიყვანთ აგრეთვე ფინიკიური ტექსტის შესაბამისი ადგილის თარგმანს: „ეძღვნება მბრძანებელ ასთართას ეს წმინდა ადგილი, რომელიც ააგო და რომელიც აჩუქა ტიბერიუს ველიანუსმა, ვიშრის მეფემ ზბხ შმშ თვეს... ვინაიდან ასთართამ აქცია თავისი მსახური მეფედ. მესამე წელი, თვე კრრ, ღვთაების დამარხვის დღე...“

ზოგიერთი განსხვავება, რაც ეტრუსკული და ფინიკიური წარწერების აგებაში შეიმჩნევა, გამოწვეულია ამ ენების როგორც აღნაგობის თავისებურებით, ისე თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელი ფორმულებისა და დამკვიდრებული ტრადიციების არსებობით.

მართალია, ზოგიერთი ადგილის ამოკითხვა ჭერ კიდევ დავას იწ-

ვევს, მაგრამ ახალი დოკუმენტები უკვე შესაძლებლობას იძლევა მნიშვნელოვანი დასკვნები იქნას გაკეთებული. ისინი ნათელს ჰფენენ ეტრუსკთა და კართაგენელთა ურთიერთობას და ისტორიის სხვა საკითხებს. მაგრამ მთავარი ღირებულება ის არის, რომ ისინი აფარ-თობენ ჩვენს კონკრეტულ ცოდნას ეტრუსკულ გრამატიკაზე და ლექსიკაზე და ამდენად გვეხმარებიან ამ ენის ბუნების განსაზღვრაში. დამტკიცდა მისი კავშირი მცირე აზიის უძველეს ენებთან, როგორცაა ხეთური, ლიდიური, ლიკიური. თანაც დამახასიათებელია; რომ ეს მსგავსება მუდამდებდა უმთავრესად გრამატიკასა და ძირითად ლექსიკაში. მაშასადამე, საქმე გვაქვს ენობრივ ნათესაობასთან!

მართალია, ეს ნათესაობა არც ისე ახლოა და, ამის დადგენა წარწერებთან დაკავშირებულ ყველა კითხვას ვერ პასუხობს, მაგრამ თვით ფაქტი ნათესაობისა ძალიან მნიშვნელოვანია ისტორიკოსებისთვის. გამოდის, რომ ჰეროდოტე მართალი იყო, როცა ამტკიცებდა, ეტრუსკების წინაპრები იტალიაში მცირე აზიიდან გადასახლდნენო. ჩასულები, როგორც ჩანს, რიცხობრივად უფრო მცირენი იყვნენ, ვიდრე ის ხალხი, რომელსაც მანამდე ეს ტერიტორია ეკავა. მათთან აღრევის პროცესში ჩასულებმა ბევრი ელემენტი შეითვისეს დამხვდურთა ენისაგან, თავიანთი აღრინდელი ენისა კი მარტო ძირითადი ჩონჩხილა შეინარჩუნეს.

თვით მცირეაზიური ენები, განსაკუთრებით ლიდიური და ლიკიური, საკმაოდ შესწავლილი არ არის. არ არის შესწავლილი არც მათი დამწერლობის ძეგლები. მაგრამ ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას. რომ ეტრუსკული ენა მარტო აღარ არის. მას შორეული ნათესავები გამოუჩნდნენ.



მეცნიერების სიძლიერე

დიდი ხანია, განვლო იმ დრომ, როცა მარტოხელა ენთუზიასტები მუხლისთავეებზე ხოხვით ძვრებოდნენ ეტრუსკულ სამარხებში, როცა გათხრებზე კატორღელები ანდა შემთხვევითი ადამიანები შუშაობდნენ. ახლა მეცნიერები ურთულესი ხელსაწყოებით არიან აღ-

კურვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია ლაბორატორიას მოგვაგონებს; ყველაფერი ისეა მოთქმებული, რომ გათხრებმა ძველი არ დააზიანოს. ჩვენი გმირებიც ამიერიდან იღბლიანი განძისმაძიებელი ანდა კოლექციონერები კი აღარ არიან, არამედ მეცნიერები.

ამ ბოლო წლებში როგორც მეცნიერულ, ისე პოპულარულ გამოცემებში ეტრუსკოლოგიის საკითხებზე ხშირად ვხვდებით ინჟინერ კარლო ლერიჩის სახელს. ეტრუსკული სამარხების დასაზვერად და გათხრებისათვის მან დაამუშავა და გამოიყენა კიდევ ახალი ტექნიკა. აეროფოტოგრაფიებმა ჩვენ დაგვანახა სასაფლაო ნაგებობანი და არხები, რომელთა მიგნება მიწაზე მდგომთ გაუძნელდებოდათ. კარლო ლერიჩიმ კი გამოიყენა დედამიწის მგრძობელობა ელექტროდენისადმი, რომელიც სხვადასხვაგვარი გამტარობისაა ნიადაგის შედგენილობის მიხედვით. სპეციალური ხელსაწყოები აღმოაჩინენ როგორც სიცარიელეს, ისე ქვების გროვას. ლერიჩიმ შეძლო გათხრებამდე გამოეკვლია საპარხი კამერების ინვენტარი. ელექტრობურლი აკეთებს ნახვრეტს. მასში უშვებენ მილს, რომელსაც ბოლოში მინიატურული ფოტოკამერა აქვს მიმაგრებული. შემდეგ მილს დააბრუნებენ და იღებენ ფოტოსურათებს.

ლერიჩიმ თავისი მოწყობილობა გასინჯა ფაბრიანოსთან, ადრიატიკის ზღვაზე. ასე გაითხარა პირველი სამი სამარხი.

ფაბრიანოში ნიადაგი ფხვიერი იყო. საინტერესოა, მაგარ, ვულკანური წარმოშობის ნიადაგში რას იზამს ეს მოწყობილობა? და ლერიჩიმ ტარკინისისკენ გასწია, სადაც სულ ბოლო მოხატული სამარხი 1894 წელს აღმოჩნდა. აღარ ეგონათ, თუ აქ რაიმე საინტერესო კიდევ იქნებოდა. და აი, რამდენიმე თვეში ლერიჩიმ შეძლო 2600 სამარხი აღმოეჩინა, მათგან 22 მოხატული იყო. ყველაზე სახელგანთქმული სამარხი 1958 წლის 26 მარტს აღმოჩნდა.

ჩერ კიდევ მანამ, ვიდრე ნიჩაბი შეეხებოდა. არქეოლოგებმა სამარხში ჩაუშვეს პერისკოპი. სამარხის კედლებზე მათ დაინახეს ადამიანებისა და ცხოველების გამოსახულებანი. ტანადი. ფეხმარდი (ერთ მათგანს „თხისებრი“ წვერი ჰქონდა) მორბენლები. გრძელსახელოიან ტუნიკაში ჩაცმული მოცეკვავე ქალი, ტანშიშველა მოცეკვავე კაცი, დისკოს მტყორცნელი დისკოს გასროლამდე, მოკრივეები. მაგრამ ყველაფერს გადააჭარბა ეტლების შეჭიბრმა. მეეტლებს განსხვავებული ფერის ტანსაცმელი ეცვათ. ასევე განსხვავებული ფერისა იყო ცხენების აღჭურვილობა და ეტლები. ეტყობა, ისინი სხვადასხვა სატირკო ჩგუფებს ეკუთვნოდნენ, როგორც ეს იმპერატორების დროინდელ რომში იყო. აი, ცისფერტუნიკიანი მეეტლე.

მას ორივე ხელი აღვირისთვის ჩაუვლია, თითქოს ცდილობს, გაასწროს წითელტუნიკიან მეეტლეს. სახე წაშლილია, მაგრამ დარჩენილია მრგვალი ფორმის, მუზარადის ნაწილი. იგი იმდაგვარია, როგორსაც დღეს სპორტსმენი მოტოციკლეტისტები ატარებენ. ოთხთვალა კი ყვავილის ფურცლის ფორმისაა. მესამეს ხელში ბოლოწაწვეტებული ჯოხი უჭირავს და გამეტებით ჩხვლევს ცხენს ზურგში. მესამე ეტლის უკან ზურგზე გადაბრუნებული ცხენია გამოსახული. მეეტლე კი შურდულივით გაუსვრია. ყველაფერი თვითმყოლადია. არავითარი ბერძნული.

თანამედროვე ეტრუსკოლოგების სამსახურშია გეოგრაფია, ბოტანიკა, ქიმია, მედიცინა, მათემატიკა. გეოგრაფებმა გამოიკვლიეს ედინარეების ტიბრის, არნოსა და პოს კალაპორტები. რომლებიც ეტრუსკებს ზღვასთან აკავშირებდა, აგრეთვე ზღეების სანაპიროები.

ბოტანიკოსებმა მოხატულობებითა და რელიეფებით გვამცნეს, რომ ეტრუსკებს მოჰყავდათ ვაშლი, ხორბალი. მათ მიწაზე ყვაოდა ვარდები და ყაყაჩოები.

ქიმიკოსებმა შეისწავლეს ეტრუსკთა საღებავები, ძვლისგან. ლითონისა და ხისაგან დამზადებული ნივთები და დაადგინეს ის ადგილები, საიდანაც ეტრურიაში შეჰქონდათ ნედლეული. გამოიკვლიეს წარმოების ტექნიკა და სამეურნეო ცხოვრების სხვა მნიშვნელოვანი მხარეები.

ანთროპოლოგებმა ხელი მიჰყვეს ეტრუსკთა სამარხებში აღმოჩენილი ჩონჩხებისა და თავის ქალების შესწავლას, რის შედეგად დადგინდა ეტრუსკთა რასობრივი ტიპი, მათი მონათესავეობა სხვა ხალხებთან და, კერძოდ, მცირე აზიის ხალხებთან.

მათემატიკოსები გამომთვლელი მანქანების დახმარებით შეუდგენენ ეტრუსკული დამწერლობის ამოკითხვას.

ნესტისა და ჰაერის ზემოქმედებით კედლის მხატვრობები ზიანდებოდა. საკირო იყო მათი დაცვა. ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს რესტავრატორებმა. მოხატულ კედელს ჯერ კარგად ათბობენ ცხელი ჰაერით, მერე კი უსვამენ საგანგებო ნივთიერებას, რომლითაც იყოლინთება თითოეული ნასვრეტი. ამის შემდეგ რამდენიმე საათით სურათზე მიაკრავენ ტილოს. როცა აიღებენ, სურათი უკვე ტილოზეა გადმოსული, მერე კი ამ ტილოდან მუზეუმში საგანგებოდ შემზადებულ კედელზე გადააქვთ გამოსახულება.



გეტომბნეებური ახრირეებო



დ ე ვ ნ ი ლ ი

კაკ-კუკ! კაკ-კუკ! — ჭიუტად, ჩამარცვლით გააქვს რკოებს კაკუნის ქვაფენილზე. — კაკ-კუკ! თითქოს უნდათ, ხალხს გაახსენონ. რომ უკვე მოსავლის აღების დროა და უნდა იჩქარონ. მალე დაიწყება ზამთრის კოკისპირული წვიმები, მათა მწვერვალებს ღრუბლები შთანთქავს, ადამიანები სახლებში შეიმალებიან, ნადირი კი ბუნაგს მიაშურებს.

არუნტს არ ესმოდა რკოს კაკუნი, არც შემოდგომის ტყის მშვენიერებას ამჩნევდა, სტუმართმოყვარედ რომ გაეღო მისთვის კარები.

ერთი და იგივე აზრი გამუდმებით უხვრეტდა ტვინს და მძიმედ უკუმშავდა გულს. იგი, არუნტი, ლუკუმონის ვაჟი და თვითონაც ლუკუმონი, საცოდავი დევნილია. არ გააჩნია არც სასახლე, აღარც აგარაკები და აღარც მამულები. ლატაკებმა წაართვეს ყველაფერი, რაც კი წინაპრებს ეანდერძებინათ. ველიამაც კი, მისმა ველიამ, არ ინდომა დევნილის ხვედრი გაეზიარებინა. ვინ გაამტყუნებს მას? განა ველიასთანა ქალის საქმეა აყროლებული სამიკიტნოები? მიდიურ ხალიჩებს შეჩვეული მისი ფეხები როგორ აიტანენ ამ გზას?

რკომ მაგრად ჩაუკაკუნა არუნტს თავში. მოულოდნელობისაგან შეჰყვირა და მოჰკურცხლა. მაგრამ მალე მიხვდა, რომ საშიშროება არ ემუქრებოდა და გაეცინა. იგი დასცინოდა საკუთარ თავს, ასე რომ ეშინოდა. არუნტმა გულში მადლობა გადაუხადა რკოს. მისი წყალობით, როგორც იქნა, თავი დააღწია ფიქრებს, რომლებიც განუყრელად თან სდევდა, რაც კი მის ზურგს უკან კლუზიუმის ალყათის კარი დაიხურა.

არუნტი დაიხარა და რკო აიღო. რა საოცრად წააგავს იგი შურდულის ტყვიის ბირთვის. ახლა რომ მას ფული ჰქონდეს, ორას-სამას ბალეარელს დაიჭირავებდა და მეამბოხეებს გაუსწორდებოდა. ერთადერთი იმედი ახლა გალებია. დიდი ხანია, კლუზიუმელები ღვინოსა და რკინის ხმლებს უცვლიან გალებს ვერცხლსა და მონებზე. არუნტმა კი რა შეიძლება შესთავაზოს? იგი გზას ასწავლის გალებს

ამ ტყეზე. იგი მათ გადაატარებს მთელ ქვეყანას ტიბრამდე და რომის ბორცვებამდე. სანაცვლოდ კი მხოლოდ კლუზიუმს სთხოვს. დაე, გალების ბელადმა ბრენუსმა დაუბრუნოს მას ქალაქი. რომელსაც მისი წინაპრები განაგებდნენ, მისცეს მეომრები, რომ შეამბოხებებს გაუსწორდეს.

რალაც ხმამ დაარღვია სიჩუმე და არუნტის ფიქრებიც შეწყვიტა. დევნილმა მიაყურადა. ფლეიტის ხმა იყო! ოდესღაც მას უყვარდა ფლეიტის მოსმენა ნადიმის დროს. მის გვერდით წამოწოლილი ველია მელოდის ტაქტს თავს აყოლებდა. მისი თმა არაბული ნელსაცხებლების სურნელს აფრქვევდა. მუსიკა, ნელსურნელება და ღვინის მწკლარტე გემო სიხარულისა და ბედნიერების განუმეორებელ გრძნობას იწვევდა. მაგრამ აქ, ამ უღრან ტყეში, საიდან გაჩნდა ფლეიტაზე დამკვრელი? ვინ იცის, იქნებ თვით ტინიმ მოუვლინა ზეციიდან თავისი მაცნე? ადრე, სანამ არუნტი ლუკუმონი იყო, იგი ტინის უზიარებდა თავის შემოსავალსა და სამხედრო ნადავლს. იქნებ ტინის გაახსენდა თავისი არუნტი!

არუნტმა გზიდან გადაუხვია. ოღნავ შესამჩნევი ბილიკით გასწია იქით, საიდანაც ფლეიტის ხმა ესმოდა. მალე ხეები გამეჩხერდა და გამოჩნდა მინდორი, სადაც ერთი გადაფერდებული ქოხი იდგა. ქოხთან მოხუცი იდგა, ტანთ რუხი ფერის უხეში წამოსასხამი ემოსა. არუნტმა მისი სახე ვერ გაარჩია, მხოლოდ შიშველ ქაღარა თავს ხედავდა.

ტყიდან ერთიმეორის მიყოლებით გამოვიდნენ თხები. არუნტი მალულად თვალს ადევნებდა ფლეიტაზე დამკვრელ მოხუცს, ცხოველებს. იგი მიხვდა, რომ მწყემსის ქოხს გადააწყდა, რომლის მსგავსი ბევრია მთებში. მაგრამ მას რატომღაც უნდოდა ერწმუნა, რომ სწორედ ეს ქოხი დაუბრუნებდა სულის სიმშვიდეს, მისცემდა ძალას. გადაეტანა ბედის უკუღმართობანი.

არუნტმა თორმეტი თხა დაითვალა და გული სიხარულით აუჩქროლდა. იქნებ ესაა ტინისაგან გამოგზავნილი ნიშანი? ღმერთებსაც და ადამიანებსაც უყვართ რიცხვი „12“. ტინის 12 ათასი წელი დასჭირდა ცის, მიწის, ზღვების, ვარსკვლავებისა და კაცობრიობის შესაქმნელად. ცის სფერო მან 12 თანავარსკვლავედად დაჰყო. ადამიანებს უბრძანა, გაერთიანებულიყვნენ 12 ქალაქის კავშირში, ხოლო ლუკუმონებს ჰყოლოდათ 12 მსახური, ყოველ მსახურს კი ჰქონოდა 12 წიკპლისგან შეკრული როზგი და ამ როზგებით ურჩები დაესაჯათ იმდენ 12-ჯერ, რამდენსაც ლუკუმონი მოისურვებდა.

არუნტი საფარიდან გამოვიდა. ამ ბოლო დღეებში მას პირველად

ახლა მოუნდა ადამიანს დალაპარაკებოდა. ფეხის ხმის გაგონებაზე მოხუცი შემობრუნდა და არუნტი მაშინვე მიხვდა, რომ მწყემსი ბრმა იყო. გახელილი თვალებით იგი სადღაც, შორს იშზირებოდა.

— ღმერთები იყვნენ შენი შემწე! — წარმოთქვა მოხუცმა და თან თხებს შეუტია, — დიდი ხანია, არავინ მსტუმრებია, ახლოს მოდი, ერთმანეთი გავიცნოთ.

მან ხელი გაუწოდა და თითებით სწრაფად მოსინჯა არუნტის სახე.

— ახალგაზრდა არ ყოფილხარ. დამაცა, ახლავე მოვალ.

მოხუცი, მართლაც, მალე დაბრუნდა. ხელში რძით სავსე თასი ეკავა.

— დალიე, — თქვა და თასი არუნტს გაუწოდა. — თხის რძე უებარია დალილობის დროს. ღვინო და პური კი არა მაქვს.

არუნტმა რძე დალია და თასი მიწაზე დადგა.

— მარტო ხარ აქ? — ჰკითხა მოხუცს.

— ძმა მყავდა. აგე, იმ მუხას ხომ ხედავ, მარკენივ. სამიოდე ნაბიჯზე, იქ მისი საფლავია.

— ვხედავ, — მიუგო არუნტმა. — ტყეში მარტოს არ გეშინია?

— მივეჩვიე. ბოროტი კაცი აქ არ მოვა. წასართმევიც არაფერი გამაჩნია. ხოლო სიბნელეზე თუ ამბობ, ჩემთვის ყველგან სიბნელეა — ტყეშიც და ქალაქშიც, დღისითაც და ღამითაც. თხები თავისით მოდიან ხოლმე, ძებნა არ მჭირდება. გაიგონებენ ფლეიტის ხმას და მობიან.

— მგლები? — ჰკითხა არუნტმა.

— მგლები მე არაფერს მიშავებენ. ერთხელ ჩემმა ძმამ თხები წაიყვანა ქალაქში. მე ვიჩეკი და, დრო რომ გამეყვანა, ფლეიტას ვუკრავდი. ერთი შეხედვით, ფლეიტა უბრალო ხეა, მაგრამ რა არ შეუძლია, — ნაკადულივით რაკრაკი, წიფლის ფოთლებივით შრილი, როცა ქარი დაუბერავს, დამეული ფრინველივით კვნესა. მე შემიძლია ფლეიტით მთელი ჩემი ცხოვრება მოგიყვე. აბა, ყური დაზიგდე.

მოხუცმა ტუჩებზე მიიღო ფლეიტა და მელოდიაც ერთბაშად გადმოიღვარა. არუნტს არასოდეს სმენოდა მსგავსი საცეკვაო ჰანგი. მასში იგრძნობოდა ზღვაოსანთა მხიარულება, ვერცხლის ფულს რომ ფანტავენ პირგის ტავერნებში, ციცაბოფერდებიანი ტრიერების რხევაც აღელვებული ზღვის ტალღებზე, ფრინველებისა და ცხოველების სტვენა, მღერა, ყვირილი იღუმალ ტყეებში. მაგრამ

აი, მელოდია შეიცვალა. ეს იყო ძველებური სევდიანი სიმღერა, რომელიც რასენებმა მოიტანეს აღმოსავლეთიდან. ამგვარ სიმღერებს მღერიან ტარკვინიაში, კორტონაშიც და ვეიშიც. მაგრამ მათ ალბათ სადაღაც სარდესთან¹ ახლოს, გორაკებზეც გაიგონებთ, სადაც დაიბადა მზისა და მუსიკის შვილი აპლუ.

მკვეთრი, გაბოროტებული ბგერები, მრისხანება და სასოწარკვეთა გაისმის ფლეიტის სიმღერაში. მაგრამ აი, იგი უკვე ალერსიანად, შემრიგებლურად. სევდიანად მღერის.

— იმ დღესაც ასე ვუკრავდი, — მოხუცმა დაკვრა შეწყვიტა. — ამ ბგერების მეტი არაფერი მესმოდა. მე რე ძმამ მითხრა, ქოხთან ახლოს ძუ მგელი იდგა და ხმას გაყოლებდა, ჩემს დანახვაზე კი შეშინდა და გაიქცაო; ნადირს ეშინია ადამიანისა, რადგან მისგან სიკეთე ჭერ არ უნახავს. სიკეთით კი ყველაფერი შეგიძლია გააქეთო!

— ზღაპარია! — გული მოუვიდა არუნტს. — არც მხეცებს და არც ადამიანებს სიკეთისა არაფერი გაეგებათ. ისინი მხოლოდ ძალას აფასებენ.

მოხუცი სიღამებლემეპარებულ მორზე ჩამოჯდა, განზე გასწია თხა, ლოყის ალოკვას რომ უპირებდა, და დაიწყო:

— ძველად, როცა ტიბრისპირა ბორცვებზე ჭერ კიდევ არ არსებობდა რომი და მთელი მიწები ჩვენ, რასენებს გვეკუთვნოდა, ცხოვრობდა ლუკუმონი მეზენციუსი. იგი მარტო ერთ ქალაქს კი არა, თორმეტივე ქალაქს განაგებდა და თავი ღეთისსწორად წარმოედგინა. მოითხოვდა, თავი მოსავალი ჭერ მისთვის მიერთმიათ. როგორც ამას ტინისთვის აკეთებდნენ. ხალხს იგი ბრბოს უწოდებდა და თვლიდა, რომ შეუძლია ძალით განაგებდეს.

— კმარა! — გააწყვეტინა არუნტმა მოხუცს. — მეზენციუსი სასტიკი იყო და დაისაჯა კიდევ ამის გამო. მაგრამ რასენებს იგი ოცდაცამეტი წელიწადი მბრძანებლობდა. ხოლო ის, ბრბოს ჭკუას ვინც აპყობია, სამ წელიწადსაც ვერ შეინარჩუნებს ძალაუფლებას. ბრბო ხარივით უღელში უნდა გყავდეს გაბმული და შოლტს ურტყამდე. შენ ბრმა ხარ. მოხუცო, და ეს ამბავი არც გეცოდინება.

— მე ყოველთვის ასე ბრმა როდი ვიყავი, — უშფოთველი ხმით მიუგო მოხუცმა. — თვალისჩინი იმიტომ წამართვეს, რომ სხვებზე მეტს ვხედავდი. მე ხომალდებით მიმოგზაურობა შორეულ ქვეყნებში, ბრძენკაცებთან მისაუბრია. კლუზიუმში რომ დავბრუნდი, ხალხს ჭკუის სწავლება დავუწყე. იმ წელს კი, ზეციდან რომ ქვების წვიმა

¹ სარდე — ქალაქი მცირე აზიაში

წამოვიდა, მე მოედანზე გავედი. შენ ყოფილხარ ოდესმე კლუზიუმში, მგზავრო? რატომ არაფერს ამბობ?

არუნტი თვალს მიეფარა. ამ ამბის ბოლო მისთვის ცნობილი იყო. სწორედ მან ბრძანა, დაებრმავებინათ ეს მეზღვაური, ერთ-ერთი იმ შფოთისთავთაგანი, რომლებიც ლატაკებს ზეციური არსებებისადმი შიშს უქარწყლებდნენ. მეზღვაური მათ მოუწოდებდა. არ შინებოდათ ქვის წვიმისა. ამ ქვებსო რასენების სიძუნწითა და სიურჩით განაწყენებული ღმერთები კი არ ისვრიან, არამედ შორეულ კუნძულზე გახურებული მთიდან ამოიტყორცნა და ქარმა აქეთ წამოილოო.

ბრმა მოხუცთან შეხვედრამ გუნება გაუფუჭა არუნტს. მაგრამ მას სხვა რამ უფრო ამფოთებდა: „12“-მა ბედნიერება არ მოუტანა. „იქნება ღმერთებმა ზურგი შემაქციეს?“ — ფიქრობდა შეძრწუნებული არუნტი.

მან თვალი გადაავლო განვლილ ცხოვრებას, უნდოდა გაეხსენებინა. რითი განარისხა უკვდავნი.

ერთხელ იგი ტინის ას თავს შეჰპირდა, თუ ლიგურებზე გამარჯვებაში დაეხმარებოდა. დამარცხებულმა ლიგურებმა მთებს შეაფარეს თავი. არუნტს დაენანა ასი ხარის შეწირვა და ბრძანა, ტაძარში ასი ბოცვერი მიეყვანათ და საკურთხეველთან წააცალა ყველას თავები. ტინი კი მაინც არ უნდა განაწყენებულიყო, რადგან ასი ხარის შეწირვას ხომ არ დაჰპირებია!

მეორედ არუნტმა ბრძანა, დაესაჯათ ათი ბერძენი მეკობრე, რომლებიც ტირენის ზღვაზე დათარეშობდნენ. ამ ბერძნებს, ისევე, როგორც არუნტს, სწამდათ ტინი, ოღონდ მას თავისებურად — ზევსს უწოდებდნენ. ჰოდა, სიკვდილის წინ ისინი შევედრნენ ღმერთების მამას, დაესაჯა მკვლელები. მათ ადგილას ყველა ასე მოიქცეოდა.

ზევსის რისხვა რომ აეცილებინა, არუნტმა ოლიმპიაში ხუთი ოქროს თასი გაგზავნა და თავის ქალაქში მუშტი-კრივის შეჯიბრებანი დააწესა.

— უცებ არუნტი ერთმა აზრმა დაამშვიდა. „ნამდვილი სულელი ვარ! — გაიფიქრა. — მართალია, თხები თორმეტი იყო, მაგრამ მე ხომ მეცამეტე მივედი ფლეიტის ხმაზე! მართლაც, რომ სულელი, გზააბნეული თხა ვარ!.. არა, თხა კი არა, ლომი ვარ! მე მათ ვუჩვენებ, რა შემოძლია! ისინი პასუხს აგებენ ჩემ მიერ ამ უკაცრიელ გზაზე გადადგმული ყოველი ნაბიჯისათვის. ყოველი ცრემლისათვის, ველია რომ ღვრის, შეურაცხყოფისა და წყენისათვის, რაც მათ მე მომაყენეს, ისინი თორმეტმაგად აგებენ პასუხს!“

ჟაკე მეორე ნუნდინი იყო, რაც გალები კლუზიუმთან იდგნენ. მეორე ნუნდინი იყო, რაც შეძრწუნებული არუნტი უყურებდა, როგორ თელავდნენ ბარბაროსები ვენახებს. ამოდ ცდილობდა. არუნტი მათთვის აეხსნა, რომ ხვიარა ლერწებიანი ბუჩქები იძლეოდა ნაყოფს იმ ტკბილი და მათრობელა სასმელისათვის, ასე რომ მოსწონდათ გალებს. მაგრამ ბარბაროსებს არაფრის გაგება არ უნდოდათ. ისინი სულაც არ აპირებდნენ ამ ქალაქში მანამდე დარჩენას, ვიდრე ეს მკაფე. მომწვანო ნაყოფი მწიფე ყურძნად იქცეოდა.

რაც დრო გადიოდა, გალების ბელადი სულ უფრო თავხედურად და ამპარტავნულად იქცეოდა. სადღა იყო ის ბრენუსი, ადრე რომ სიყვარულს ეფიცებოდა არუნტს და თავის ძმობილს უწოდებდა? დღეს მან დაცინვით უთხრა არუნტს:

— მე შენ ქალაქს დაგპირდი. აი ისიც — მიდი და აიღე.

ხოლო როცა არუნტმა უთხრა, სად შემიძლია იმის გაკეთება, რაც მთელმა ჯარმა ვერ შეძლო, გალმა გაიცინა:

— ხომ გვასწავლე შენი ქვეყნის გზა, ახლა შენი ქალაქის გზაც გვასწავლეო.

კიდევ კარგი, გალს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ასეთი გზა მართლაც არსებობდა. იგი კლუზიუმის კედლებქვეშ, მიწაში გადიოდა.

მტრის ბანაკში გატარებულმა თვეებმა მთლიანად გამოცვალეს არუნტი. ზიზლის გრძნობა, რომელმაც იგი გალებთან გააქცია, თანდათან გაუწელდა. სულ უფრო ხშირად ახსენდებოდა ახლა ბრძენი, უბოროტო მოხუცი. გონებიდან არ სცილდებოდა ფლეიტის ხმა და თვალები ცრემლით ევსებოდა. იქნებ, მართლაც ასე უნდა იცხოვროს კაცმა, როგორც ეს მოხუცი ცხოვრობს, არავის ზიანს რომ არ აყენებს, არც ადამიანებს და არც ცხოველებს?

მაგრამ ველიაზე, ბრბოსადმი მის ზიზლზე ფიქრი არუნტს აიძულებდა, დარჩენილიყო გალებთან, გადმოეტარებინა ისინი მთებსა და ტყეებზე რასენთა მიწა-წყლისკენ. რაც უფრო უახლოვდებოდა სამშობლოს, არუნტი მით უფრო მძიმედ განიცდიდა თავის დანაშაულს.

ლუნას რომ მოუახლოვდნენ, მთებში, არუნტი გაექცა გალებს, მაგრამ დაიჭირეს. მას შემდეგ ბრენუსი თვალს არ აცილებდა მას. იგი ეშვაკი და თან ულმობელი მტერი იყო. არუნტმა იცოდა, რომ არ არსებობდა ისეთი დანაშაული, რომელსაც ბრენუსი არ ჩაიდენდა. უჩვენოს მიწისქვეშა გასასვლელი? მაშინ იგი შეიჭრება ქალაქ-

ში და ყველა მამაკაცს ერთიანად ამოკლეთ, ქალებს კი მონებად აქცევს და ბორკილდადებულთ უცხო მხარეში გაგზავნის. შეძლებს, დაიცვას ველია? ბრენუსი მას ლუკუმონობას მისცემს გამოცარიელებულ ქალაქში და ვირთხების მბრძანებლად გახდის.

მწარე ფიქრებმა ძილი დაუფრთხო არუნტს. მხოლოდ შუალამისას ჩაეძინა. მაგრამ ახლა სიზმრებმა გატანჯა. ველია ესიზმრა, ბრენუსის კარავში მყოფი. გალი იწვა, თავშიშველი ველია კი, რომელსაც ტანთ მონის ტანსაცმელი ემოსა, ნუგბარ საქმელებს არიგებდა. გალები ხარხარებდნენ.

— არუნტ! — მოესმა ხმა. — გაიღვიძე, არუნტ!

არუნტი წამოიწია. საწოლთან თავშებურული ქალი იდგა. ნეტა, ვინ არის?

— მე ვარ, არუნტ, შენი ველია, — თქვა ქალმა და თავსაფარი მოიძრო. — რატომ ხმას არ მცემ, არუნტ? იქნებ მწუხარებამ გამომცვალა და ველარა მცნობ?

— არა, შენ ისევ ისეთი ხარ, — არუნტმა სახე დაუკონა ველიას. — საყვარლო! შენი თმა ისევ ისე აფრქვევს არაბული ნელსაცხებლების სურნელს. მე ისე გელოდი შენ, რომ ბედნიერებისაგან ენა წამერთვა!

— არც შენ გამოცვლილხარ! — თქვა ველიამ და არუნტს მხარზე დაადო ხელი. — ასეთი გიხილე მაშინ, როცა დაგამცირეს. მაგრამ ვიცოდი, რომ შენ დაბრუნდებოდი. მალულად შეგიკერე ტუნიკა, ბოლოები სულ სირმის ძაფით ამოგიქარგე. ნახე, იმაზე ნაკლები როდია, მაშინ მოედანზე რომ დაწვეს. ჩაიცვი. შენ ლუკუმონად უნდა შეხვიდე ქალაქში.

— ველია, — ცოტა არეულად დაიწყო არუნტმა. — მე შენთვის ბევრი რამ მაქვს მოსაყოლი. გახსოვს ის მეზღვაური, მე რომ დავაბრმავე? ტყეში შევხვდი. თხებს მწყემსავს. თან ფლეიტა აქვს. ნეტა მოგასმენინა, როგორ უკრავს! მგლებიც კი მოდიან მოსასმენად. მე მგონი, ის მართალია. მხეცები აფასებენ სიკეთეს.

— ამას რატომ ამბობ, არუნტ? რომელი მოხუცი, რა მხეცები?..

— არა, ის მართალია, მაგრამ ახლა უკვე გვიანდაა.

— რა არის გვიანი? არაფერი მესმის...

— მე კი უკვე მესმის შენი. შენ ისევ ისეთი დარჩი, მე კი შევიცვალე, თუმცა ძველებურად ისევ არუნტი მქვია და ისევ ისე მიყვარხარ. მითხარი, ველია, როგორ მოხვდი ქალაქიდან აქ? გამოგიშვეს?

— მიწისქვეშა გასასვლელით, ჩვენი განსასვენებლიდან რომ იწ-

ყება. ბრბომ არ იცის მისი არსებობა. ხოლო ქურუმებმა... ქურუმები შენ გელიან, არუნტ. ბრბოს ბატონობა მათთვისაც ისევე საძულველია, როგორც შენთვის.

— მერე მტრის ძალაუფლება? — თქვა არუნტმა. — ერთი შეხედე, რას დაამსგავსეს ვენახები! ისინი აფუჭებენ გზებს, ანგრევენ კაშხალებს, არხებს, წინაპართა ნაშრომ-ნაღვაწს.

— შენი წინაპრები ლუკუმონები იყვნენ და არა მონები, — შეაწყვეტინა ველიამ.

— ყოველი ჩვენგანი თავისი მიწა-წყლის, თავისი ხალხის მონაა! — მიუგო არუნტმა. — და ვიდრე ლუკუმონი გახდებოდე, ჯერ რასენად უნდა დაიბადო. არ გახსოვს პორსენას სამარხი? მას ლაბირინთს უწოდებენ, რადგან შიგ შესვლა შეუძლებელია, გამოსვლა კი — ალარ. მეც სწორედ ლაბირინთში ვარ. უკანდასახევი გზა ალარა მაქვს. მოქალაქეებს იმიტომ ვძულვარ, რომ მტერს გზა ვუჩვენე, მაგრამ მტერსაც ვძულვარ, ქალაქის კარებს რომ არ ვუხსნი.

— მერე-და, რაღას უცდი, ადექი და გაუხსენი! რა გიმლის ხელს? დაიბრუნე ხელისუფლება და მტერს მერე გაუსწორდი. ახალ ვენახებსაც გააშენებ და ტაძრებსაც ალადგენ. კლუზიუმი კიდევ უფრო გამშვენიერდება.

— არა, ველია. მე ამას არ ვიზამ. დროა, გავშორდეთ, უკვე თენდება. წავიდეთ, მე გაგაცილებ.

— მშიშარავ! — შეჰყვირა ველიამ. — შენ ყოველთვის მშიშარა იყავი. ლომის ტყავში გახვეული კურდღელი ხარ. შენ არც ხელისუფლების შენარჩუნება შეგეძლო და არც მისი დაბრუნება შეგიძლია: მე ვაჩვენებ გალებს მიწისქვეშა გზას და შევიყვან ქალაქში.

და ვიდრე არუნტი გონს მოვიდოდა, ველია კარვიდან გავარდა და ბრენუსის ჩარდახისაკენ გაიქცა.

— ველია, შეჩერდი! — უბრძანა არუნტმა. — არ გესმის? შეჩერდი!

ველიას ერთხელაც არ მოუხედავს უკან, ისე გარბოდა.

ხმაურზე ჩარდახიდან ბრენუსი გამოვიდა. გაფარჩხული თითებით მწითურ წვერს იფარცხავდა. გალების ბელადმა ქალს ჰკითხა:

— რა გინდა?

— მე იმასი ცოლი ვარ. — სწრაფად დაიწყო ველიამ, — იქიდან მოვედი. ჩვენ ვიცით მიწისქვეშა გზა. თუ გინდა...

ეს იყო უკანასკნელი სიტყვები, რომლის წარმოთქმა მან მოასწრო. არუნტის მტკიცე ხელით ნასროლი შუბი ყელში გაერქო ქალს. სისხლით შეღებილი ველია გალის ფეხებთან დაეცა.

ბრენუსმა ანიშნა, არუნტი შეეპყროთ.

იმავე დღეს გაღებმა ქალაქს ალყა მოხსნეს და რომისაკენ დაიძრნენ. კლუხიუმელებმა ეს სასწაულად მიიჩნიეს და ღმერთებს მსხვერპლად შესწირეს მტრის მოცილებისათვის. მაგრამ მათ მალე გაიგეს, ვინაც იხსნა ქალაქი, თხრილში არუნტის ნაცემ-ნაგვემი, შიშველი სნეული იპოვეს. დევნილმა გალებს არ გაუმზილა საიღუმლო და ისე დაიღუპა, როგორც ვაჟკაცს შეჭფეროდა.

ქურუმებმა განზანც არუნტის სნეული და ოქროთი მოსირმული ტუნჯით შეშოსეს. მერე ოაზცხენა ეტლზე დაასვენეს, მთელი ქალაქი შემოატარეს და წინაპართა გვერდით დაკრძალეს, როგორც ლუქუმონი. ველს ვ გვერდით მიუწვინეს, ვინაიდან იგი მისი მეუღლე იყო.



რ ა მ ტ ა

ეს იყო ჩემი პირველი საზღვაო ბრძოლა. მარჯვენა ფერდზე დაჯახებისგან ჩვენი „მერცხალი“ შექანდა. ტირენიელთა ხომალდმა რკინის წამახვილებული ეკალი შეატოვა ჩვენს ხომალდს. მერე მე გავიგე, რომ ამ ეკალს როსტრუმი ერქვა. წყალი სტვენით შეიჭრა ტრიუმში და ჩვენმა ტრიერამ ჩაძირვა იწყო. რამდენიმე წუთის შემდეგ მე უკვე ტალღებზე ვფართხალებდი მეზღვაურებთან და მენიჩბეებთან ერთად. კიდევ ცოტა ხანიც და ჩვენ უკვე ტირენიელთა ხომალდის გემბანზე ვისხედით ზურგზე ხელებგაკრულნი. მტაცებელი ფრინველის მსგავსი, ცხვირა ტირენიელები გემბანზე მიდი-მოდიოდნენ და ჩვენ არავითარ ყურადღებას არ გვაქცევდნენ. მხოლოდ მაშინ, როცა ხმელეთი გამოჩნდა, ფეხზე წამოგვეყარეს და ათ-ათად გადაგვთვალეს.

— მუვალხ, — წარმოთქვა შევწვერა მესაკემ და ცერა თითი მოკაკვა.

ძნელი მისახვედრი სრ იყო, რომ ტირენიელთა ენაზე ეს ნიშნავდა „ორმოცდაათს“. კიმეს რომ ვტოვებდით, ჩვენს ტრიერზე ორ-

შოცდაცამეტი კაცი იყო. მაგრამ მესაქე ლისისტრატე ბრძოლის პირველსავე წუთებში განგმირა ტირენიელთა ისარმა, ორი მეზღვაური კი ტრიერთან ერთად ჩაიძირა!

საბიჯლებით ნაპირზე გადასულებს მაშინვე ბრბო შემოგვეხვია და აღარც მოგვეცილებია ქალაქისკენ მიმავალ მთელ გზაზე, რომელიც თორმეტი სტადიუმით იყო დაშორებული ნავსადგურიდან. რა სიძულვილს აფრქვევდა ტირენიელთა თვალები! მუშტებს გვიქნევდნენ, პირზე ღორბლმომდგარნი გაუგებარ სიტყვებს მოგვეყვიროდნენ.

ის იყო ქალაქის კიშკარი გავიარეთ, რომ ვილაც კაცი მომეპარდა, მხარში ხელი მტაცა და გვერდზე გამათრია.

— რუვა! რუვა! — ყვიროდა იგი.

ძალიან გამიკვირდა, როცა ტირენიელებმა გზა დაუთმეს მას და ნება მისცეს, წავეყვანე. ასე აღმოვჩნდი მე ვეებერთელა სახლის ეზოში. ეზო ქვაფენილით იყო მოგებული და ისე კრიალებდა, ენით ვგონებოდა კაცს ალოკილი. „ეტყობა, ბატონს წესრიგი უყვარს“, — გავივლე გულში.

უცნობმა ხელები გამიხსნა, მიწისქვეშეთისკენ მიმავალ კართან მიმიყვანა და მანიშნა, შევსულიყავი. სიბნელეში იქაურობა მოვათვალიერე და დავინახე ნიში, სადაც წყლიანი ხელადა და ორი ცალი პურის კვერი იდო. მიუხედავად იმისა, რომ აგერ, უკვე ნახევარი დღე იყო, არაფერი მეჭამა და მესვა, არც მშობილა და არც მწყურა. ისე ვიყავი აღელვებული მომხდარი ამბებით, რომ ვერ დავმშვიდებულყავი. თავებდს ვიწყეელიდი, რატომ გამიტაცა სხვების მონაყოლმა, დასავლეთში მდიდარი ქვეყნები არისო, დამატოვებინა ჩემი ქვიანი კუნძული და მამისაგან ნაანდერძევი პატარა სამეთუნეო სახელოსნო. ლისისტრატე — მიწისქვეშეთის ღმერთების წყალობა ზუ მთაკლდეს მას! — მარწმუნებდა, იბერიაში ამფორები ძვირად ფასობს, მონები კი იაფი ღირსო. „იუ შენი საქონლის გაყიდვას შეძლებ, — მგუბნებოდა ის, — ოცამდე მონას იყიდი და შენს წარმოებას უფრო გააფართოვებო“. კარგად კი შევიძინე მონები. ახლა თვითონ შე ვარ მონა.

მწარე ფიქრებში ჩამეძინა. გამაღვიძა ფლეიტის მელოდიურმა შდერამ, რომელსაც რაღაცნაირი მკვეთრი, სტვენისმაგვარი ხმა და ქალის ტირილი ერთვოდა. ფეხის წვერებზე ავიწიე და ლოყით კარებში ნახვრეტს ავეკარი. მიწისქვეშეთიდან რამდენიმე ნაბიჯზე ვილაც ფლეიტაზე უკრავდა. მაგრამ დამკვრელისას მარტო ფეხებს ჭხედავდი, სახეს — ვერა. ფეხების ერთ წყვილს უხეში, სქელლანჩიანი

სანდლები ემოსა, მეორეს — აპრეზილკვინტიანი წითელი ჩექმები. ჩექმები გაუძრევლად იდგა, სანდლები კი განუწყვეტლივ მოძრაობდა. ჩემთვის უხილავი კაცი ფეხებს ხან უკან წადგამდა, ხან კი ფეხის წვერებზე იწეოდა.

უეცრად მუსიკა შეწყდა და კიდევ ერთი წყვილი ფეხი გამოჩნდა, კაცს ეგონებოდა, ზეციდან დაეშვაო. ეს წვრილი, ქალური ფეხები იყო, ფაქიზად დაქნილი, წითლად შეღებილი ფრჩხილები ჰქონდა. შიშველი ტერფები რაღაც გაუბედავად მოძრაობდნენ, თითქოს ყოველი ნაბიჯი ტკივილს აყენებდა მათ.

— მუვალხ! — გაისმა მამაკაცის ხმა.

ეს სიტყვა ჩემთვის უკვე ცნობილი იყო.

ფეხები გაქრა. შეწყდა ნაბიჯის ხმაც. მიწის იატაკზე ჩავჯექი. რამდენი არ ვიფიქრე ახლახან ნანახზე, მაგრამ აზრი მაინც ვერ გამოვიტანე.

მეორე დღეს კარი გაიღო და იმ კაცმა შემოყო თავი, ვინც ამ მიწისქვეშეთში გამოძეკა.

— ქალბატონმა მიბრძანა, გავიგო, რისი ვაკეთება შეგიძლია. — დამტვრეული ელინურით მკითხა მან.

— ჩემს სამშობლოში მექოთნე ვიყავი.

— რაკი ასეა. სახელოსნოში წაგიყვან, გამოდი.

კაშკაშა მზემ თვალი მომპკრა, გარეთ რომ გამოვძვერი და ჩემს ბრძანებელს უკან გავყევი. ამ კაცს ისე მდიდრულად ეცვა, რომ ადვილად შეიძლებოდა კაცს ამ სახლის მფლობელად მიეჩნია. მაგრამ ვინაიდან იგი ქალბატონის სახელით მოქმედებდა, გადავწყვიტე, რომ იგი მმართველი იყო. ჩვენთანაც, დელოსზე, მდიდართა ოჯახებში ჰყავთ მმართველები, განსაკუთრებით მაშინ, როცა ოჯახის უფროსი ქალია. ქალისთვის ძნელია, მარტოკა გაუძღვეს მთელ მეურნეობას. ალბათ ამ სახლის ქალბატონი მდიდარი ქვრივია.

ეზოს მოპირდაპირე მხარეს მმართველი შეჩერდა და კრამიტით დახურულ სათავსოზე მიმითითა.

— აქ იმუშავენ, — მითხრა მან. — იქ თიხასაც იპოვი და სათუნო წრესაც. ქალბატონს უყვარს ლამაზი ჭურჭელი. გააკეთე ლარნაკი შენი გემოვნებით. მაგრამ ეზოში ხეტიალი და სხვა მონებთან ლაყბობა არ იფიქრო. თორემ ფლეიტას მოგასმენინებენ.

თიხის ზელა დავიწყე. მაგრამ თავიდან არ მშორდებოდა საშინელი მუქარა: „ფლეიტას მოგასმენინებენო“. რატომ უნდა ეშინოდეს კაცს ფლეიტისა?

მალე ყველაფერი გავიგე, როცა ხელახლა მოვისმინე ფლეიტის

ხმა. ამჯერად უკვე თავისუფლად შემეძლო კარი გამეღო და გამეხედო. ჭურბულის შესასვლელთან, ხის გრძელ მერხზე. კაცი იყო გაწვენილი. იქვე კიდევ ორნი იდგნენ. ერთი ვიცანი — მმართველი იყო. სწორედ ის უკრავდა ფლეიტაზე. მეორე კი მუსიკის ტაქტზე წკებლებს ურტყამდა მწოლიარეს.

სასწრაფოდ მივხურე კარი. ამ სანახაობის ცქერა მე არ შემეძლო. როგორ შევიცვალე! მიფიქრია თუ არა ადრე მონებზე? მიცდია, გამეგო. რას იგონებენ ისინი გრძელ ლამეებში, როცა გარეთ ქარი ზუზუნებს და მთელ სიტბოს აცლის ძველ ტყაბუქებს. დავკვირვებივარ კი მათ სახეებს. ან მათი ლაპარაკი თუ მომისმენია. კერიას რომ გარბ შემოუხსნებოდნენ. მე მათი ნამდვილი სახელებიც არ ვიცოდი. შეტსახელებს ვარქმევდი, თიბქოს ცხოველები იყვნენ, და მზოვითხოვდი. ამ სახელზე ეპასუხათ. რა დღე ვაყარე ჩემს ცოლს, როცა იგი სკვით ბიქს გამოეჭოძაგა: „არაფერი არ მოუვა! მონები არ უნდა გაანებვირო! ადამიანური სიტყვა მათ არ ესმით!“ ახლა კი მე თვითონ ვარ მონა და შეუძლიათ მეც გამწუქებლონ. თანაც მუსიკის თანხლებით! ამ შემთხვევაში მუსიკა მკრებელობა იყო, სმენის გამაღიზიანებელი.

დიდი დრო არ გასულა, რომ ნაბიჯების ხმა გაისმა. კარი გაიღო და მმართველი დავინახე. გვერდით ის კაცი ედგა, წიელან რომ გაწკებლეს. ნეტა, აქ რა უნდათ?

— ეს კაცი შენთან იცხოვრებს. — თქვა მმართველმა. — ასე ბრძანა ქალბატონმა.

მე თანაგრძნობით შევხედე ამ კაცს, ახლახან დამამცირებელი სასჯელი რომ გადაიტანა. მაგრამ მის ოდნავ მსუქან, სწორნაკვეთებიან სახეზე ვერც ტკივილი ამოვიკითხე და ვერც სირცხვილი. თითქოს ის, რაც მოხდა, მას არ ეხებოდა. ან იქნებ ადამიანები ყველაფერს ეჩვევიან?

— გამარჯობა, — თქვა უცნობმა სუფთა ელინურ ენაზე. — მე კორაკი მქვია, თებედანა ვარ.

— მე კი არისტონოტი მქვია. — გავეცანი მეც. — ჩემი სამშობლო დელოსია. კირნის¹ ნაპირებთან დამატყვევეს.

— ვიცი, — თქვა კორაკმა. — იმ დღეს. როცა ბრბოს თანხლებით მოჰყავდით, მეც მათ შორის ვიყავი. მახსოვს, როგორ გამოგიყვანა ფლეიტაზე დამკვრელმა.

— მან მე შემომეყვირა: „რუვა! რუვა!“ — ჩავუერთე მე.

¹ კ ი რ ნ ი — კორსიკის ძველი სახელწოდება.

— რუვა ტირენიელთა ენაზე „ძმას· ნიშნავს, — ამისნა კორაკმა.

— იქნებ ამ ქვეყანაში ასეთი ჩვეულება აქვთ. ამოირჩიონ ძმა და მერე ის ქურდმულში გამოეცტონ, როგორც გაპარული მონა? კორაკმა გაიცინა. მაგრამ მე არ მეცინებოდა და აღშფოთებულმა მოყოლა დაეწყო, როგორ ჩამაგდეს ორმოში. საიდანაც მარტო ფეხებს ვხედავდი, და როგორ მაშინებდნენ ქალბატონით.

— ჩუჰად. — მოთხრა ახალგაყნობილმა. — შეიძლება ყურს გვიგდებენ. ვაი მისი ბრალი. ვინც უპატროვნეოდ მოისხენიებს ქალბატონს. ტირენიელებთან ქალები მამაკაცის უფლებებზე სარგებლობენ. ისინი მართლაც არაფროთ ჩამოუვარდებიან ნაშაყატებს. ნეტა განახა, როგორ მართავს ჩვენი რამბა ეტლს! ახლა როგორ ცეკვავს. არ იტყვი?

მე მხრები ავიჩეჩე. ქალი მართავს ეტლს! შემთხვევით, ამოცალთა სამფლობელოში ხომ არ მოვხვდო?

— ეს ამბავი მეც მაცნებდა. — თქვა კორაკმა მცირე პაუზის შემდეგ. — ჩვენთვის, ელენებისთვის, ქალის ხელისუფლება გაუგებარია და არაბუნებრივი. ჩვენი ცოლები და დები მთელ დღეს ან ართავენ. ან საქმელს აკეთებენ. ამიტომაც არ მოიძებნება მათ შორის რამტას მაგვარი.

— არ მესძის, რატომ ალგაფროთოვანა ასე ძლიერ ამ ტირენულმა ძუ მგელმა? შენ ხომ მისი ნებართვის გარეშე არ დაუსჯიხარ?

— ო. შენ არ იცნობ რამტას, — შეშფოდავა კორაკი. — მასზე განაწყენება როგორ შეიძლება. იგი უდანაშაულოდ როდი სჯის. აბა ერთი სხვა ბატონების მონები განახა — სხეულზე ერთ მთელ ადგილს ვერ უპოვი. ბატონები ცუდ განწყობილებას მონებზე იქარვებენ. სახლში საგანგებო ჯალათები ჰყავთ, ანდა თვით ართმევენ თავს ამ საქმეს. რამბა კი ვერ ეგუება როზვის საზიზლარ სტვენას. კენესა-ტირილი პირდაპირ გულზე ხვდება. ამიტომაც აგზავნის ხოლმე თავლაში ფლეიტაზე დამკვრელს.

თიხის გუნდა ხელში მაგრად მოვსრისე გაჭაფრებულმა, ო. ნეტა ეს თიხის გუნდა კი არა, რამტას ყელი ყოფილიყო! როგორ გადაიშ-სხვრეოდა ჩემს თითებში!

— ვინ მისცა უფლება, მთელ სახლს მისი შიშით აკანკალებდეს? — შევძახე მე. — რა საძაგელი ვინშეა!

— შენ ყველაზე ნაკლებ უნდა იყო გაჭაფრებული რამტაზე. — თქვა კორაკმა, ჩემი გამწარებული შეძახილი რომ გაიგონა. — შენ ხომ მას უნდა უმადლოდე, ცოცხალი რომ ხარ?

— კეთილისმყოფელი, — წარმოვთქვი ირონიულად. — მე ვფიქრობ, სხვა ბატონებთან ნაკლებ დღეში არ ვიქნებოდით.

— უბედურო! შენ ჯერ კიდევ არ იცი, რა ბედი ეწია დანარჩენ ტყვეებს. ისინი ქვეებით ჩაქოლეს.

მე კორაკს ჩავაშტერდი თვალებში. არა, ის არ ხუმრობდა. განა შეიძლებოდა ამგვარი ხუმრობა? უიარაღო ტყვეების ქვეებით ამოელეტა! არა, ეს ტირენიელები ტავრიდის ველურ მცხოვრებლებზე უარესნი ყოფილან!

თიხა გვერდზე გადავდე და ღმერთებს მადლობა შევწირე გადარჩენისათვის. ახლა კიდევ უფრო იდუმალი მეჩვენა უცნობი ქალბატონი. რამ აიძულა, ტყვეებს შორის სწორედ მე გამოვეჩვიე? შემთხვევით მოხდა ასე, თუ მისი კაპრიზის შედეგად? რაც არ უნდა ყოფილიყო მიზეზი, მე მისი მადლობელი უნდა ვყოფილიყავი, რომ სიცოცხლე მაჩუქა. და თუ აქამდე იმიტომ ვმუშაობდი, რომ თავიდან ამეცილებინა თავისუფალი ადამიანის შეურაცხყოფელი დასჯა, ახლა უკვე სამუშაოში მთელ გულს ვაქსოვდი. რამტა ნახავს, რომ არჩევანში არ შემეცდარა. ისეთ ჭურჭელს გავაკეთებ, მსგავსი არაა ესე ცერეში. მთელს ტირენიაში არავის ჰქონდეს.

მე ყოველთვის მომწონდა ამფორები, წელზე დონჯემოწყობილ თეძოგანიერ ქალიშვილებს რომ ჰგავდა. მაგრამ ამფორას ხომ მაგიდაზე ვერ დადგამ, იგი კედელზე უნდა ჩამოჰკიდო. ამიტომ მოხატულობის ნაწილი ყოველთვის დაფარული იქნება. შეიძლება ფაქიზი ენობხა გამოიძერწოს, მაგრამ მისი მოხატვა მიღებული არ არის. ისევ კრატერს (ლარნაკს) გამოვიძერწავ. იგი შეიძლება ფეხიდან მოყოლებული ყელამდე მოიხატოს.

კორაკი ინტერესით მიყურებდა, როგორ გავმართე სათუნო წრე და დავატრიალე. თურმე მას არასოდეს ენახა. როგორ მუშაობდა მე-თუნე.

— ერთი დახე, — ამბობდა ის, — ეს ხომ კრატერია! სხვა სასწაულიც ხომ არ შეგიძლია მოახდინო — ღვინით გაავსო იგი. რომ იცოდე, რა ღვინო აქვს ქალბატონს! ერთი ყლუპისთვის მზად ვარ, ხელახლა გამწკებლონ. საიდან გამოტყვრა ეს ფლეიტაზე დამკვრელი სწორედ მაშინ, როცა მოვისურვე. ცოტაოდენი მომესვა. მოულოდნელობისგან კრატერი ხელიდან გამივარდა და გატყდა. ასე აღმოვეჩნდი იმ სკამზე, მერე კი — შენს სახელოსნოში.

— აი, თურმე რატომ გამოგგზავნეს ჩემთან! — შევძახე მე და წრე გავაჩერე. — გატეხილის სანაცვლოდ ახალი ჭურჭლის გაკეთებაში უნდა დამეხმარო.

— არა, — შემეპასუხა კორაკი. — ქალბატონმა გადაწყვიტა, მანვენოს, რა შრომა სჭირდება ერთი ქურკლის გაკეთებას. როგორც კი ლარნაკი მზად იქნება, რამტა კვლავ მოიბრუნებს ჩემზე გულს.

— და მე ისევ მარტო დავრჩები, — ჩავილაპარაკე დარდიანად.

— მერე რა, აქ ხომ ცუდად არა ხარ, — მექოთნისთვის ხომ უცხოა რბილი ლოგინი და ნუგბარი საკმელები. შენ რომ ჩემნაირი ქიტიონი გეცვას, სულ ერთია, დასვრიდი და დახვედი...

ბოლოს ის დღეც დადგა, როცა ლარნაკი უკვე შშრალი იყო და მისი მოხატვა შეიძლებოდა. საღებავიანი ქილები და ლერწმის ღერო მზად მქონდა, მაგრამ ნახატი ვერა და ვერ შემეგრჩია.

— რალას აყოვნებ? — მსაყვედურობდა კორაკი. — აღარ შემიძლია ამ ფარდულში ყოფნა.

— ნუ ჩქარობ, — ვეუბნებოდი მე. — ხომ გაგიგონია, მოჩქარეს მოუგვიანდესო. ვერა ხედავ, ნახატს ვარჩევ. შენ ის მითხარი, რა ეხატა იმ კრატერზე. რომელიც გატეხე.

კორაკს ვერ გაამტყუნებდი. მას ქურკლის შიგთავსი უფრო აინტერესებდა, ვიდრე მისი გარეგნული სახე. მაგრამ მე, მექოთნე, როგორ მოვიქცე? რა ვიცი, როგორი გემოვნება აქვს ქალბატონს? მე ხომ ძალიან მინდა, ჩემი ლარნაკი მოეწონოს მას.

ვიცოდი, რომ კორინთელ ვაქრებს ტირენიაში ჩამოჰქონდათ ერთიანად სფინქსებით, გრიფონებით, ფროსიანი ქალწულებით მოხატული ლარნაკები. ამათი ხატვა მე ათენელმა მნაზიპმა შემასწავლა, რომელიც ჩვენთან, დოლესზე კერამიკიდან¹ გადმოსახლდა. მახსოვს, ამოავსებდა ხოლმე ლარნაკზე დარჩენილ ცარიელ ადგილებს ვარდულებითა და პალმის ფოთლებით და ლარნაკიც სპარსული ბაზარით კრელი გამოდიოდა. მაგრამ რამტას სფინქსებითა და გრიფონებით ვერ გააკვირვებ. იქნებ ლარნაკზე ჰერაკლეს გამირობანი გამომესახა? ტირენიელებიც ხომ აღმერთებენ მას.

მთელი დღე ვუჭეჭი ჩემს ლარნაკს და სიუჟეტებს ვარჩევდი. იქნებ რამტას ლომებზე ნადირობა უფრო მოეწონოს. ხომ ძლიერი განცდების მოყვარულია. ან იქნებ დოლი გამოვსახო. მაგრამ რატომღაც ცხენებს ვერასდროს კარგად ვერ ვხატავდი. ასე დამალამდა თავზე და ლერწმისთვის ჯერ ხელიც არ მომეკიდებინა.

გაგონილი მქონდა, რომ ზოგჯერ მუშები პოეტებს სიზმარში ეწვევიან ხოლმე. ისინი ისეთ მელოდიებსა და სასიმღერო ლექსებს

¹ კერამიკი — კვარტალი იყო ძველ ათენში, სადაც მექოთნეები ცხოვრობდნენ.

შთაგონებენ ხოლმე მათ, რომ მოკვდავნი ალტაცებაში მოდიან. მაგრამ მე ხომ პოეტი არა ვარ, ამის მიუხედავად, მუზა მაინც დაეშვა ჰელიკონიდან, ჩემს სასთუმალთან დაიხარა და ორიოდე სიტყვა მიჩურჩულა. მაშინვე წამოვხტი და კორაკი გავაღვიძე. მუზა აღარსად იყო, მაგრამ მისი რჩევა კი დამამახსოვრდა. ლარნაკზე ის საზღვაო ბრძოლა უნდა გამოემსახა, რომელშიც ტირენიელებმა გაიმარჯვეს. ამდენად. ავსახავდი იმას, რაც საკუთარი თვალით ვიხილე და განვიცადე.

გათენდა თუ არა. მუშაობას შევუდექი. თვალწინ მედგა მთელი ბრძოლა. მაგრამ ვიცი, რომ ლარნაკზე საკმარისი იყო მხოლოდ ორი ხომალდი გამოემსახა. ყველა წვრილმანის ჩვენება სპირო არ იყო. მესაჯის ნიხაბს გამოვსახავ და სამ მენიჩბეს, გემბანზე კი სამი ზეომარი იქნება. მეტი სპირო არ არის. ოღონდ მათ მაღალი მუზარადები უნდა ეხუროთ და მრგვალი ფარი ეკავოთ ელინელთათვის ჩვეული ნახატი. ტირენიელთა ერთანძიანი ხომალდიც უნდა ჩანდეს და როსტრუმიც. რომელმაც ჩვენი „მერცხალი“ ფსკერისკენ გამგზავრა. გემბანზე სამ ტირენიელს გამოვსახავ. მათც მაღალი მუზარადები ეხურებათ, მრგვალ ფარებზე კი ხარის თავი იქნება გამოსახული. მე მინახავს ამგვარი ფარები. ტირენიელები ხარს აღმერთებენ.

ლარნაკის მეორე მხარეს რაღა დავხატო? ბრბო ხომ არა, გამარჯვებულებს რომ მოელის? რა გაცეცხლებულნი შეგვხვდნენ ტირენიელები! ჩვენ, ელინებმა ხომ იმ ზღვაში დავასველეთ ნიჩბები. ტირენიელები თავისად რომ თვლიან. კლდოვან კირსზე კოლონია დავაარსეთ, ვვაპრობთ კელტებთან და იბერებთან. ჩვენი მოსპობის მიზნით ტირენიელები თავიანთ მოქიშპეებს, კართაგენელებს. შეუქავშირდნენ. მაგრამ როგორ გამოვსახო ბრბოს მრისხანება? მოდი, ტანის მოძრაობით და სახეების გამომეტყველებით გავაკეთებ.

იმ დღეს, როცა ჩემი ლარნაკი უკვე მზად იყო, შევამჩნიე, რომ ეზოში რაღაც ფაციფუცი ატყდა. მონები და მონა-ქალები აქეთიქით მირბი-მორბოდნენ, ზოგს საქონლის ხორცი მიჰქონდა. ზოგს კულა.

— დღეს ზეიმი? — ვკითხე ჩემს თანამობინადრეს.

— კი, — რაღაც დამცინავად მიპასუხა კორაკმა. — ზეიმი. ცეცინა ჩამოდის.

— ცეცინა ვინ არის?

— რამტას ქმარი.

— როგორ, რამტას ქმარი ჰყავს!.. — შევძახე მე.

— ჯობდა კია, რომ არ ჰყოლოდა, — ამიოხრა კორაკმა. — ერთი ბატონი სჯობია ორს. კიდეც კარგი, ცეცხლი აქ-ურობას იშვიათად ესტუმრება ხოლმე.

ლაპარაკი ფლელიტასე დამკვრელმა შეგვანუვეტინა. მე ახლა უკვე ვიცოდი, რომ იგი უბრალოდ ფლელიტასე დამკვრელი იყო. ქალბატონის საყვარელი კაცი და არა მმართველი.

— ქალბატონმა გიბრძანა, ღარნაჯი მიუტანო. — თქვა მან. — სადილობის დროს მოდიო.

კორაკი ზეიმობდა. მე კი არ ვიცოდი, გამხარებოდა ეს ამბავი თუ არა: რამტასთან შესვედრა მაკრთობდა. რასაკვირველია. ყველა ოსტატმა კარგად იცის თავისი პირნშოს ფასი. ამანე უკეთესი ღარნაჯი კი ჩემს ხელებს ჯერ არ გაეკეთებინა. მაგრამ რამტას თუ მოეწონება? ქალები ხომ ჰირვეულები არიან. მათ განაჯეს ვერ ენდობი, ხან ასე იტყვიან. ხან — ისე. ქმარმა ცუდი თვალით შეხედა. თუ ცუდი ამინდია. ყველაფერში მონაა დამნაშავე.

— ნუ გეშინია! — მამშვიდებდა კორაკი. — ქალბატონი სამართლიანია. შრომას დავიფასებს.

მზე ჩასასვლელად გადაიხარა. ჩვენი წასვლის დრო იყო. უკვე ვიცოდი, რომ ტირენიელები გვიან სადილობდნენ. ნაღიმები კი გათენებამდე გრძელდებოდა. ღარნაჯი. სადაც ჩვენ შევედით. ისე დიდი იყო, რომ იქ თავისუფლად ისადილებდა ქალაქის მთელი საბჭო, არათუ ერთი ოჯახი. სტუმრები, ქალებიც და კაცებიც. კედლის გასწვრივ სკამებზე ისხდნენ. მდიდრულად გაწყობილი მაგიდის ირგვლივ კი ადგილები ჯერ ცარიელი იყო.

გულზე მომეშვა. რამტას მოსვლამდე შემოძლია ყველაფერი შევათვალიერო. რომ ვიცოდე, როგორ მოვიქცე. უპირველესად ყურადღება მივაქციე იატაკიდან ჰერამდე მდიდრულად მოხატულ კედლებს. რა არ გამოესახათ ზედ — გრიფონები, ფრთოსანი ქალწულები. ამან გამახარა. „რამტას მობეზრებული აქვს მათი ცქერა. — გავიფიქრე. — კიდეც კარგი, კრატერზე მეც ესენი არ გამოვსახე“. მაგიდაზე არც ერთი თიხის ჭურჭელი არ იდგა, სამაგიეროდ. იყო ვერცხლის დიდი ლანგრები და ღარნაჯები. თითოეული მათგანი ჩვენთან, ელადაში, ძალიან ძვირად ფასობდა. შეიძლებოდა ათობით მონაზე ან მიწის ნაკვეთზე გადაგეცვალა. სხვა რამემაც გამოცა: ყველა ეს ჭურჭელი სხვადასხვაგვარი იყო, თითქოს მეზობლებისგან თხზოვებს და აქ მაგიდაზე გააწყვესო. ჩემი გოცნება კორაკს გავუზიარე.

— ჩუმად! — ჩამჩურჩულა მან. — ყველაფერი ეს ცეცხლს ნადავლია სხვადასხვა ხომალდებიდან.

დარბაზი ამოძრავდა. სტუმრები წამოცვივდნენ და კარებს მიაშურეს. მერე ჩაიჩოქეს და მზერა შემოსულთ მიაპყრეს. მაშინღა ზივხვდი, რომ ესენი სტუმრები კი არა, კორაკისნაირი მონები იყვნენ. მე მათმა მდიდრულმა ტანსაცმელმა შემაცდინა. მაგრამ ყველაზე უფრო სხვა რამემ გამაოცა. თვალი ვერ მომეშორებინა წვევროსანი მამაკაცისთვის, რომელსაც ხელმკლავით მოჰყავდა ოცდაათიოდე წლის ქალი. ეს ხომ ის ტირენიელი მესაქეა, ჩვენი „მერცხალი“ რომ ჩასძირა! მან ალბათ იცოდა, რაც მოელოდა ტყვეებს, და გადაწყვიტა, ერთი მაინც გადაერჩინა. მაგრამ კაცთმოყვარეობის გრძნობამ როდი ჩაადენინა ეს. არა, მეც ისეთივე ნადავლი ვიყავი, როგორც ეს ვერცხლის ლარნაკები. ჩემი ამხანაგები პირისხლიან ტირენულ ღმერთებს შესწირეს მსხვერპლად. მათ ორმოცდაცხრა ტყვეც ეყოფათ.

რამტამ ჩემკენ მოიხედა და მანიშნა, მივახლოებოდი. მაგრამ მართო მზერაც საკმარისი იყო, რომ მასთან მივსულიყავი. მისი მბრძანებლური გამოხედვა თავისკენ მიზიდავდა. მე არასოდეს არ მჭეროდა ჯადოქართა და გრძნეულ ქალთა არსებობა, მაგრამ ახლა ვიწამე, რომ ისინი თურმე მართლა არსებულან. ჰომეროსის აღწერილი კირკეც ალბათ ტირენიაში ცხოვრობდა. როგორ შეიძლებოდა ამის დავიწყება! კირკემ ხომ ოდისევისს თანამგზავრები ღორებად აქცია. რამტამაც რომ მოისურვოს, მეც ღორივით დავოთხდები და ავღრუტუნდები. მაგრამ რამტა გულმოწყალეა. კორაკი მართალია. მან მზერა ჩემს ლარნაკზე გადაიტანა და შეცბუნებამაც გამიარა. რა მემართება! რამტა ხომ ჩვეულებრივი ქალია, სხვა ქალებისნაირი. განა შეუძლია გაიგოს, რაოდენ მშვენიერია ჩემი ნახატი? ვინ იცის, იქნებ ეს გრიფონები და ფრთოსანი ქალწულები უფრო მოსწონს?

რამტა დაკვირვებით ატრიალებდა ხელში ლარნაკს. სახის გამოშეტყველებაზე ვერ შეატყობდით, მოსწონდა თუ არა. მერე ცეცინას მიუბრუნდა, რაღაც უთხრა და ჩემზე აჩვენა.

რამტას მეუღლემ მხრები აიჩეჩა. მგონი, გავიგე ამ მოძრაობის მნიშვნელობა. „რას მეკითხები? შენ ხომ ამ სახლის ბატონ-პატრონი ხარ?“

რამტამ ფლეიტაზე დამკვრელს მოუხმო და რაღაც უბრძანა. ყური მოვკარი ნაცნობ სიტყვას „მუვალხს“ და შევკრთი. ნუთუ ჩემი ლარნაკი არ მოეწონათ და მეც სკამზე გამაწვენენ?

მაგრამ შევცდი. ნეტა ასე ბევრჯერ შევმცდარიყავი!

— ქალბატონი კმაყოფილია შენი ნამუშევრით, — მითხრა ფლე-

იტის დამკვრელმა.—იგი სახელოსნოს გამართვას აპირებს და დამზარედ ორმოცდაათ მონას გაძლევს.

ამით შეიძლებოდა ჩვენი მოთხრობა დაგვემთავრებინა, ვინაიდან თქვენთვის ცნობილია ჩემი ლარნაკები. მართალია, როგორც მონობიდან განთავისუფლებულს, შემოსავლის მხოლოდ მესამედი მეკუთვნის, მაგრამ, სამაგიეროდ, რამტამ ფლეიტაზე დამკვრელი მე მაჩუქა. ასე ისურვა ცეცინამ. მამაკაცებიც ხომ გაჭირვეულდებიან ხოლმე ზოგჯერ და მათ კირვეულობას ქალები ანგარიშს უწევენ. ისეთნიც კი, როგორიც რამტაა!

როცა ფლეიტა უკრავს, მონები უფრო ცქვიტად მუშაობენ, მერჯზე გაწვენა ახსენდებათ ამ ზარმაცებს! როგორ არ უნდა ვილოცო ჩემი კეთილისმყოფელი რამტასათვის!



ა რ ი მ ა¹

ლარტი დიდხანს ვერ მიმხვდარიყო, რითი განარისხა ტოლუმენა. თავის მეზობლებზე ნაკლებად არ დადიოდა „უნი მბრძანებლის“² ტაძარში, როგორაც შეეძლო, მსხვერპლსაც სწირავდა. ერთი სახლისა და პატარა ვენახის გარდა, კორტონასთან ახლოს. მთებში რომ ჰქონდა, არაფერი გააჩნდა. არც მშობლები ჰყავდა. ორივე ერთ დღეს დახოცოდა კირისა თუ რალაც სხვა ავადმყოფობისგან.

რაც დრო გადიოდა, ტოლუმენა სულ უფრო მიძვინვარებდა და უკვე აშკარად ლანძღავდა ლარტს. ზარმაცსა და მაწანწალას უწოდებდა, თითქოს თვითონ. ლარტის ხნისა რომ იყო, ლოცვა-ვედრების მეტს არაფერს აკეთებდა. გუშინ კი ქურუმმა ბიჭი ტაძრიდანაც გამოავდო და მოაძახა: „აქედან მოწყდი, შე არიმას ძმობილო!“

მაშინ კი მიხვდა ლარტი, რომ ყველაფერი არიმას ბრალი იყო. ბიჭს იგი პირგიში აჩუქა ერთმა შაფწვერა კართაგენელმა ვაჟარმა. რომლის ხომალდი ქარიშხალს დაემსხვრია. იმას და არიმას თურმე

¹ ა რ ი მ ა — ეტრუსკულად მიიქუნს ნიშნავს.

² უ ნ ი, ა ნ უ ი უ ნ ო ნ ა (რომაელები ასე ეძახდნენ) — ეტრუსკთა მთავარი. ქალმერთი იყო.

მორსნაფრენილებს მოედწიათ ნაპირამდე. კართაგენელი ცხოველს „არმის“ ექახდა, რაც მის ენაზე „არიმას“ ნიშნავდა. რომაელებმა კი, რომლებიც მრავლად იყვნენ კორტონაში, მას დაცინვით „სიმთა“ შე-
არქვეს.

პირველ ხანებში არიმა საღვლობდა თავის ძველ პატრონს, იქნებ თავის თანამოძიებებსაც, ლიბიის¹ ტყეებში რომ ბინადრობდნენ. მოკუნტული იწვა და სახეზე ადამიანვით ჩამოსდიოდა ცრემლები. მაგრამ მალე შეეჩვია ახალ სახლს და ბიკიც შეიყვარა. საკმარისი იყო დაენახა ლარტი. რომ გაქანდებოდა და მაშინვე მხარზე შეას-
კუპდებოდა, ყელზე კი, უფრო საიმედოდ რომ მჯდარიყო, კუდს შე-
შოაქდობდა. ბიკმა არიმას რამდენიმე ხრიკი აწვინა, ჩვეულებრივ, ძაღლებს ან კატებს რომ ასწავლიან ხოლმე. მაგრამ. არიმა უსწავლე-
ლადაც ბაძავდა ადამიანებს და აჯავრებდა მათ. კეთილ ადამიანებს ეს არ სწყინდათ, პირიქით, უხაროდათ კიდევ, როცა უყურებდნენ, როგორ ცდილობდა ეს მხეცუნა, ადამიანებისთვის მიებაძა.

ერთხელ. ნუნდინის დროს, ლარტი ბაზარზე წავიდა და არიმაც თან წაიყვანა. იმ დღეს ბაზარი გლეხებით იყო სავსე, გასაყიდად ჩამოეტანათ ხილი. ბოსტნეული, შინაური ფრინველი. ბევრ მათგანს არიმა ჯერ არ ენახა. ჯგროდ დაჰყვებოდნენ უკან ლარტს და ბიკმაც, კიდევ უფრო რომ გაემხიარულებინა ეს ხალხი, თითქოს სხვათა შორის სთხოვა მაიმუნს:

— აბა. ძმობილო, ერთი გვიჩვენე, როგორ ბრანობს გადასახადების ამკრეფი, როცა კარებს ცხვირწინ მიუკეტავენ ხოლმე.

არიმა მხარზე შეტრიალდა, ყურის ძირი მოიქექა და ისე დაიქყანა, რომ ბრბო სიცილით გადაბრუნდა. სიცილი ვერც ბაზრის პირქუშმა ზედამხედველმა შეიკავა, მეტსახელად „არ ავაცდენ“ რომ ერქვა. მასზე ამბობდნენ, უკანასკნელად მეფე მინოსის² დროს გაიცინაო.

შესაძლოა, ტოლუმენა ამ დროს ბრბოში ერია და საკუთარი ყურით მოისმინა, როგორ დასცინოდა ხალხი გადასახადთა ამკრეფებს (ცნობილია, რომ ისინი და ქურუმები კული კუდს არიან გადაბმულნი), ანდა იქნებ ეს მხიარულება და სიცილ-ხარხარი იმას დაუკავშირა, რომ იმ დღეს უნის ტაძარი სპილენძის სამოწყალო ყუთივით ცარიელი იყო. ასე იყო თუ ისე, სწორედ ამ დღიდან შეიძულა მან ლარტი და მისი „ღვთისსაძულველი ქმნილება“. სიძულვილი მან ხე-

¹ ლიბია — აფრიკის ძველი სახელწოდება.

² მინოსი — კუნძულ კრეტას მითური მეფე, რომელიც თითქოს უძველეს წარსულში მეფობდა.

ლოსანთა მთელ კვარტალზე გაავრცელა. ისიც შეამჩნიეს, რომ ტოლუმენა განზრახ გვერდს უვლიდა ამ კვარტალს სადღესასწაულო ცერემონიების დროს და, თუ მაინც ვერ ახერხებდა, გვერდი აევლო ლარტის სახლისთვის, დემონსტრატიულად გადააფურთხებდა ხოლმე იქით.

— მოდი, გაყიდე ეგ შენი მაიმუნი, — ურჩევდნენ მეზობლები ლარტს.

მის ადგილას სხვა მართლაც ასე მოიქცეოდა. ძლიერა ქერუმი რომ არ განერისხებინა. მაგრამ ლარტა ჯერ ყმაწვილი იყო და ჯიუტობდა. თანაც, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო შეეთვისა არიმას: მის მეტი ლარტს არაფერ გააჩნდა.

— რა დაუშავა არიმამ, — უკვირდა ბიუს. — ძალღვივით ხომ არ უკებენია? ან სარდაფში ხომ არ შეჰპარვია კატასავით? ტაქარში მე იგი არ დამყავს. რაც შეეხება იმას, რომ ბაზარში ხალხს აცინებს, მართალია. მერედა, ამაში რა არის ცუდი? ხომ უნდა გაიცინონ ადამიანებმა ხანდახან. არ გაგიგონიათ: „ვისაც სიცილი არ უყვარს, იგი სხვასაც აღონებსო“.

მეზობლები თავს აქნევდნენ, მაგრამ ვერ გაიგებდით, იწონებდნენ ლარტის საქციელს თუ არა. ხოლო გაბღენძილი, სქელი ყასაბი, მეტსახელად ღიპიანი, ლარტს დაემუქრა:

— ფრთხილად იყავ! სიცილი ტირილად არ გადაგექცეს!

ამ ყასაბისა და ლარტის სახლები გვერდიგვერდ იდგა. ლარტის ვაშლის ხეებს ტოტები ღიპიანის ეზოში ჰქონდა გადაშვერილი. ჯერ კიდევ ლარტის მშობლების სიცოცხლეში გაასაჩივრა ღიპიანმა და ტოტები მოაწრევინა მათ, თუმცა მათი ჩრდილი ბევრს არას უშავებდა. უბრალოდ, ღიპიანი ცუდი კაცი იყო. თანაც განთქმული ჰორიკანა და ენატანია. იმ დღესვე მიახარა ქურუმს. ლარტი შენზე აგდებულად ლაპარაკობდაო, ყასაბს თკალი ჰქონდა დადგმული ლარტის სახლსა და ვენახზე და იმედოვნებდა. ქურუმი გაუსწორდებოდა ურჩ ბიუს. მაშინ კი ხელთ იგდებდა ლარტის ქონებას. ნათქვამია: „ავი მეზობლისაგან ცეცხლიც ნუ გინდაო“.

არიმას დაქვრა და იქაურობისთვის მოშორება მხოლოდ ბიუსის სახლში არყოფნის დროს თუ მოხერხდებოდა. თანაც ქურუმსა და მის შემწეს არ უნდოდათ, ეს ამბავი მთელ კვარტალს მოსდებოდა:

რატომ აელაპარაკებინათ ხალხი. მაგრამ, თითქოს ჯიბრზე, ბოლო ხანებში ლარტი არიმას გვერდიდან არ იშორებდა. ლიპიანს კი ერთი სული ჰქონდა, როდის მიიღებდა ჯილდოს, ამიტომ სურვილი გამოთქვა, ბიქს წინასწარ საბინებელი ბალახებისგან დამზადებული სასნელით დავაბინებ და ღამით მის სახლში შევიპარებო. ქურუმი არ დაეთანხმა. ტოლუმენა გველივით ეშმაკი და ვერაგი იყო.

— ნუ ჩქარობ! — უთხრა ლიპიანს. — განა არ იცი, მალე არიმას ძმობილს ალაპი აქვს გადასახდელი?

ლიპიანმა გაკვირვებით ჰყიტა თვალები.

— მერე?

— მერე და... — ქურუმმა რალაც ჩასჩურჩულა ყურში.

ლიპიანს თვალები დაუმრგვალდა და გახარებულმა ხელების ფშვნეტით თავი დაუქნია.

ალაპის ღლის პირველი დილა, კაცი რომ ისურვებდა, ისეთი გათენდა. ღრუბლებმა, აგერ უკვე იდის! შემდეგ რომ გაწოლილიყვნენ მთებზე, ზღვისაკენ გადაინაცვლეს და აპენინიდან მოჩუხჩუხე მდინარეებითა და ნაკადულებით დასერილი დაბლობი მზის სხივებში ცურავდა. გეგონებოდათ, თვით პირქუში ციმინის ტყეშიც კი შეეღწია უზილის² სხივებს.

ლარტი ადგა, ჯერ კიდევ წინა ღლით გამზადებული შავი ლობიო — მკვდრის შესაწირავი — ფუთაში გამოკრა და არიმას ალერსიანად უთხრა:

— მარტო უნდა დაგტოვო, მეგობარო! სასაფლაოზე ვერ წაგიყვან.

არიმამ ნაღვლიანად გააქნია თავი, თითქოს მიხვდა, რომ განშორება აუცილებელი იყო.

ის იყო ლარტის ფეხის ხმა მიწყდა, რომ მეზობელი სახლის ქიშკარამაც გაიჭრიალა და იქიდან ლიპიანმა გამოყო თავი. ყასაბი დაჭერებულად მოქმედებდა. კარგა ხანია შემჩნეული ჰქონდა ის ადგილი, სადაც ბიჭი გასაღებს ინახავდა. ახლა კი ისლა დარჩენოდა, მისულიყო კართან, უჩუმრად აელო გასაღები და კლიტეში მოერგო. ამას

¹ ი დ ი — ეტრუსკული, მერე კი რომაული თვის შუა ნაწილი.

² უ ზ ი ლ ი — ეტრუსკთა მზის ღმერთი.

სულ რამდენიმე წამი დასკირდა. შევიდა, მოიხურა კარი, გაიარა ნახევრადბნელი დერეფანი და ატრიაში შევიდა. პერის ოთხკუთხა კრილიდან შუქი კედელთან მდგომ მერხს, საწოლს, ზედ რომ მოჩითული ქსოვილი ეფარა, და პრიალა, სპილენძით შექვედილ ხის დიდ სკივრს ეცემოდა. სკივრზე არიმა იჯდა, იქეჭებოდა და თან აქეთიქით ტრიალებდა. უცნობის დანახვაზე ოდნავადაც არ შემფოთებულა.

ლიპიანი. მოკლე-მოკლე ნაბიჯებით მიუახლოვდა.

— ნუ გეშინია, პატარავ! — უთხრა ბოხი ხმით.

ამას რომ ამბობდა, სახეზე ისეთივე გრძნობისამშლელი გამომეტყველება ჰქონდა, როგორც იმ დღეს, როცა მეპურის ქალიშვილს ხელს სთხოვდა და ის კი არ იცოდა, მამამ ქალს მზითევზე უარი რომ უთხრა. სკივრამდე ორიოდ ნაბიჯი იქნებოდა დარჩენილი, რომ ყასაბმა ერთბაშად ორივე ხელი სტაცა არიმას. მაიმუნი გაუძალანდა. მაგრამ ყასაბს ნაჭახსშეჩვეული, რკინისებური მარჯვენა ჰქონდა.

— აჰა, ხომ გაები მახეში, საზიზღარო! — დაისისინა და არიმას წინასწარგამიზადებულ ტომარაში უკრა თავი.

ვიდრე სახლიდან გავიდოდა, ლიპიანმა ჯერ ბალის კარი გააღო, რომ ლარტს ეფიქრა, არიმა თავისით გაიქცაო.

ყველაფერი ისე ეწყობოდა, უკეთესს რომ კაცი ვერ ინატრებდა. არავის არ დაუხანავს, როგორ გამოვიდა იგი უცხო სახლიდან, როგორ დამალა გასაღები. არც ტაძრისკენ მიმავალს შეხვედრია ვინმე გზაზე.

ქურუმი დანიშნულ ადგილას უცდიდა. ლიპიანი რომ დაინახა, ძილისაგან მოთენთილ ტოლუმენას სახეზე ნიშნის მომგებმა გამომეტყველებამ გაუელვა. ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც მას ჰქონდა მოფიქრებული, მაგრამ ქურუმმა მაინც მოინდომა ტომარის შემოწმება, თითქოს შეიძლებოდა ყასაბს შესლოდა და არიმას ნაცვლად გოჭი დაეჭირა!

ლიპიანს თავის ძალ-ლონეში ეპვიც არ ეპარებოდა, ამიტომ არიმას მოხერხება ველარ გაითვალისწინა. საკმარისი გახდა, სულ ცოტათი მოეხსნა ტომარისთვის თავი, რომ არიმა გამოხტა და, სანამ გაიქცეოდა, ტოლუმენას თითზე კბენაც კი მოასწრო.

აღრიალებული ქურუმი უკან გამოუდგა არიმას, მაიმუნი კი სულ ასკინკილით გარბოდა ქუჩაზე. ლიპიანიც ხენეშა-ხენეშით ფეხდაფეხ მიჰყვა ქურუმს.

დროდადრო, მდევრებს კარგა მანძილზე რომ ჩამოიტოვებდა,

მაიმუნი ჩერდებოდა და ელოდა მათ. მერე ენას გამოუყოფდა და ისევ ვარბოდა.

როგორც ჩანს, ადამიანებს ჯერაც არ დავიწყნიათ ის ჯოგური გრძნობა, რომელიც უძველეს ხანაში აღმოცენდა, როცა ისინი ურდოებად ცნოვრობდნენ. ეს გრძნობა ზოგჯერ დღესაც კი უაზრო საქციელსა და დანაშაულს აღვნიშნავს მათ. მაგალითად, დაინახავენ, თუ არა რომ ვიღაც მირბის, ბრბოც მაშინვე დაედევნება, თუმცა, შესაძლოა, ამ კაცს არაფერი არ მოუპარავს, უბრალოდ, ცირკში შეჯიბრისთვის ვარჯიშობს. საკმარისია, ვინმემ ლობიდან გაიქვრიტოს ისეთი სახით, თითქოს გარეთ რაღაც საყურადღებო დაქენახოს, რომ მაშინვე მიმბაძველი გამოუჩნდება — ნახვრეტშიც გაიხედავენ და ლობეზეც გადაქვრებიან. სისულელეა, არა? ახლაც ასე მოხდა. ქურუმსა და ღიპიანს არიმას დევნაში არა ერთი და ორი მოხალისე დამხმარე გამოუჩნდა. ერთი ყვირილით და ვაი-უშველებლით დაედევნენ უკან არიმას. აზრდაც არავის მოსვლია, ეკითხა, მაიმუნმა რა დააშავაო. მაგრამ ვიღაც-ვიღაცეები უკვე ირწმუნებოდნენ, თურმე ტაძარი წაუბღწავსო. ეს ამბავი მაშინვე მოედო ბრბოს, თან გზადაგზა ათასი კოროი დაამატეს. რაღას არ აბრალებდნენ უენო ცხოველს! ირწმუნებოდნენ, ტაძარში არიმას გამოჩენა ცუდის მომასწავებელია, უკანვე მოგვიბრუნდება გადატანილი უბედურებანი: კირიანობა, მონების ამბოხი და რომაელებთან ომიო. მხოლოდ მსხვერპლის შეწირვით შეიძლება ღმერთების გულის მოღობვა; არიმა პატრონიანად ტყავის ტომარაში უნდა ჩაესვათ და ზღვაში გადაუძახოთო.

შიშისაგან თავზარდაცემული არიმა ბაზრის შესასვლელის თაღისკენ გაქანდა. თავბრუდამხვევად ისკუპა და ზედ მოექცა. ბრბო ახლა თაღს მიაწყდა.

— შეხეთ, სად ზის! როგორ მოკუნტულა. ახლა კი ველარსად წავგვივა! — გაიძახოდნენ პირლია უქნარები.

ვიღაცამ კიბეც მოათრია, ღიპიანმა შეტლზე ოფლი მოიწმინდა და ხვნეშით დაიწყო ასვლა. თალი ხისა იყო. სუფთად გათლილი ზედა კადონი სულაც არ იყო გათვალისწინებული ზედ შესადგომად, თანაც ისეთი აგებულების ადამიანისთვის, როგორიც ღიპიანი იყო! კადონმა სიმძიმეს ვერ გაუძლო და აქრიალდა. მაგრამ, ვიდრე ძირს ჩამოვარდებოდა, ღიპიანმა მოასწრო და ხელი წაავლო მას. წაავლო და ჰაერში დაეკიდა მოხარულ კიბოსავით გაწითლებული და თვალებგადმოკარკლული.

ბრბო ახარხარდა, გაისმა შეძახილები: „აბა, ღიპიანო, ეცადე,

აიწიო!“ — „აბა, ჰე ლიპიანო!“ მაგრამ რა შეძახილი შეძლებდა ასეთი მსუქანი ადამიანის აწევას. ლიპიანმა იწვალა, იწვალა და ბოლოს მაინც ჭვიშით სავსე ტომარასავით, ტყეიასავით წამოვიდა ძირს.

არიმამაც დრო იხელთა, თალიდან ისკუბა და გასაყიდად დახვევებული ვაშლების პირამიდას დაახტა. ვაშლები გაიფანტა და ქუჩის ბიჭებსაც ეს უნდოდათ, უბეები დაიტენეს. ისეთი ყოყინი ატყდა, კაცი ველარ გაარჩევდა, ვინ იყო გამყიდველი და ვინ მყიდველი. ყველამ თავი მიანება საქმეს და არიმას გამოუდგნენ.

არიმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაქანდა რძისა და ბოსტნეულის რიგებს შორის. ვილაცამ კომბოსტოს თავი ესროლა; არიმამ მარჯვედ აიციდინა, კომბოსტო დაწინაურებულ ტოლუმენას მოხვდა და მწარედ ააღრიალა, მერე გვერდზე გახტა, თაფლიან ამფორას წამოედო და წააქცია.

სხვა შემთხვევაში ბრბო ამას ყურადღებას არ მიაქცევდა, მაგრამ ახლა ყველას მხერა პატარა მხეცისკენ იყო მიპყრობილი. „შებედეთ! შეხედეთ!“ არიმა ახლა თევზების რიგის სახურავზე შეხტა, წარმოუდგენელი ნახტომი გააკეთა და „ცრემლების ბოძზე“ ჩამოეკიდა. წამით ყველა გაირინდა.

ცრემლების ბოძს მოედნის შუაში აღმართულ ქვის მაღალ სვეტს ეძახდნენ. აქ მოჰყავდათ ხოლმე მოვალეები. კანონით, მოვალე ჭერ მევახშის სახლში ჰყავდათ ცარიელა პურსა და წყალზე. ხოლო ნუნდინის დროს ამ ბოძთან მოჰყავდათ. თუ ვისმეს შეეცოდებოდა და მის ვალს გადაიხდიდა, ხომ კარგი, თუ არა და უცხო მხარეში უნდა ეშრომა სამუდამოდ¹. ახლაც ამ ბოძთან ორი უბედური მოეყვანათ. დახეული ტანსაცმლიდან ნაცემი ადგილები მოუჩანდათ. მათ შორის უფროსი გულგრილი სახით იჯდა და მიწას ჩასჩერებოდა — მიწაზე ვილაც გულკეთილი ვაჭარი ქალისგან მოტანილი საჭმელი ეწყო. მეორე უფრო ახალგაზრდა, ინტერესით აღევნებდა თვალს არიმას. რომელიც კუდით ეკიდა და თან შიშველ თათს ისე იქნევდა, როგორც კეკლუცი ქალიშვილი სიცხეში.

არიმას დანახვაზე ბაზრის ზედამხედველს საზე დაედრიჯა და მოექუფრა. ვინ იცის, იქნებ მაიმუნის ჰყანვა მართლმსაჯულების დაცინვად მოეჩვენა, რომლის დამცველადც მას თავი მოჰქონდა. ენს ხომ ჩვეულებრივი ბოძი არ იყო. სახლებს რომ შეუბჯენენ ხოლმე, ამ ბოძზეა დამყარებული წესრიგი სახელმწიფოში. ეს ბოძი რომ წაიქცეს, ღარიბი მუშაობას თავს მიანებებს, არავინ ვალს ატარ გადა-

¹ ამ კანონის, რომელი ჩანაწერი შექონახლდა ე. წ. XII ფირფიტის კანონებში.

იხდის და აღარც კანონის მსახურთ აუნაზღაურებენ გასამრჯელოს.

ტყუილად კი არ ვძახდნენ ბაზრის ზედამხედველს „არ ავაცდენს“. ოდესღაც იგი თორმეტი ქალაქის კავშირის საუკეთესო მსროლელი იყო, არა ერთხელ გაუშარჯვია ქალმერთ ნორციას დღესასწაულებზე გაპართულ შეჯიბრებებში. მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო, მაგრამ ჯერაც არ გაცვეთილიყო ლერწმის ისრები და მშვილდი, რომლებმაც პალმის რტო არგუნა მას.

ბრბო გაინაბა, „არ ავაცდენს“ ხელში მშვილდ-ისარი რომ დაუნახა, ეტყობოდა, ხალხი კარგი თვალით არ უყურებდა ბაზრის ზედამხედველს, რაკი ყველას უნდოდა, რომ მას აეცდინა. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ მხოლოდ თამაშია, გართობა, შეჯიბრი მოხერხებაში. რატომ უნდათ, ამას ბოლო მოუღონ? იქნებ, ხალხი ჩასწვდა მომხდარი ამბის ფარულ აზრს? არც ერთ მათგანს გამბედაობა არ ეყო, ეწყენინებინა ხარბი და სასტიკი ტოლუმენასთვის, ფეხები მიემტვრია ყასბისათვის, რაც მან დიდი ხანია დაიმსახურა. არავინ არ ასულა ბოძზე და ენა არ გამოუყვია ამ ბოროტი, გაბერილი, ამპარტავანი ადამიანებისათვის. ჰისტრებმაც¹ კი, წარმოდგენას რომ მართავენ მოედანზე, ეს ვერ გაბედეს. არიმას კი თითქოს ამის თქმა უნდა: „მიმიფურთხებია თქვენი კანონებისთვის, სიმდიდრისთვის, მუქარისთვის!“

— არიმა! არიმა! — გაისმა ამ დროს ყვირილი.

ეს ლარტი იყო. სახლში რომ ვერ იპოვა არიმა, თურმე საძებრად გარეთ გამოვარდა. ბაზრის მოედანზე ატეხილმა ხმაურმა მისი ყურადღება მიიქცია და შეძრწუნებულმა დაინახა, რომ „არ ავაცდენს“ მშვილდის ლარს სკიმავედა.

— არ გაბედო! არ გაბედო! — იყვირა ლარტმა.

მაგრამ უკვე გვიან იყო. ისარმა გაიწივლა და ბეწვის გუნდა მიწაზე დაეცა დაბორკილ მოვალეთა ფეხებთან. ბიჭი გაქანდა არიმა-საკენ, ხელში აიტაცა და გულში ჩაიკრა. თითები რალაც წებოვანმა სითხემ დაუსველა, მაგრამ არ შეუმჩნევია. ადამიანური ცრემლებით ზავსე თვალეებში ჩასცქეროდა არიმას.



იმავე დღეს პირგის მცხოვრებლებმა ნავსადგურში დაინახეს ბიჭი, რომელსაც მხარზე არიმას გვამი გაედო. მიდიოდა და, თითქოს

¹ ჰისტრიო — ეტრუსკული სიტყვაა. და აღნიშნავს მონეტიალე მსახიობს. აქედან წარმოსდგება ლათინური სიტყვა „ჰისტორიო“ — აქტიორი.

დაყრუვდაო, შეკითხვები არ ესმოდა. რა სურს მას? იქნებ უცნობა ნაპირებისკენ მიმავალ ხომალდს ეძებს, იმ ნაპირისკენ, სადაც სამართლიანი ღმერთების სადიდებელი ტაძრების სვეტები ხეთა ტოტებს წააგავდა.



მსტოვრის შეცდომა

რომის მსტოვარს დიონისეს იშვიათად თუ რაიმე დაავიწყდებოდა. მას შეეძლო ასტრიქონიანი წარწერა სიტყვა-სიტყვით დაემახსოვრებინა. ას კაცშიაც კი ადვილად იცნობდა დიდი ხნის უნახავს. არასოდეს გასჭირვებია უცნობ ქალაქში რაიმეს მიგნება, არც ისეთი შემთხვევა ახსოვს, ტყეში გზა აბნეოდეს.

მაგრამ რაოდენ დიდი ენერჯის დახარჯვა დასჭირდა მას, რომ ქალაქ ვეის საუკეთესო დალაქის სახელი მოეხვეჭა! კიდევ უფრო გაუჭირდა, გისტრიონი გამხდარიყო. ამ პროფესიას უნდა გაემართლებინა მისი ხშირი ადგილმონაცვლეობა ერთი ქალაქიდან მეორეში. მაგრამ მან ვერა და ვერ შეძლო ისევე თავისუფლად ეთამაშა, როგორც ამას პროფესიონალი ეტრუსკი მსახიობები აკეთებდნენ. მასურებელი თვალნათლივ ხედავდა, რომ მისი თამაში ყალბი იყო და დიონისემაც გადაწყვიტა, აღარასოდეს ასულიყო სცენაზე.

მასწავლებლობა კი უფრო ადვილია! რატომღაც ადრე აზრადაც არ მოსვლია ამ პროფესიის არჩევა. ბიჭები წიწილებივით დაპყვებოდნენ უკან. დიონისეს მხოლოდ ეს ესმოდა: „კიდევ გვიამბე რა! კიდევ რა!“ როგორ აენტებოდათ ხოლმე თვალები, როცა იგი ოდიხევისის თავგადასავლებს ანდა ნემების ლომთან პერაკლეს ბრძოლაზე უყვებოდა მათ.

თავს არ იწუხებდა ანგარიშისა და სუფთა წერის სწავლებით. ოპ, ეს ეტრუსკული ციფრები — ტუ, ცალ, კი. შეიძლება კაცმა ენა შოიტეხოს! ახლა ასოებს არ იტყვით, დაწერილობით ლათინურს წააგვანან, სულ სხვაგვარად კი გამოითქმებიან. არა, დიონისეს ცოცხალი საუბარი ურჩევნია ბავშვებთან სუფთა ჰაერზე, ღია ცის ქვეშ, მით უმეტეს, მტრისთვისაც შეეძლო თვალი ეღვევებინა.

თავდაპირველად ბავშვების მშობლებისა ეშინოდა. ხომ შეიძლე-
ბოდა ისეთიც გამოჩენილიყო მათ შორის, ვინაც მის უვიცობას შე-
ამჩნევდა. მაგრამ მშობლის გულიც ისევე ადვილად ებმება ხაფანგ-
ში, როგორც მშვიერი ნადირი, რომელსაც სატყუარი იზიდავს. დიო-
ნისესაც დიდად არ გასძნელებია, ნოვატორი პედაგოგის სახელი გა-
ვარდნოდა.

— ოჰ! — ამაყად ამბობდნენ მშობლები. — ასეთ პედაგოგს განა
ადვილად იბოვი! მეორე სოკრატეა! გაიგეთ, თურმე ჯოხიც არ სჭირ-
დება. ყველაფერი ინტერესსა და ურთიერთგაგებაზეა დამყარებუ-
ლი. ისიც კი ბრძანა, სანთლის ფირფიტები გადაყარეთო და განა ეს
ცუდია? ნახეთ, როგორ უღაჟღაჟებთ ლოყები ჩვენს ბავშვებს! რა
სიამოვნებით მიდიან სკოლაში!

ყველა მდიდარ ფალერელს უნდოდა, მის შვილს დიონისესთან
ესწავლა. იმ დროს, როცა ქალაქი რომაელთა ალყაში იყო მოქცეუ-
ლი, მშობლები მოკრძალებული მასწავლებლის სახლს შემოხვეოდ-
ნენ და ეხვეწებოდნენ, არა ჩემი შვილი აიყვანეთ მოწაფედ და არა
ჩემიო. მდიდრები ძვირფას ღვინოსა თუ სასმელ-საქმელსაც უზიდავ-
დნენ. მაგრამ ახლადმოვლენილი მასწავლებელი ფალერელთათვის
კარგად ნაცნობ ძველ დამრიგებლებს როდი ჰგავდა. დიონისე საჩუქ-
რებს არ იღებდა, მშობლებს უხსნიდა, ჯგუფის გაზრდა საქმისთვის
საზიანო არისო. ესეც არ იყოს, საჩუქრები თავმოყვარეობას მილა-
ხავს, ვინაიდან მე ანგარება კი არა, ბავშვებისადმი სიყვარული მა-
მოძრავებსო.

— რა კეთილშობილი ადამიანია! — ამბობდნენ გულუბრყვილო
მშობლები.

დიონისე, ჩვეულებრივ, ქალაქის კედელთან ახლოს სეირნობდა
ხოლმე. ყოველ დილით, სულ ერთსა და იმავე დროს, ბავშვების
თანხლებით კარიბჭეს ჩაუვლიდა მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი
მამაკაცი. მას ყველა გუშავი იცნობდა, დიონისემაც ყოველი მათგა-
ნის სახელი იცოდა. ზოგჯერ შეჩერდებოდა და საუბარს გაუბამდა
ხოლმე ამინდზე, ჭანმრთელობაზე და, ვინ იცის, კიდევ რაზე არა.
ერთფეროვანი საქმისაგან მოწყენილ გუშაგებს მასწავლებელთან სა-
უბარი ართობდათ.

მერე და მერე გუშაგებმა დიონისე კარიბჭის გარეთაც გაუშვეს.
იქ სივრცეც მეტი იყო და ყვავილებიც. მოქალაქეებს აქამდე შემჩ-
ნეული არ ჰქონდათ, თუ მასწავლებელს ასე ძლიერ უყვარდა ყვავი-
ლები. ქალაქში ყოველთვის მინდვრის ყაყაჩოების უზარმაზარი თაი-
გულით ხელში ბრუნდებოდა სახეგაბრწყინებელი, ალტაცებული-

ბავშვების. ფრინველების და ყვავილების სიყვარული სულაც არ ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს.

იქნებ ფალერელებს მოსწონდათ კიდეც დიონისეს ეს გაბედულება, რასაც ბავშვებსაც უნერგავდა. მართალია, რომაელთა ბანაკამდე კარგა დიდი მანძილი იყო და საშიშროების შემთხვევაში მასწავლებელსა და მის აღსაზრდელებს ადვილად შეეძლოთ თავი შეეფარებინათ ქალაქის კედლებისთვის, მაგრამ ისრის ანდა ბირთვისგან თავის დაღწევა ადვილი მაინც არ იყო.

თუმცა, ქალაქის დამცველები მალე დარწმუნდნენ, რომ მათ მასწავლებელსა და ბავშვებს საშიშროება არ ემუქრებოდათ. რატომღაც როცა დიონისე კარიბჭიდან გადიოდა, სროლა ჩერდებოდა და, ის რომაელი მეომრები, მახლობლად რომ იბრძოდნენ, იქაურობას სცილდებოდნენ. ეს შეიძლებოდა ხანმოკლე დაზავებად ჩაგვეთვალა, რომელიც ბავშვებისა და მათი მასწავლებლის ხათრით ხდებოდა, ომიანობის დროსაც კი თავის საქმეს რომ არ ღალატობდა. ასე ეგონათ ფალერელებსაც და რომაელებსაც.

მართო რომის სარდალი კამილიუსი ფიქრობდა სხვაგვარად.



„არა, ნამდვილად სამართლიანად გამოსახვევნი ვიქტორიას ფრთებით, — ფიქრობდა კამილიუსი და თან ხელისგულზე ასწორებდა პაპირუსის ნაგლეჯს. — ჩემს ვიქტორიას მტრედის ფრთები აქვს, ვარდისფერი თათი კი სპილენძის რგოლისთვის ჩაუვლია!“

ეს დიონისეს მტრედი იყო! რამდენჯერ გაუხსნია მას მტრის ქალაქების კარიბჭეები და კამილიუსისთვის ტრიუმფი მოუტანია! არც ახლა ეპარებოდა ეჭვი, რომ ფალერიაც დღეს თუ ხვალ დაეცემოდა. დიონისეს წყალობით კამილიუსმა კარგა ხანია იცოდა გალავნის სუსტი ადგილები, იცოდა ისიც, როდის იცვლებოდნენ გუშაგები. ახლა კი შეიტყო, რომ დიონისე რომაელთა ბანაკში თავისი მოწაფეების — მდიდარ ფალერელთა შვილების მიყვანას აპირებდა. თავიანთი პირმშობების მომავლით შეშინებული ფალერელები უეჭველად ჩააბარებდნენ ქალაქს.

კამილიუსს ჯერ გაუხარდა ეს ამბავი, მერე კი უცებ გააჯვრდა. რატომ? ფალერია თითქმის უკვე მის ხელთ იყო. რა მისი საქმეა, თუ მსტოვარი მასწავლებლის საფარველით მოქმედებდა, რომ იგი ბავშვების ღალატს აპირებდა. ისინი ხომ მტრის შვილები იყვნენ!

კამილიუსს თავისი ბავშვობა გაახსენდა. მისი პირველი მასწავლებელი არქელაოსი იყო, მოუწესრიგებელი, როგორც ყველა ფილოსოფოსი, და მუდამ ალტაცებული, როგორც ეს ბერძნებს სჩვევიათ. ერთხელ კამილიუსმა მასწავლებლის სახელეუბო ლურსმნებით იატაკზე მიაქედა და არქელაოსი ვერა და ვერ მიხვდა, რა დაემართა მას. მეორედ კამილიუსმა ჰომეროსის გრაგნილიან ყუთში თავი ჩასვა. უნდა გენახათ ბერძნის მრისხანება, რომელიც „ილიადას“ აუტორს აღმერთებდა. ამის გამო კამილიუსი მთელი ერთი კვირა ფესზე დააყენეს. რა არ მომხდარა მასწავლებელსა და მოწაფეს შორის, მაგრამ, ვაი, მისი ბრალი, ვინმეს მისი თანდასწრებით რომ წამოცდებოდა, შენი მასწავლებელი მატყუარა და მოღალატეაო. მისი მასწავლებელი ყველაზე კარგი, ყველაზე ჰკვიანი იყო!

კამილიუსმა ისევ გაასწორა ხელის გულზე პაპირუსის ნაგლეჯი. „კიდევ ერთი ტრიუმფი! — გაიფიქრა მან. — ბევრს კი შეჰმატებს იგი ჩემს დიდებას? ერთხელ კიდევ შევალ ეტლით, გავიგონებ ბრბოს შეძახილებს, სამადლობელ მსხვერპლს შევწირავ კაპიტოლიუმზე. ზურგსუკან კი ჩაიჩურჩულებენ, ამჭერადაც უნამუსო სიეშმაკით ჩაიგდოო ქალაქი ხელში!“

კამილიუსი წამოხტა. თავის მოქიშპეთა სახეები წარმოიდგინა. არა, ამ სიამოვნებას იგი მათ არ მიანიჭებს. დაე, იცოდნენ, რომ ქალაქების კარიბჭეებს კამილიუსის სიბრძნე და კეთილშობილება აღებს.

— კეთილშობილება, — საზეიმო ხმაზე ხმამაღლა გაიმეორა კამილიუსმა.

მისი ხმის გაგონებაზე კარავში ლეგიონერი შემოვიდა.

— შეძახდით? — ჰკითხა მხედართმთავარს.

— კი, — მიუგო კამილიუსმა ისე მშვიდად, თითქოს ჩვეულებრივი ამბის თქმას აპირებდა, — წაიყვან ლუციუსსა და გაიუსს პირველი კოჰორტიდან, მოამზადებ თოქსა და წნელებს. მალე ქალაქიდან მასწავლებელი გამოვა ბავშვების თანხლებით. რაც არ უნდა გითხრას მან, წამოსასხამი მოაძვრე და ხელები ზურგზე შეუკარი, ბავშვებს კი, აი, ეს აჩვენე, — თქვა და პაპირუსის ნახევი გაუწოდა.

გაოცებულ ლეგიონერს თვალები გაუფართოვდა. რამდენი ხანია იგი კამილიუსს იცნობდა და ჯერ მისგან ასეთი საშინელი ბრძანება არ მიუღია.

კამილიუსმა შეამჩნია მცველის გაოცება და უკმაყოფილოდ შებრუნდა. მას ყოველთვის აღიზიანებდა აშკარა ემოციები. მიეჩნია, ქვეშევრდომებს ბრმად შეესრულებინათ მისი ნიჟა.

— არ დაგავიწყდეს, წიკებლები ბავშვებს დაურიგო. — დააღვენა ლეგიონერს. — და არც გაძალდიძო, ვიდრე მოქალაქეები არ მოვლენ.

კამილიუსს მთელი ღამე თვალი არ მოუხუტავს. მაგრამ ამან როდი აიძულა იგი, ჩვეულებისთვის ეღალატა და კარავში დარჩენილიყო. არ სურდა, მის მიერვე მოწყობილი ტრაგედიის მაყურებელი ყოფილიყო. დაე, სხვებმა უცქირონ! კამილიუსი დარწმუნებული იყო, მთავარი აქტიორი ამჯერად ყალბად არ ითამაშებდა. ხოლო ბავშვები, ბავშვები ყოველთვის ბუნებრივნი არიან. განწარებულნი რა ამბით გამოაძევებენ ისინი თავიანთ ახალმოვლენილ მასწავლებელს! ადვილი წარმოსადგენია, რა ხასიათზე იქნებიან გადარჩენილი ბავშვების მშობლები. მაგრამ მისი გადაწყვეტილება საბოლოოა და ურყევი.

კამილიუსი საწოლზე დაეშვა და თვალები დახუჭა. „მსტოვარი მხოლოდ ერთხელ სცდება. — იმშვიდებდა თავის სინდისს. — რამ აფიქრებინა მასწავლებლობა, ან ეს ბარბაროსული გეგმა ბავშვების მძევლებად გადაქცევისა მხოლოდ კაციქამიას თუ მოუვა თავში რას იტყვიან ჩემზე რომში? რაც არ უნდა იყოს, სასწორზე ჩემი რეპუტაცია ძვეს...“

კამილიუსი შუადღით გააღვიძეს, როგორც ელოდა. ფალერელთა დელეგაციამ ქალაქის გასაღები მოართვა და მეგობრობა და კავშირი შესთხოვა.



ცეცხლითა და მახვილით

რა იცოდა ავკნმა რკინის შესახებ? ერთხელ ნახა, როგორ აწვედნენ ნაჯახით მიწაზე ვეებერთელა მუხებან ეტრუსკი ტყისმპკრელები და გაოცდა, რა ძალა ჰქონიაო ლითონს. მაკრატელიც. რითაც წელიწადში ერთხელ ცხვრებსა კრეკდნენ, რკინისა იყო. მასაც დააკვეზინეს იგი ხელში, მაგრამ ავკნს არ ესიაშოვნა ცივი ლითონი.

ერთხელ სარქალმა ავკნს უთხრა, რკინის მიწიდან იღებენო. ბიჭ-

მა წარმოდგინა უზარმაზარი გამოქვაბული, ისეთი, ზამთარში წვიმების დროს ცხვრებს რომ შეაფარებენ ხოლმე, და ამ გამოქვაბულში გოლიათები დღე და ღამ ხვრეტენ და ხვრეტენ რკინის კედლებს. ალბათ ამიტომ თუ ინძრევა ხოლმე დროდადრო დედამიწა და ისმის გუგუნო.

ისე შეიქნა ავკნი თექვსმეტი წლისა, რომ რკინაზე შორეული ჩრდილოეთის ზღვისპირას მცხოვრებ ველურებზე მეტი არ იცოდა. იმ ზღვის ნაპირას ხშირად ნახულობდნენ ქარვის ნატეხებს. ავკნი ციმინის ულრან ტყეებში გაიზარდა. იშვიათად თუ გაბედავდა მოგზაური ამ ტყეთა სიღრმეში შესვლას გარეული მხეცებისა თუ ყაჩაღების შიშით. მაგრამ სიმდიდრესა და ძალაუფლებას დახარბებულმა რომაელებმა საშიშროება არად ჩააგდეს და მთებშიაც შეიჭრნენ.

თავდასხმა ისე მოულოდნელი იყო, რომ მეომრებმა მოშველენაც ვერ მოასწრეს. იმ სოფლების უხუცესებმა, სადაც ეტრუსკების მოხარკე უმბრები ცხოვრობდნენ, ბრძანება გასცეს, ყველანი შეკრებილიყვნენ — ახალგაზრდა მწყემსებიც და დანარჩენი სოფლელებიც.

ამ დღიდან ავკნის მესხიერებაში რკინაზე წარმოდგენა რომაელთა ჯავშან-მუზარადის პრიალსა თუ ზუფანებისა და შუბების გველივით სისინს დაუკავშირდა. მწყემსებმა დაყარეს კეტები და შურდულები და გაქცევით უშველეს თავს. რკინას სისხლის სუნი ასდიოდა. ავკნს კარგად დაამახსოვრდა ეს სუნი, რადგან მხრით გამოიყვანა ბრძოლის ველიდან დაკრილი მწყემსი. რომაული ზუფანას წვერი ისე ღრმად ჩარკობოდა ბეჰის ქვეშ, რომ ძლივს ამოაძრეს. მაგრამ ამოძრობისთანავე საბრალომ სულიც განუტევა. რა სიძულვილითა და ზიზლით დააცქერდა ავკნი ლითონის გასისხლიანებულ ნატეხს.

რომაელებმა ავკნი კარავში შეიპყრეს, როცა მას უკვე გადარჩენილი ეგონა თავი. მაშინვე ფეხებზე ბორკილები დაადეს, რომ არ გაქცეულიყო. ჯოხის ცემით გადაატარეს მთელი ქვეყანა და ზღვასთან მიიყვანეს. ავკნი ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა. თავი ჯერ კიდევ სიზმარში ეგონა. მარტო რკინის სიმძიმეს და დასისხლიანებული ფეხების ტკივილს გრძნობდა.

ხომალდზე, ვიდრე ტრიუმში შეაგდებდნენ, ბორკილები შესხნეს. იქ ბევრი ტყვე დახვდა. ავკნი მათ სახეებს ვერ ხედავდა, მაგრამ ესმოდა სუნთქვა და კენესა. მათი ლაპარაკიდან მიხვდა, რომ ისინი უცხოელები კი არა, მასავით უმბრიელები იყვნენ, რომაელებს დაეტყვევებინათ და მონებად გაეყიდათ.

— აი, ნახავთ, თუ პოპულონიაში არ ჩაგვიყვანენ, — თქვა ვილაცამ ხმადაბლა.

— ოჰ! ოლონდ იქ ნუ წაგვიყვანენ! — შეძრწუნებული ხმით მიუვგო მეორემ.

უხილავი ტალღები ცხვრებივით ეხახუნებოდნენ და ეგლუსუნებოდნენ ხომალდის გვერდებს. ტრიუმფი სილამპლითა და ადამიანის სხეულის სუნით ყარდა. ავკნი შესიებულ კოკებს ისრესდა და თან ცამდე ატყორცნილი ფიჭვები, შემოდგომის ტყის, ბალახის, კერიის სურნელი ახსენდებოდა.

ჩახუთულ ტრიუმფში გატარებული წუთების შემდეგ ზღვის ჰაერი არაჩვეულებრივად სუფთა და სურნელოვანი ეჩვენა ავკნს. მთელი მკერდით ისუნთქავდა და ვერ გაეგო, რატომ დასევლიანდნენ დანარჩენი ტყეები. მათ აშინებდათ შორს, გორაკებიდან სვეტად ამოსული კვამლი.

— პოპულონია! — ამოიკვნესა ვილაცამ.

ავკნი მიბრუნდა, რომ ეკითხა, რითი იყო პოპულონია სხვა ადგილზე უარესი. განა სულერთი არ არის, სად იქნები მონა? მაგრამ მეზღვაურმა კეთაში უთავაზა და საბიჯელასკენ გააგდო.

ხომალდებიდან ქვიშიან ნაპირზე მძიმედ გადადიოდნენ მხარზე ტყავის ტომარაგადებული ადამიანები. ჩაცლიდნენ ტომარას საზღვარში და ჩუმად, მკმუნვარე სახით ისევ ნუსაბმელისკენ მიდიოდნენ.

„რატომ ეზიდებიან მიწას ხომალდებით?“ — გაუკვირდა ავკნს, მაგრამ არავისთვის უკითხავს.

ადამიანი, ვინც მასთან მივიდა, სრულიად თავისუფლად შეიძლება კაცს ქვესკნელის სამეფოს დემონი ჰკონებოდა, რითაც ეტრუსკი ქურუმები აშინებენ ხოლმე სოფლელებს.

— შენ. ეი, ახალბედავ! — უთხრა მას „დემონმა“. — შემთხვევით, კოსელი ხომ არა ხარ?

უარის ნიშნად ავკნმა თავი გააქნია.

— თანამემამულეს დავეძებ, — განუმარტა შავტუხამ, — მინდა გავიგო, ჩემიანები კიდევ ცოცხლები არიან თუ არა.

და აი, ავკნი უკვე თავის თანამგზავრებთან ერთად მიაბიჯებს მტერიან გზაზე. გზის ორივე მხარეს ჩაყოლებული ბუჩქნარი მწვანე ფერისა კი არ არის, როგორც მის ტყეებშია, არამედ რუხი ან შავი ფერისა.

მაგრამ ავკნს ამისი არ შეშინებია. იგი უკვე მიხვდა, რომ შავი ფერი, ადამიანებს, მცენარეებს და დედამიწას ერთიანად რომ მოსდებოდა, იმ გიგანტური კოცონების კვარტლი და ნაძმწვი იყო. გემბანიდან რომ მოჩანდა.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ კოცონებს, მით უფრო ჰკირდა

სუნთქვა. არა, ეს ფისიანი ტოტების სუნი როდი იყო, შეშისმპრელები რომ წვავენ ტყეში. ასეთი სუნი კაში დამდგარ წყალს კჳონდა. „ნეტა რას წვავენ?“ — გაიფიქრა ავკნმა. რატომღაც გული შეუქრთა.

გზაზე მოუხვიეს თუ არა, გამოჩნდა ბორცვი, საიდანაც წითელი ალი აღიოდა. ბორცვის გარშემო ნახევრად შიშველი ადამიანები დაფუსფუსებდნენ. შორიდან ისე გეგონებოდათ. წმინდა ცეკვას თუ ასრულებენო ცეცხლის ღმერთის პატივსაცემად. მაგრამ არა, ეს ცეკვა არ იყო. ზოგი ორშოს თხრიდა, სხვებს რაღაც ყუთები მოჰქონდათ და ბორციდან მომდინარე ცეცხლოვან ნაკადს უმარჯვენებდნენ. ნაკადი იმდენად კაშკაშა იყო, რომ ავკნმა მისი ცქერა ვერ აიტანა და უნებურად თვალები მოკუტა.

ვინ იფიქრებდა, რომ სწორედ ასეთი იქნებოდა გამდნარი რკინა, ყოველივე ცოცხალის მტერი, ლითონი, რისგანაც ნაჯახებს. ხმლებსა და ჭაპვებს აკეთებენ. ის მიწა კი, ხომალდებიდან რომ ეზიდებოდნენ, მადანი იყო. რომელიც პოპულონიის მოპირდაპირე კუნძულ ილვადან მოჰქონდათ და ღუმელებში ადნობდნენ. ყველაფერი ეს ავკნმა იმ დღესვე გაიგო.

ზედამხედველმა ახალბედას ნიჩაბი მისცა და უბრძანა, მადნის ნამწვი, რომელსაც წიდა ერქვა, აქეთ-იქით მიმოებნია. ავკნი შეუღდა მუშაობას, თან ყველაფერს აკვირდებოდა, რაც მის გარშემო ხდებოდა. ნახშირის მთის დანახვაზე მიხვდა, რომ ღუმელში მადანთან ერთად ნახშირიც იწვოდა. ამ ნახშირს ალბათ სადმე, მთებში ამზადებენ.

არც შემცდარა. ნახშირს წიფლის ტყეებით დაფარულ მთებში წვავდნენ. იქ თავისუფალი ადამიანები მუშაობდნენ. აქ კი, მოგიზგიზე ღუმელებთან, — მონები: აბა, რომელი თავისუფალი დათანხმდებოდა, გაეწმინდა ჯერ კიდევ ცხელი ცხაური წიდისაგან, ანდა გზა გაეკვლია გავარჯარებული ნაკადისთვის? ამას მონები აკეთებდნენ, რომელთა სხეული ერთიანად დანაწვავი ადგილებითა და ნაჭრილობევეებით იყო დაფარული. წელიწადზე მეტ ხანს ვერაფერს უძლებდა ამ ჯოჯობეთს. ხოლო ვინც ცოცხალი რჩებოდა, ძალ-ლონის ნატალი აღარ გააჩნდა.

ახლა კი უკვე ყველაფერი იცოდა ავკნმა რკინაზე! ვიდრე ნაჯახად, ხმლად ან ჭაპვად იქცეოდა, იგი მადანი იყო და ნახშირი. ის იყო წელში გამწყვეტი დალლილობა, თვალისმომპრელი ცეცხლოვანი ნაკადი, მათრახების სტვენა და ორმოები, სადაც მკვდრებს ყრიდნენ.

„უნდა გავიქცე!“ — ეს ფიქრი გონებიდან აღარ შორდებოდა ავკნს. იგი ცეცხლოვანი ასოებით იყო ამომწვარი მის ტვინში. ძილშიაც კი ის ესიზმრებოდა, როგორ გარბოდა და იმალებოდა. როცა ზედამხედველი ახლომახლო არ ეგულებოდა, გორაკზე აირბენდა, რომ შორეული მთები ან მათ მიღმა მიმავალი გზა დაენახა. მაგრამ პორიზონტი ერთიანად ღუმელებიდან ამოსული ყვითელი კვამლით იყო დაფარული.

მაშინ გადაწყვიტა, სხვა მონებს დაახლოებოდა, რათა მათთან ერთად ეპოვა გასაქცევი გზა. მის გვერდიგვერდ ლაპარაკის მოყვარულა გალები და პირქუში ლიგურები მეშაობდნენ. ზედამხედველებს მონების შეთქმულებისა ეშინოდათ და ერთი და იმავე ეროვნების მონებს არასოდეს ერთად არ ამუშავებდნენ. ავკნმა შენიშნა, რომ მონებს ერთი წითური გალი შეთაურობდა, მეტსახელად ცალთვალა — თურმე გამდნარი ლითონის წვეთს მისთვის მარცხენა თვალი ამოეწვა. რამდენჯერმე სცადა ავკნმა, ცალთვალას ყურადღება მიეპყრო. მაგრამ ამაოდ, გალი თავს ისე აჩვენებდა, თოქოს ამას ვერც ამჩნევდა.

ერთთავად გალებთან ყოფნით ავკნმა თანდათან ისწავლა გალური ენა. ერთხელ, შუალამისას, მას მოესმა: „თუ გვიხსნის. ფეხები კი არა, რკინა გვიხსნისო.“ ამ სიტყვების მნიშვნელობა ავკნმა ჯერ ვერ გაიგო და იფიქრა, ალბათ გალების ენა ჯერ კიდევ კარგად არ მესმისო. მაგრამ, კარგად რომ ჩაუფიქრდა, მიხვდა, გალი იმ რკინას კი არ გულისხმობდა, ისინი რომ აღნობდნენ, არამედ რკინის იარაღს. ესე იგი, გალი აჩანყებისკენ მოუწოდებდა.

ღილით ავკნი ცალთვალასთან მივიდა და მის ენაზე უთხრა:

— მე უმბრიელი ვარ, შენ — გალი, მაგრამ ორივენი მონები გართ. რატომ მივლი გვერდს და ყურადღებას არ მაქცევ? ერთი რამ გახსოვდეს, მე რასენების ენა ვიცი და შემიძლია დახმარება გავიწიოთ.

არც ამჯერად მიიკარა იგი ცალთვალამ. ალბათ შიშობდა, ზედამხედველების მოგზავნილი არ იყოსო. მაგრამ იმავე საღამოს თვითონ მივიდა ავკნთან.

— შეგიძლია ცეცხლით გამოცდას გაუძლო? — ჰკითხა და ავკნს თვალეებში ჩააშტერდა.

— შემიძლია! — არც დაფიქრებულა, მიუგო ავკნმა.

— თუ ასეა, წამოდი!

ისინი ღუმელთან მივიდნენ. გალმა ხელში აიღო ხისტარიანი რკინის ჯოხი, ჩაყო ცეცხლოვან ნაკადში და, კარგად რომ გაეკარვარდა, ავკნს მხარზე დაადო.

მწყემსმა კბილი კბილს დააქირა, რომ არ დაეყვირა.

— ახლა კი ჩემთან ერთად გაიმეორე: „დაე, ცეცხლმა მშთანთქას, თუ მეგობრებს ვუღალატე“.

გალმა მანამ არ აიღო რკინა, ვიდრე ავკნმა ეს სიტყვები არ გაიმეორა.

— ამიერიდან შენ უკვე ჩვენი ძმობილი ხარ, — უთხრა ცალთვალამ და ავკნს გადაეხვია. — შენთან დასამალი აღარაფერი გვაქვს. უკვე რამდენიმე ღლეა, იარაღს ვამზადებთ. იგი საიმედო აღგიღას გვაქვს შენახული, ღობის გადაღმა. წავიდეთ, გაჩვენებ.

— მერე. დარაჯი? — ჰკითხა ავკნმა.

— იმათ უკვე ბოლო მოვუღეთ, — დაჯერებით თქვა გალმა. — იმის ტანსაცმელს შენ გადაიცვამ. თუ ვინმე შეგვხვდა, გამოელაპარაკები და ყურადღებას აღარ მოგვაქცევს. გაიგე?

— გავიგე. — მიუგო ავკნმა.

ცალთვალა წიდის გორაზე ძიბიჯებდა, ავკნი ძლივს ეწეოდა. წინ რაღაც მოჩანდა შავად. ეს ძველი, უკვე მიტოვებული ლუმელი იყო. ქვის კედლები დამსკდარიყო და ბალახებს ამოეყოთ თავი. სიცოცხლე ზეიმობდა მკვდარ ურჩხულზე.

ხოხვა-ხოხვით სახე და ხელებდაკაწრული ძმობილები ნახვრეტში გაძვრნენ, საიდანაც ოდესღაც გამდნარი რკინა გამოდიოდა. გაისმა ლითონის ხმა. ცალთვალა რაღაც ნივთებს ალაგებდა.

— დაიპი! — დაუძახა ავკნს.

ავკნმა ხელი გაიწოდა და ვეებერთელა თვითნაკეთი ხმალი გამოართვა. მაგრამ ავკნს მისი სიმძიმე არც უგრძენია. მაგრად ჩასჰიდა ხელი ვადაში. სწამდა, მანამ არ გაუშვებდა მას ხელიდან, ვიდრე თავისუფლებას არ მოიპოვებდა.



კეთილი ნიაჟი

ბორცვიდან რომ გასცქეროდა, ველუსს დაბლობზე გაშლილი ქალაქი შაშის სათამაშო დაფას აგონებდა. ქუჩები სწორი კუთხით კვეთდნენ ერთმანეთს და ამრიგად მთელი სივრცე მდინარის ნაპირამდე თანაბარ კვადრატებად იყო დაყოფილი. ამ სიმეტრიას არღ-

ვევდა მხოლოდ აკროპოლი, რომელსაც ზიგზაგი მოყვანილობის თეთრი ქვის გალავანი ეკრა, შიგ კი ქერცლისებური სახურავიანი ტაძრები მიმოფანტულიყო. ქუჩებში თითქოს სათამაშო საზიდრები და ადამიანის ფიგურები მიდი-მოდიდნენ. აქა-იქ კი მალა მიიმართებოდა კვამლის წვრილი სვეტები და ზეცაში შთაინთქმოდა.

ამ სახლებში მცხოვრებ, სახელოსნოებში მომუშავე ანდა ქუჩაში მოსიარულე ადამიანებს ველიუსი რომ ენახათ, ვერც იცნობდნენ, ვინაიდან იგი მათთვის უცხოელი იყო. მიუხედავად ამისა, ეს ველუსის ქალაქი იყო, მისი კეთილი ნიავი, ქვაში სორცმესხმული მისი ჩანაფიქრი.

ამ ადგილს მაშინ „ცუდი ნიავი“ ერქვა და ტყით იყო განთქმული. აქ ყიდულობდნენ რცხილას მუშა საქონლის უღლისათვის, თეთრსა და შავ ალვის ხეს, რომელიც დიდად ფასობდა იმათთვის, ვინც ხეზე კვეთის ოსტატი იყო; კედარს, რომლისგანაც მოჟონავს ფისი, ე. წ. კედრულა. თუ კედრულას ქალაღის გრაგნილს წაუსვამთ, მას ველარც მატლი დააკლებს რამეს და არც არასოდეს დაღპება. ღურგლებს მოსწონდათ აქაური ნაძვის კინცი. მას ოთხად აპობდნენ და მაგიდებსა და სკივრებს აკეთებდნენ. მაგრამ ყველაზე მეტი აქ მაინც მუხა იყო — ტყის ლუკუმონი.

იმხანად ველუსს ნავსაშენი უნდა აეგო პოპულონიაში და ზაფხულის მუხა დასჭირდა ხიმინჯებისთვის. მას უშლიდნენ — ცუდი ნიავის“ მხარეში წასვლას. მონა გაგზავნეო, — ურჩევდნენ. მაგრამ განა მონას შეუძლია გაარჩიოს ზაფხულის მუხა ზამთრის მუხისაგან? ზაფხულის მუხა უფრო მშრალია და ჰაერისაგანაც უფრო დაცლილია, ზამთრის მუხა კი, ისიც იმ დროს მოჭრილი, როცა ფავონიუსი ჰქრის, მარტო ხმელეთის ნაგებობისთვის გამოდგება. წყალში კი ჩქარა ფუქდება. არასოდეს კეშმარიტი მშენებელი ხე-ტყის ყიდვას ვინმე გამვლელს არ მიანდობს, თვითონ აარჩევს სათითაოდ ყოველ ტოტსა და ყოველ ფიცარს.

ასე მოხვდა ველუსი „ცუდი ნიავის“ მხარეში. ადგილმდებარეობა მოეწონა. მდინარეებით დასერილი მწვანე ველი აღმოსავლეთით ტყით დაფარულ გორაკებს უერთდებოდა. იქ უქვევლად იქნება მტკიცე, ფორებიანი ქვა საძირკვლებისა და კედლების ამოსაყვანად. კეშმარიტად იდეალური ადგილი იყო ქალაქის ასაგებად — მდინარეში საზღვაო ხომალდები შემოვიდოდნენ, ტყეც აქვე იყო, ქვაც.

ხელსაყრელი რელიეფიც. მაგრამ ველუსი შეაძრწუნა იმ ადამიანთა სახეებმა, მორებს რომ ტვირთავდნენ. ფერდაკარგულებს თვალებში უიშვებობა და სასოწარკვეთა ჩასწოლოდათ.

უხუცესმა დამტვრეულ რასენულ ენაზე ველუსს ყველაფერი აუხსნა, რაც აინტერესებდა. სოფლის დასაველეთით, თითქმის ზღვა-მდე ჭაობია გადაქიმილი და იქ ციების ქალღმერთი მეფობსო. მილიარდობით კოლო, გომბემო და სხვა საძაგელი არსება ხოტბას ასხამს მას თავიანთი წრიპინ-ბზუილითა და ყიყინით. დილის ნიავი ნისლთან ერთად მათ შხამიან ამონასუნთქსაც ფანტავს ირგვლივ. აღმპიანები ავადდებიან და ისე სუსტდებიან, სიარულიც აღარ შეუძლიათ. მხოლოდ ზამთრობით, როცა ქალღმერთი ციება თავის ჭაობში ძილს ეძლევა, ადამიანები გამოცოცხლდებიან ხოლმე, ნაჯახით ზელში მიდიან მთებში, ჩეხენ ტყეებს და მორებს ქვევით, მდინარის შესართავისკენ ატურებენ, სადაც უცხოელთა ხომალდები და კარქაპები დგანან. რომ ქალღმერთი ციება არა, დედამიწის ზურგზე ამაზე უკეთესი ადგილი არ იქნებოდა. მაგრამ რა გინდა რა, გაზაფხულზე ქალღმერთი იღვიძებს და მწვანე ლემნაზე თავს ამოყოფს. მისი ერთი შემოხედვა ადამიანებს კანკალს აწყებინებს და შუბლზე ოფლს ასხამს.

ერთხელ აქ ქურუმები ჩამოსულან, ველუსის თანამემამულენი. ადგილმდებარეობა მოსწონებიათ და ქალაქის გაშენება გადაუწყვეტიათ. მაგრამ სამსხვერპლო ცხვრის ღვიძლი რომ უნახავთ, აქაურობა მიუტოვებიათ. წასვლის წინ უთქვამთ, ღვიძლს მეტად საოცარი ფორმა და ლურჯი ფერი აქვს, რაც იმას მოასწავებს, რომ ღმერთებს არ სურთ ადამიანების აქ დასახლებაო. ეს ქურუმები უნის, ტინის, აფლუს მსახურნი იყვნენ და სწამდათ, რომ მათი დახმარებით ყველაფერს მიაღწევენ. მაგრამ შეუცნობელი ციების ქალღმერთი აშინებდათ. ამიტომაც გაიქცნენ კუდაამოძუებულნი, რაკი არ იცოდნენ, რანაირი მსხვერპლი უყვარდა მას და როგორ უნდა შევედრებოდნენ.

— მას შემდეგ დავეძებთ ციების ქალღმერთის ქურუმს, — დააბოლოვა უხუცესმა. — ხომ უნდა არსებობდეს ისეთი კაცი, ვისაც მისი ჩვეულებები და სურვილები ეცოდინება, ვინც შესაწირავებით გულს მოულობობს მას; ჩვენ არაფერს დავიშურებთ, არც ცხვრებს, არც ვერცხლსა და არც ხე-ტყეს. ისეთ ტაძარს ავუგებთ, როგორსაც ინებებს, რასაც მოგვთხოვს, ყველაფერს მივცემთ.

ველუსმა ერთხელ კიდევ მოავლო თვალი ნაპირს, ქოხებს, რომელთაც მყარი კედლები არ ჰქონდათ, ტყით შემოსილ შორეულ

მთებს, სწრაფ მდინარეს და მერე მზერა მის ირგვლივ მოფუსფუსე ადამიანების უფერულსა და შოლუშულ სახეებზე გადაიტანა. უხუცესის ნაამბობმა შეაძრწუნა ველუსი. ეს ადამიანები დღეს თუ ხვალ სიკვდილს ელოდებოდნენ. ციება სულს უხუთავს მათ თავისი დამპალი ჰაერით, ამით კი ტაძრის აგება და მსხვერპლების შეწირვა სურთ. მხოლოდ მას, ველუსს შეუიღია, უშველოს ამ ხალხს. მაგრამ დაუჯერებენ კი ეს ბუნების შვილნი მას, ყველაფერში ზებუნებრივ ძალას რომ ხედავენ? თუმცა ტყუილიც არს და ტყუილიც. ზოგი ტყუილი ადამიანს იხსნის ხოლმე. ფიქრობდა ველუსი. ასე ატყუებს ექიმი უიმედოდ დაავადებულს. მორჩებიო. ასე მოიგონა პოეტმა ოქროს ხანა. რომელსაც უნდა წარეხოცა რკინის ხანის შერცხვენა და სიმწარე.

— მე ვარ ციების ქალღმერთის ქურუმი! — მტკიცედ განაცხადა ველუსმა. — დავრჩები თქვენთან და ავადმყოფობისგან გიხსნით. საჩუქრები არ მქირდება, მხოლოდ ის გააკეთეთ, რაც ჩემს მბრძანებელს სურს.

ვინც ველუსს იცნობდა, ეს გადაწყვეტილება არ გაუჟვირდებოდა. შემოქმედი ადამიანი ყველაზე ნაკლებ ზრუნავს სარგებელზე. მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო მისივე ქმნილებაა. ველუსის სამშობლოც იქაა, სადაც მისი შთაგონება ესაჭიროებათ.

იმ დღესვე წაიყვანა მან ხალხი კაობებისკენ და უბრძანა, არხების გათხრა დაეწყოთ ზღვის მიმართულებით. ველუსმა იცოდა, რომ ქარიშხლებითა და მოქცევებით შემოსული ზღვის მლაშე წყალი გაანადგურებდა კაობის ქმნილებებს. აქაურობაც ისევე გაჯანსაღდებოდა, როგორც ეს ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მოხდა, სადაც ზღვის წყლით გაუვნებლებულ კაობებზე გაშენდა ქალაქები რავენა და სპინა.

ასეთი საოცარი ქურუმი ჯერ აქაურებს არ ენახათ. იგი არ თხოულობდა ცხვრებსა და ვერძებს მსხვერპლის შესაწირად, სულაც არ იზიდავდა სამსხვერპლოზე დამწვარ შიგნეულობათა სუნი. მას მოგიზიგებზე წალმის სუნი უფრო იზიდავდა, ზღვისკენ მიმავალ გზაზე რომ კათავდნენ. მაგრამ ყველაზე უფრო მაინც ნიჩბების აწყობილი წკრიალი მოსწონდა, როცა სველ, მძიმე მიწას მალლა ისროდნენ თხრილიდან. ყველას, ვისაც კი მოძრაობა შეეძლო, ევალებოდა დღეში ოთხი წყრთის სიგანისა და ამავე ზომის სიგრძე-სიღრმის მიწა გაეთხარა. ველუსი ამბობდა, რომ ეს იყო მსხვერპლი ქალღმერთისადმი, რომელიც ნეტუნსთანაა განშორებული და მასთან შეერთებას ისწრაფვისო.

ანგვარი ახსნა სრულიად დამაჯერებელი იყო. ყველამ იცოდა, რომ ღმერთებს, ისევე, როგორც ადამიანებს, განმარტოებით ცხოვრება არ სჩვეოდათ, ხოლო თუ ტინის უნი ჰყავდა, ნეტუნსს — ზღვის ღმერთს—ჭაობის ქალღმერთი რატომ არ უნდა შეერთო ცოლად.

არხების სიგრძე თანდათან იზრდებოდა და წყლითაც ივსებოდა. ქურუმი ხარობდა. მან საკურთხეველთან შეკრიბა ხალხი და გამოუცხადა, რომ მალე ქალღმერთი მოწყალეებას მოიღებდა და მათ სახეებს სიფერძკრთალებს მოაშორებდა, დაუბრუნებდა ჯანმრთელობასა და ძალას. ამასთან ერთად, მოუწოდა, ჭაობის ახლოს ქალაქი გაეშენებინათ და მისთვის, „კეთილი ნიაფი“ ეწოდებინათ. ქალაქის სახელწოდებაშიც უნდა ჩანდეს იმედი და არა სასოწარკვეთაო.

ცერემონიისათვის დანიშნულ დღეს ველუსმა ყველა სოფელს უბრძანა, სუფთა ტუნიკები ჩაეცვათ და კეთილი აზრებით აღსავსენი ყოფილი ჭაობის ნაპირას შეკრებილიყვნენ. მანვე მოაძებნინა ძველთაძველი გუთანი და შიგ თეთრი ხარი და თეთრი ძროხა შეაბმევინა.

ამომავალი მზის შუქზე ხარი და ძროხა თეთრები კი არა, ვარდისფერი ეგონებოდა კაცს, ისევე, როგორც ველუსის ტანსაცმელი, რომლითაც გუთნეულს უკან მიჰყვებოდა. ბრჭყვიანავდა სპილენძის სახნისი. შავი მიწის ხნულში თეთრად მოჩანდა ძვლის ისრისპირები, ბარჯის წვერები, თიხის ჭურჭლის ნამტვრევები. ყველაფერი ეს რომელიღაც ძველი, აწ გამჭრალ დასახლებათა, რომელიღაც უცნობი ტომების ცხოვრების კვალი იყო. „მაშასადამე, ეს ადგილი ყოველთვის ჭაობიანი არ ყოფილა.—ფიქრობდა ველუსი.—ადამიანებს არა ერთხელ უცხოვრიათ აქ და კვლავაც იცხოვრებენ“.

იქ, სადაც ველუსი სახნისს ასწევს, ქალაქის კარიბჭე იქნება, ქვისთალიანი და ოთხკუთხაკოშკებიანი. ნახნავ ზოლზე კი ქალაქის კედელი გაივლის, რომელიც ქალაქს მტრის, ავადმყოფობისა და ბოროტი სულებისაგან დაიცავს. ამიტომ ერთი გოროხიც არ უნდა გადავარდნილიყო ნახნავს მიღმა. ამას ამბობდა ტაგის წმინდა წიგნებში ჩაწერილი ძველი ადათი.

ჯერ არარსებული კარიბჭის გავლით ველუსმა ხალხი არარსებულ ქალაქში შეიყვანა და წინასწარ მონიშნული ქუჩები უჩვენა: ორ მთავარ ქუჩას ოცი წყრთა განი ჰქონდა და ცენტრში ერთდებოდნენ. დანარჩენი. მათი პარალელური ქუჩები, უფრო ვიწრო იყო, თუმცა ისინიც სწორი კუთხით ჰკვეთდნენ ერთმანეთს. ველუსმა ხალხი დაარიგა, როგორ უნდა გაეყვანათ არხები, რათა წვიმის წყალ-

ლი და უსუფეთობანი ქალაქში არ დაგროვილიყო. ასწავლა, როგორ მოეკირწყლათ ქუჩები. ტაძრებისთვის შემადლებული ბორცვი შე- არჩია ქალაქის სამხრეთ ნაწილში და ბრძანა, მისთვის გალავანი შემოეკლათ. ყველაფერი ენ რომ თქვა, ქურუში ისევე შეუმნანველად გაქრა, როგოც მოევლიხათ.

ადამიანებმა ველუსის ყველა ბრძანება შეასრულეს. რამდენიმე წლის შემდეგ დაბლობზე თეთრი, პორებიანი ქვით ნაგები კედელი გაიკიმა, რითაც სავეს იყო მომიჯნავე მთები. ამ ქვით საბლების სა- ცირკლები ამოჰყავდათ, კედლებს ცხიმოვანი თიხით შელესილი მო- რებისაგან აგებდნენ, სახურავს კი — გამძლე კრამიტისას. როცა ტაძ- რების აგებას შეუდგნენ, ღმერთების სამების — ტინის, უნისა და მინერვას საკურთხევლების გარდა, ტაძარი აუგეს წყლის ღმერთს ნეტუნსაც. ვინაიდან მის კეთილგანწყობაზე იყო დამოკიდებული ზღვაოსანთა მშვიდობიანი მგზავრობა, ხე-ტყე რომ გაქონდათ სხვა ქალაქებში და მხარეებში. ცეების ქალღმერთი კი დაივიწყეს. არხე- ბის გაყვანის შემდეგ, რომელმაც განდევნა დამპალი ქაობის წყალი, უკვე აღარაგინ იტანჯებოდა მისგან მოვლენილი ავადმყოფობით. ადამიანებმა მოიკეთეს. გაჯანსაღდნენ, მოლონიერდნენ. ვინ იცის, იქ- ნებ ბედნიერნიც ყოფილიყვნენ, ქურუმს რომ თავის დროზე მათ- თვის აეხსნა. როგორ გაენაწილებინათ თანაბრად მიწა, ტყე და წყა- ლი ისე, რომ არავის სწყენოდა.

„ქურუმმა ალბათ იცოდა ეს, მაგრამ არ გვითხრა!“ — ფიქრობ- დნენ ერთნი. „არა. მან დააპირა ამის თქმა, მაგრამ მდიდრებმა მოკ- ლეს“, — ფიქრობდნენ მეორენი. „რა სულელები არიან. — ეციინე- ბოდან სხეებს. — თვით ღმერთებმა დააწესეს ასე, რომ დედამიწაზე ყოველთვის ყოფილიყო სიმდიდრე და სიღარიბე. ქურუმმა კი ეს იცოდა“. ხოლო ახალგაზრდები. რომელთაც ბერძენ სწავლულთა ნა- წერები წაეკითხათ, ამტკიცებდნენ. არავითარი ქურუმი ველუსი არ არსებულა, მხოლოდ ქალაქის სახელწოდების ასახსნელად მოიგონე- სო ვილაც კეთილი გენია, ისევე, როგორც თავის დროზე შეთხზეს ზღაპარი ოქროს ხანაზე და სატურნის ბედნიერ სამეფოზე.

ორმოცმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ველუსმა აქაორობა დატოვა. ამდენი ხნის შემდეგ მხოლოდ ახლა იპოვა დრო, მოინახუ- ლებინა „კეთილი ნიავის“ ქალაქი. აქედან, ამ ქალაქიდან დაიწყო ძი- ებებითა და საშიშროებებით სავეს მისი ცხოვრება.

მის გონებაში მომწიფებული ჩანაფიქრები ბევრს თავხედურად

და განუხორციელებლად ეჩვენებოდა. მაგალითად, იგი წინადადებას იძლეოდა, არხი გაეყვანათ ზღვიდან ზღვამდე, რათა გვერდი აევილოთ ბერძნების მიერ დაპყრობილი მესინის სრუტისათვის. მაგრამ არავის სჯეროდა, რომ შეიძლებოდა მთების გახვრეტა და იქ არხების გაყვანა, რომლითაც ხომალდები ივლიდნენ. უფრო მარტივი გეგმაც კი, მდინარეების — არნოსა და ტიბრის არხით შეერთებისა — ქურუმების მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდა. მათი აზრით, ღმერთებმა უკეთ განსაზღვრეს, როგორ ან საით ედინათ მდინარეებს, ხოლო მოკვდავთ არ შეფერით, თავის თავზე აიღონ ზეცის ბინადართა საქმენი და საზრუნავი.

იმ წუთებში, როცა სიცოცხლე აუტანელი ხდებოდა და სასოწარკვეთა ყელში მოებჯინებოდა, ველუსს ახსენდებოდა, რომ სადღაც შორს იყო ქალაქი, რომელსაც მან შთაბერა სული და უწოდა სახელი. და აი, ახლა ეს ქალაქი მის წინაა. უნდა შორიდან უცქიროს. შემქმნელსა და მის ქმნილებას შორის ყოველთვის უნდა იყოს რაღაც შანძილი. ამ მანძილის გადალახვა არ შეიძლება. დაე, მათთვის იგი კვლავ ველუსად დარჩეს, ციების ქალღმერთის ქურუმად; დაე, ნასზე, რაც უნდათ, ისა თქვან, ოღონდ ცოცხლობდეს და იზრდებოდეს ქალაქი „კეთილი ნიავი“.



ქვის ზეიმი

ერთის შეხედვით ჩვეულებრივი ქვაა. ბრტყელი, ზემოთკენ ცოტა ვიწრო. თითქოს მხოლოდ ეს განასხვავებს მას მდინარის პირასა და მინდორზე მიმოხეული ლოდებისაგან. მაგრამ ავლუს კლავერნიუსის მამას ზამთარში ტყიდან სოფელში შემოხეტებულ მშვიერ მგლებზე უფრო ეშინია მისი.

— მოერიდე ამ ქვას, შვილო, — ეუბნებოდა ბიძს კლავერნიუსი. — ჩვენი ცხვარი მხოლოდ ერთხელ მიუახლოვდა მას და იგი მეტად აღარც უნახავთ.

ავლუსი ჯერ პატარა იყო და არ ესმოდა, რომ მათ ცხვარი მინდორის წახლენისთვის წაართვეს. ამიტომ ქვა წარმოედგინა ურჩხუ-

ლად, რომელიც ყველაფერს სანსლავს. ზღაპრებში არიან ხოლმე მა-
ზაცი და ძლიერი ყმაწვილები, ურჩხულებს რომ კლავენ და მთელ
მხარეს ათავისუფლებენ. ავლუსს კი რატომღაც ეჩვენებოდა, რომ
ამ ქვას ვერაფრით გმირი ვერას დააკლებდა.

ქურუნი სიზენაც კი, ვისაც მთელი სოფელი პატივისცემით ქედს
უხრიდა, ამ ქვას ფეხქვეშ ეგებოდა. ყოველ წელიწადს, ერთსა და
იმავე დროს, სოფლელების პროცესიას გამოუძღვებოდა, ქვის წინ
დაიჩოქებდა. მინდვრის ყვავილების გვირგვინით შეამკობდა და
ზეთს წასცხებდა.

უფრო გვიან ქურუმმა ავლუსს უთხრა, გორაკზე დადებული ეს
ქვა მარტო სამიჯნო სვეტი კი არაა ლუკუმონის სამფლობელოსა და
მამამისის ნაკვეთს შორის, არამედ ღმერთ ტინის წმინდა საგანიაო.

— ტინიმ იგი მაშინ დადო, როცა ადამიანებს მიწები გაუნაწილა
და ეს საზღვრები დაადგინა, — აუხსნა სიზენამ. — ვინც ამ მიწას
დაარღვევს, ნახავს, როგორ მრისხანებასაც დაატეხს თავს ტინი.
ჯერ არავის ასცდენია მისი ელვის მახვილი.

დროდადრო ქვასთან დაკონკილტანსაცმლიანი ადამიანები შე-
ჩერდებოდნენ ხოლმე და ნაღვლიანად გამოხედავდნენ ავლუსის
ქოხს, რომლის ჩალის სახურავიდან ზეცისაკენ მიემართებოდა კვამ-
ლის სვეტი.

მამა ამ ხალხს ლაუტნებს ეძახდა. ისინი ხნავდნენ მიწას, ნამგ-
ლით მკიდნენ თავთავეებს, შემდეგ ცეხავდნენ. მოკლედ, აკეთებდნენ
ყველაფერს, რასაც უბრძანებდნენ. ისინი ლუკუმონის ისეთივე სა-
კუთრება იყვნენ, როგორც ამ ქვის მიღმა გადაშლილი მინდვრები,
გათქეირებული ხარები და ცხვრები, ნაპურალზე რომ მიუშვებდნენ
ხოლმე. ლუკუმონი ქალაქში ცხოვრობდა, მის მიწაზე მოწეული მო-
სავალი კი მის დიდ სახლში მიჰქონდათ, სადაც ლუკუმონი თავის
მეომრებთან ერთად ღრეობაში ატარებდა დროს. ავლუსის მამა ნამ-
ყოფი იყო ქალაქში, ენახა ლუკუმონის სახლი: ისიც ლაუტნებით
არისო სავსე, ეუბნებოდა ავლუსს, მაგრამ იქაური ლაუტნები სრუ-
ლიად არა ჰგვანან აქაურებს. იმათ ლამაზი, ჭრელი ტანსაცმელი და
მოოქრო ხამლები აცვიათ. თითოეულის ტანსაცმელი ერთი კარგი
ხარის ფასი ღირს. ეს ქალაქელი ლაუტნები ლუკუმონს ემსახურე-
ბიან მაგიდასთან და განსასვენებელში. ართობენ ცეკვითა და ფლეი-
ტაზე დაჯრით.

მაგრამ მამას არ შურდა ქალაქელი ლაუტნების ბედი. მას მიწა
უკვარდა და ამაყობდა, რომ ეტერა¹ იყო, თავის მიწას, საკუთარ
ქოხსა და ხარებს ფლობდა. ერთხელ მან ავლუსს უმღერა სოფ-

¹ ეტერა — გლეხი.

ლელ თავგზე. რომელიც დახარბდა ქალაქურ ცხოვრებას და ლუკუ-
მონის მდიდრულ მავიდას. შეიბარა მის სასახლეში, მაგრამ იმავე
დღეს თავგებზე ნადირობაში გაწაფულმა ძაღლებმა ნაკუწ-ნაკუწ
აქციეს.

კლავერნიუსმა ბევრი სიმღერა იცოდა. მას სიმღერები თავის
ბავშვობაში სმენოდა მამისაგან, იმას კიდევ — თავისი მამისგან, ავ-
ლუსის პაპის მამისგან. ერთ-ერთ სიმღერაში ლაპარაკი იყო კეთი-
ლი მეფის სატურნის მეფობაზე, როცა არ არსებობდა ქალაქები,
არც ლუკუმონები იყვნენ, არც მათი მეომრები და არც ლაუტნები.
მიწაც, საქონელიცა და ტყე-ვენახებიც ყველას საკუთრება იყო.
ადამიანებისთვის უცხო იყო შური და მტრობა.

მართალია, სიმღერაში არაფერი იყო ნათქვამი ტინის ქვაზე, მაგ-
რამ ავლუსმა იცოდა, რომ სატურნის დროს სამიჯნო სვეტები არ არ-
სებობდა, და რომ ბორცვზე წამოდგმული ქვაც არაფრით განსხვავ-
დებოდა დანარჩენი ქვებისაგან. სხვა ეტერებივით ავლუსსაც უყვარ-
და ეს სიმღერა, მაგრამ მათ ეშინოდათ ტინისა და მისი ელვის მახვი-
ლისა და ფიქრადაც არ გაივლებდნენ, მის მიერ დამყარებული წეს-
რიგი შეეცვალათ, თუმცა სიმღერებში მაინც სევდით იხსენებდნენ
იმ დროს, როცა ყველაფერი თანაბრად იყო განაწილებული.

სატურნის მეფობის ხსოვნის აღსანიშნავად ყოველწლიურად
სოფლელები სატურნალიის დღესასწაულს მართავდნენ. ორ დღეს
ლაუტნებიც კი თავისუფალნი იყვნენ სამუშაოს და ზედამხედველთა
მეთვალყურეობისაგან. ისინი ეწვეოდნენ ხოლმე ეტერათა ქოხებს,
მათ ყველგან სიხარულით ხვდებოდნენ. მაგრამ ორი დღის შემდეგ
ყველაფერი თავის ადგილს უბრუნდებოდა. ლაუტნებსა და ეტერებს
კვლავ თიშავდა ქვა. ანივით! თითქოს მასაც ორი სახე ჰქონდა — ერ-
თით ლუკუმონის მამულს უყურებოდა. შეორეთი ეტერის ნაკვეთს.

უბედურება ავლუსის ოჯახს მოულოდნელად დაატყდა თავს,
როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. ჯერ იყო და, ხარები ავად
ჯახდნენ — კლავერნიუსმა იცოდა, როგორაც ეწამლა მათთვის. ხის
ჯამში სამი კვინტი მარილი, სამი ცალი დაფნის ფოთოლი. სამი ლე-
რი პრასა, სამი თავი ხახვი, სამი კბილი ნიორი, სამი მარცვალი საკმე-
ველი, სამი ძირი ღვია, ტევანის სამი ფოთოლი, ცერცვის სამი თითარი
პატარა მარცვალი. სამი მიფერფლილი ნაკვერცხალი და სამი საწყაო
ღვინო ერთმანეთში გალესა. სულ თორმეტი შემადგენელი ნაწილი
უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ეტრუსკებში რიცხვი თორმეტი წმინდა

1 ან 0 — ეტრუსკების ღმერთი, რომელიც რომაელთა ორსახოვან ღმერთ იანუსს შეესატყვისებოდა.

რიცხვად ითვლებოდა, როგორც რიცხვი სამი — თითოეული შემადგენელი ნაწილის ზომა.

კლავერნიუსი დღეში სამჯერ ასმევდა ხარებს ამ წამალს, როგორც ამას ჩვეულება უკარნახებდა. თვითონ კი ამ დღეებში არც უნდა ესვა და არც ეკამა. მაგრამ ხარებს ამან ვერ უშველა. მაშინ კლავერნიუსი ადგა და სიზენას სამი თეთრი კრავი მიუყვანა. იმანაც ისინი ცხოველთა მფარველ ღმერთს — სელვანს შესწირა მსხვერპლად.

მთელი ოჯახი, დიდიან-პატარიანად ბოსელში შეკრიბა. ხარებს წყლიანი, ზეთისხილივით აპრიალეზული თვალეები გაფართოებოდათ. ახალთახალ საგებზე იწვნენ და სელვანის წყალობას ელოდნენ. სამსხვერპლოზე დამწვარ შიგნეულობათა სუნი სიამოვნებს სელვანს და იგი უთუოდ ფეხზე დააყენებს ხარებსო. — ფიქრობდნენ. — უუ არა და, ყველას შიმშილი მოგველისო.

მალე კი ხვნა უნდა დაწყებულყო.

ხარებს იმ დღესვე ამოუვიდათ სული. მსხვერპლმაც არ უშველათ. ჯანმრთელი და ღონიერი მამა ბავშვივით ტიროდა.

— რას იზამ, ასეთია სელვანის ნება. — ამშვიდებდა სიზენა.

სიზენას არ აუხსნია მისთვის, რატომ ვერ უშველა ვერაფერი სელვანამ ხარებს. ან იქნებ, ქურუმმა ეს არც იცოდა.

მეორე დღეს, დილით, კლავერნიუსი ქალაქისკენ გაუდგა გზას, ლუკუმონთან. უკან ახალი ხარებით დაბრუნდა. მაგრამ ერთიანად მხრებში მოხრილი და დაბერებული. ხარებში წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებული მიწა მიეცა. ამიერიდან კლავერნიუსი თავისი ყოფილი მიწიდან მოსავლის მხოლოდ ნახევარს აიღებდა.

აელუსი იძულებული იყო, მშობლიური სახლი დაეტოვებინა და ქალაქში წასულიყო სამუშაოს საძებრად.

უკანასკნელი, რაც მან დაინახა, ქვა იყო, ზედამხედველებმა თითქმის მათი ქოხის კარამდე რომ მოათრიეს და ზედ რალაც ამოკვეთეს. აელუსისთვის წერა-კითხვა არავის უსწავლებია, ამიტომ არ იცოდა, რომ ლუკუმონის სახელის საწყისი ასოები დააწერეს ზედ. შორიდან ეს ასოები გაღიმებულ ტუჩებს ჰგავდა, მაგრამ ეს იყო გაუმაძღარი, მოზეიმე ღიმილი გამარჯვებულისა, რომელმაც მიწის კიდევ ერთი ნაკვეთი გადაყლაპა.



გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ უ ლ ი

სატერნას თავი დაეხარა, ხელები ძირს დაეშვა და იჯდა. კაცს ეგონებოდა, მუშტების სიმძიმე ძირს ეწვევოდა სხეულს. სატერნას უყვარდა ასე ჯდომა, ისევე შეეჩვია მას, როგორც ხარაზია შეჩვეული ჩაცუცქულ ჯდომას, მეწვრილმანე — თავზე შემოდგმული ტვირთის ტარებას.

ხელოსანთან შედარებას შეიძლება ვაენაწყენებინა სატერნა, ვინაიდან იგი თავს ხელოვანად თვლიდა, თუმცა ხელოვნების რომელიმე დარგს კი არა, მხოლოდ მძიმე მუშტებს ფლობდა. წარმატება პირველად ათი წლის წინ ესტუმრა, როცა ორივე ბეჭით ხალიჩას გააკრა რომელიმე კლაუზუსი, მეტსახელად „ყოჩი“. მაშინ ცირკმა ისე იღრიალა, თითქოს იგი ადამიანებით კი არა, ციმინის ტყის დათვებით იყო სავსე. სამწუხარო მხოლოდ ის იყო, რომ სატერნას მშობლები ვერ დატკბნენ შვილის დიდების ცქერით — ორივე ერთ დღეს მოკვდა ღვთისგან მოვლენილი ავადმყოფობით.

მას შემდეგ სატერნა ამ ერთადერთი გამარჯვებით სულდგმულობდა. არენაზე მეტად აღარ გამოსულა, აქაოდა ღირსეული მოწინააღმდეგე არა მყავსო. ვილაცამ ურჩია, ყმაწვილების აღზრდას შედგომოდა. ამაზე მან ისე აიქნია ხელი, როგორც აბეზარ ბუზს მოიგერიებენ ხოლმე. ვინ იცის, იქნებ ეშინოდა, ახალბედა ყმაწვილებმა არ დაჩრდილონ ჩემი დიდებაო. ან იქნებ ზარმაცი იყო და თავისი სახლის წინ ჯდომასა და გამეღელთა აღტაცებულ შემოხედვას შეეჩვია?

სატერნას ერთი ძმა ჰყავდა, ვულკა ერქვა. ბუნებას ძალ-ლონით არ დაეჯილდოებინა იგი; გამხდარი, ფერმკრთალი, თვალებანთებული ბიჭი თავისი კუნთმაგარი ძმის სრულიად საწინააღმდეგო ტიპი იყო. ყმაწვილობიდანვე იტაცებდა ვულკას ძერწვა. მეტად მარჯვედ ძერწავდა თიხიდან ადამიანისა და ცხოველების პატარა-პატარა ფიგურებს და შერე ლებავდა მათ. ამ გასართობს მაშინაც არ დაანება თავი, როცა უკვე მამაკაცის ტოგა ჩაიცვა.

— შენ მე თავსა მკრი, — უჯავრდებოდა სატერნა. — ნახე, რას ჰკავებარ! ხელები თიხითა გაქვს მოსვრილი, თმა კი საღებავით მოთხუპნული, თითქოს მეთუნე იყო, ანდა ქვისმთლელი!

ვულკა წყნარად უსმენდა უფროსი ძმის საყვედურებს, მხოლოდ ანთებულ თვალებზე თუ შეეტყობდით, რომ სატერნას სიტყვები ძალიან სწყინდა.

ერთხელაც ვულკამ სატერნას უთხრა:

— ჩემო ძამიკო! ზოგისთვის ღმერთს ასპარეზზე ბრძოლა მიუკუთვნებია, ზოგისთვის რკინის ქედვა, ზოგისათვის კი — ცხოველების შიგნეულობით მკითხაობა. მე არც მოქიდავე შემიძლია ვიყო, არც მქედელი და არც ჰარუსპეკსი. მაგრამ თითებში რაღაც გაურკვეველ ძალას ვგრძნობ. იგი ჩემდაუნებურად მაიძულებს, თიხა ვზილო და ადამიანებისა და ცხოველების მსგავსი ფიგურები გამოვძირო. თუ შენ ფიქრობ, რომ ამით შენს სახელს ჩრდილს ვაყენებ, სულაც მოგშორდები. ოღონდ ნება დამრთე, წასვლამდე შენი მსგავსი ფიგურა გამოვძირო. მე მას უცხო მხარეში წავიღებ, რომ ყოველთვის მახსოვდე.

— ნებას გაძლევ! — გამოსცრა კბილებში სატერნამ.

გამარჯვებულმა თავისი საყვარელი პოზა დაიკავა და ვულკაც საქმეს შეუდგა. სატერნასთვის სულ ერთი იყო, გამოუვიდოდა ვულკას ქანდაკება, თუ არა. ზედაც არ შეხედა, თუნდაც უბრალო ადამიანური ცნობისმოყვარეობის გამო.

ვულკა წავიდა და თან წაიღო ქანდაკებაც, სახლი და ვენახი კი ძმას დაუტოვა. დიდხანს არაფერი იცოდა სატერნამ ძმაზე, ისე რომ, ბოლოს კიდევ დაავიწყდა, რომ ძმა ჰყავდა.

იგი ძველებურად იჭდა სახლის წინ, მაგრამ ახლა ადამიანები აღარ ჩერდებოდნენ მის შესათვალეებლად. ბევრს აღარც ახსოვდა, რომ მან „ყოჩი“ დაამარცხა. კიდევ რომ ეთქვა ეს ვინმეს, არც დაიჯერებდნენ — დრომ და უსაქმობამ სატერნას ძალა გამოუღია და მხოლოდ მედიდურობა შერჩა.

მაგრამ უეცრად სატერნა ისევ ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ხან ვინ შეჩერდებოდა მისი სახლის წინ და ხან ვინ. კითხულობდნენ:

— ერთი მითხარი, შენ ძმა ხომ არა გყავს, რომელსაც ვულკა ჰქვია?

— ოჰ, ის გალეული, ისა! — სიტყვას ბანზე აგდებდა სატერნა.

„ვინ იცის, იქნებ ვულკამ მისთვის ჩვეული წინდაუხედაობით რაიმე ისეთი ჩაიდინა, რისთვისაც მე პასუხი უნდა ვაგო“, — ფიქრობდა იგი.

მისვლა-მოსვლასა და შეკითხვებს კი ბოლო არ უჩანდა. ახლა უკვე სხვაგვარად ეკითხებოდნენ:

— შენ სახელგანთქმული ვულკას ძმა ხომ არა ხარ?

ყველაფერმა ამან ისე მოაბეზრა სატერნას თავი, რომ ბოლოს, ვიდრე ერთ-ერთი გამვლელი საკითხავად პირს გააღებდა, სატერნამ უყვირა:

— არა მყავს ძმა. არა!

კიდევ კარგა დრომ განვლო. ერთმა ნაბდისქუდიანმა კაცმა, რომელსაც მთლად მტვერში ამოგანგლული წამოსასხამი ემოსა, სატერნას ყვირილზე სევდიანად უპასუხა:

— მართალი ხარ, შენ ძმა არა გყავს.

სატერნა მიხვდა, რომ ვულკა ბოკვდა. სხვა მის ადგილას იტირებდა, თუნდაც იმიტომ, რომ თავისი თავი შეეებრალებოდა. ძნელია მართო ცხოვრება ამქვეყნად! მაგრამ სატერნას ოდნავადაც არ შენამეია თვალები. მისი აზრით, გამარჯვებულს ცრემლი არ შევნოდა.

მაგრამ საოცარია! ვულკას სიკვდილის შემდეგ სატერნასადმი ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა. დღე ისე არ გავიდოდა, მისი სახლის წინ ვინმე არ შეჩერებულყო. ხშირად გამვლელთა შორის კამათიც იმართებოდა. ერთნი ამბობდნენ:

— გასაოცარი მსგავსებაა!

მეორენი ჭიუტობდნენ:

— ვერაფრითარ საერთოს ვერა ვხედავ!

სატერნას ეგონა, ძმას თუ მამსგავსებენო. ამიტომ მას იმათი მხარე ეჭირა, ვინც მსგავსებას უარყოფდა. კაცი ჰკუთნებდა არ უნდა იყოს, რომ ის — გამარჯვებული — გაღეულ ვულკას მიამსგავსოს.

მაგრამ გამოიკვია, რომ ძმებს კი არ ადარებდნენ ერთმანეთს, არამედ სატერნასა და ვულკას მიერ გამოძერწილ კერპს. კერპი ვეიში იღვა და თურმე საიდან არ ჩადიოდა ხალხი მის სანახავად.

ამაზე მეტად კაცი ვერაფრით აწყენინებდა სატერნას. „ვულკა ცოცხალი აღარ არის, მისი დაწყევლილი კერპი კი დიდებაში მეცილებს. ამაზე მეტი უსამართლობა იქნება?“ — ფიქრობდა სატერნა.

*

იმ დღეს უნის ტაძრის პორტიკში, სადაც გამარჯვებულის ქანდაკება იდგა, კაციშვილი არ ჰაჰანებდა. ვულკას ტალანტის თაყვანისმცემლები ერთიანად რომში გაკრეფილიყვნენ. კაპიტოლიუმის ტაძარი უნდა ეკურთხებინათ. ტაძრის ფრონტონზე კვადრიგა იდგა. ამბობდნენ, მსგავსი საოცრება ჯერ ადამიანის თვალს არ უნახავსო. ცხენები კაცს ცოცხალი ეგონებოდა! ძნელად დასაჯერებელი იყო, რომ ისინი თიხისაგან გამოძერწა ადამიანის ხელმა.

სატერნა პორტიკში შევიდა და კერპს მიაცქერდა.

„ეს ხომ ჩემი ჩვეული პოზაა, — გაიფიქრა მან. — კუნთები ბურთებივითაა. მაგრამ არა, ეს მე არა ვარ. კერპს თავი უკან გადაუგდია. ასეთი იყო ვულკა შინიდან წასვლის წინ. კაცი იფიქრებს, გამარჯვებულნი ის არის, და არა მე.“

უეცრად სატერნამ შეამჩნია, რომ კერპი უღიმოდა. მას რომ ვულკას სხვა ქანდაკებები ჰქონოდა ნანახი. ეს ღიმილი არ გააკვირვებდა. იღუმალი ღიმილი დასთამაშებს სახეზე ქურდებისა და ვაჭრების ღმერთს ტურმსს, იღიმის აფლუც, მზისა და მუსიკის ღმერთი. მაგრამ სატერნამ ეს არ იცოდა და მოეჩვენა, რომ კერპი ასე ამპარტავნულად და ზიზლით მას უღიმოდა. გალუულ ვულკას მისი ღიღება შურდა.

— კიდევაც იღიმები?! — შესძახა რეგვენმა და მიიმე მუშტო თავში ჩასცხო ქანდაკებას. ეს დარტყმა სწორედ იმ ძველი სატერნას ღონის შესაფერისი იყო. მაგრამ ცეცხლში გამოშწვარმა თიხამ გაუძლო დარტყმას. ქანდაკებას ლოყებზე წურწურით ჩამოუვიდა სატერნას სისხლი, მაგრამ ბაგეზე დამცინავი ღიმილი მაინც არ მოშორებოდა.



ტ ა ნ ა კ ვ ი ლ ი

მიღეთურ შალზე უკეთესს ვერსად ნახავთ. უხორკლო და ბრჭყვიალა, მზის სხივებისაგან მოქსოვილი გეგონებთ, მაგრამ აჭაიჭ მაინც შეხვდებით წუნს. ვინ იცის, იქნებ ფეიქარ ქალს თვალი გაუშტერდა და ძაფი გაეჭვა. ადამიანის ბედისწერის მოქსოველ პარკებსაც ჩვეულებრივი მოკვდავივით შეიძლება შეეშალოთ და ქალის სხეულს მამაკაცის სული შთაბერონ.

ტანაკვილის მნახველი ვერ იფიქრებდა, რომ იგი ქალად იყო გაჩენილი. უშიშრად და დაუღალავად დააქენებდა ცხენს, ვერც ერთი ტარკვინიელი მამაკაცი ვერ აჯობებდა სიმარდეში. ორმოც ნაბიჯზე შეეძლო ისარი გაეძვრინა ოქროს ბეჭედში, რომელიც თექვსმეტი წლის შესრულების აღსანიშნავად აჩუქა მამამ. რა თქმა უნდა, მამას

აზრადაც არ მოსვლია. რომ მისი საჩუქარი სამიზნე გახდებოდა. იმე-
დი ჰქონდა, თავის ერთადერთ ქალიშვილს სამკაულებიდან სიყვარულს
გაუღვიძებდა. მაგრამ ტანაკვილს დაქვიშული მშვილდი ყვე-
ლაზე ძვირფასი სამაჯურს და ბეჭედს ერჩია.

ტარკვინიაში უკვე ყველანი შესჩვეოდნენ გოგონას უცნაურ მიდ-
რეკილებებს, მაგრამ მან ისინიც კი გააოცა, ვინაც კარგად იცნობდა.

ერთ უღრან ტყეში, სადაც გამოცდილი მონადირეებიც კი შიშით
შედიოდნენ, მაღალი ფიჭვი ხარობდა. დედა არწივსაც იგი აერჩია
თავის საბუდრად. ფიჭვის წვეროდან მის თვალს ვერ გამოეპარებო-
და ვერც ერთი ტყის ბინადარი. ყველას აკანკალებდა მისი ბასრი
ნისკარტის გახსენებაზე. ქვასავით დაეშვებოდა ძირს დედა არწივი,
დაავლებდა ბრჭყალებს თავის მსხვერპლს და ზეაიტაცებდა. იგი არც
კრავებს ინდობდა. მახლობელი სოფლების საფრინველეები ხომ
მთლად გაანადგურა. სოფლელები არწივს ტყეთა დედოფალს ეძახდ-
ნენ და მასზე ხელის აღმართვას გულშიაც ვერ გაივლებდნენ. ერ-
ჩიათ, მსხვერპლი შეეწირათ ჯოგების მფარველ ღმერთ სელვანიისა-
დმი. დედა არწივზე კი რაღას არ ჰყვებოდნენ, ტყუილსა თუ მარ-
თალს, ოღონდ თავიანთი სიმხდალე გაემართლებინათ.

ტანაკვილი ზიზლით აიბზუებდა ხოლმე თავის თხელ ტუჩებს,
როცა ტყეთა დედოფლის მოგონილსა თუ ნამდვილ გმირობათა ამ-
ბავს ისმენდა. ალბათ არ მოსწონდა, დედოფალს რომ ფრინველს
ეძახდნენ და არა მას. ჰოდა, ტანაკვილმა ისეთი რამ განიზრახა, რა-
საც მის გარდა ვერავინ წარმოიდგენდა.

ტანაკვილი სახლიდან ღამით გავიდა, როცა მხოლოდ მხეცები
გამოდინან სანადიროდ თავიანთი ბუნაგებიდან. ის იყო ირიკრაქა,
რომ იგი უკვე ფიჭვთან იყო, თავი აეწია და თვალს ადევნებდა თა-
ვის მოქიშპეს. ტანაკვილის მახვილ ყურს მისწვდა ყიპყიპ-წრიპინი.
ეტყობოდა, დედა არწივი ბრჭყალებით ნადავლს წიწქინიდა და მარ-
თვებს უნაწილებდა.

ქალიშვილმა დანა კბილებით დაიჭირა და ხეზე აცოცება დაიწყო.
მიწის ახლოს ფიჭვს ტოტები არ ჰქონდა და ასვლა გაუჭირდა, მაგ-
რამ მაღლა-მაღლა ხის მსხვილ ტოტებს მოეკიდა და უფრო სწრა-
ფად განაგრძო ცოცვა.

დედა არწივმა მალე შენიშნა საფრთხე. ფრთები გაშალა და ხის
ირგვლივ ირაოს შემოვლა დაიწყო. ტანაკვილმა დანა ახლა ხელში
დაიჭირა. ძალები აშკარად უთანასწორო იყო. დედა არწივს ნისკარ-
ტი და ბასრი კლანკები ჰქონდა, თანაც თავის სტიქიაში იყო.

ტანაკვილს კი მხოლოდ ცალი ხელით შეეძლო ბრძოლა და სულ იმის: ზეშში უნდა ყოფილიყო, არ ჩამოვევარდეთო. და მაინც ტანაკვილმა აჯობა.

ის იყო დედა-არწივმა მკერდში კლანჭები ჩაასო ტანაკვილს, რომ გოგონამ ზუსტად თვალბეშუა ჩაჰკრა დანა. მერე დანას ხელი უშვა და ყელში ეცა ფრინველს. მანამ არ გაუშვა, ვიდრე საშინელი ნისკარტი არ გაიხსნა და ხრინწიან კენესას თან არ გაჰყვა იმის სული, ვისაც ტყეთა დედოფალი ერქვა.

ტანაკვილსაც თვალთ დაუბნელდა. კრილობებიდან თქრიალით სდიოდა სისხლი, მაგრამ მაინც ძალა მოიკრიბა, ბუდემდე აცოცდა და ჭერ კიდევ ყვითელი ღინღლით შემოსილი მართვე ამოიყვანა.

გოგონას სამუდამოდ დააჩნდა მკერდზე რამდენიმე საშინელი ნაჰრილობევი, მაგრამ ამ კრილობებზე უფრო მეტად თვით გაბედული ქალიშვილის სახელი აფრთხობდა მისი ხელის მაძიებლებს. ვინ ინდომებდა, სახლში ნაზი და მოსიყვარულე მეუღლის ნაცვლად ფურია და ამორძალი ჰყოლოდა?

იმის იმედით, იქნებ გათხოვებამ მოარჯულოსო, ტანაკვილს მამა მზითვად აძლევდა სახლსა და მიწის ნაკვეთს, მაგრამ ამასაც არავინ დახარბდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ტანაკვილმა თვითონ იბოვა თავისი საქმრო. მისი რჩეული იყო ბერძენ დემარატოსის ვაჟი ლუციუსი.

ეტრუსკებს, საერთოდ, ბერძნები არ უყვარდათ, ლუციუსი კი ნახევრად ბერძენი და ნახევრად ეტრუსკი, ამავე დროს, ნაზი აგებულებისა და მფრთხალიც იყო. მამლების ჩხუბის ცქერასაც თავს არიდებდა. გლადიატორების ბრძოლის ცქერას გრაგნილების კითხვას ამჯობინებდა. მონებიც კი, ბატონების წინაშე რომ კანკალებდნენ, თავხედურად ექცეოდნენ.

ყველასათვის საიდუმლოდ დარჩა, რად მოუვიდა თვალში ტანაკვილს ლუციუსი? იქნებ ძლიერ და გაბედულ ქალიშვილს მისი ღმობიერი და მოკრძალებული ხასიათი მოეწონა? ან იქნებ ისეთი ქმარი სურდა ჰყოლოდა, რომელსაც მონასავით მოიხმარდა?

ქორწილის შემდეგაც არ უღალატა ტანაკვილმა თავის ჩვიულბებს. ნახევარ ღღეს ცხენოსნობით, დანარჩენ დროს კი არწივის მართვეთი ერთობოდა. ლუციუსი მხარს ჯერ უბამდა მეუღლეს არაქალურ გართობებში. სიმამრის ნაჩუქარმა წყნარმა ცხენმაც კი არ მიიკარა იგი. ცხოველები გრძნობენ ადამიანთა სისუსტეს და ამით სარგებლობენ. რაც შეეხება მართვეს, ლუციუსს გული ერეოდა, როცა ხედავდა, როგორ გლეჯდა იგი სისხლიან ხორცს.

ტანაკვილს არ აწუხებდა მართობა, იქნებ ამის მიზეზი მტაცე-

ბელი ფრინველი იყო, რომელიც მას ძლიერ ართობდა, იგი სიამოვნებით აჭმევდა მას საკუთარი ხელით და აკვირდებოდა, როგორ ენარცებოდა ფრინველი, როცა აფრენას ცდილობდა.

— სულელო! ჯერ ადრეა! ჯერ ფრთები არ გაგზრდია, — ეუბნებოდა ქალი.

როცა მართვე წამოიზარდა, ფრთებს შეუკრავდა ხოლმე თა ტყეში მიჰყავდა. არავინ იცოდა, რას აკეთებდა იგი იქ. მხოლოდ მოხუცმა მწყემსმა დაინახა ერთხელ ტანაკვილი თავზე შემოსმულ მართვეთი. ამას ძნელად თუ დაიჯერებდა ვინმე, ვინაიდან ვერც ერთ მონადირეს ჯერ არწივის თავზე შემოსმა ვერ მოეხერხებინა. შავარდენი სხვაა. მისი გაწვერთნა უფრო ადვილია.

ტანაკვილს გრძელი შავი ნაწნავები ჰქონდა. ყოველი ქალი იამაყებდა ასეთი თმით. მაგრამ მან რატომღაც შეიქრა თმა და რაღაც უშნო ნაბდის ქუდს ატარებდა. ლუციუსის ადგილას სხვა ქმარი აღშფოთდებოდა, ვინაიდან ქალის მშვენება თმაა. მაგრამ ლუციუსი ამას, მგონი, ვერც ამჩნევდა.

ტანაკვილის ახირებებს კი დასასრული არ უჩანდა. უცბად რატომღაც შეჩაერდა ტარკვინი, სადაც მან ბავშვობა და ახალგაზრდობა გაატარა. ლუციუსს დაუჩემმა, რომში გადავსახლდეთო. ენამჟვერად. რაც აქამდე მისთვის არ შეემჩნიათ, იგი ლუციუსს აღუწერდა ამ უპირატესობას, რასაც რომაელები ფლობენ:

— აქ შენ დევნილის შვილი ხარ. ამიტომ აქაურ მოქალაქეთაგან სიკეთეს ნუ ელი. რომში კი ყველანი დევნილთა შვილები არიან, ვინაიდან ეს ქალაქი მოხეტიალეთა და დევნილთა მიერაა აშენებული.

ქალთან კამათი ძნელია. შეიძლება ზღვასავით უცებ აღელდეს, მისი ჰკუთისას რას გაიგებ. ხოლო თუ ამ ქალს ნებისყოფაც მტკიცე აქვს, ჯობია. დამორჩილდე, თუ გინდა უბედურებას არ გადაეყარო. ეს სიბრძნე ლუციუსმა კარგად შეითვისა. რაკი რომში უნდა წასვლა, წავიდეთ!

სახლიცა და მიწაც მალე გაყიდეს, ოქრო-ვერცხლი ჩაალაგეს, მონები ოთხ-ოთხად დააწყვეს და იდაყვებით ერთმანეთს გადააბეს. ოთხთვალაზე ლუციუსი დაჯდა.

საბრალო ქმარი! ტანაკვილმა თავზე მას თავისი ჩაჩი დაახურა, ბოსტნის საფრთხობელას რომ უფრო შეშვენოდა, ვიდრე ისეთ საპატიო ადამიანს, როგორიც ლუციუსი იყო. ჩაჩი ერთიანად, თითქოს განზრახ, დახვრეტილი იყო. ესეც არ იკმარა ტანაკვილმა და ქმარი დააფიცა, რომში ჩასვლამდე ჩაჩი არ მოიხადო. ლუციუსი

ამჯერადაც დამორჩილდა თავის მბრძანებელს. თვითონ ტანაკვილმა კი არ ისურვა ქმრის გვერდით ოთხთვალაზე ჯდომა, — ცხენი უკვე ფლოქვებს სცემდა მიწას და მას ელოდა. ტანაკვილი მოევლო ცენს, ქმარს გადმოსძახა: „ტყეს დავემშვიდობებო!“ — და გაჰქუსლა. შემდეგ იგი დროდადრო ხან გამოჩნდებოდა. ხან ისევ გაქრებოდა. მხოლოდ მაშინ, როცა იანიკულუმის მადლობიდან ტიბრი და მისი მარცხენა ნაპირი გამოჩნდა, ტანაკვილი ქმარს მოუჭდა გვერდით. ტუჩები უთრთოდა, თვალები ციებიაწივით უელავდა, ერთი სიტყვით, მთელი მისი გარეგნობა უჩვეულო მღვლევარებას გამოხატავდა. ლუციუსმა 'ეს მიაწერა ქალაქის გამოჩენას. რომელიც მათი მეორე სამშობლო უნდა გამხდარიყო.

იმ დღეს ტიბრის ნაპირზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ოთხთვალეების, მდიდრულად ჩაცმული ადამიანების და დაბორკილი მონების გამოჩენა შეუშინეველი არ დარჩენიათ. ერთი შეხედვითვე ეტყობოდათ, რომ მდიდარი ეტრუსკი იმედოვნებდა რომში ეპოვა ის, რაც თავის სამშობლოში ვერ ეპოვა. ეს ქალი კი, უეჭველია, მისი ცოლი იქნება! რა საოცარი სახე აქვს, თმაც ისე არა აქვს შეკრებილი, როგორც სხვებს!

რატომ იმზირება მაღლა? რამ მიიჭვია მისი ყურადღება? არწივ-მა? ღიას. არწივმა. ნეტა რას უთვალთვალეს იგი?

— შეხეთ, შეხეთ! — გაისმა ხმები აქეთ-იქიდან.

არწივი ქეასავით წამოვიდა ძირს. მაგრამ კურღლელმა ანდა კრავ-მა როდი მიიხიდა იგი. პირდაპირ ეტრუსკის თავზე დაფრინდა და მისი ქუდი აიტაცა. აი, სასწაული!

ვიდრე რომაელები გაკვირვებისაგან პირდაღებულნი იდგნენ. ტანაკვილი მუხლებზე დაეშვა თავისი მეუღლის წინ.

— ჩემო მეუღლევ და მბრძანებელო! — თქვა მან. — ტინიმ შენ მეფედ ავირჩია!



იღბლიანი კუნძულები

ორი სურთა წინ და ორიც — უკან, — დღენიდავ ამ მანძილს უკ-
მოსწერდა მარკუსის ნიჩაბი და მენიჩბის სიცოცხლის ჯაჭვიც მთლი-

ანად ამგვარი რგოლებისაგან შედგებოდა. ხოლო როდის და როგორ გაწყდებოდა ეს ჯაჭვი, მხოლოდ უკვდავმა ღმერთებმა იცოდნენ. ჩაძირულ ხომალდთან ერთად, თუ მაშინ, როცა დაუძლურებულ ხელებს ტკივილის შეგრძნებაც აღარ ექნებოდა?

მაგრამ ვიდრე ნიჩაბი ჯერ ხელთ უპყრია და ჩვეულ მოძრაობას ასრულებს — ორი წყრთა წინ, ორი — უკან, — ბედისწერისგან რგუნებული ნიჩბის გარდა სასწაულის რწმენაც გააჩნდა. ხომ ხდება ხოლმე სასწაულები როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაზე!

მარკუსი ხშირად იხსენებდა, როგორ მოინდომეს ერთხელ მეკობრეებმა მომღერალ არიონის გაძარცვა. თავის მშობლიურ ქალაქში რომ ბრუნდებოდა, და უბრძანეს, ხომალდიდან გადამხტარიყო. არიონმა კი ითხოვა, სიკვდილის წინ მამღერეთო. მისი სიმღერით მოხიბლულმა დელფინმა მომღერალი ზურგზე შეისვა და ნაპირზე გაიყვანა.

მარკუსი ჩააშტერდებოდა ხოლმე ტალღებს, იქნებ ჩემი მხსნელი ვიპოვო. ხანდახან ფარფლის წვეტიანი ბოლო გამოჩნდებოდა. დელფინები გარს უვლიდნენ ხომალდს, მაგრამ მარკუსთან და მის ტანჯვასთან არაფერი ესაქმებოდათ. შესაძლოა, დელფინებმა იცოდნენ, რომ ნიჩაბზე ჯაჭვით მიბმულ ადამიანს ვერაფრით უშველიდნენ.

ახლა სხვა ამბავი ახსენდებოდა მარკუსს, როგორ შეიპყრეს მეკობრეებმა ერთი ქირვეული ვაჭარი. მათ იგი ანძაზე მიაბეს და დაემუქრნენ, უწყლოდ სულს ამოგხდიოთ, თუ არ იტყვი, სად გადამალე საგანძურიო. უეცრად ანძას ვაჭის ლერწები შემოეხვია და ზედ მწიფე-მწიფე მტევნები დაეკიდა. თავზარდაცემული მეკობრეები პანტა-პუნტით გადაცვიდნენ ზღვაში. ერთნი ამბობდნენ, თითქოს ეს კაცი ვაჭარი კი არა, დიონისე იყო, რომელსაც ჩვეულებრივი მოკვდავის სახე მიეღო. სხვანი ამტკიცებდნენ, ტყვეს ისეთი ძლიერი გამოხედვაც ჰქონდა, შეეძლო აეძულებინა სხვები, არარსებული დაენახათო.

მარკუსი ასეთი სიძლიერის მზერას არ ფლობდა, მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, რა თავში იხლიდა მას? იგი ვერასოდეს თვალში თვალს ვერ გაუყრიდა მეკობრეებს. როგორ მოეხერხებინა ზედა გემბანზე ასვლა, საიდანაც ფეხის ხმა და ლანძღვა-გინება ისმოდა? მარცხნივ კედელი იყო, წინ — მენიჩბის გაოფლილი კეფა, მარჯვნივ — ზღვა.

ოჰ, ნეტავი ფრინველივით მსუბუქი იყოს და ზღვის ტალღებზე გაეღა შეეძლოს!

ამაზე მარტო ოცნება შეიძლებოდა, დახუკავდა თვალებს და ტალღებზე მორბენალ თავის თავს წაოძოიღკესდა. მაგრამ მათრახის სიმწარე მას ისევ სკამს უბრუნებდა და ხელები კვლავ ჩვეულ მოძრაობას ასრულებდნენ — ორი წყრთა წინ, ორი — უკან.

სასწაული კი მაინც მოველინა მარკუსს. ალბათ იმიტომ, რომ ასე ძალიან სჯეროდა მისი და ელოდა. მესინას სრუტესთან მეკობრეთა ხომალდს ორი სწრაფმავალი ტრიერი აედევნა. ისინი კვალდაკვალ მოსდევდნენ ხომალდს, როგორც მწვერები მისდევენ ხოლმე ზრდასრულ. ვეება მგელს და საცაა ყელში უნდა სწვდნენ მას. მარკუსის მთელი არსება მდევართა მხარეზე იყო. თვალებით აჩქარებდა და ამხნევებდა მათ, მაგრამ ხელები ძველებურად ჩვეულ მოძრაობას ასრულებდნენ — ორი წყრთა წინ, ორი — უკან.

და იმ დროს, როცა მესაქემ მკვეთრად მოაბრუნა ხომალდი მდევნელთაგან თავის დასაღწევად, მარკუსმა თავის ნიჩბიანად ზღვაში ანოცა თავი.

თითქოს დიდი ხნის ძილისაგან გამოფხიზლდამო, საგნებს გარკვევით ვერ ხედავდა. ძლიერ დაქიმული იალქნის ნაკერი თითქოს უღიმისო. ან იქნებ მას იალქანიც უღიმოდა, ზეცაც და ზღვაც, რომელიც ოღნავ ლივლივებდა.

კიდევ რამდენიმე წამიც და თვალთაგან ბურუსიც გადაეწმინდა. მარკუსი გემბანზე იწვა. ხელები თავისუფალი ჰქონდა. ვილაც წვეროსანი მამაკაცი თავს დასცქეროდა. მარკუსმა კარგად გაარჩია ნაოქები მზემოკიდებულ შუბლზე, მარჯვენა ლოყაზე ხალი, ლუქანის მსხალივით ცხვირი და სქელი, ქარდაკრული ტუჩები.

— ბედმა გაგიღმა, ყმაწვილო! — მოესმა მარკუსს ხმა.

ეს სიტყვები მარკუსს ეკუთვნოდა, მაგრამ მან მაინც უნებურად იქაურობა მოათვალიერა, თითქოს თვალებით სხვას ეძებსო.

— ზღვაში რომ არ გადამხტარაყავი. თევზების კერძი შეიქნებოდი დანარჩენებივით, — განაგრძობდა უცნობი. — თანაც შენი ჯაქვი ღუნას გამოედო და ფსკერისაკენ აღარ წახვედი, გეტყობა. ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ დაბადებული!

მწარე ღიმილმა გადაურბინა მარკუსს ტუჩებზე. რაც თაღი ახსოვს, უბედურება განუწყვეტლივ თან სდევდა მას, როგორც კრაზანები გამწარებულ ჯავლაგ ცხენს, და უნდოდა, რაც შეიძლება მწარედ დაეკბინა. რა ხელობა არ გამოიცვალა, რა საქმეს არ მოეკიდა! ამოდ. ვენახი მუხლუხებმა გადაუხრეს, თითქოს მისი ვენახის ფოთლები ან ნაყოფი მეზობლებისაზე უფრო გემრიელი ყოფილიყო. ცხვრებს ყოველთვის ან მგლები უგლეჯდნენ, ანდა სენით ეხოცებო-

და. ვაზაფხულზე მოდიდებულმა ტიბრმა კი მისი სახლი წალეკა. მენარდებში, ვისთანაც კი საქმე დაიჭირა, ყველა ქურდი და არამზადა გამოდგა.

ბოლოს ყველაზე მახლობელმა ადამიანებმაც კი მიატოვეს იგი, რაკი შეატყვეს, ეს კაცი უბედურ ფეხზეა დაბადებულიო. ურჩიეს, ზღვაზე ვაქრობისთვის მოეკიდა ხელი და სიცილიისკენ გაუყენეს გზას, მაგრამ პირველივე ცურვის დროს ყველაზე სასტიკ მეკობრეებს ჩაუვარდა ხელში.

მარკუსმა უნდოდ შეხედა წვეროსანს. ვინ არის, რა კაცია? ეტყობა, ბერძენია, მაგრამ განა ტირენიის ზღვაში ცოტაა ბერძენი მეკობრენი? ალბათ იმიტომ გადაარჩინეს, რომ უახლოეს ბაზარზე გაყიდონ. ან იქნებ, გამოსასყიდი უნდათ მიიღონ?

წვეროსანი თითქოს მიუხედა მარკუსს ნაფიქრალს.

— ნურაფრისა გეშინია, — უთხრა ტკბილად. — შენი არაფერი გვინდა.

არა, მარკუსს ვერ გააცურებთ! ეგ არის, დაიჭერებს, თითქოს ქვეყნად იყვნენ ისეთი გულკეთილი ადამიანები, გაპირებულს დახმარების ხელს რომ უწყდინან უანგაროდ. ყველა, ვინც კი ღღემდე შეხვევდროდა, მხოლოდ გამორჩენაზე ფიქრობდა და სხვისი უბედურებით სარგებლობდა. მუხლუხებისგან დაქმული ვენახი მეზობლებმა ნახევარ ფასად იყიდეს. იცოდნენ, მარკუსს ფული სჭირდებოდა მევახშის ვალის გადასახდელად და ახალ მოსავალს ვერ დაელოდებოდა. ტიბრისაგან წალეკილი სახლის ნარჩენებიც კი ჯერსად ნახა — ისიც მეზობლებმა დაიტაცეს. იმ კაცსაც, მარკუსს ზღვაზე ვაჭრობა რომ ურჩია, თავისი ანგარიშები ჰქონდა. მარკუსის ქონებაზე ეჭირა თვალი, თავისი გახვრეტილი ნავი სამმაგ ფასში მიჰყიდა და ისეთ ადგილებში გაზავნა, სადაც მეკობრეები დათარეშობდნენ. მეკობრენიც მარკუსივით რასენები იყვნენ, ერთი სისხლისა და ერთი ენის ადამიანები. რაკი გაიგეს, მარკუსს გამოსასყიდი ფული არა ჰქონდა. ადგნენ და ნიჩაბს მიაჯაჰვეს.

„ამ ბერძენმა არ იცის, ვინა ვარ, — ტანჯავდა ფიქრი მარკუსს. — საკმარისია, ხმა ამოვიღო. რომ მიხვდეს, მეკობრეებივით მეც რასენა ვარ. მაშინ კი წასულია ჩემი საქმე.“

უცნობმა ამჭერადაც დაამშვიდა მარკუსი.

— ნუ ჩქარობ, ძალ-ღონე დაზოგე, მერე მომიყევი ყველაფერი, — ეუბნებოდა ალერსიანად. — თუშეცა, რა უნდა მითხრა? შენი ზურგი და მხრები ყველაფერს ღალადებენ. მაგრამ, ნუ გეშინია. გაგივლის. შენზე უარესებიც დაგვიყენებია ფეხზე. ჩვენში, ლიპარის

კუნძულებზე, ისეთი ცხელი წყაროები ამოასჩქედს, რომ ჭრილობები თვალდათვალ შუშდება.

ასე გაიგო მარკუსმა, რომ მისი მხსნელი ლიპარელი იყო. მას გაგონილი ჰქონდა ამ კუნძულების არსებობა ერთი მექოთნე ბერძნისაგან. ბერძენი ხის ბორბალს ატრიალებდა და თან დაძლიინებდა ხოლმე. როგორც ჩანს. სიმღერა მუშაობაში ეხმარებოდა, ისე, როგორც გულის წამლები სიმღერა ეხმარება მენიხტეებს. მარკუსი მაშინ პატარა ბიჭი იყო და ხედავდა. უფორმო თიხა ამ მბრუნავ წრეზე როგორ იქცეოდა ამფორად, კილიკად. თასებად, თან ბერძნულ სიმღერას უსმენდა. სიმღერაში ლაპარაკი იყო ცალთვალა გოლიათების დაუჭერებელ, მოკოროილ ამბებზე, კლდეებს რომ ისროდნენ. ჯადოქარ ქალებზე, რომლებიც მეზღვაურებს ღორებად აქცევდნენ, და ჯადოქარ კაცებზე, ტომრები რომ ქარებით ჰქონდათ საცხე. მარკუსი დაინტერესდა, ვინ შეთხოვო ეს ტყუილები. როცა გაიგო, მათი ავტორი ბრმა მომღერალი ჰომეროსი იყო, აღარაფერი გაჰკვირვებია. „ასეც ვფიქრობდი, — უთხრა მექოთნეს, — მხოლოდ ბრმას შეუძლია აღწეროს ის, რასაც თვალხილული ვერ ხედავდაო“. ბერძენს გული მოუვიდა. წრე გააჩერა და მტკიცება დაუწყო, რომ ჰომეროსი არასოდეს არაფერში შემცდარა. რომ, მართალია. იგი ბრმა იყო. მაგრამ ღმერთებმა შინაგანი ხედვით დააჯილდოვეს და დაუნახავი არაფერი დარჩენიაო. სწორედ მაშინ გაახსენდა მეთუნეს ლიპარის კუნძულები. როცა ტომარაში დამალული ქარების ამბავს ჰყვებოდა. მას მხედველობაში ჰქონდა ამ კუნძულებზე არსებული ცეცხლისმურქვეველი მთები. იმის მიხედვით, თუ საით იყო მიმართული ცეცხლის ალი, მეზღვაური იგებს, რომელ მხარეს ქრის ქარი და ქარიშხალი იქნება თუ არა. ამგვარი ახსნა მარკუსს მოგონილი ეჩვენა, მაგრამ მეთუნეს აღარ შეკამათებია. რადგან გარდაცვლილი მამის დაროგება გაახსენდა — აკვიატებული აზრების მქონეთ არ ეკამათებიაო.

ასე გაიგო პირველად მარკუსმა ლიპარების არსებობა. ახლა კი საკუთარი თვალთავე იხილავს, თუ ეს წვეროსანი არ ატყუებს.

— მე თვითონ გიმკურნალე, — ეუბნებოდა ენაწყლიანი ბერძენი. — ჩემზე კარგი ექიმი ლიპარის კუნძულებზე არავენ არის. გახდება ვინმე ავად და მაშინვე ჩემკენ მოაშურებენ: „არქიდამუს. გვიშველო!“ ბალახების ნაყენსაც ვაკეთებ. მატლების მოსპობაც შემიძლია და მუხლუხებისაც.

— ჩემი ვენახი მუხლუხებმა გამოხრეს, — გაიხსენა მარკუსმა.

— ზეთისხილის ნაყენი უნდა დაამზადო, — საქმიანად თქვა წვეროსანმა, — ნელ ცეცხლზე უნდა ადუღო, თან გოგირდი და კუპრი

შეურიო. როცა შესქელდება, ცეცხლიდან გაღმოდგი და გააგრილე. მერე ლერწებს წაუსვი და მუხლუნას სახსენებელიც გაქრება!

მარკუსმა აღმაცერად ახედა თავის თანამოსაუბრეს. რა საოცრებაა ამდენი რამის ცოდნა. ვინ არის ეს კაცი? მეზღვაური? ვქიმი? მევენახე? თუ, უბრალოდ, მოლაყბეა იმ მექოთნესავით?

— მიწა მიყვარს, — განაგრძობდა წვეროსანი. — მთელი სიცოცხლე შემძლია მიწაზე ვიმუშაო. ვერ გამიგია, რა მოსწონთ ზღვისა. ერთი ძმა მყავს, მეთევზეა. საკმარისია, ზღვაზე დაიწყოს ლაპარაკი, ვეღარ გააჩერებ! ყველაფერი სიამოვნებს: ტალღებიც, ქარიც, ქარიშხალზეც კი აღერსიანად ლაპარაკობს. მე კი ერთი სული მაქვს, როდის მიიწურება ჩემი ვადა.

მარკუსი ვერ მიხვდა, რა ვადაზე ამბობდა წვეროსანი.

— შენ ნურაფრისა გეფიქრება, — უთხრა წვეროსანმა. — ჩემი ვადა ხვალ გადის. შენც წაგიყვან. ერთი წლის წინ ორი კაცი გადავარჩინეთ. ქარიშხალმა დაამსხვრია ძათი ხომალდი. როგორ არ გვეხვეწებოდნენ, ნაპირზე გადაგვსვითო, ოქროს მთებს გვპირდებოდნენ, მაგრამ მაინც ვადამდე დაცდამ მოუწიათ. ჩვენთან ვადას მკაცრად იცავენ. შენ კი ბედმა გაგიღიმა! სწორედ ვადაზე მოხვდი ჩვენთან!

აფრების ძლიერ ტლაშუნზე მარკუსი მიხვდა, რომ ქარი გაძლიერდა. ხომალდი მათრახნდარტყმული ცხენივით მიჰქროდა. ანძა ირხეოდა. კრიალეზდნენ სხვა აღჭურვილობანიც. მარკუსს უთხრეს, კაიუტაში შედიო. წვეროსანმა თავისი საწოლი დაუთმო. მან კი მეზღვაურებთან ერთად მთელი ღამე ტალღებთან ჰიდილში გაატარა.

მხოლოდ გამთენიის ხანს ჩადგა ქარი. მარკუსი სისუსტისაგან ფეხს ძლივს ითრევდა, მაგრამ მაინც ავიდა გემბანზე. წვეროსანი საკესთან იდგა.

საკერებლებით დაფარული ტუნიკა გახსნოდა. ბანჯგვლიანი მკერდი და ძუძუსთავთან ვარდისფერი ნაპრილობევი მოუჩანდა.

უეცრად სტვენა გაისმა. რომელიღაც მეზღვაური ნაპირის გამოჩენას იუწყებოდა. მარკუსმა იქით გაიხედა — ჰორიზონტზე ხმელეთი გამოჩნდა. მარკუსს თვალი ვერ მოეშორებინა. უკვე კონცხიც ჩანდა. კონცხის იქით კი — ნავსაყუდელი, რომელსაც ლიგურიული მშვილდის ფორმა ჰქონდა. ხოლო იმ ადგილას, საცა მშვილდში ჩასრს სდებენ, თეთრად მოჩანდა სახლები. ხმელეთიდან შენიშნეს ხომალდი და ხელების ქნევით ნაპირისკენ გამოიქცნენ.

„აი, ესეც ლიპარა! — ფიქრობდა მარკუსი. — ადამიანები აქაც რსეთივენი არიან, როგორც სხვაგან. აქაც მღელვარედ ხვდებიან მეზღვაურებს ცოლები, მამები, დედები, შვილები. მთელი ეს ხანი მფოთავდნენ ახლობელთა მოლოდინში“.

დამხვედურთ შორის ერთი წითელმოსასხამიანი მამაკაცი გამოიჩინოდა. იგი რაღაცას უყვიროდა მეზღვაურებს, რომლებიც ხომალდს ხიმინჯებზე ამაგრებდნენ. ხოლო როცა გემბანიდან კიბე ჩამოუშვეს, იქვე დადგა და ყოველ ჩამოსულს ხელს ართმევდა. არქიდამუსს უფრო დიდხანს ელაპარაკა, ვიდრე დანარჩენებს, როგორც ჩანს, მესაკემ მას უამბო, როგორ ჩაძირეს მეკობრეთა ხომალდი და გადაარჩინეს მარკუსი.

ასე იყო თუ ისე, როცა მარკუსმა მიწას დაადგა ფეხი, ფილიპე — ასე ეძახდა არქიდამუსი უცნობს — ისე თბილად შეხვდა მას, თითქოს ტყვე კი არა, სასურველი სტუმარი ყოფილიყო.

— ვინ არის ეს კაცი? — ჰკითხა მარკუსმა არქიდამუსს, მარტონი რომ დარჩნენ.

— ჩემი ძმა ფილიპეა, — ამაყად მიუგო არქიდამუსმა. — მეფე!

— რამდენი ძმა გყავს? — დაინტერესდა მარკუსი.

— ერთი. ეს ისაა, მე რომ გელაპარაკებოდი.

— ის არის? — შესძახა მარკუსმა. — აჲ ის მეთევზეაო.

— ჰო-და, მეთევზე აირჩიეს მეფედ. თუკი მევენახე შეიძლება მეფე გახდეს, მეთევზე არ შეიძლება?

— ეს ხალხი ვინლაა? — ჰკითხა მარკუსმა. — ესენიც მეთევზეებია?

— არა. ესენი მხვნელები და მევენახეები არიან. ჩვენი ცვლა.

ახლალა ჩასწვდა მარკუსი წვეროსანის უცნაურ ნალაპარაკებს ვადაზე, მიწის სიყვარულზე და სხვა რამეებზე. თურმე აქაურები მიწას რიგ-რიგობით ამუშავებდნენ და ასევე მონაცვლეობდნენ ხომალდებზეც.

„ალბათ, დარჩენილები ზღვაზე წასულთა ნაკვეთებსაც ყურადღებას აქცევენ. ან იქნებ ყველაფერს მონები აკეთებენ?“ — ფიქრობდა მარკუსი.

არქიდამუსი და მარკუსი ქუჩაში მიდიოდნენ. ქუჩის ორივე მხარეს კრამიტისსახურავიანი ერთსართულიანი სახლები იდგა. ისინი ძალიან წააგავდნენ ცერეს გარეუბნის ხელოსანთა სახლებს, არც ერთი მათგანი არ გამოიჩინოდა სიდიდით, ანდა სიმდიდრით. მარკუსს თვალში ისიც მოხვდა, რომ სახლები ღობეებით არ იყო შემოფარგლული. მას გაახსენდა კანონი, რომლის მიხედვით ნებადართული იყო მეზობლის ღობიდან გადმოსული ხეხილის ტოტების მოჭრა. აქ კი ხეები ყველგან ხარობდა, ხოლო მათ ჩრდილში ბავშვები ცელქობდნენ.

ბოლო სახლის მიღმა მინდორი იწყებოდა. იქი თანდათან მალ-

დებოდა და ხუჭუქა ტყით დაფარულ მთას უერთდებოდა. თეთრი ფერის მიწა მთის ძირამდე ვენახებით იყო აკრელებული.

ნავსაყუდელის მარცხენა და მარჯვენა მხარეზე ტალღებს თეთრი საფარი გადაერეცხათ და ახლა თეთრი კუნძული ზღვის თვალის-მომპკრელი სილურჯისგან მუქი ზოლით გამოიყოფოდა.

— აი, ესეც ვენახები! — ამაყად წარმოთქვა არქიდამუსმა და ხელი მთის მიმართულებით გაიშვირა. — მთის გადაღმა კი ყანებია. პური უკვე მოუშვიათ, რთველი კი ჩვენ მოგვიწევს.

— ვისია ეს ვენახები და ყანები? — იკითხა გაოცებულმა მარკუსმა.

ვინ დააჯერებდა, რომ ყველაფერი ეს ერთი კაცის საკუთრება იქნებოდა. თანაც არქიდამუსი სულაც არ ჰგავდა მოზიარეს.

— როგორ თუ ვისი? — მარკუსზე უფრო არქიდამუსი გაოცდა. — ჩვენია! ყანაც ჩვენია. აქ მიწა საერთოა.

— მოსავალს როგორღა იყოფთ? — ჰკითხა მარკუსმა მცირე პაუზის შემდეგ.

— მოსავალს არც ვანაწილებთ, — მიუგო არქიდამუსმა. — ჩვენ მას საწყობებში ვინახავთ და საჭიროებისდა მიხედვით გავცემთ ხოლმე. ამას მეფე ადევნებს თვალყურს, ხოლო ქალები ეხმარებიან.

— მაშასადამე, მეურნეობაც საერთო გაქვთ?

— კი, საერთოა. მახსოვს, იმათაც ასე უკვირდათ ჩვენი წესწყობილება, ჩვენ რომ გადავარჩინეთ. არაფრით არ სჯეროდათ, რომ ასე ცხოვრებდა შეიძლებოდა. „კი, მაგრამ, ზოგს რომ მეტი უნდა და ზოგს — ნაკლები?“ — უკვირდათ მათ. სწორედ იმ წელიწადს ხორბლის მოსავალი არ ვარგოდა და ცოტა პური გვქონდა. ჩვენ მათაც თითო პურს ვაძლევდით სადილზე, როგორც სხვებს. მათ კი ეს არ მოეწონათ. საერთოდ, ბევრი რამ არ მოსწონდათ ჩვენებური. თავიანთ სამშობლოში, კართაგენში, თურმე მონები ემსახურებოდნენ, ჩვენ კი მონები არა გვყავს. ისინიც ადგნენ და წავიდნენ. არც შევზღვევნივართ, დარჩითო. ბორბტები და ხარბები იყვნენ.

ამასობაში ისინი ერთ ტოტებგაშლილ მუხასთან მისულიყვნენ. მის ჩრდილში უხემ ტილოგადაფარებული მაგიდა იდგა. მახლობლად კერია ბოლავდა. მოთუხთუხე ქვაბიდან მადის აღმძვრელი სუნი ამოდირდა.

— უხა! — გამოიცნო არქიდამუსმა. — გუშინ ფილიპე ზღვაში იყო გასული, როცა ზღვა ღელავს, უფრო ხორცეულს ვეტანებით. ჩვენი საძოვრები და ცხვრის ფარების საჩხებები აგერ, იმ კუნძულებზეა, — ხელით აჩვენა: — ეს ებონიძა, მარცხნივ — თერმესუსია.

ხოლო იმას, საიდანაც ცეცხლის ალი ადის, სტრონგილას ვეძახით.

— მამა, შენ სტუმარს შიმშილით მოკლავ, იმდენს ელაპარაკები, — მოისმა წკრიალა ხმა.

მარკუსი მიბრუნდა.

მის წინ ოციოდე წლის ქალიშვილი იდგა. კეფაზე შეკრული თმა მაღალ შუბლს მთლიანად აჩენდა. სწორი, თანაც არც თუ თხელი სახის ნაკვთები ჰქონდა. ლამაზი მოხაზულობის ტუჩები რომელიღაც ყვავილს ჰგავდა, მაგრამ რომელს, მარკუსმა ვერ გაიხსენა.

— ახლავე. ლარისა, ახლავე! — მიუგო არქიდამუსმა. — ვიცი, არ გაყვარს ბებრული ლაყბობა, მაგრამ მარკუსმა ხომ ყველაფერი უნდა იცოდეს.

— რა უცნაური სახელია მარკუსი! — თქვა ქალიშვილმა. — მოკლე და ქლერადი.

— ჩემი სრული სახელია მარკუს სატიესი, — მიუგო მარკუსმა. — ეროვნებით რასენა ვარ. რომაელები ჩემს ხალხს ეტრუსკებს უწოდებენ, ხოლო თქვენ — ბერძნები — ტირენიელებს.

ქალიშვილმა შიშით დაიხია უკან.

— მეკობრე! მეკობრეა! — შეჰყვირა მან.

— არა, მეკობრე არ არის, — დაამშვიდა არქიდამუსმა. — ჩვენი სტუმარი მეკობრეთა ხომალდზე მენიჩბედ ჰყავდათ. ნეტა განახა, როგორ მოუხატავთ ეს საცოდავი!

— შენ მენიჩბე იყავი? — თანაგრძნობით ჰკითხა ლარისამ. — ჯაკვით იყავი მიბმული და გცემდნენ? მე კი მეგონა, ყველა ტირენიელი მეკობრე იყო.

— აი, ახლა კი შენ მოკლავ სტუმარს შიმშილით, — უთხრა არქიდამუსმა. — ვერა ხედავ. სუფრისკენ როგორ იცქირება?

ვიდრე სუფრას შემოუსხდებოდნენ, კაცებმაც და ქალებმაც დაიჩოქეს და დაღარული მთისკენ გაიშვირეს ხელები. შორიდან მთა ღრმა ნაოკებით დაფარულ მოხუცის სახეს მოგაგონებდათ.

— წყალობას ნუ მოგვაკლებ, ჰეფესტო! — წარმოთქვა ყველამ ერთად.

მარკუსი ლარისას გვერდით დასვეს. იგი გრძნობდა, რომ ქალი თვალს არ აშორებდა. ეტყობოდა, ქალიშვილს რალაციის კითხვა უნდოდა, მაგრამ ვერ გაეხედა.

— ლამაზი ქალიშვილი გყავს, — უთხრა მარკუსმა არქიდამუსს.

— მე ქალიშვილი არა მყავს, — პირქუშად მიუგო არქიდამუსმა. — ვაჟი კი ტყვეობაშია. იმ დღეს, როცა ჩვენ კართაგენელები გადავარჩინეთ, ტირენიელები დაგვეხსნენ თავს. მას შემდეგ კილონის ასავალ-დასავალი არ ვიცი. ლარისა კილონს ელოდება.

მარკუსს სამშობლოში ხშირად უნახავს ბერძენი მონები: მათ მტრულად უცქეროდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ უცხოელები იყვნენ, ისინი მდიდრებს ემსახურებოდნენ და მათ მინდვრებსა და ვენახებს ამუშავებდნენ. ადგილობრივი გლეხები ჩაუმუხლავად მუშაობდნენ, მდიდრების მიერ გასაყიდად გატანილი ხორბალი, ღვინო და ზეთუნის ზეთი კი უფრო იაფი იყო, ვიდრე გლეხებისა. გაჩანაგებული გლეხები თავიანთ ნაკვეთებს ყიდდნენ და ან ქალაქში, ანდა ზღვაზე მიდიოდნენ ბედის საქებრად. აღარაფერს თაკილობდნენ, ოღონდ კი ცოლ-შვილი ერჩინათ. ხოლო მონებს ცოლ-შვილი არაჰყავდათ, ასე ეგონა მარკუსს. აზრადაც არ მოსდიოდა, რომ შორს, თავიანთ სამშობლოში მათ ცოლიც ჰყავდათ და შვილებიც.

ყოველ დღეს რაღაც ახალ-ახალი უცნაურობა მოჰქონდა მარკუსისთვის. კუნძულელთა მთელი ყოფა იმდენად განსხვავდებოდა მარკუსისთვის ჩვეული ადათ-წესებისაგან, რომ ზოგჯერ ხათბალაშიც კი ვარდებოდა. კუნძულელები გაკვირვებით იჩივდნენ მხრებს, როცა იგი ეკითხებოდა, რა ღირსო ესა თუ ის ნივთი. ნაკვები, ბადეები, ამფორები უფასოდ იყო. ვისაც სურდა, შეეძლო ესარგებლა. კვართი გაგიცვდა? ახალი აიღე, ხამლი გაგეხა? — ახალი ჩაიცვი. გაპრანჭვის მიზნით აქ არავინ იცვლიდა კვართს ანდა ხამლს. კუნძულელები უფრთხილდებოდნენ საერთო საკუთრებას.

აღბათ არავინ დაუჭერებდა, მარკუსს რომ მათთვის მოეთხრო, როგორ იყო მის სამშობლოში გამიჯნული ცალკეული სამფლობელო, ყოველ ნივთს კი თავისი ბატონ-პატრონი ჰყავდა. აქაურები ძლიერ გაოცდებოდნენ, რომ გაეგოთ, მთელი მიწა რამდენიმე მესაკუთრეს უპყრია, ხოლო ვინც მას ამუშავებს, ისინი თითქმის შიმშილით იხოცებიანო!

გავიდა მარკუსის ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი ერთი თვე. ზურგზე ჭრილობები მოუშუშდა. ცხელმა წყლებმა და ბალახების ნაყენმა სასწაული მოახდინეს. ახლა რომ ვინმეს მარკუსისათვის შეეხედა, ველარც კი იცნობდა არქიდამუსის გადარჩენილ მენიჩბეს. ეს უკვე სულ სხვა ადამიანი იყო, მხნე და ლამაზი. თითქოს წელშიაც გაიმართა.

მაგრამ მარკუსი ბევრ რამეს მაინც ვერ შეეთვისა. მას კვლავინდებურად აოცებდა ლიბარელთა რაღაც იშვიათი გულითადობა. ვერ გაეგო, რატომ ექცეოდა ასე ალერსიანად და გულკეთილად ლარისა. „აღბათ ქალიშვილს იმედი აქვს, რომ მის საქმროს გამოვისყიდი, — ფიქრობდა. — მაგრამ სხვა ქალები რატომღა მოდიან. თან ბავშვებო

მოპყავთ, მთხოვენ, შევხედო მათ? ჩემს გამოხედვაში რაიმე ჩემთვის უცნობ ძალას ხომ არ გრძნობენ?”

ყველაფერი უფრო მარტივად აღმოჩნდა, ვიდრე ფიქრობდა. ერთხელ მარკუსმა უნებურად ყური მოპყრა არქიდამუსისა და ლარისას საუბარს:

— მიეცი ბედნიერების მომტანს ეს კვართი, — თქვა ლარისამ.

— მას აქვს კვართი, — მიუგო არქიდამუსმა.

— ეს მე თვითონ შევკერე, უფრო მკერივია. ახლა ხომ ძლიერი ქარები ქრის, — დაიჩინა ქალიშვილმა.

მარკუსმა გადაწყვიტა, მოლაპარაკებოდა არქიდამუსს.

— ამიხსენი, ვინა ვგონივარ მე ამ ხალხს? რატომ მოპყავთ ქალებს ჩემთან თავიანთი ბავშვები? ხოლო მამაკაცები ისე მიფრთხილდებიან, თითქოს თიხისაგან ვიყო გამოძერწილი.

— იცი რა, შენ ამის გაგება გაგიძნელებდა, — დაიბნა არქიდამუსი. — თქვენ ხომ ჰეფესტოს სამფლობელოში არ ცხოვრობთ. არ გესმით მისი სპილენძის უროს ხმა. არც მისი მიწისქვეშა სამკვდლოს კვალითა და კვარტლით სუნთქავთ. ჩვენ კი მისი მრისხანებისა გვეშინია. იმის მიხედვით, მისდამი შეწირული ფრინველი გაგვიფრინდება, გაიელებს, თუ უცხოელი გამოჩნდება ჩვენს კუნძულებზე, ვიგებთ, გვირისხდება თუ გვეწყალობს იგი. საკმარისი იყო, ნაპირზე გადმოსულიყავი, რომ მიწისძვრა შეწყდა. მოსავალიც კარგი ავიღეთ. ბავშვები კი ჯანმრთელად არიან, ძველებურად აღარ ავადმყოფობენ.

— შენ გინდა თქვა, რომ მე თქვენ ბედნიერება მოგიტანეთ? — შესძახა მარკუსმა.

— დიას.

— ჩემო ძვირფასებო! — ხმა აუკანკალდა მარკუსს. — ეს მე ვარ თქვენგან ყველაფრით დავალებული. თქვენ მე არა მარტო ბედნიერება დამიბრუნეთ, ჩამინერგეთ რწმენა აღამიანებისა და საკუთარი თავისა. როცა სამშობლოში დავბრუნდები, სხვაგვარად, ახლებურად დავიწყებ ცხოვრებას.

არქიდამუსს სახე მოელუშა.

— დატოვებას გვიპირებ? — ამოიოხრა მან.

— სხვაგვარად მოქცევა არ შემიძლია. — მიუგო მარკუსმა. — ჩემი ხალხიც ღირსია უკეთესი ხვედრისა. ტყუილად როდი ელის აგერ უკვე მეხუთე თაობა სასწაულს — ოქროს ხანის დადგომას. როდონდ არ იციან, როგორ დააჩქარონ იგი.

მარკუსი შებრუნდა. თერმესუსის თავზე ალი აღიოდა. შორიდან იგი ქარისაგან გაბერილ ცეცხლოვან იალქანს ჰგავდა.

— ჯერ კიდევ ყმაწვილი ვიყავი, თქვენი კუნძულების არსებობა რომ გავიგე, — თქვა მარკუსმა კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ. — მაშინ სასაცილოდ არ მეყო ზღაპარი ეოლოსზე, რომელსაც ტომარაში ჰყავს დამწყვედელი ბოროტი ქარები. ახლა, მხოლოდ ახლა ჩავწყვდი ამ ზღაპრის აზრს. ბრმა მუსიკოსი წინასწარმხილველი ყოფილა. ბოროტებას გასაქანი არ უნდა მისცე, ტყავის ტომარაში უნდა გამოამწყვდიო და მოაშორო შურიან ადამიანებს! თუ არა და, ქვეყნიერება დაიღუპება, როგორც ოდისეისის ხომალდი.



რა დაავიწყებს მარკუსს გამოთხოვების წუთებს, ხალხით გაქედნილ ნავსადგურს, მისკენ მიპყრობილ უამრავ თვალს და მალლანაწეული ხელების ტყეს?

ქალები ღმერთს ევედრებოდნენ, რომ საფრთხე არ შეხვედროდა გზაზე. „შვიდობით, ჩვენო ბედნიერების მომტანო!“ — მოსძახოდნენ მამაკაცები. კუნძულელთა ჩვეულების თანახმად, მარკუსმა ხომალდიდან ზღვაში გადაღვარა ღვინო ამფორიდან. წითელი ნაკადი ტალღებს შეუერთდა. ეს ზღვისადმი შეწირული მსხვერპლი იყო. მერე ხომალდის დაქანებული კიჩოს შემალღებაზე ავიდა, მკლავი ასწია და გაშლილი თითები ნელ-ნელა მომუშტა. ალბათ უნდოდა, ეთქვა: „მტკიცედ დაიცავით თქვენი წყობა, მეგობრებო! აი, ასე — მტკიცედ!“

არქიდამუსი კვლავ საქესთან დადგა და ხელი მოჰკიდა საგორავის სახელურს, რომელზეც ბაგირი იყო დახვეული. კრიალ-კრიალით ამოიწია ლუზა და უზარმაზარ ზღვისვარსკვლავასავით ჩამოეკიდა ჰაერში. ნიჩბებმა შეწყობილად მოუსვეს წყალს და წყლის შხეფების კორიანტელი დააყენეს. ხომალდი წინ გაქანდა.

მეზღვაურთა დახმარებით არქიდამუსმა საჭირო ადგილას დაამაგრა ანძა და ორი მხრიდან ბაგირებით გაამაგრა, მერე კი აფრა აუშვა. იგი მაშინვე გაბერა ქარმა.

მარკუსი კიჩოზე იდგა და თვალცრემლიანი ემშვიდობებოდა ნაპირს, რომელიც თანდათან შორდებოდა. ჯერ სახეები გაბუნდოვნდა, მერე — ფიგურები. სახლები ძლივს შესამჩნევ წერტილებად იქცა. მხოლოდ შავი კვამლის ღრუბლებში გახვეული მთის მწვერვალი ჩანდა კიდევ დიდხანს.

„შესძლებენ კი მიწის ამ პატარა ნაგლეჯის მცხოვრებნი თავიანთი სამართლიანი წყობილების შენარჩუნებას, თუ მასაც შურისა და ძალადობის ტალღები წალეკავს?“ — ფიქრობდა მარკუსი.



უხეშწამოსასხამიანი მამაკაცი გზის კიდეს მიუყვებოდა. ისევე, როგორც ყველა სხვა გზა, ამასაც რომში უნდა მიეყვანა იგი. მაგრამ რომი ყველა მოგზაურს როდი უღებს თავის კარიბჭეს. რამდენმა დალია სული ისე, რომ რომის ნახვას ვერ ეღიროსა.

„რომი! რომი!—ყოველ წარმოთქმაზე სულ სხვადასწავგვარად— ხან სასოწარკვეთით, ხან გაბოროტებით და ხანაც ზიზღით იმეორებდა პუბლიუსი ამ მოკლე, მგრგვინავ სიტყვას. — სწორედ რომიდან მოვიდა ბრძანება, რომ მისთვის, პუბლიუსისთვის მიწა. წაერთმიათ. ოქტავიანუსს მიწები თავისი მეომრების დასასაჩუქრებლად სჭირდებოდა. რა ესმით მიწისა ამ რომაელებს? შოუფშენეტიათ იგი ხელის გულზე? გაუტარებიათ გუთანი? ოფლით თუ მოურწყავეთ? მეხისაგან გააობილი მუხის ჩრდილში თუ წოლილან? ანდა თხები თუ უმწყემსიათ თხილიანში? მათთვის, ვინც დღედაღამეს ქეიფსა და დროსტარებაში ატარებს, მიწას არც ფერი გააჩნია და არც სუნი. ისინი ვერც მის სულს გრჩნობენ. ჰოდა, ამ რომაელებზეა დამოკიდებული მიწათმოქმედთა ბედ-იბაღი. მათ, თუკი მოისურვებენ, შეუძლიათ დაუბრუნონ პუბლიუსს მიწა. მაგრამ რითი მოინადიროს მათი გული? მკვებე? ცელიბით? მაგრამ პუბლიუსი რომ მკვებრ-მეტყველი არ არის. მან ვერ შეძლო რიტორთა სკოლის დამთავრება. ნაცნობობით? მაგრამ პუბლიუსს არც დიდგვაროვანი ნათესავეები და მფარველები ჰყავს. ლექსებით? მაგრამ გაიგებენ კი რომაელები გულუბრყვილო სოფლურ ჰანგებს?

პუბლიუსმა უკვე გაუგზავნა თავისი ლექსები მეცენატს. ნეტა რას იზამს? თუ მოეწონა, თეთრსვეტებიან ატრიაში მიიღებს, გაუღიმებს და ეტყვის: „შენი ლექსები წავიკითხე, კეშმარიტად რომაელი ჰომეროსი ხარ. თუმცა, არა რომაელი. არამედ ტირენიელი. შენი სამშობლო მანტუაა. ჩემი—კლუზიუმი. ჩემი წინაპრები ლუკუმონები იყვნენ, შენი კი, დარწმუნებული ვარ, ქურუმები იქნებოდნენ. შენ ჭადოქარი ხარ, ჩემო პუბლიუს“.

მაგრამ ვინ იცის. იქნებ მეცენატმა არ ისურვოს დევნილისა და ლტოლვილის მიღება. ოქტავიანუსმა მიწა წაართვა პუბლიუსს, მე-

‘ცენატი კი ოქტავიანუსის მეგობარია. ოქტავიანუსის წინაპრები ტირენიელები არ ყოფილან. ესეც არ იყოს, განა რომს ცოტა ჰყავს საკუთარი პოეტები?

პუბლიუსი გზიდან გადავიდა და ლობაშეპარულ კუნძზე ჩამოჯდა. გზის მარჯვნივ და მარცხნივ წაწვეტიებული ყორღანები იყო, რომლებსაც ფუძესთან ქვის ფილები შემოუყვებოდა. ყორღანები ზურგზე წამოწოლილი უზარმაზარი მხეცის ძუძუებს ჰგავდა. ეს ყორღანები ტირენიელთა სამარხები იყო, ასეთები მანტუას მიდამოებშიცაა. ტირენიელები... ნეტა მართალია, თითქოს ისინი ზღვით მოვიდნენ აქ შიმშილისაგან გადარჩენის მიზნით? როგორც ჩანს, შიმშილით სიკვდილის შიში მათ ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჭდარი. ტყუილად კი არ არიან სამარხების კედლებზე გაშლილ სუფრასთან გამოსახულნი. მონებს ნაირ-ნაირი საკმელები მიაქვთ მათთვის, ჩანგლებზე კი ხარის ხორცი ჰკიდია.

ან იქნებ პეროდოტემ მოიგონა მათი შიმშილისგან თავის დაღწევის ამბავი? ტირენიელები გაუმაძღარი ძალაუფლების მოყვარულნი და ცოდნისმაძიებელნი არიან. ოდესღაც ეს დიდი ხალხი იყო, რომელიც ისწრაფოდა, გაეგო ყველაფერი და თავისად ექცია. ტირენიელებმა ცის თალი დაანაწილეს და ვარსკვლავეთიდან მხეცებისა და ფრინველების მოხაზულობანი გამოყვეს. ცდილობდნენ, ღმერთების ნება-სურვილი ამოეცნოთ ელვის ბრწყინვაში, ქუხილში, მიწისქვეშა გუგუნში. მათ ისწავლეს ქვის სახლების შენება და შიშველი კედლების ნათელი ფერებით მოხატვა. ხელოვნება მზესავით მოეფინა ამ ქვეყანას. სურვილთა დაკმაყოფილებას და სიმდიდრეს სიმამლრეც მოჰყვა. სწორედ მაშინ გაჩნდა ეს სამარხები თავისი საოცარი გამოსახულებებით და საკოფაგები ჩასუქებული, ყველაფრით კმაყოფილი და ყველაფრისადმი გულგრილ მიცვალებულთა ქანდაკებებით.

მაგრამ ეს რაღაა? ირიბად დაშვებული დაისის სხივები თუ წმინდა ძაფებით მოქსოვილი აბლაბუდა? გარდასულ დროთა სიმები! პუბლიუსი უნებურად შეეხო მათ და გაისმა წინაპართა ხმები, ყვავილთა შრიალი, წყაროთა რაკრაკი. ეს სასწაულია. სწორედ ამას ეძახიან შთაგონებას. პუბლიუსმა გადააბიჯა ის უხილავი ზღვარი, რომლის იქითაც რაღაც აუხდენელი იწყება. ახლა მას შეუძლია, თუ მოისურვებს ხედ, ყვავილად იქცეს, ჩაეშვას მიწისქვეშა სამეფოში და ჰელიოსის ეტლით ვარსკვლავეთშიც გაიქროლოს. შეუძლია, რომელი გმირიც უნდა, იმის ენით ისაუბროს.

„ენეასს ავირჩევ, — ფიქრობდა პოეტი. — იგი მოხეტიალედ

იყო, დევნილიც. კართაგენის დედოფალმა დიდონამ შეიყვარა გაღატანილი ტანჯვისა თუ გადახდენილი ამბების შთაგონებული თხრობისათვის. ენეასს ტროა წაართვეს. ადამიანი წარსულთან ვერაფერს ჯახდება, ენეასის მომავალი კი რომია. ენეასი რომ დიდონასთან დარჩენილიყო, რომის ფორუმი დღესაც ცხვრების საძოვარი იქნებოდა. პალატინის ფერდობებზე კი მარმარილოს სასახლეთა ნაცვლად ჩალის ქოხები იქნებოდა შეფენილი. არც პუნებთან¹ მტრობა იქნებოდა, ჰანიბალი ალპებზე აღარ გადმოიყვანდა სპილოებს, რომის ლეგიონები არ იდგომებოდნენ რეინზე და დუნაიზე. და უღმერთო მეომრები არ გააძევებდნენ მოქალაქეებს მათი მიწებიდან. ყველაფერი, სულ ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. მართლაც რომ უძლურია ადამიანი წარსულთან, ვერაფერს ვერ შეცვლის. ხოლო მომავალი... ყოველი ნაბიჯი შეიძლება რაღაცას მოასწავებდეს!”

პუბლიუსი რომისაკენ მიმავალ გზას მიუყვებოდა. მას მძიმე ნიკაპი ჰქონდა, ღრუები ვარდისფრად უღვიოდა. ერთი შეხედვით, უბრალო მწყემსი ეგონებოდა კაცს. მაგრამ თვალები რომ დაგენახათ, მათი ელვარება უნებლიეთ შეგაჩერებდათ. იგრძნობდით, რომ იგი ტირენიელთა შთამომავალი იყო, მათგან მიეღო მემკვიდრეობით მთელი მათი სიბრძნე და მგზნებარება. მისი მნახველი გააფიქრებდა: ამ ადამიანისთვის შეუძლებელი არაფერიაო. მეცენატი გაუღებს მას თავისი სახლის კარს, ხოლო ოქტავიანუსი იამაყებს ამ ღარიბ მანტუელთან მეგობრობით. რომაელები ჯგუფ-ჯგუფად აედევნებიან მას და მერე თავს მოიწონებენ: „მე ვერგილიუსი მინახავსო“. თვითონ პუბლიუსი კი ხალხს გაეჭევა და თავისი თავით უკმაყოფილო ბრძანებს, დასწვან „ენეიდა“. მაგრამ ის მაინც გადარჩება და დიდებითა და უკვდავებით შემოსავს მის სახელს. მისთვის უცხო იქნება კმაყოფილების გრძნობა. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვერგილიუსი დარწმუნებული იქნება, რომ ჯერ არაფერი გაუკეთებია, არაფრისთვის არ მიუღწევია, საუკეთესო სტრიქონები ჯერაც არ დაუწერია.

¹ რომაელები პუნებს კართაგენელებს ეძახდნენ.



მუზეუმის დარბაზებში

აი, უკვე ხუთი საუკუნეა ვმოგზაურობთ შუასაუკუნეებისა და ახალ ტოსკანაში, განძის მაძიებლებთან და არქეოლოგებთან ერთად ვეშვებით აკლამებში, ავდივართ ჰაერშიც, რათა უკეთ დავათვალიეროთ ძველი ქალაქები, ტაძრები, სამარხები. მიუხედავად ამისა, ჩვენი მოგზაურობა ჯერ არ დამთავრებულა.

თვითმფრინავი ბეტონის ბილიკს შეეხო და აეროვაგზლისკენ გაემართა. რამდენიმე წუთიც და ჩვენ უკვე ავტომანქანათა ნაკადებით სავსე უზარმაზარ მოედანზე ვართ. ეს ფლორენციაა, მედიჩების დედაქალაქი! თავის დროზე აქ იყვნენ დემპსტერი, ვინკელმანი, დენისი, ფრანსუა, მოდესტოვი და სხვა ჩვენი გმირები. მაგრამ ამჯერად მე ისინი კი არ მომგონებია, არამედ პოეტი ალექსანდრე ზლოკი. ალბათ ვაგზლის მოედანზე გასული, იგიც განაცვიფრა და თან განაწყენა იმან, თუ რაოდენ არ შეესატყვისებოდა მისი ოცნების ქალაქი თანამედროვე ევროპულ ცენტრს:

„მაშ, ფლორენცია, მოკვდი, იუდავ,
განჭრი წყვილიაღში საუკუნეთა.
მე დაგივიწყებ სიკვარულის ეპოს,
არც სიკვდილს ველი მე შენთან ერთად.“

ავტომობილთა ხრილი მელერი
ავსებს შენს მახინჯ სახლებს და ხიდებს.
მაგ ევროპული ყვითელი მტვერით
შენ საკუთარი თავი გაუიღე“.

— რა შეიძლებოდა დარჩენილიყო ამ ქალაქში ეტრუსკებისგან? — ვკითხე მე ჩემს თანამგზავს.

მაშინვე გარს შემოგვეხვივნენ მკვირცხლი, შავგვრემანი ადამიანები. როგორც ჩანს, სიტყვა „ეტრუსკი“ აქ ყველასათვის ცნობილია.

— პიაცა დელა ანუნციატა! პიაცა დელა ანუნციატა! სენიორებო, პიაცა დელა ანუნციატა ნახეთ! — ისმოდა შეძახილები.

წუთიც და მანქანა მოვიდა. ჩვენი კეთილისმყოფელნი ხელების ქნევით უხსნიდნენ რალაცას მძღოლს.

— რუსი ეტრუსკი! — გაიღიმა ტაქსის მძღოლმა და კარები მოგვიხურა.

აი, ჩვენ უკვე არქეოლოგიური მუზეუმის წინ, მოედანზე ვართ. იღება მძიმე კარი და ექსკურსანტებთან ერთად შევდივართ ეტრუსკთა სამყაროში.

ეტრუსკები აქ ისე არიან, როგორც საკუთარ სახლში. ექსპონატები დარბაზებში მათი წარმოშობის ადგილის მიხედვითაა განლაგებული, მეთავე დარბაზში ნორკიაში ნაპოვნი ნივთებია გამოფენილი, მეჩვიდმეტესა და მეთვრამეტეში — ორვიეტოში. ეს სწორი პრინციპია. ეტრუსკების ტერიტორიაზე ხომ თორმეტი სახელმწიფო იყო, რომელთაგან თითოეულს თავისებური ყოფა და კულტურა ჰქონდა. ერთ დარბაზში რომ სარკეები განელაგებინათ. მეორეში — ლარნაკები ანდა სარკოფაგები, ჩვენ ველარ გავარჩევდით, რითი განსხვავდებოდა ეტრუსკების ერთი რაიონი მეორისაგან.

ცნობილია, რომ მშობლიურ ქალაქშიც კი გაგინარდება ძველი ნაცნობის ნახვა, უცხო მხარეში ხომ მით უმეტეს! გინდა მიხვიდე, გადაეხვიო, თუნდაც იგი სკოლის ამხანაგი კი არა, ქიმერა იყოს. დიანს, სწორედ ის ქიმერა, 1554 წელს რომ იპოვეს. იგი არეცოში მოპოვებულ ნივთებთანაა გამოფენილი.

— ცუდად არ შენახულა ორ-ნახევარი ათასწლეულის მანძილზე, არა? — მეკითხება ჩემი თანამგზავრი.

თვალს ვერ ვაცილებ ქიმერას. ცხოველთა ქცევის რაოდენ დიდი ცოდნა ჩანს მასში! რა ოსტატურადაა დეტალები შესრულებული! მაგრამ გასაოცარი თვით მხატვრის ჩანაფიქრია. ადამიანს არ შეუძლია გადალახოს მისთვის ჩვეული სამყარო. მას, ისევე როგორც კუბებით მოთამაშე ბავშვს, მხოლოდ იჩისაგან შეუძლია. რაიმეს შექმნა, რაც ხელთა აქვს. როგორღა წარმოგვიდგენია სხვა სამყაროების ბინადარნი? ჩვენ მხოლოდ ადგილს ვუცვლით თვალებს. ყურებს, ცხვირს. ასე იქმნება ურჩხული, ქიმერა.

ტუსკანიას დარბაზში ერთი სარკოფაგის წინ შეეჩერდი. მე არა ერთი ბერძნული ქანდაკება მინახავს, რომელთაც გაფუოცებივარ სილამაზითა და სინატივით, დავმტკბარვარ მათი ცქერით, აღვუფროთვანებივარ მათ პროპორციებს, სრულყოფას. მაგრამ ამ დარბაზში პირველად მივხვდი, რა არის ქეშმარიტი ხელოვნება. სარკოფაგზე გამოსახული ადამიანი სულაც არ იყო ლამაზი. მას გაპობილი ქვედა ტუჩი და ხალი აქვს მარჯვენა ლოყაზე. სიცოცხლეში მას ყველაფერი ჰქონდა, რაც კი შეიძლება მდიდარს ჰქონდეს — ეს ეტყობა მის ტანსაცმელსა და სამკაულებს, — მაგრამ მან ვერ მოასწრო სიცოცხლით გაძღომა. სხეულის მოძრაობაში, თვალეზში ვედრებას ვკითხულობთ, მიშველეთო, სიცოცხლე მინდაო.

აი, ცნობილი „მსუქანი ეტრუსკი“. ასე, ორმოცდაათიოდე წლის გაფიქვინებული, მელოტი მამაკაცი. შიშველ, სიმსუქნისაგან დაკეცილ მკერდზე ყვავილების გვირგვინი ჰკილია, ნიშნად იმისა, რომ განსვენებული ნადიმის დროსაა გამოსახული. ეს არა მხოლოდ მდიდარი ეტრუსკია, რომელსაც კარგი სმა-ჭამა უყვარს, ეს დაცემის ხანის ეტრუსკი-მონათმფლობელია. ის და მისი თანამოძმენი უსაქმობაში ატარებდნენ დროს და სიამოვნება ცხოვრების პრინციპად ჰქონდათ ქცეული.

სამშობლოს ბედი კი მათ სრულებით არ აინტერესებდათ. ბატის ღვიძლის პაშტეტის ფასად მზად იყვნენ კარი გაეღოთ რომაელებისათვის. პოლიტიკურ ხელისუფლებაზეც კი უარს იტყობდნენ, ოღონდაც თავიანთ ქალაქის სასახლეში განუწყვეტლივ ეზიდათ სხვადასხვაგვარი საკმელები, ხოლო სამზარეულოდან დანების კაკუნის ხმა სმენოდათ, დამტკბარიყვნენ შემწვარი ნანადირევის სუნით. რესპუბლიკის დაცემის ხანის რომაელივით მათაც შეეძლოთ შეეძახათ: „გაუმარჯოს მუცლებს!“

სალაიას ტერაკოტულ ქანდაკებას ხომ ნულარ იტყვიან! როგორ შეიძლება გვერდი აუარო მას! ზის თავისთვის ქალიშვილი, სევდიანი, ჩაფიქრებული, მკერდზე გრძელი, მსხვილი ნაწნავები გადმოუყურია. ვინ არის იგი? ლუკუმონის ქალიშვილია თუ ვინმე სოფლელი? მას სრულიად არა ადარდებს ნადიმები და სიამოვნებანი, თავისი ოცნების სამყაროში ჩაფლულა.

არეცოს ტაძრის ფრონტონზე გამოსახული ქალის თავი კი გვაოცებს მწუხარებითა და ვნებით. განა მისი ბრალია, რომ ღმერთებმა იგი ამორძალად გააჩინეს და იძულებულია ცხენი აჰქნოს, მშვილდიდან ისროლოს! მას ხომ უბრალო ქალი უნდოდა ყოფილიყო, მეუღლე ამ მშვენიერი ყმაწვილისა, ვისი მოკვლაც ნაბრძანები აქვს.

ახლა უკვე ბალისკენ მივდივართ. იქ ორფერდასახურავიანი სამარხია და ქის ფორმის მრგვალი სამარხიც, რომლის ქერი ბოძზეა დაყრდნობილი. ბაღში სინათლე იღვრება.

ამ ხეებისა და ძველი ძეგლების თაზისში მბრძანებლურად იჭრება ქალაქის ხმაური. მაგრამ მუზეუმს მაინც იმ რწმენით ვტოვებთ, რომ არ იქნებოდა დანტეს, პეტრარკას, პირანეზეს და კარდუჩის დროის ფლორენცია, აქ რომ მრავალი საუკუნის წინ ეტრუსკებს არ ეცხოვრათ.



ილუსტრაციების წარწერები

1. უმაწვილის ბრინჯაოს თავი ეტრუსკული ქალაქ ფიეზოლედან. ძვ. წ. IV ს. ფლორენციის არქეოლოგიური მუზეუმი.
2. ბრინჯაოს ძუ მგელი. რომი. კაპიტოლიუმის მუზეუმი. ეტრუსკი ოსტატების ნაშუქეარი. ძვ. წ. VI ს.
 ლეგენდა გადმოგვცემს, რომ ძუ მგელს გამოუკვებია თავისი რძით რომის დამააოებლები — რომულუსი და რემი, ამიტომ ძველადვე ეს ძეგლი მუდმივი ქალაქის სიმბოლოდ იყო მიწნეული. აღორძინების ეპოქაში ძეგლს მიამატეს ჩვილი ბავშვების ორი ფიგურა.
3. ბრინჯაოს ქად ეტრუსკული ქალაქ კორტონადან. კორტონას მუზეუმი. ძვ. წ. VI ს.
 ქალის ცენტრში ურჩხული გორგონაა გამოსახული.
4. გულსაკიდი ძეწკვი აქელოეს ნიღბით. მუზეუმი „ვილა ჯულია“. ძვ. წ. VI ს.
 ბერძნულ მითოლოგიაში აქელოე ოკეანისა და ფეტიდას საში ათასი შვილიდან ყველაზე უფროსი ვაჟია. იგი ჰერაკლეს მხარეზე იბრძოდა. ეტრუსკებთან აქელოეს პოპულარობა აიხსნება ჯერ ერთი იმით, რომ ძვ. წ. VI ს. ზღვა გახდა მათი სტიქია, მეორეც, ეტრუსკიაში გავრცელდა ჰერაკლეს (პერაცლეს) კულტი. ჩვეულებრივ, აქელოეს გამოსახედნენ წვერითა და ხარის რქებით.
5. ქიმერას ბრინჯაოს ქანდაკება. ფლორენცია. არქეოლოგიური მუზეუმი ძვ. წ. VII ს.
 ბერძნული მითოლოგიის ურჩხულს ქიმერას გამოსახედნენ ლომის თავითა და ტანით, გველის კუდით და ზურგზე ამოზრდილი ცხერის თავით. ქიმერას მარჯვენა ფეხზე ეტრუსკულად აწერია „ტინეკვილი“, რაც ნიშნავს, „ღმერთ ტინისადმი მიძღვნილი“.
6. ოქროს დიდი საკიდებიათი ფიბულა (საკინძე) ცერეს რეგოლინ-გალასის სამარხიდან. ძვ. წ. VII ს. გრეგორიანული მუზეუმი. ვატიკანი.
 ფიბულა ეტრუსკული საიუველირო ხელოვნების ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია.

7. დასაყრდენად ურნაზე მოთავსებული ფიგურა. ტერაკოტა. კლეზუმი. ძვ. წ. II ს.
სარეცელზე წამოწოლილ ქალს ხელთ სარკე უპყრია. ეტრუსკულა წარწერა გვამცნობს მის სახელს — სეიანტი ფანენია.
8. შავი თიხისაგან გაკეთებული ეტრუსკული ფიგურული კურკელი. კლეზუმი. ძვ. წ. VI ს. ამგვარი კურკლები, რომელთაც „ბუკერო“ ეწოდება, ეტრუსკული ხელოვნებისთვის ყველაზე უფროა დამახასიათებელი.
9. ტერაკოტას კურკელი კლეზიუმიდან. ძვ. წ. VI ს.
ლოცვად დამდგარი ქალის დიდ ფიგურას გარს ქალების პატარა ფიგურები შემოხვევია. ქვედა იარუსზე კი ფანტასტიკური ცხოველების — გრიფონების თავებია გამოსახული.
10. წელის კურკელი. ცერე. ძვ. წ. VI ს.
კურკლის ზედაპირზე გამოსახულია ცნობილი სცენა ბერძნული მითოლოგიიდან — ოდისეისა და მისი თანამგზავრების მიერ ციკლოპის დაბრმავება.
11. ბრინჯაოს გრაფირებული სარკე. რომი. ვატაიანის მუზეუმი. ძვ. წ. VI ს.
მხრებზე ფრთებგადაწყობილი მობუცი აყვირდება სამსხვერპლო ცხოველის ლეიძლს. ეტრუსკულა წარწერა გვამცნობს, რომ ეს არის კალხანტი, აპოლონის ქურუმი, რომელიც ბერძნებს ახლდა ტროას ომის დროს.
12. ფირფიტა ქალაქ ცერედან. პარიზი. ლევი. გამოსახულია ორი მკდომარე მონტი. მხრებზე მათ მოკლე წამოსასხამი აქვთ მოსხმული. შემდგომ რომაელებმა ტოვად რომ გადააყეთეს. სპილოს ძვლის დასაყეცი სკამები, აგრეთვე ევროთი. ერთ-ერთ მობუცს რომ უყირავს, უმაღლეს ხელისუფლებასზე მიუთითებს, ხოლო ამგვარი სკამები შენდევ რომაელებმა გადაიღეს და მას „სელა კურულისს“ ეწოდებდნენ. ცოლებელი იყო, თანამდებობის პირის განვარგულებას ეწოდება ძალი არ უქონდა, თუ ეს პირი კურულისის სკამზე არ იჯდა.
13. ფრესკა გოლინის ხამარხიდან. ორვიეტო. ნადამის სამხედრო.
14. ფრესკა მოცეკვავეთა გამოსახულებით. ტარკინი. ტრიკლინოსის ხამარხი. ძვ. წ. VI ს.
ეტრუსკებს მეტად ტემპერამენტთან ცეკვები ჰქონდათ, წააგვდა დღევანდელ ესპანურ ცეკვებს. ეტრუსკებისთვის, ისევე როგორც სხვა ძველი ხალხებისთვის, ცეკვა ცის ბინადართა და მიწი-ქვეშა სამეფოს სულების პატრესაცემად მოწეობილ მსხვერპლშეწიოვათა აუცილებელი ნაწილი იყო.
15. ფრესკა ლეოპარდების ხამარხიდან, ტარკინი. ძვ. წ. VI ს.
— ნადიმის სცენა. მონადიმეებს კრელი, მდიდრული ტანსაცმელი აცვიათ, თავები კი გვირგვინებით შეუწყიათ. შესაძლოა სცენა ასახავს ქელებს. რომელშიც მიცვალბუღის ნათესავენი მონაწილეობენ.
16. ბრინჯაოს ქანდაკება, ეგრეთწოდებული „ბრუტუსი“. რომი. ვატო-ლიუმის მუზეუმი. ავ. წ. V ს. ეტრუსკი ოსტატების ნაწარმი.

შ ი ნ ა ე რ ს ი

ბიწვივით სამდგაუროდ	13
ღებანდები და ფაქტები	19
ქიზანი და აღმოჩენები	57
გაცოცხლებული აჩრდილები	135
მუზეუმის დარბაზი	204
ილუსტრაციების წარწერები	208

რედაქტორი გ. გოჩიაძე
გეომეტ. რედაქტორი ნ. ქართველიშვილი
მხატვარი ვ. ოსვერი
მხატვრული რედაქტორი გ. ლონტი
ტექნიკური ლ. ქვაჩხაია
კონტრ-კორექტორი ლ. სულთანიშვილი
კორექტორი თ. ვნებელია
გამომცემი ი. ხაჩიძე

გადაცა ასაწილად 27/11-73 წ. —
ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/XI-73 წ.,
ასაწილის ზომა 6X10
ქაღალდის ზომა 60X90¹/₁₆
ნაბეჭდი თაბახი 13,25
საღრისებო-საგამომცემლო თაბახი 11,71
ტირაჟი 10.000 შეკვ. № 1769
ფასი 70 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი.
მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Накадули», Тбилиси,
улица Марджанишвили № 5
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომ-
ცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრო-
ბის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამ-
ბა № 2, „ნაკადული“, ფურცელთა ქ. № 5
Типография № 2, «Накадули», Государ-
ственного Комитета Совета Министров Гру-
зинской ССР, по делам издательств, поли-
графии и книжной торговле. Тбилиси,
ул. Пурцеладзе № 5